კვირა, 3 ნოემბერი, 1929 წ. № 45 (229), ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი




— აი, ხომ ხედავთ, — მას შემდეგ, რაც კედლგაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრე-ბი დავაწინაურეთ, კედლის გაზეთი გამოსწორდა, — აღარ გვაკრიტიკებს!



# „წითელი ბოლოკი“

ერთ-ერთ დაწესებულების კომუჯრედის ტექნიკურმა მდივანმა მიამბო შემდეგი:

— მეორე წელია ამ უჯრედის ტექნიკური მდივანი ვარ, მასთან კომკავშირელი, და ერთხელაც არ მახსოვს რომ ამ დაწესებულების გამგე, უჯრედის ყოფილი მდივანი, ეხლა კი ბიუროს წევრი, გიორგი მიტმასნაშვილი უჯრედის სხდომაზე თავის დროზე მოსულიყოს. ის ან სულ არ მოვიდოდა, ანდა ერთი ან ორი საათით უთუოდ დაიგვიანებდა.

— გამგეა, საქმეებით დატვირთულია.—ასე ობდენ თავისთვის უჯრედის წევრები. თუ კი ვინმე სხვა დააგვიანებდა, საპატიო მიზეზიც რომ ქონებოდა, ბიურო საყვედურს გამოუცხადებდა.

ეს იყო წინათ.

ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში კი გიორგი არ გავდა წინანდელ გიორგის. ის ვეღარ ვცნობდით: უჯრედის სხდომებზე ყველაზე ადრე მოვიდოდა და ყველაზე გვიან წავიდოდა. ეს კიდევ არაფერი. მუდამ ამაყი, „კომყოყოჩი“ და ტრაბახა „აბრეშუმივით“ დარბილებულიყო—ყველას თავაზიანად, თავმდაბლად და მორიდებით ეპყრობოდა.

პირადათ ჩემთვის არასდროს მას ამხანაგური სალამი არ მოუცია, ყოველთვის ზევიდან გადმომცქეროდა (ალბად „ტექნიკურად“ მთვლიდა). ამ უკანასკნელ დროს კი ხელს მართმევდა, კაბინეტში მიწვევდა და სხვადასხვა „დიდ“ საქმეებზე მელაპარაკებოდა.

უჯრედის სხდომაზეც ის სულ სხვა იყო ამ ბოლო დროს, ვინემ წინათ. ხუმრობდა, იცინოდა, სიტყვებს ამბობდა, ხან ერთ ჯგუფს ესაუბრებოდა, ხან მეორეს.

— პარტიის პლენუმისათვის ვემზადები... პარტკომში მოხსენება მაქვს. ამ დღეებში მოსკოვში ვაპირებ... გერმანიაში მივლინებას მაძლევენ!—ეუბნებოდა ის ყველას. ერთი სიტყვით ქმნიდა ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ის იყო გამწმენდ კომისიის წევრი და არა გასაწმენდი.

ერთი თვეა, რაც ჩვენ უჯრედში პარტიის წმენდა იყო.

გიორგის შეკითხვებს ამა თუ იმ პირთა მიმართ, რომლებიც „იწმინდებოდნენ“, დასასრული არ ჰქონდა. შიგადაშიგ სიტყვებსაც ამბობდა.

მისი რიგიც მოვიდა, გიორგი გამოიძახეს. მან დიდხანს ილაპარაკა თავის წარსულზე. თავისი თავი ხალხისთვის თავდადებულ რევოლიუციონერათ გამოიყვანა და ასე დაასრულა:

— არც ერთი უღირსი წევრი ჩვენს პარტიაში არ უნდა დარჩეს, ჩვენს რიგებში შემოპარულან უცხო პირები, რომლებიც უნდა განიდევნონ პარტიიდან!

ამის შემდეგ მას მრავალი შეკითხვები მისცეს.

იყო ასეთი შეკითხვებიც:

— იცით თუ არა, რა არის ბიუროკრატობა, და თუ იცით—ხართ თუ არა თქვენ ნამდვილი ბიუროკრატი?

— როგორ იყო, რომ ამ დღეებში ქუჩის ქალებში ქეიფობდით?

— ეხმარებოდით თუ არა მათ, რომლებიც ძირს უთხრიდნენ საბჭოთა წყობილებას?

შეკითხვებზე მიტმასნაშვილმა „მიკიბულ-მოკიბული პასუხი გასცა, მაგრამ თავი მაინც „მაღლა“ ეჭირა.

უჯრედის უკანასკნელ სხდომის წესრიგში წმენდის შედეგების საკითხი იდგა.

კომისიის თავმჯდომარემ ასე დაიწყო:

— ამხანაგებო! თქვენი უჯრედის წმენდა დასრულდა. დღეს, თქვენ გაეცნობით ჩვენი მუშაობის შედეგს. პირველ ყოვლისა მე მინდა თქვენი ყურადღება ერთ გარემოებას მივაქციო. გარდა იმისა, რომ პარტიის წმენდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის გაჯანსაღებისათვის, ჩვენ ვეცნობით სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივ ტიპებს, რომლებიც შემოპარულან ჩვენს პარტიაში. ერთი ასეთი ტიპი თქვენც გყოლიათ, რომელიც იშვიათი და მუზეუმისათვის გამოსადეგი ეგზემპლიარია.

პირველი შეხედვით ის საუკეთესო კომუნისტია, თავდადებული მებრძოლი, ნამდვილად კი წმინდა წყლის ავანტიურისტი-ანტისაზოგადოებრივი ელემენტი. გარეგნულად ის წითელია, შიგნით კი—თეთრი. სისწორისათვის საჭიროა შევადაროთ ის წითელ ბოლოკს, რომელსაც კანი წითელი აქვს, გული კი—თეთრი.

— წითელი ბოლოკი! წითელი ბოლოკი! ვინ არის ვინ?—გაისმა ხმები.

— თქვენ მას იცნობთ. აი ის არის!—და მან ხელი გაიშვირა იქით, სადაც რამდენიმე წუთის წინად გამგე იჯდა, ხოლო ეხლა ცარიელი სკამი იდგა.

— აა, გაპარულა! ის გახლავთ თქვენი გამგე გიორგი მიტმასნაშვილი.—პარტწმენდ კომისიის თავმჯდომარის ეს უკანასკნელი სიტყვა ტაშისცემით დაიფარა.

გამგე კი დარბაზში აღარ სჩანდა.

ჟუმბარა.

# „გაუგებრობა“

როცა მაზრაში კოოპერატივების რევიზია დაიწყო, კოოპერატივი „ჩვენი ოჯახი“-ს გამგე—ანტონ, ამბობდა:

— სხვებმა იკითხოს, თორემ მე რა! ყველაფერი თავის რიგზე მაქვს. კოოპერაციის არც ერთი ლოზუნგი არ დამრჩენია, რომ ცხოვრებაში არ გამეტარებინოს!

ამიტომ რევიზიის მოსვლას ის დამშვიდებით შეხვდა.

—:—

რევიზიამ დაწვრილებით გამოიკვლია ყველაფერი.

— კოოპერატივში მოწყობამდე, რას აკეთებდით თქვენ?—შეეკითხა ანტონს რევიზიის ერთი წევრი.

— საკუთარი სავაჭრო მქონდა. მაგრამ შემდეგ შევიგნე, რომ კერძო ვაჭარი თავის ინტერესებს უფრო იცავს, ვიდრე ხალხისას. ამიტომ თავი დავანებე ვაჭრობას და...

— თუ გადასახადებმა შეგავიწროვეს?—შეაწყვეტინა სიტყვა ანტონს რევიზიის მეორე წევრმა.

—რა თქმა უნდა, გადასახადებმაც ხელი შემიწყვეს, რომ ეს შემეგნო და ხელი ამეღო კერძო ვაჭრობაზე... თქვენ, ალბად, გეცოდინებათ, რომ ლენინი ამბობდა: „ყოველმა კომუნისტმა უნდა ისწავლოს ვაჭრობა“-ო... მაშასადამე, ლენინი არ იყო ვაჭრების, და მით უფრო ყოფილ ვაჭრების, წინააღმდეგი.

— უფროსი ნოქარი რა არის თქვენი?

— ცოლის-ძმა გახლავთ.

— რატომ დაითხოვეთ უწინდელი ნოქარი და მის ადგილზე ცოლის-ძმა მიიღეთ?

— იმიტომ, რომ, მოგეხსენებათ, კაცი თავისიანს უფრო ენდობა· თავისიანი არ გიღალატებს და არაფერს დაგაკლებს. მე ხომ ყველაფერში პასუხისმგებელი ვარ?! ამიტომ ვერ ვენდობი გარეშე კაცს.

— უმცროსი ნოქარი?

— ის ჩემი მონათლულია. მენშევიკების დროს მოვნათლე, თორემ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ღმერთი და ეკლესია არა სწამს... მასაც ვენდობი, როგორც საკუთარ ჩემს თავს. მირონს ხომ არ უღალატებს და ხომ არ შემარცხვენს?!.

— ალბათ მოლარე ქალიც თქვენი ახლობელი იქნება!?

—ცხადია. ახლობელი კი არა, ნამდვილი ჩემი ცოლია მეფის დროინდელი ჯვარდაწერილი. მოლარე ყველაზე უფრო საიმედო უნდა იყოს, რადგან ფული მას აბარია. ამიტომ ჩემი არჩევანი ჩემს ცოლზე შეჩერდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ თანამდებობაზე თემკომმა პარტიული ქალი ცოდნე და გამოცდილი კომკავშირელი გამომიგზავნა. მართალია, მოლარედ ქალია და, როგორც ქალი ფულის მოყვარულია, მაგრამ ყველაფერი რაც კი მოესურვება: დუხი, პუდრი და სთუმბი ყველაფერი, აჰა კ აქვს, და სადღა უნდა დახარჯოს! ფული რომც გაიტაცოს, როგორც ეს მოლარეებს სჩვევიათ, სად უნდა წაიღოს, სად უნდა გაიპაროს, გარდა სახლისა? სახლში კი მე ვარ და ფულს თვითონ მე ჩამოვართმევ; მილიცია და სასამართლო აღარ ცდებიან; მათ ჩემს ცოლზე აღარ ეკარგებათ დრო და შეუძლიათ სხვა გამფლანგველები მონახონ.



— ამბობენ: „კოოპერაცია გზაა სოციალიზმისაკენო“... ჩემთვის კი—გზა დარჩა გამსახლისაკენ.

— საწყობის გამგე?

— საწყობის გამგეზეც იგივე ითქმის, რაც მოლარეზე. ამიტომ, საწობის გამგეთ მყავს ჩემი ბიძაშვილი. მართალია, ცოტა ოხერი კაცია და უყვარს გაცოცება, მაგრამ ყველაფერის წაღებას, რა თქმა უნდა, ცოტას წაღება სჯობია... ამგვარად, როგორც ხედავთ, კოოპერატივი „ჩვენი ოჯახი“ სავსებით ამართლებს თავის სახელწოდებას—შიგ ყველანი ჩვენი ოჯახის წევრები არიან. გარდა ამისა, ამით გატარებულია ლოზუნგი „კოოპერაციაში მთელი ოჯახის ჩაბმის“ შესახებ.

— როხორ ხდება მომხმარებლებზე საქონლის განაწილება?

— ვინაიდან პირველ მოთხოვნილების საქონელს განსაზღვრულ რაოდენობით ვღებულობთ, მისი განაწილება ჩვენს შორის მაშინვე (უმეტესად ღამით) ხდება, რომ სხვებს არ გაეგოთ და საყვედური არ გამოეთქვათ ჩვენი მთავრობის მიმართ საქონლის კრიზისის გამო.

— ნისიას სცემდით, თუ არა?

— ნისიას თითქმის არავის არ ვაძლევდი, გარდა რამდენიმე კარგი ნაცნობისა.

—მაშ რატომ გაქვთ თანამშრომელებს ამდენი დავალიანება?

— ეს ძველი, სამი-ოთხი წლის დავალიანებაა: მაშინ მუშა-მოსამსახურეებს კოოპერატივი აძლევდა ნისიას.

— კი, მაგრამ თქვენ ნისია გაგიციათ მხოლოდ თქვენს თანამშრომლებზე და არა სხვა მუშა-მოსამსახურეებზე!

— დიახ, ეს იმიტომ, რომ სხვებს ვერ ვენდობოდი. ნისიის აღება ძნელია, ეს იქიდან სჩანს, რომ ამდენი ხნის განმავლობაში თვითონ ჩვენმა თანამშრომელმაც ვერ გადვიხადეთ ნისია. სხვებისთვისაც რომ მიგვეცა, უფრო მეტი დაიკარგებოდა. რაც დასაკარგია, სჯობია,-ბარემ ჩვენს თანამშრომლებთან დაიკარგოს.

რევიზია დასრულდა.

ანტონს გული საგულეს ჰქონდა,

ასეთი „ერთგული“ მუშაობისათვის ის ერთი თვის ხელფასის რაოდენობით საჩუქარსაც მოელოდა.

მაგრამ, წინააღმდეგ მისი იმედისა, თავი გამსახლში აკრევინეს.

ზის ეხლა ანტონ გამსახლში და ფიქრობს:

— არა, ეს გაუგებრობაა! სასამართლო გამოასწორებს რევიზიის შეცდომას.... ტყუილი ყოფილა ლოზუნგი: „კოოპერაცია — გზა და ხიდია სოციალიზმისაკენ“... ჩემთვის კოოპერაცია გზა და ხიდი დარჩა გამსახლისაკენ-

ისელი

„ტარტაროზი“-ს შემდეგი ნომერი სპეციალური

**ოქტომბრის რევოლიუციის**

გამოვა ხუთშაბათს, 7 ნოემბერს.

შემდეგი მორიგი ნომერი გამოვა 17 ნოემბერს „ტარტაროზი“-ს 5 წლის თავის აღსანიშნავად

თანამშრომლებს ვსთხოვთ მოგვაწოდონ მასალები.

# ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს

ნოქრები პირველ მოთხოვნილებისა საქონელს თავისიანებისათვის მალავენ.



ნოქარი: — რა ვქნა, ბატონო, საქონელი არა გვაქვს, თაროები ცარიელია, თქვენც კარგად ხედავთ!

# ბედნიერი დღე

(აზრი ნასესხებია)

ქაფტრესტის თავმჯდომარე ჩიყვაძემ ქარხნის დირექტორი ბრიყვაძე ავტომობილით მიაცილა თავის დაწესებულებამდე.

თავმჯდომარეს დირექტორთან მხიარული ბაასი ჰქონდა გამართული: ერთი სასაცილო ანეგდოტიც კი უამბო, გამოთხოვებისას ხელი მაგრად ჩასჭიდა და თავაზიანად უთხრა:

— რატომ არ დადიხარ ჩემთან? შემოიარეთ როგორმე ამ საღამოს. თქვენი ცოლი ანიკოც თან წამოიყვანეთ!.. არ დაგავიწყდეთ!.. გელით!..

დირექტორი თავმჯდომარის თავაზიანობამ და სტუმართმოყვარეობამ ისე გაახარა, რომ მისი თვალები კმაყოფილი ბავშის თვალებივით აციმციმდენ. ხუმრობა ხომ არ იყო უფროსის ასეთი ყურადღება?..

ზემოხსენებულმა სურპრიზმა ისე შეუცვალა დირექტორს ხასიათი, რომ იგი მის კაბინეტში შესულ კომერციულ განყოფილების დირექტორს არაჩვეულებრივი თავაზიანობით შეხვდა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, მეგობარო! როგორ ცხოვრობთ, რა იცით ახალი?.. მოხსენება გაქვთ? არაფერია, ხვალისთვის იყოს... მიირთვით ყურძენი! ნამდვილი განჯისაა!.. დაბრძანდით!..

ამ სიტყვებზე ქარხნის დირექტორმა განყოფილების დირექტორს ყურძნით სავსე პარკი გაუშვირა. შემდეგ „ლიმონის" პაპიროსი გააბოლა და განაგრძო:

— ეს ეს არის ახლა მოვედი. ჩვენი ტრესტის თავმჯდომარემ მომაცილა... საუცხოვო ყმაწვილია... მართლა, რატომ არ დადიხართ ჩემთან?.. შემოიარეთ როგორმე ამ საღამოს. თქვენი ცოლი—თინიკოც თან წამოიყვანეთ. არ დაგავიწყდეთ! გელით!..

კომერციული განყოფილების დირექტორიც ქარხნის დირექტორის თავაზიანობამ და სტუმართ მოყვარეობამ ისე გაახარა, რომ მისი თვალებიც მხიარულ ბავშის თვალებივით აციმციმდენ. მისთვისაც ხუმრობა ხომ არ იყო უფროსის ასეთი ყურადღება? და მასაც ტანში სიამოვნების ტკბილმა ჟრუანტელმა დაუარა.

ცოტა ხნის შემდეგ კომერციულ განყოფილების დირექტორის კაბინეტში „გლავბუხი" შევიდა.

დირექტორი მას უჩვეულო თავაზიანობით შეეგება.

—გამარჯობათ, მეგობარო, გამარჯობათ. ხარჯთ-აღრიცხვაა? ალბად დაიქანცეთ... საჩქარო იყო? არაფერია, ხვალისთვის იყოს... ინებეთ პაპიროსი! საუკეთესო ხარისხისაა; სპეციალურად გამომიგზავნა ერთმა ნაცნობმა. სხვა, როგორ ხართ, როგორ მიდის თქვენი საქმეები? ცოლ - შვილი ხომ კარგად გყავს?, დიდი ხანია, რაც დაბრუნდენ აგარაკიდან?, რატომ არ დადიხართ ჩემთან?, შემოიარეთ ამ საღამოს თქვენი ცოლი ნინიკოც თან წამოიყვანეთ. არ დაგავიწყდეთ, გელით.

„გლავბუხზე" დირექტორის თავაზიანობამ ისეთი გავლენა მოახდინა, რომ სიხარულით დაიბნა.

აღარ იცოდა რა ეპასუხნა.

უკან დაბრუნებისას „გლავბუხი" უფროს მოანგარიშის მაგიდასთან შეჩერდა და პირველად, მის სამსახურის განმავლობაში, ამხანაგურ კილოთი მიმართა:

— თქვენი ბალანსი დიდებულია. სხვა, ისე თავს როგორ გრძნობთ, ამხანაგო? ალბად მოწყენილი ხართ, როცა შინ ბრუნდებით. ასე არ ვარგა... უნდა გავერთოთ. რატომ არ დადიხართ ჩემთან? შემოიარეთ როგორმე ამ საღამოს... მათიკოც თან წამოიყვანეთ,—თქვენი მეუღლე.

მოკლე ხანში უფროსი მოანგარიშე—საქმისმწარმოებელთან ბაასობდა.

— მოდით, უთუოდ მოდით! თქვენი მეუღლეც წამოიყვანეთ, არ დაგავიწყდეთ, გელით...

საქმისმწარმოებელი კი რეგისტრატორს ეუბნებოდა:

— მოქაჩე ამხანაგო, მოქაჩე! შემოიარე ჩემთან ამ საღამოს! ცოლიც მოიყვანე. ნარდს ვითამაშებთ, გავერთობით...

საქმისმწარმოებლის საქციელით გამხნევებული რეგისტრატორი შიკრიკს პირდებოდა, რომ იგი უთუოდ მისცემდა მსვლელობას უკანასკნელის ჯამაგირის მომატების საკითხს.

შიკრიკმა კი (ჯამაგირის მომატებით დაიმედებულმა) ცოლს მიმართა:

—მალე სადილი! შემდეგ კი მუშკოპში წავიდეთ; ფეხსაცმელი მინდა გიყიდო.

შიკრიკის ცოლი ისე გაახარა ქმრის მზრუნველობამ, რომ არც კი დაფიქრებულა, ისე გადაუგდო სამზარეულოში შესვლისთანავე შეხვედრილ ჭრელ კატას ხორცის დიდი და მსუქანი ნაჭერი.

— ცისუნია კმაყოფილად ახრამუნებდა ხორცის ნაჭერს და არ იცოდა, რომ დღევანდელი საყოველთაო ბედნიერების მიზეზი ისეთივე კატა იყო, როგორც ის.

მხოლოდ არა წაბლისფერი, არამედ თეთრი და ბეწვებ გაფაფრული, რომელიც იმ დილით ქარხნის დირექტორმა საჩუქრად გაუგზავნა ტრესტის თავმჯდომარეს.

**მედუზა.**

# სამსახურისაკენ



წმენდამდე და წმენდის გამოცხადების შემდეგ

## დაწინაურებულნი

### აგურ-ქარხანა № 8

ქარხნის დირექტორი ბაირამოვი ზის თავისს კაბინეტში და ელაპარაკება ამავე ქარხნის ინჟინერს ტერხაჩატუროვს:

— მართლაც კარგად მირჩიეთ—მუშკორების დაწინაურება.

— აკი გეუბნებოდით! როცა მუშკორს დავაწინაურებთ, ის მუშკორობაზე ხელს იღებს, რადგან მუშკორობის ძარღვი ეჭრება. გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია ხელისუფლების წინაშე ვსთქვათ, რომ ჩვენ მუშკორებს კი არ ვსდევნით, არამედ, პირიქით, ჩვენი გაკრიტიკებისათვის კიდეც დავაწინაურეთ-თქო.

— სწორედ ასეა. მას შემდეგ, რაც ჩვენ დავაწინაურეთ უშკორი ნაცვლიშვილი და ოსიპოვი, რომლებიც უწინ მოსვენებას არ გვაძლევდენ,— ამათმა არა თუ გაზეთში წერას, გაზეთის კითხვასაც კი თავი გაანებეს,

გირინი.

## ბორჯომის კოოპერატივში

გამგეობას ამშვენებს პარტიიდან დაძრული.
(ახალაძე გვარადა, იცის წესი და-ძმური).
ვისაც გინდა მას აძლევს შაქარსა თუ კალოშსა,
კოოპერატივს თვისათ თვლის და ამგვარად ხაროშსა.
კალოშებზე შაქარზე მოხდა იმ დღეს „სკანდალი"
ზოგს თავშალი დაეხა, ზოგს შიგ დარჩა სანდალი

—:—

ვერც კი გაექცევი წითელ სასადილოსა,
(რამდენიც გსურს მიირთმევ აქ დაბეჭდილ ღვინოსა),
დილას მისულს საღამოს გეღირსება სადილი,
თუ საღამოს მიხვედი მოგართმევენ ხვალ დილით.
კაცმა, რომ სთქვას არ არის ჰიგიენა დაცული;
მოურეცხავ „თეფშზეა" სუპი ხშირად დასხმული;
ფასი გვიღება იგივე, როგორც კერძისთანაო,
გამგეობას არ აწყენს ტარტაროზის „ნანაო".

ტარკორი.

## ვაიმე, ვაიმე!

მარტყოფის კოლექტივებისთვის ტფილისიდან გაგზავნილი შაბიამანი 11 დღე იყო გზაში.

(ჩვენი სპეციალური გამოკვლევიდან).

**მიწსახკომი** (რკინის გზას): — მხარს უჭერთ თქვენ შემოდგომის თესვას?

**რკინის გზა:** — ვაიმე, ვაიმე! მე და შემოდგომის თესვას მხარი არ დაუჭირო? თესვის კამპანია ჩემი სტიქიაა. ჩვეულებრივი თესვა რომ თავდება, მე ტვირთების თესვას ვიწყებ ხოლმე გზაში და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ, თუ რამე არ დავთესე (ამანათები, ბარგი და სხვ.), ისე ვერ გავძლებ.

**მიწსახკომი:** — გესმით შაბიამანის მნიშვნელობა თესვისთვის?

**რკინის გზა:** — ვაიმე, ვაიმე! მე და ეგ არ მესმოდეს? შაბიამანის ხსნარში, ხომ თესლს ატარებენ, რომ მას მავნებელი აღარ გაუჩნდეს?

**მიწსახკომი:** —იცით თქვენ რა მანძილია ტფილისიდან ვაზიანამდე?

**რკინის გზა:** — გული მთლად მომიკალით! მე და ეგ აღარ ვიცოდე? ეგ ხომ მეორე სადგურია ტფილისიდან!

**მიწსახკომი:**—იცით თქვენ ტვირთს რომ ჩაიბარებთ თავის დროზე უნდა გადაიტანოთ?

**რკინის გზა:**— მაშ მე თუ არა ვინლა უნდა იცოდეს?

**მიწსახკომი:** — მაშ რატომ მოხდა. **რომ მე ტფილისიდან ვაზიანში 5 კასრი შაბიამანი გავგზავნე 23 სექტემბერს და 4 ოქტომბრამდე არ მიუღიათ. როგორ მოხდა, რომ ტფილისიდან მეორე სადგურზე ტვირთის მიტანას 11 დღე მოუნდა?**

**რკინისგზა:** (წითლდება, ყვითლდება, ლურჯდება და ბოლოს):— ე-ე! ბერეგის, ასტაროჟნა! ვაგონ ვ პარკ პაიდოტ! (მიწსახკომს)— უკაცრავად... ცოტა მაგვიანდება... შემდეგ ემუსაიფოთ.... (მიიპარება).

კოლექტიველი.

# ხუთწლიან გეგმის შესრულებისათვის

ხუთწლიან გეგმის შესახებ დღეს ყველა ლაპარაკობს. ისეთი არაფერი მბავრია, რომ ჩემი საკუთარი დაწესებულების ხუთწლიანი გეგმა შევადგინო, მაგრამ არც ისე გამოწყვეტილი ვარ, რომ გულზე ხელდაკრეფილი ვუცქირო ამ დიდ საქმეს.

— მარტო გეგმის შედგენა ხომ არ კმარა, — ვთქვი მე,— გეგმას შესრულებაც უნდა და მოდი მე ვაკვირებ ამ შესრულების გამორკვევას.

ავიღე ჩემი დაგლეჯილი პორტფელი, ჩავიწყვე შიგ ქაღალდები და ავლილინდი.

პირველ ყოვლისა პროფესიონალურ კავშირებში შევიარე.

— როგორია, ამხანაგო, თქვენთან ხუთწლიან გეგმის საქმე? — შევეკითხე მდივანს. — როგორ ატყობთ გეგმის მიხედვით შეასრულებთ ყველაფერს თუ არა?

— რის შესახებ, ამხანაგო?—მკითხა მდივანმა.

— თუნდაც წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის შესახებ. გვეყოლება თუ არა ხუთი წლის შემდეგ წერა-კითხვის უცოდინარი? ხომ იცით, ეს მთავარი ამოცანაა ჩვენი!

— ხუთი წლის შემდეგ, რა თქმა უნდა, არ გვეყოლება! — მიპასუხა მან. — ჩვენს კავშირში სულ 150 კაცი გვყავდა წერა-კითხვის უცოდინარი. ასი მათგანი სამსახურიდან დავითხოვეთ, 25 — სიბერის გამო მოკვდა; დაგვრჩა ოცდა ხუთი; ამათ ამ ხუთ წელიწადში რამე კი მოუვათ, ან და კავშირიდან გავრიცხავთ. ასე, რომ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ხუთი წლის შემდეგ არამც თუ წერა-კითხვის უცოდინარები, —ყველა პოეტები და მწერლები გვეყოლება კავშირში. — სიამოვნებით სთქვა მან.

— როგორ! პოეტებიც შემოდიან თქვენს კავშირში?

— შემოდიან კი არა, უმეტესობა პოეტებია. ვინც წერა-კითხვა იცის, ყველა პოეტობს. ამ ხუთ წელიწადში კი სრული ასი პროცენტი გვეყოლება პოეტები.

—ძალიან კარგი. ძალიან კარგი! —უპასუხე მე და დავკმაყოფილდი მისი პასუხით.

—:—

— თქვენ რა გაქვთ გათვალისწინებული ხუთწლიან გეგმაში? — შევეკითხე ბათომის ქალაქის აღმასკომში ერთ პასუხის-მგებელ პირს.

— ოოო, ბევრი რამე, ბევრი ჩემო კარგო,— მომიგო მან.— მთავარი კი არის ქალაქში კანალიზაციის გაყვანა, ქუჩების გაფართოება, ტრამვაის გაყვანა, თეატრის აგება, სახლების აშენება, ნავთსადგურის გაღრმავება და სხვა ასეთები!— მიპასუხა მან და არხეინად მიაწვა სავარძლის ზურგს.

— ეს კი, მაგრამ შეასრულებთ თუ არა თქვენ მაგას? აი რა მინდა გავიგო.

— თუ შევძელით, რა თქმა უნდა, შევასრულებთ. მაგალითად, კანალიზაციის გაყვანა ჩვენ 1923 წელში გადავწყვიტეთ, ის რომ შეგვესრულებია ხუთწლიან გეგმის შემუშავებამდე, ეხლა რაღა გვექნებოდა შესასრულებელი!

ტრამვაის გაყვანა დამოკიდებულია ელექტრო - სადგურის აგებაზე. ყველა ეს საკითხები ერთმანეთზეა დამოკიდებული და ამიტომ, თუ ხელი არ შეგვეშალა, აუცილებლივ შევასრულებთ. თუ ვერ შევასრულეთ, ყოველ შემთხვევაში, მარტო ხუთი წლით ხომ არ არის განსაზღვრული ჩვენი სიცოცხლე, ქე ვადგენთ მეორე ხუთი წლის გეგმას.

— მართლაც და რას ვერჩი ამ ხალხს,—ვსთქვი ჩემთვის,— მარტო ხუთ წელიწადში ხომ არ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი!

კმაყოფილი გამოვედი და, ვინაიდან გვარიანად მოღალული ვიყავი, მუშკოოპში შევიარე.

—:—

ჩამოვჯექი სკამზე და დავიწყე თვალიერება.

ნოქრები ერთმანეთს ეხეთქებიან სიჩქარეში.

ვათვალიერებდით იქაურობას. თაროების ნახევარი დაკავებული ქონდა მაგარ სასმელებს.

— მგონია ამის შესახებაც არის რაღაცა ნათქვამი ხუთწლიან გეგმაში? — ვიფიქრე, მაგრამ ვერ გავიხსენე,— 50 პროცენტით უნდა შემცირებულიყო, თუ პირიქით, უნდა გაფართოებულიყო ალკოგოლის მრეწველობა!

— ამხანაგო, — მივმართე ერთ ნოქარს, — თქვენ ხომ არ გახსოვთ, ხუთწლიან გეგმაში როგორ სწერია ალკოგოლური სასმელების შესახებ.

მან ჩაიცინა.

— სწერია, რომ 60 პროცენტით უნდა შემოკლდესო.

— კი, მაგრამ თქვენ რომ გაგიფართოვებიათ!

— მაშ, რა ვუყოთ, თუ არ მივიღეთ ზომები და ამ ხუთ წელში არ შევსვით რაც მაგარია? ისე როგორ შევამოკლებთ! ვანებს ხომ ვერ გავაკეთებთ მისგან? — მომიჭრა მან სიტყვა.

მე გულიანად გამეცინა, აღარ ვიცოდი რა მეპასუხა, ავდექი და სახლისაკენ წამოვედი.

ს პ. ობოლი

---

# ც ო ტ ა  რ ა მ

### (ქუთაისი)

ეხლა მინდა, რომ აგსწერო
საფირჩხიის უბან-მხარე,
რიონჰესის მუშები თუ
რად არიან მგლოვიარე.
იქ კოწია მიკიტანმა
სამიკიტნო გაგვიხსნა და...
შემდეგ ტკბილი ჩვენ ცხოვრება
გაგვიმწარდა, გაგვიშხამდა:
„თვიდან თვემდე აქ იხარჯეთ
თქვენთვის არ მშურს შე ნისია;
მიკიტანს ქე მიძახიან,



— მამაჩემი ერთი თვეა, რაც გარდაიცვალა, და შენ ეხლა მატყობინებ?
ფოსტალიონი: — არ დაგავიწდეთ, რომ დეპეშაა!

მაგრამ კი მაქვს სინდისიო".
ჩაითრია მან მუშები,
ერთი სამად ყველას აწერს,
(შეგნებული დაუმალლებს,
მე მგონია ამის დამწერს)...
და თვის ბოლოს მუშტი-კრივი
და გინება, როგორ გინდა;
როგორც ხედავთ უწესობა
ამ დუქანში დაგვიბუდნდა.
ბურჯანაძეს ერთხელ ჯოხიც
უცებ თავში გადაარტყა,
კუთხე წამსვე ახმაურდა,
განგაში და სტვენა ატყდა.

—:—

მოსმბითა ვარ, უნდა გავსკდე.
ტარტაროზო, იქით, აქეთ
საფირჩხია აგიწერეთ
და სურათი დაგანახვეთ.
ჯულაშვილის ქუჩას ენახავ
(ნომერია ოცდა ექვსი)
ყური მიგდეთ, მკითხველებო,
დასრულდება ამ წამს ლექსი.
აქ მჭედლის ცოლს, ვინმე ეკას,
სამიკიტნო გაუღია;
სახლის კარი დუქნის ნაცვლად
მას ნახევრად გაუღია.
ვაჭრობს: ღვინოს, არაყს, ხილსაც,
რათ არ სთხოვენ პატენტს ნეტავ?
ასეთ დუქნებს, ინსპექტორო,
მითხარ, რათ არ გამოჰკეტავ?

შიხლინსკი ბიძე,

# წმენდის გავლენა ბიუროკრატის ოჯახზე



სანამ მქონდა ადგილი,
რჩენა იყო ადვილი.



ეხლა რა ვქნა მითხარი...
სამარე ვინ მითხარი!

# ზესტაფონის ცხოვრებიდან

— ძაღლებთან ბრძოლამ კარგი შედეგი მოგვცა: ასამდე ძაღლი და ლეკვია მოკლული. თუმცა ლეკვები ცოდვა კი იყო, მაგრამ... „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ — მითხრა მილიციის ერთმა თანამშრომელმა, რომელმაც გამოიყენა „გეკო“-ს სისტემის თოფი და, თუმცა გამვლელ ქალებს ძალიან შეეშინდათ, სროლის შედეგათ ერთი ფრთა - მოტეხილი ბეღურა მაინც დარჩა.

ღორების მთელმა ჯოგმა იჩინა თავი, მაგრამ აგერ ამ ორი თვის შემდეგ მოდის რელიგიური დღესასწაულები და იმათაც ავუდგამთ ფეხს. შემდეგ კატების წინააღმდეგ გავილაშქრებთ... შემდეგ კი...

—:—

მე უკვე „ეპო“-ს კანტორაში მივრბოდი ქუდმოგლეჯილი.

— რაშია საქმე, რომ ვაჭრებით გაგივსიათ აქაურობა? — ვკითხე კალენიკეს.

— ნეტა იმდენი საშუალება მქონდეს, რომ ყველა ვაჭრები მივიღო „ეპო“-ში. მაშინ ყველა გაანებებს თავს ვაჭრობას. ეს არის კერძო ვაჭრობასთან ბრძოლის იშვიათი მეთოდი.

რაღაც 3—4 საათის ლოდინის შემდეგ, გავატარე წიგნაკი და გავეშურე კოოპერატივისაკენ.

— დედას უტირებ იმერეთს; მაგათ ვაჩვენებ სეირს! — წამოიძახა ჩემს გვერდით კ. საყვარელიძემ.

— მეც არ შემატყოს იმერლობა და ქე არ მითაქოს ერთი - ორი; ძველი ხელობა არ გეიხსენოს- მეთქი! —გავიფიქრე და გურულ კილოზე შევეკითხე:

— რაიზა ემუქრები იმერლებს?

— იმერლებს კი არა, კოოპერატიულ საზ.-ბა „იმერეთს“ გამოუკრავს განცხადებები: კულაკებს და ჩარჩვაჭრებს არ ჩაუვარდეთ ხელში, ყურძენი და ტკბილი ჩვენ ჩაგვაბარეთო.

— მერე, რა გაქვს შენ მაგის საწინააღმდეგო?

— რავა რა მაქვს! მე მინდა მაგათ კონკურენცია გაუწიო; დამამზადებელი პუნქტების გამგედ სულ კულაკები, ყოფ. ვაჭრები, აზნაურები და ყოფ. კომისრები მყავს. იმათ თუ არავინ მიუტანა ყურძენი, ხომ დავიღუპე!

— ხო, მართლა, მაგის შესახებ გაზეთში იყავით გაწერილი და რა უქენი გაზეთს?

— რა უქენი და დავხიე. ქე გაიძახოდენ: კოლია საყვარელიძეს რომ თავი მოსჭრა, მისი ტანიდან მაინც „პრისტავი“ ამოვარდება თავისი პაგონებითო, — და მართალიც არის! —დაამთავრა სიტყვა და ისეთი მოჰკურცხლა თავისი კარეტით, რომ მეგონა: „წმინდა“ ილია გაფრინდა ზეცაში თავისი ეტლით-თქო.

—:—

კოოპერატივის № 1 მაღაზიაში შევედი:

— რა ღირს ის ფანელი? — ვკითხე ნოქარს.

— გაყიდულია.

— კაცო, მანდ აწყვია და სადაური გაყიდულია!

— ერთი კვირის წინეთ გაიყიდა წინასწარი დაკვეთით!

— მომეცი ის საკაბე.

— გაყიდულია.

— ის კალოშები მაინც მომეცი, ეგერ რომ აწყვია!

— გაყიდულია.

— კაცო, რას მეხუმრები! საქონელი დუქანში აწყვია და როდის გაიყიდა?

— სანამ მოვიდოდა, უკვე გაყიდული იყო.

ყურჩამოყრილი მივედი სახლში. კიდევ კარგი, რომ ცოლი შინ არ [illegible]

ჯგმუნტი.

# კაბინეტის კარებთან



მეკარე (სხვადასხვა ქვეყნის მეფეებს-: — მისიუდიდებულესება „მუშათა“ მთავრობის მინისტრი ეხლა მობრძანდა... დაიცავით რიგი და ყველას მიგიღებს!

# თქმულება ბიუროკრატის დასაბამ, დასასრულზე

(მიბაძვა არკადი ფლორინისა)

თავდაპირველად იყო ქაოსი და არეულობა: ძმა ძმას არ ინდობდა (კაენი—აბელს), მამა - შვილს (აბრაამი - ისააკს) და მოწაფე მასწავლებელს (იუდა - ქრისტეს). ერთსა მეორის არა ესმოდა რა (ბაბილონის გოდოლის აგება) და იყო ყბედობა, ყვედრება, და ურწმუნოება (სვლა ებრაელთა ეგვიპტიდან აღთქმულ ქვეყნისკენ).

მაგრამ ყოვლისა შემძლებელსა ღმერთსა ჩვენსა მობეზრდა ასეთი უწესობა - უმსგავსოებანი ცხოვრებასა შიგან დამკვიდრებულნი, და იყო ზრახვა: შეექმნა წესრიგი, ერთმანეთის გაგება - მორჩილება და დავალებათა აღსრულების სრული სისრულე, გადაუდებლობა და „ტოჩკით“, „ტოჩკამდის“ ნაწერის კითხვასავით (რა თქმა უნდა, დავითნისა მედავითნის მიერ) „ტოჰი-ტოჰობა“.

და აი მოიღო მან ცოტი ესე „ზამასკად“ წოდებული. შეურია მას ჭწებავი სითხე, „გუმერაბიკათ“ ხმობილი, მიუმატა ცოტა სახამებელი (მამაკაცთათვის ) და წითელი ტუჩის საღებავი (დედაკაცთათვის) და შექმნა ბიუროკრატი.

და დაავალა ღმერთმა მას შექმნა წესისა და რიგისა ქაოსსა, ესე იგი, ზედან სიშავესა მელნისა და სითეთრესა ქაღალდისასა, მსგავსად ქმნისა და შექმნისა ღვთისაგან ამა ხილულისა ქვეყნისათა.,

და იწყო ბიუროკრატმაც შექმნა წეს-რიგისა.

პირველად მოიღო ბიუროკრატმა კოლოფი რომელიმე ვეება, წოდებული დაწესებულებად, ყურადჰყო შიგ თვალი და, რა განიცადა სიცარიელე, სრული, მსგავსად სიცალიერისა გულისა თვისისა, და სიბნელე სრული, მსხავსად სიშავისა შავისა მელნისა ტბისა, ბრძანა გაყვანებად ელექტრონისა სიძებისა და ტელეფონისა ხლართისა.

და მოიღო ელნათური ესე, წოდებული „ელექტრიჩესკი ლამპოჩკათ“ და უბრძანა მას: „იყავნ ნათელი!“ და განათლდა სიცალიერე დაწესებულებისა მისისა. და მოიღო ყურმილი ესე, წოდებული „ტრუბკათ“ და შეჰზარა ზარმა ტელეფონისამან სიცალიერე დარბაზისა მისისა.

და მოეწონა ბიუროკრატს სინათლე ელექტრონისა და ხმაური ტელეფონისა და დაარქვა მას „დღე პირველი“.

და ნახა მან სინათლეზე კიდევ მეტი სიცალიერე იმა დარბაზისა და ბრძანა მან: „იყავნ მყარნი ამა უდაბნოსა შინა!“.

და დასდგა კარადანი, მაგიდანი, სკამნი, კალათნი სავარძელნი თუ სხვა რამ დგამნი იმა უდაბნოსა დარბაზისასა და მოეწონა ყოველივე ესე ბიუროკრატს და უწოდა ამას „დღე მეორე“.

და იყო ღამე, ვინაიდგან ანათებდა ელქტრონის ლამფა, ხოლო ბიუროკრატი მაინც ვერაფერს ხედავდა; მსგავსსა ხმელეთისასა და ბრძანა მან „შეიკრიბნენ წყალნი მელნისანი და ზღვანი ქაღალდისანი ერთ კერძ, ხოლო ხმელეთი მეორე კერძ!“..

და დასდგა ქაღალდზე ტბა მელნისა, ჩაეცა შიგ მკვდარი ბუზი და ასე

გაჩნდა ხმელეთი, მოტივტივე ზღვასა შიგან.

და იყო დილა, იყო შუადღე, იყო საღამო, ხოლო საერთოდ იყო „დღე ესე მესამე“.

მაგრამ ვინაიდან იყო გათენება დღისა ყოვლისა, მიუხედავათ იმისა, რომ ელექტრონის ლამფა მაინც ანათებდა ბიუროკრატის სათვალეებსა, ამიტომ გათენდა დღე იგი მეოთხე.

და რქვა ბიუროკრატმა: „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“?.. და „სიბნელედ“ იგულისხმა მან არ ყოფნა „მანათობელთა“ თავისისა დაწესებულებასა და ბრძანა: „იყავნ მნათობნ, მანათობელნი დაწესებულებისა ჩემისა, რათა ხალხმა ნახონ ბრწყინვალება ჩემი და ბრწყინვალება დაწესებულებისა ჩემისა“...

და შექმნა ბიუროკრატმა ორი ყველა მნათობთა ზედან უდიდესი და უელვარესი მანათობელნი „ზამი“ ანუ მოადგილე თავისი, განმგებლად თავისთა საქმეთა ყოველდღიურთა, „ლიჩნაია სეკრეტარშა“ ან მხევალი პირადი მდივანი, განმგებელი თავისთა ყოველ - ღამიერთა საქმეთა და უთვალავნი ვარსკვლავნი დაწესებულებისა მემანქანე ქალთა სახედ. დასხა ისინი ცალკ-ცალკე კაბინეტებში და მიაწერა კარებზე: „მოუხსენებლად არ შემოხვიდეთ“, ხოლო შიგნით კედელზე: „მუშაობაში ხელს ნუ უშლით“...

და მოეწონა ყოველივე ესე ბიუროკრატსა, და იყო დილა, იყო შუადღე, იყო საღამოც და საერთოდ კი იყო „დღე იგი მეოთხე“...

მართალია, ბიუროკრატისათვის, აბა, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს რაღაც ოთხიოდე დღესა, მაგრამ მან მაინც მშვენივრად განიცადა მეოთხე დღის გათენება, რომელიც მას პირველად აუწყა პირადმა თავისმა „სეკრეტარშამ“.

და დღესა მას მეხუთესა ბრძანა ბიუროკრატმა შეექმნად წყალში თევზთა, ხოლო ჰაერში ფრინველთა.

და წარმოიშვენ მსგავსად ამა ბრძანებისა სხვადასხვა ტეხნიკური მსახურნი: კურიერი, დამლაგებელნი საქმეთა მმართველნი, გადამწერნი, გადმომწერნი და რეგისტრატორნი, რომელნიცა რომა ასრულებდენ ყოველდღიურსა სამუშაოთა თვისთა, უტყვად და უენოდ, ვითარცა თევზნი. ხოლო სხვადასხვა ძმანი, დანი, ბიძაშვილნი, ნათლიისშვილნი, დისწულ-ძმისწულნი, თვისნი და მოკეთენი ბიუროკრატისანი ილტვოდენ სხვადასხვა შეღავათებისა, მივლინებასა, თუ ხანგრძლივსა დასვენებასა და მკურნალობასა, უსწრაფესად ფრინველთა ცათასა.

დალოცა ისინი ბიუროკრატმა და უბრძანა: „იბარტყეთ, იმრავლეთ, იქეიფეთ და დაიმკვიდრეთ შტატები“... და ესენიცა დია ქეიფობდენ: ბარტყდებოდენ, მრავლდებოდენ და იმკვიდრებდენ შტატებს.

და იყო დილა იყო შუადღე, საღამო, ხოლო საერთოდ—„დღე მეხუთე“.

ხოლო დღეს ამას მეექვსესა ბრძანა მან ბიუროკრატმა შექმნა ყოველთა ცხოველთა: ქვეწარმავალთა, პირუტყვთა და მხეცთა საშიშთა მტაცებელთა. მართლაც და წარმოიშვა, თანახმად ამა ბრძანებისა, პირველი პუნქტისა, ყოველგვარნი „სეკრეტნი“ ანუ მდივანნი, მხოხოავნი მუცლებსა ზედან თვისთა წინაშე მბრძანებლისა თვისისა ვერ მნახველნი სახისა მისისა, გარეშე მლიქვნელებისა თვალებში თვალებით შეტეხისა, ხოლო უმეტესად მათ წინაშე თავდახრით დგომისა და კოჭთა ზმვისა.

აგრეთვე წარმოიშვენ, თანახმად ამავე ბრძანების მეორე და მესამე პუნქტისა, ყოველგვარნი მოლარენი მომპაროველნი „ზავხოზნი“ „ზახრუზნანი“, სახელმწიფო ქონებისა მცარცველნი, მგლეჯელნი და მწეწელნი მსგავსად საშინელთა მტაცებელთა მხეცთა და ყოველნი მავნებელნი, მემთვრალენი, მექრთამენი, უქნარნი, და უმსგავსნი, მსგავსნი პირუტყვისანი რომელნიცა რომა შერეკა მუშგლეხინმა დღესა მას წარლვნისასა კიდობანსა შინა, რომელსა ეწოდების გამასწორებელი სახლი.

ასე განისვენეს ბიუროკრატმა და ქმნილებათა მისთა დღესა მას მეშვიდესა მსგავსად საღვთო წერილისა, რომელსა ეწოდების „დაბადება“, ხოლო რომლისაგან წარმოსდგების თქმულება ხალხისა: „დაბადებას დაგაწყევლინებსო“.

ნარი.

# მისი დასასრული



— უკაცრავად... თუ შეიძლება...
— ხვალ შემოიარეთ



— უკაცრავად... უნდა მოგახსენოთ....
— ხვალ შემოიარეთ...



— უნდა მოგახსენოთ, რომ...
— აკი გითხარით, ხვალ შემოიარეთ-თქო!



— ...რომ თქვენ მოხსნილი ხართ!
— ?!..

# სვირი

წასულ თვეში, ორი დღე რომ უქმე იყო, ფოსტაში შევედი, მინდოდა ობჩას დაველაპარაკებოდი.

ფოსტა ღია დამხვდა. სერგოს ტელეგრაფის აპარატზე მიედო თავი და ისე ბეჯითად ხვრინავდა, რომ გაღვიძება ვერ შევბედე.

**— ალბათ წუხელი სადაც ჩაუსხამს.—გავიფიქრე და ფრთხილად მივედი ტელეფონთან.**

— ობჩა ხარ?— ჩავძახე მილში. პასუხი არ არის. შეკითხვა კიდევ გავუმეორე, მაგრამ ისევ დუმილი. დაურეკე. ხმას არავინ მაძლევს.

— რაშია ამხ. საქმე? ხომ ხედავ ხმას არ გცემენ, ამდენი რაწკუნით კი, მე ხელს მიშლით.— გამოელვიძა სერგოს.

— რატო არ მცემენ ხმას? უბრათ ხომ არ არიან?

— უბრათ კი არა თავმჯდომარე ელოი-ღე' და ვილაცებს ჩხუბი მოუვიდათ ალმასკომში და ტელეფონი გატეხეს, ამიტომ ვერაფერს გიპასუხებენ...

— ჰოოო, საქმე რაში ყოფილა! ბოდიშს ვიხდი, რომ „მუშაობაში“ ხელი შეგიშალეთ!— მოვიხადე ბოდიში და წამოვედი ზევით.

—:—

შევიარე კოოპერაციის გამგეობაში.

— სხვა ამხ. აკაკი, როგორ შეეთვისეთ ერთმანეთს ყოფილი მღვდელი და შენ, კომუნისტი კაცი?

— ჯერ-ჯერობით არა უშავს! ბუჰღალტრობაში მართლა სპეცია...

— რას ამბობ, კაცო! სპეცი კი არა, მაგის დავთრებში ისეა ყოროფილი არეული, რომ ინწკირველი, რომ ჩამეიყვანო თბილისიდან, ისიც ვერაფერს გეიგებს შიგა. მერე ისედაც მღვდლურათ უდგება ყოროფელს: თუ ვინმე არ მეეწონა სიფათში, ისე დაუწყებს ბურდღლუნს, როგორც დაჭრილი დათვი!— ჩამჩურჩულა კარებში გასვლისას გრიშამ.

— მერე რავა ფიქრობთ: გადურჩება თუ არა საბაპარატის წმენდას და თუ არ გადაურჩა, ვინ გყავსთ მაგის შემცვლელი?

— წმენდას ვერ უნდა გადურჩეს ჩემი ფიქრით, ხოლო რაც შეეხება შემცვლელს, ილოცხლე ისინი იყვენ: ხუთი კომსომოლა ბიჭები გვყავს საფინანსო კურსებ დამთავრებულები, რომ ბუჰღალტერია სულ ზეპირათ იციან.

კიდევ რაღაცას მეტყოდა გრიშა ახალს; მაგრამ ისეთი ცუდი სუნი მეცა ბაზრის ირგვლივ თავმოყრილ ნაგავიდან, რომ კინაღამ სული შემეგუბა. მევიჭირე ცხვირზე ხელი და მოუსვი ობჩისაკენ. გადმოვ'მორდი თუ არა ქვაფენილს, ისეთი ორმოები და ტალახი დამხვდა წინ, რომ ჩემი სავარჯიშო „ჩუსტები“ სრულიად უძლური მომეჩვენა მასთან ბრძოლაში. მეტი გზა არ მქონდა, დავხუჭე თაველიბ და გადავეშვი შიდ.ნაპირზე, რომ გავედი ჩემი ფეხები მუხლებამდის, ჩვენებურ ჩურჩხელასავით იყო ამოვლებული.

—:—

გვერდზე გახედვისას შევამჩნიე ელსადგური.

— მართლა კოხტა შენობაა შენ ნუ მომიკდები— წამოვიძახე ხმამაღლა.

— სხვა, ახალი ამბავი რა იცი აქეთ?

— აქეთ თუ ახალი არაფერია, მაშინ ზღვას ქვიშა დააკლდება. რომვლი ერთი ჩამოგითვალო აპა! თუ გინდა გა[illegible]ნგვიდან დევიწყეფ: კაკულიამ [illegible]ასი გაჭაფა, ისიდორემ 12 და [illegible]კვაც უმურჩა სადაცა ჯანდაბაში. ნოქარმა 700 მანეთი მიირთვა; ამას გარდა სვირის გლეხკომში შემეეხარჯათ რაღაც „გროშები“.

გარდა ამისა ხულიგნობაც გახშირდა აქეთ. მარა ყველას მილიციის ახალმა უფროსმა დათიკომ გადააჭარბა. წასულ კვირეს დამთვრალიყო მათიკოსას და ბაზარში რომ გემეევლო, შეეხვდა სადგურიდან მომავალ ქალისათვის, ხელათ, „ვაჟკაცურათ“ დოუჭერია და წოუყვანია „პოსტში“, იქიდან კი თავის ბინაზე— „დასაკითხავათ“. მარა დაკითხვისას, როგორც ამბობენ, ძალით გაუიმასქნებია და ახლა თურმე, ჩვენი დავითი ვირის აბანოში ყვლიპავს თვალებს.

უცბათ ჩვენი ყურადღება ცხენის ფეხის ხმამ მიიპყრო.

ვინაა კაცო ეს ძველი პრისტავივით რომ პრანწავს თვალებს?— შევეკითხე ვანოს ცხენოსანის გავლის შემდეგ.

ვინ არის და მასწ. მიხა წაქაძე. მაგაზე მოდის ჩვენ ალმასკომს შეკითხვები:

„არის თუ არა ბობოლა გლეხი, ჰყავს მოსამსახურე, მოჯამაგირე, ყიდის თუ არა წელიწადში 30 საპალნე ღვინოს და ეწევა მევახშეობას თუ არაო“.— ესენიც სწერენ თურმე: მიხასთანა საწყალი გლეხი ობჩაში ერთიც არ არისო... ან რა უნდა მისწერონ! მიხას ცოლის გაკეთვბულ ხაჭაპურებს რომ კაცი სჭამს, მერე იმაზე კიდევ ძვირს იტყვის?!?

**დალი.**

# კულაკი და მისი შვილი

## მამის წერილი

ხომ. კარგადა ხარ ბიჭო?
რატომ არ მომწერ წერილს?
ხომ იცი—შენ ხარ ახლა
ჩვენი ოჯახის მცველი.
ე, შვილო ჩალის ფასათ
წაიღეს პირნახული;
თითქოს არ მქონდეს მადა,—
თითქოს არ მქონდეს გული.
ასი კომლიდან მხოლოდ
თუთხმეტი მაძლევს სალამს.
არ ურჩანს ტანჯვას ბოლო
და აღარც შემწევს ძალა.
მოჯამაგირე—მითხარ,
რისთვის მინდოდა აპა?
თუ არა სამუშაოდ—
ისე მეც ვიცი ყლაპვა.
კარგი კვება დაბ[illegible]ინა.
ტანისამოსიც კარგი—
ნეტავ, ვინ დაადგინა
ჩემთვის ასეთი ხარკი?
ვსთქვათ, გავასესხე ფული,
სარგებლით რა თქმა უნდა,
მოგვარდებიან ისე,
თითქოს კაცის კვლა გსურდა.
იქნებ გაიგო მაინც
ქალაქში რას ფიქრობენ:
ომი თუ დაიწყება,
წასვლას თუ აპირებენ.

**შენი მამა ლევანი.**

## შვილის პასუხი

შენი წერილი, მამა,
გუშინ მივიღე დილით,
(მერჩია რომ მიმეღო
ორი ფოხალი ფქვილი.)
შენ პირნახულზე ჯავრობ,
მოდი ერთი მეც მკითხე,—
რა დღეში ვიმყოფები
მე შენი გადამკიდე.
უნივერსტეტში ჩემი
მიღება არ მოხერხდა,
რადგან შვილი ვარ შენი
და მეც კულაკი მერქვა?
სადაც რომ მივაკითხე
ყველგან დახურეს კარი:
კულაკის შვილი ხარო,
არა გვაქვს შენი ჯავრი.
კნიაზი გივი, რეზო —
ყოფილი გენერალი.
ხუცესი მარკოზ, მნათე,
და ნიკო ვაჭრის ქალი
წმენდაში მოყოლილიყვნე
ჩამოსტიროდათ სახე.
ვაი ჩვენ ბედის ბრალი,
ყველგან დაგვიგეს მახე.

**შენი შვილი კირილე.**

# ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

ლანჩხუთი. ლაშხია.



— როგორ მალე გაჰალარებულა ჩვენი ივანე!

— გაჰალარებულა კი არა, საპარიკმახეროში წვერი გაიპარსა და ჭრილობის დასაფარავად სახეზე ბამბები აქვს მიკრული.

ტფილისი. თათულოვი



— მოწყალება გამოიღეთ... მუნჯი და ყრუ მამა მყავს!

— კ, კი... მართალს ამბობს ჩემი შვილი!

ტფილისი. ზასეევი



მასწ.: —აბა, მითხარი, ვინ იყო ლუარსაბი?

მოწ.: — ლუარსაბი იყო: თავადი, აზნაური, ზარმაცი, ცრუმორწმუნე, მუქთახორა, არამშრომელი და შურიანი...

მასწ. (მეორე მოწაფეს): — აბა შენ მითხარი მოკლეთ; ვინ იყო ლუარსაბი?

— წმენდის კანდიდატი, მასწავლებელო!

სამტრედია. ბახტაძე.



მეეტლე: — მობრძანდით! ეტლი თავისუფალია... როგორც გნებავთ წაგიყვანნ!

მგზავრი: — ამ ავტომობილმა ამ მეეტლეებს დიდი ზრდილობაც ასწავლა!

ტფილისი. ბურდული



წმენდამდე... წმენდის გამოცხადების შემდეგ.

ტფილისი ალლეო.



— მშვიდობით, ჩემო პორ[illegible]!

## შ ე ჯ ი ბ რ ი
## ახალგაზრდა მხატვართა შორის

ვისაც სურს შეჯიბრში მონაწილეობის მიღება, უნდა გამოგზავნოს 1-2-3 კარიკატურა, რომლის შინაარსი უნდა შეეხებოდეს ადგილობრივ, ან და საზოგადო ცხოვრების რომელიმე აქტუალურ საკითხს.

სხვა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოღებულ მასალების მიხედვით, შესრულებულ ნახატს, ჟიური არ განიხილავს.

შეჯიბრში გამარჯვებულ მხატვართა ნახატები დაიბეჭდებიან სპეციალურსა (შეჯიბრის) და სხვა გვერდებზე და ავტორებს ჰონორარი მიეცემათ ჩვენი მხატვრების თანაბრად.

მეორე ხარისხოვანი ნახატები, რომლებიც მისაღები იქნებიან, დაიბეჭდება „ახალგაზრდა მხატვართა გვერდზე“ და მათ ავტორებს მიეცემათ ჩვეულებრივი ჰონორარი.

შეჯიბრის შედეგი გამოცხადდება „ტარტაროზი“-ს საიუბილეო ნომერში.

# ჯოჯოხეთის კუთხე

## სამტრედიის ხანძარი, —
## რაზმი ქელარ დავსძარი.

ჯურხა.

ყოველგვარ ხელობისა და ოსტატობის შესწავლაში, პრაქტიკას მთავარი მნიშვნელობა აქვს. წაღის შეკერვის შესწავლას ლექციებითა და სახელმძღვანელოებით ვერავინ შესძლებს.

ასევე ითქმის მეხანძრეთა რაზმის შესახებაც.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, თეორიასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მთავარი მაინც პრაქტიკაა.

ამიტომ, სამტრედიის ცეცხლის - მქრობელთა რაზმი პრაქტიკას (ესე იგი ხანძარს) ელოდება, რომ დახელოვნდეს ამ საქმეში; ხოლო ხანძარი იშვიათად ჩნდება (განგებ ხომ ვერ გააჩენ?) ამიტომ, მთელი რაზმი „მშვიდობიანობის დროს“:



**სწავლისათვის თავს არ იტკენს.**
**ან ძილშია, ან ამთქნარებს,—**
**ხოლო მაშინ გაიღვიძებს,**
**დარეკავენ როცა ზარებს.**
**იმედი აქვთ — გვიშველისო**
**რკინისგზელი მეხანძრენი...**
**ანდა რა ჰქნან? — ალმასკომმა**
**გაუყიდა იმათ ცხენი!**

ცხენების მაგიერ თავისი საჭიროებისათვის ალმასკომს ავტო გამოუწერია.

რატომ? რისთვის?

ალბად, იმიტომ, რომ—თუ ვინიცობაა უწინდებურად კიდევ გაგვიჩნდა ცეცხლი, ავტოთი მაინც უშველით თავსო!

რაზმმა კი ვერ გადაარჩინა თავისი დერეფანი, სადაც სახანძრო იარაღები ეწყო.

ხანძრის დროს ყველა გაიძახის, რომ საჭიროა მეტი ყურადღება და მუყაითობაო. მაგრამ ხანძრის ჩაქრობასთან ერთად, მათში „ექსტაზიც“ ჰქრება და ისეთივე ფერფლად რჩება, როგორც დამწვარი შენობა.

## როცა გაჯდა ადგილკომი,
## აუტეხა ყველას ომი.

ნექტარი.

სოკრატ დომუაშვილი — ხაშურის აფთიაქის სანიტარი წინედ ურიგო კაცად არ ითვლებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ადგილკომის თავმჯდომარედ აირჩიეს, აზრი და შეხედულება გამოიცვალა როგორც თავისთავზე, ისე სხვებზედაც: თავისთავზე დიდი წარმოდგენა სხვებზე კი — პატარა. მას ასე ჰგონია, თითქოს მთელ ხაშურში ყველაზე უფრო ჭკვიანი თვითონ არის,— ფილოსოფოსად მოაქვს თავი. (სოკრატი რომ ჰქვია, ალბად იმიტომ!)



**ავირჩიეთ ადგილკომად,**
**და ასწია მაღლა ცხვირი;**
**ღმერთმა ნურვის შეგახვედროს**
**განაბრაზი, ანაყვირი.**
**დროზე არ ვუშველეთ**
**გაეზრდება ცხვირი დიდათ,**
**ისე დიდათ, რომ გაედვას**
**ცას და მიწას შუაში ხიდათ.**

ეს არც ისე ცუდი საქმეა, თუ ცას მივსწვდებით, (მეცნიერება ამისათვის თავს იკლავს), მაგრამ სოკრატის გრძელი ცხვირი მაშინ კიდევ უფრო მეტად დააშინებს ხალხს.

ყოველივე „სიამოვნების“ თავიდან ასაცილებლად, სოკრატი უნდა განთავისუფლდეს აუცილებლად.

## რა კარია მაჭარი,
## ჩამოგვიდგამს ვაჭარი.

რინელის ძმა.

— „ხერხი სჯობია ღონესო,
თუ კაცი მოიგონებსო“—

სთქვა თავისთვის ანტონ შუბითიძემ (საჩხერე), როცა ადგილობრივად უარი უთხრეს მის შვილს სასწავლებელში ადგილზე.

მაგრამ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ვიცოდეთ — ვინ არის ანტონ შუბითიძე?

გაიცანით. ეს გახლავთ:

**ჩარჩი და ნამსი ვაჭარი —**
**საჩხერის თემში ცნობილი.**
**გლეხებს რომ ტყავი გააძრო,**
**ყველასაგან არის გმობილი.**
**აქ რომ პილპილი ამოცსხეს;**
**ხაშურმა შეიფარაო.**
**ამბობენ: — გამგეს და სხვებსაც**
**„უფცქვნია“ ბლომად ფარაო!**



რა თქმა უნდა, რასაც ამბობენ ყველაფერი რომ სიმართლე იყოს, სიცრუე მაშინ აღარ იქნებოდა. შეუმოწმებელსა და მოხეტიალე ცნობებს არ ვუჯერებთ, მაგრამ ფაქტი თვითონ, რომ ამბობენ: „რა კარგია მაჭარი, ჩამოგვიდგას ვაჭარი“-ო? მაგრამ მაჭარმა მალე იცის წასვლა. ვილაცეებმა სიფრთხილე ჰგმართებსთ, რომ თავი არ შეგაყვენ.

## მილიცია ცქერით სტკბება,
## როცა სარი თავზე ტყდება.

ტარ-ფუ.

ჩვენი პოლიტიკა — სხვის საქმეში არჩარევისა და მშვიდობიანობის პოლიტიკაა.

აი ეს გარემოება დუშეთის მილიციას კარგად შეუგნია და თავისს რაიონშიაც ატარებს ამ პოლიტიკას, ესე იგი არ ერევა სხვის საქმეში და მშვიდობიანობას იკავს თავისს ოჯახში (სამმართველოში, — და არა რაიონში).

მილიციის უფროსი ამბობს:

— ჩვენ არ წამოვეგებით პროვოკაციას ან ესზე ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს ძირითად პოლიტიკას: არ ჩავერევით სხვის შინაურ საქმეში. რა ჩვენი საქმეა, თუ ისაკა ჭამიაშვილი:

**ცოლს, ეჩხუბება ყოველდღე,**
**ქალს დღე ადგია შავია.**
**მოკვლის განზრახვით გაუპო**
**ცოლს ერთხელ სარით თავია.**
**ცოლმა იჩივლა, მაგრამ მას**
**არვინ ათხოვა ყურია...**
**— „ჩვენ არ გვეხება... ეს საქმე**
**ცოლ-ქმრული, შინაურია“.**



და, მართლაც, ქალს ურჩევენ:

— ქალო, ზამთარი კარზე მოგადგა და ეხლა გინდა გაეყარო ქმარს? ეხლა დაშორება არც შენთვის არის ხელსაყრელი, და არც შენი ქმრისათვის!

ასე ეუბნებიან მილიციაში; ხოლო ალმასკომში კი:

— „და ეშინოდეს ცოლსა ქმრისა და ძრწოდეს წინაშე მისსა, რამეთუ ცოლი არს მონა თავისა ქმრისისა!“... ეს სიტყვები სახარებისაა... შენ ხომ ქრისტიანი ხარ?! რა ვუყოთ მერე, რომ სარი დაგარტყა; ქმარია, უნდა მოუთმინო! — ასწავლიან ჭკუას ალმასკომში.

არის ისეთი ორგანოებიც, რომელთა პირდაპირი დანიშნულებაა — საზოგადოებრივ ორგანოთა ასეთ მესვეურებს, ჭკუა ასწავლონ.

# ძილიარდი

ზისტაფონი



— რა ამბავია რომ დაწესებულებაში ყველას ხძინა ეს?
— ყოველთვის ასეა! ძილი არ უნდათ თუ?! ღამით ხაბილიარდოში არიან და დღისით კი სამსახურში იძინებენ.

# „უსინდისობა“

ყველაფერი შესაძლებელი მეგონა. ყველაფერი მინახავს: ჩოხატაურიდან დუშეთამდე ყველაფერი მომივლია. ქალაქი ტფილისიც მინახავს, მაგრამ ის კი არ გამიგონია, რომ კაცი თავის — „სიგლახეს“ იკვეხნიდეს; თავის „უსინდისობაზე“ ლაპარაკობდეს.

თუმცა, არც მაინცდამაინც სახარბიელო დასაჩემებელია „უსინდისობა“, მაგრამ ფაქტები მაინც თავისას არ იშლიან.

ნუ თუ „უსინდისობა“ არ არის ის, რომ ივლიანე მარკოზია ძველ ხურჯინიჯით ჩამოეკიდება მასწავლებლებს ჯამაგირის მიღების დროს და სასადილოსკენ მიათრევს? (თავის ხარჯზე ქეიფის მუდამ წინააღმდეგია). პოლდა ასეთმა კაცმა დამპატიჟა და 5 მანეთი დამხარჯა, მხოლოდ იმისთვის, რომ ლოთობისათვის ის გაზეთში არ გამეწერა. თანაც მთხოვა: — შენი პატივისცემა ჩემზე იყოს, თუ შენ თაყაიშვილს რომელიმე გაზეთში გასწორავ. რადგან მან „ტარტაროზში“ ჩამაგდოო. მე კი ავიღე და თითონ მარკოზია გავსწერე გაზეთში.

განა „უსინდისობა“ არ არის ის, რომ ერვანდ ამირზადგულიანმა ისეთი დახასიათება მომცა, რომ ქვას გაპობდა; გამომიყვანა თითქოს სოცია-ლიზმი დამემყარებიოს ალბულაღში, წმენდის წინ კედლის გაზეთში მათ დეზერტირობასა და დაუდევრობაზე.

განა „უსინდისობა“ არ არის ის, რომ ერვანდ ამირზადგულიანმა ისეთი დახასიათება მომცა, რომ ქვას გაა პობდა. გამომიყვანათითქოს—სოცია ლიზმი დამმეყარებიოს ალბულაღში. მე კი სამაგიეროდ, გაზეთში გავაკრელე.

განა ათჯერ უსინდისობა არ არის ის, რომ დუშეთში მოსვლისას, როდესაც „მუბუქი კავალერისტი“ გავხდი, მიკიტნებმა დამპატიჟეს და დარბაზობა გამიმართეს იმისათვის, რომ არ დამესვა საკითხი წითელი სასადილოს გახსნის შესახებ. მე კი მეორე დღესვე კედლის გაზეთში გავაკრელე და ალმასკომმაც შეიტანა გეგმაში წითელი სასადილოს გახსნა.

განა „უსინდისობა“ არ არის ის, რომ რაიკომის მდივანი საძაგლიშვილი და მილიციის უფროსი დათრობისა და სროლისათვის კედლგაზეთში გავსწერე. რისთვისაც ორთავემ ნიშადური ამოსცხეს?

განა „უსინდისობა“ არ იქნება ის, რომ საპავშო ახალშენის გამგე კარსანიძე, რომელიც ერთდა იმავე დროს არის: ათწლედის პროფსკოლის, საბაზო და რაისკოლების გამგე, რომლის ჯამაგირი 10 უწყებაში სწერია და მარტო ახალშენის გამგეობისათვის სულ რაღაც ორასორმოცდაათ მანეთს იღებს და სხვა გამგეობებიდან კიდევ სხვას, — გაზეთში გავსწერო?

განა ეს „უსინდისობა“ არ იქნება?!

ტინტრავა.

# ჩვენი „სულიკო“

აჩალდაგა

ბიუროკრატსა ვეძებდი,
ვერ ვნახე დაკარგულიყო.
სადგურის უფროსს შევჩივლე:
აქ ხომ არ არის ილიკო?
მან მორცხვად თავი დახარა,
მის ტრფობით დადაგულიყო.
(ველარ ვიცანი მცინარე
იაგორ მახარაძე თუ იყო).
და მიპასუხა:— ქაბუკო,
ჩემო უმცროსო ძმაო,
ნუ თუ არ იცი—ის ჩემთან
არის სულ წელი სამია.
ერთად ვცხვრობდით ძმასავით,
დღესაც ერთი გვაქვს პირიც:
როგორც თევზს წყალი მდინარე,
მე იგი ისე მჭირია.
ეს სთქვა, პირი იბრუნა
კაბინეტისკენ წავიდა;
ვიფიქრე: „დესპე“ ილიკოს
ვინ მოგვაშორებს თავიდან?

ტ—ი.

# სცენები ტელეფონთან

## საბურთალო

ა? ალე ხარ? ძალიან კაი, მარა ერთი ვერ მომიწონებია შენთვის: მაქანე ამბულატორიაში თუ ყველა თავის ცოლებით მუშაობს (ვალიკო—მისი ცოლი, სერგო—მისი ცოლი) შენ რაღა სხვაზე ნაკლები ბიჭი ხარ? შენი ცოლიც შეიყვანე, დაიჯინე გვერდში და მაშინ „პრი პარიჩკი" იქნებით ყველა.

სხვა, კაცო, სამკითხველოში კატომ კიდევ ვერ დაამყარა სიწყნარე? რა იყო? კედლის გაზეთი წელიწადში ერთჯერ გამოდის?, იმხელა წერილებია შიგ მოთავსებული, რომ წასაკითხავად თვის შვებულება უნდა ეძლოს მუშამ? ნუ ხარ მასხარა, კაი თუ ღმერთი გწამს!

ბიჭო, ერთი მითხარი, კულტწრე რომ იყო მაქანე მარტიონის მეთაურობით, რა ქნა? გეიპარა საიქიოს? ჩაიძირა ყველას? მაქაური მასწავლებლები გაკეთებას გვპირდებოდნენ და ჩამექყვინთა ყველას?

წკრ... წკირ... წერეთლის სახელობის სამკითხველო ხარ? ანიჩკა თათიაშვილი მინდა.. რომელი ხარ? თამარა?.. რომელი, შე ქალო? მაქანა თამარა და კატო ოთხმოცდაათია. გოგო, იგი წიგნი კიდევ არ მეიტანეს? ორი წელიწადია ჩაწერილი ვარ რიგში, რომ ის წიგნი მხვდეს: არ მოაქვთ! მაგი რომელია? ანნა? მოდი, მოდი, ნუ გცხვენია. სწორედ მითხარი—რამდენი წიგნი გაქვს გატანებული ნაცნობებზე? არც ერთი არ მოიტანეს? სულ ერთია „ძმა-ბიჭებში" მაინც არ დაიკარგება!

ბროგუნა.

## ფარცხანაყანევში ქუთაისის ოლქი

ფარცხანაყანევია? ჩემი ძამია, ალმასკომს დამელაპარაკე. არვინ იქნება? შენ შემაერთე...

ჰა! ალმასკომი? ლორენტი ხერხია? კაცო, ეგ ფოშტა არ მიშვებდა შენთან. რა უნდა თუ იცი? ასე იცის მუდამ?!,

რას ჯობოხ იცი,— ექიმი ილია მინდა, აი ის, ქერივი ქალების გალახვაც რო ეცოდინა. არასდოდერ იცის? ლავრენტი, ამდენხანს თუ ქურში იყავი ჩამძვრალი, აწი მაინც ამოდი ზევით და შეხედე რა ხდება შენს თემში. ქერები აწი ლენინისეთურისაა საჭირო და არა თქვენს სასუქით.

დოუძახე ილიას, მასთან მაქვს სალაპარაკო.

ილია ხარო? გამარჯობა, კაცო? ხეირიანად დეილაპარაკე, ვერ იძახები! ქელეხში გიძეხ? ქელეხი, შირწილი, ნათლობა, დღესასწაულები შენი საქმეა: მღვდელი ვერ გაძღება შენსავით? სად გცალია ავადმყოფებზე? სიცხეს თერმომეტრით არ სინჯავ? ყველას ტყლიპი აქვს? ზოგს ორი და ზოგს სამი ფუთი? ტყლიპის გარდა სხვა დიაგნოზს ვერ დასვამ? არ იცი? რას ამბობ, კაცო?

ატბოი პოკალუსტა.

მუხიანი მინდა, მუხიანი? ფოსტა ხარ? ქსტატი, ერთი ალმასკომში ჩამაყურჩე. ალმასკომია? სტეფანე თავმჯდომარე და მდივანი არ არიან? ოფშქვეთში ღვთისმშობლობაზე წავიდნენ? აბა შუშანას დოუძახე, სამკითხველოზე სალაპარაკო მაქვს. მაქ არის? მიე შუშანას ტრუბკა. კეთილი შენს მნახველს, შუშანა, რავაა საქმეები? სადღესტომ დეიგვიანა? მერე შენ სადგურის უფროსი ხომ არ ხარ, რომ ჩიეი? მაშინ ილება სამკითხველოს? ისე არ გცალია? სხვა საქმეში ხარ არჩეული? ერთი ვერ მოგიწესრიგებია და სხვაში ვინ აგირჩია? ამბულატორიაში ვერ შეეარაწკუნებ? დაკეტილია? კვირაში ერთი დღე სულ დაკეტილია?

აშენდა ჩვენი თემი და ეს არის?

პრიპისა.



ჯპარაიახის სადგური

## ჭიათურა

ზარიშნა, გესმის? მლეჩმეევის სექციასთან შემაერთე — გატოვა?

იაკინთე ხარ? გამარჯობა შენი. თუ კაცი ხარ, მიამბე მადაური ამბეები.

რაო? თლა დაღუპული სექციაა? არაფერი თავის დირზე არაა?

პატარა საქმე რომ გქონდეს კანტორაში, სამ დღეს მაინც მოუნდები მის გაკეთებას? ვერც სექციის გამგეს, ვერც „ტაბელჩიკს", ვერც უფროს მუშას თავის ადგილზე ვერ ნახავო?

ბიულეტენზე გინდოდა ხელის მოწერა და სექციის გამგე შუბლაძე სამი დღის ძებნის შემდეგ ნახე მეჩხერაში? ორი დღის ბიულეტენზე ხელის მოწერისათვის სამი დღე გაგაცდინა? ხა-ხა-ხა... რაო?

კოოპერატივით? გაშვეს კიმოთეშ, ტყუილუბრალოდ სცემა კოპერატივში მუშასო? იმე, მაგ რავა იქნებოდა, კაცო?

ყველას უბღვერს, ლანძღავს? იმედი, თუ მართლა ასეა, ვერ მიაყრდებით მაქედან?

რაო? დადგენილი იყო მისი მოხსნა, მაგრამ ჭიათურის მუშკოოპის გამგეობამ მაინც ვერ მოხსნა?

პროტექტორი ჰყავს ალბად, გამგეობაში, მაგრამ ეს „ჩისტკა" მოსაც „გაჩისტკავს" და მის კომისიასაც.

რაო? ექიმები ვეღარ რუდიან ხალხის სინჯვასა და რეცეპტების წერასო! რაშია, კაცო, საქმე? გამოუცხობელ პურს ჰყიდიან, რომ წონაში მეტი მოვიდესო? მერე და სანიტკომისია რას აქცევს ყურადღებას.

მაგენი ყოფილან თვითონ სასანიტარო და გასაწმენდი მაქედან.

რაო? ექიმები ვეღარ იუდიან ხაზრიგებენ თავის დროზე?

რა ღმერთი გაუწყრა? ალბად, ხელმძღვანელები არ ვარგან.

ჰო, მართალია, იაკინთე, ჯამაგირების დროს, რომ „ტაბელჩიკებს" რევიზია გოუკეთეს, რაფა შეჭიდა თუ იცი მათი საქმე? ყველა „ტაბელჩიკებს" ჰქონდათ „შეცდომა". ათი დღის მაგიერ ზოგს თორმეტი და ზოგს ცამეტი დღე ჰქონდათ „შეცდომით" დაწერილი? ეს შეცდომა არ ყოფილა, ალბად „გაომასქნები" უნდოდათ ზედმეტი დღეების.

რაო? ყოფილმა მოწყვეტილმა ბიძინა პრუსიამ მაღაროში მუშა ჩუბინიძე გალახა და ამისათვის დააწინაურეს? აბა შენც მასე ჰქენი და ათასთავაც მაინც გადაგიყვანებენ. მართლაც ისე იპირობ? ხა-ხა-ხა-ხა? ღმერთმა ხელი მოგიმართოს..

ნახვამდის, ნახვამდის...

ფონ-გან.

# ცნობათა მიღება

**პ. ტევრელს** (აქვე) ზესტაფონის საავადმყოფოს ...ებ გვატყობინებთ:

> ზესტაფონის საავადმყოფოს,
> (ღმერთმა კარგად ამყოფოს)
> ადგილ უცვლია
> და პატარა სამ ვერსამდის გაუვლია.

თქვენი ლექსიც არ ჩამორჩა ზესტაფონის საავადმყოფოს: მანაც „პატარა" ადგილი იცვალა და კალათისაკენ „გაიარა".

**გ—ვა—ჯას.** (სამტრედია). რედაქციამ დიდი „სიხარულით" და „აღფრთოვანებით" მიიღო თქვენი ვრცელი ავტობიოგრაფია და სცენა, რომელიც რამდენიმე სტრიქონის გადაკითხვისთანავე ახტა, თახტა და თქვენს „...ადავ" ავტობიოგრაფიასთან ერთად „ტარტაროზის" სანაგვე გოდორში ჩახტა.

**მელიას** (ბორჯომი). თქვენს კორესპონდენციაში ვკითხულობთ:

„ბორჯომის კოოპერატივის უნივერსალურ მაღაზიაში კალოშების დარიგების დროს რიგში მდგომ ფეხმძიმე დედაკაცებს მუცელი წაუხდათ"-ო.

ჩორჩი თაობის ასეთი მასიური განადგურება მეტად სამწუხარო ფაქტია, მაგრამ რა არის აქ სასაცილო? გარდა ამისა, რა შუაშია აქ ტარტაროზი? ის ხომ ამ საქმეში —„უმანკოა", როგორც ბატკანი". გაცნობებთ აგრეთვე, რომ ტარტაროზი ჯერ არ შესდგომია სტატისტიკურ გამოკვლევის მოხდენას ფეხმძიმე ქალების მუცლის წახდენის გარშემო.

**მ. ქ—ელს** (სენაკი).

> თქვენი ლექსი „აბდა-უბდა"
> გადაბრუნდა-გადმობრუნდა:
> ვერაფერი ვერ გაუგეთ:
> იმის ავტორს რის თქმა უნდა,
> ძველი იყო ლექსის თემაც
> მოგვეწყინა, გადახუმდა
> და ამიტომ თქვენი „შრომაც"
> კალათაში ჩარახუნდა.

**მ. ვ—ს** (სენაკი). თქვენი ლექსიდან ეტყობილობთ, რომ მასწავლებელ ეპიფანეს პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე „ტუჩებ-ჩაწითლებულ-ჩაპამადებულ" მასწავლებელ ქალის—ქ-საკენ გაუწევია. ქ-ს კი უკან დაუხევია (ალბად სტრატეგიულ მოსაზრებით). „რა მიზანს ისახავდა ეპიფანე?" კითხულობთ თქვენ. ეჭვი არ არის, რომ მას კომპლექსიური მეთოდის განხორციელება ნდომია, მაგრამ ასეთი კომპლექსის და ისიც საჯარო კრებაზე განხორციელების მსურველ მასწავლებელს, უკან „ფესტის" დაკომპლექსება მოუხდება.

„მასწავლებელი **ქ-ანი** მთელ გაკვეთილებს თავის **ავტობიოგრაფიის მოყოლას ანდომებს, განსაკუთრებით** კი ხშირად მოგვითხრობს იმას, თუ რა ცერო გაატარა **მან სადამო წარმოდგენაში „მეფის არლანზე" ქეიფის დროს.**

ეს ალბად იმიტომ, რომ ქეიფის მეორე დღეს „ქალბატონ" მარის „სამექავეი ელევა" და თუ არ გამოსწორდა, ასეთი პედაგოგს განათლების განყოფილებაც ადვილად შეელევა.

**დ, ბ-ძეს.** თქვენი ნახატები **„12 წელი"** და **„ვიზე როგორ მოქმედობს ტარტაროზი"** —არ იქნება ჟურნალში **„გამოიმასქნებული"**, რადგან იდეაც და შესრულებაც სხვისი ნახატიდან არის **„გადმოიმასქნებული"**.

**ქაქლარეჩს** (ზუგდიდი)—როგორც თქვენი წერილით ეტყობილობთ ზუგდიდის მიწ-ტყის კავშირის თავმჯდომარე მართლაც „ქვეყ ყოფილა... ქუდიც თავზე ხურებია". ტყუილა კი არ ლილინებს:

> „ქიცვიც ვიცი ქიცმაცურიც
> არშიყობა, სიყვარული,
> ლამაზებს და ჩემს ცქთილებს
> ენაცვალოს ჩემი გული".

თქვენც გული ნუ გაგიტყდებათ, რომ ასეთი „სანტიმენტალურად" განწყობილი თავმჯდომარე დაუსჯელად ...ო „პადლოგისტობას და პროტექტორობას, რადგან მაზრის მოსამართლე და პროკურორი" მისი: „...ამ და მირონი"

მოკლე ხანში:

> ჩამწარდება ამ ვაჟბატონს
> საქმეები საგმირონი.

**„ჩორტ უზნაიტ"-ს** (ჩაქვი). ხატია ხაძ ვოჟ ტარტაროზ ი ტარკორიატა შეითან-მეითან და ჩერტოვსკი პაროდი დიაელიატა, მაგრამ მაინც სმისლუ ვაშუ პისმუ ნე უზნაით,—და ამიტომ, უფსკერუ გოდორუ პასილაიტ.

**ჩიორას.** (ხარაგოული). როგორც თქვენი დეპეშიდან სჩანს: **ხარაგოულის ათწლედს**

> შემოუღია „მოდნა"—
> დიპლომი მისცეს რჩეულთ
> და არ მოსთხოვოს ცოდნა.

ამავე მოსაზრებით მათ მეათე ჯგუფში ყოველგვარ ცოდნის გარეშე გადაუყვანიათ მოწ. ვ. ჭ—ძე, **„რადგანაც ჭ-ძე იყო სათემო ბავშთა კომ. ორგანიზაციის (ბ. კ. ო.) და სასკოლო თვითმმართველობის პრეზიდიუმის თავჯდომარე"**. განათლების განყოფილებამ უნდა მოაგონოს სასკოლო საბჭოს, რომ თუმცა საზოგადოებრივი მუშაობა კარგია, მაგრამ ასეთ უმეცარ „სპეცების" გამომშვები სკოლა „გროშადაც არ ვარგია".

შემდეგ თქვენს წერილში ვკითხულობთ:

**პ. ტ-ს** (ზესტაფონი). თქვენი ლექსი ასე იწყება:

> **„ახლანდელ დროში, ტარტაროზ.**
> **რა არის გასაკვირია,**
> **რაში ჰგონია ყველასა**
> **ქოსა დალაქის ვირია".**

ზოგიერთ მოლექსესაც მისი ლექსი კარგი ჰგონია, მაგრამ, როდესაც „ლრმად უკვირდები", სხვანაირი სუნი ასდის და ამიტომ პირდაპირი მარშრუტით სანაგვე გოდორში „ჩა დის".

**ახ-კომ-კორს.** (გომი) — ექიმბაშ იაგორას შესახებ გვატყობინებთ:

> „მატყუარა გლეხებისა,
> ხშირად ასე მღერის:
> „ჩინებული მკურნალი ვარ
> მუნისა და ბლერის.
> თიხის ხსნარით „ვურჩენ" მუშტრე
> ხუნაგსა და შაკიკს,
> თანაც ფულებს ვიხვრიალებ,
> არვის ვარჩენ კაპიკს.

ტარტაროზმა ტელესკოპი გამოიწერა პარიზიდან, რომ ოლქაკომმა მიაგნოს ასეთ „მკურნალს" და შეუდგეს მსგავსი პარაზიტებისაგან მის სოფლის „განკურნებას".



რუსთაველის გამზირზე დაწანწალობს მუნიანი ძაღლი, რომელსაც სანიტკომისია ყურადღებას არ აქცევს

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია. გაზ. „მუშა"-ს გამოცემა. საქ. პოლიგ. ტრ. მე-5 სტამბა კამოს ქ. № 68.
მთავლიტი 1645.







1. კაბინეტში იჯდა ფართოდ
სოკოტრესტის დირექტორად.
მას არავინ არ მიაჩნდა
თავისს მსგავს და თავისს სწორ
მაგრამ ნახეთ!.. წმენდამ მაინც
არ დაინდო დირექტორი—
გასწმინდეს და გამოაგდეს,
ვერ-რას გახდა პროტექტორი.

2. ამ გამგესაც დაემართა
მსგავსი საქმე და ამბავი.
მასაც სწამდა, რომ მის გარდა
სხვას არა აქვს ჭკუა, თავი.
მაგრამ მასაც ამოჰკრეს და...
მიაცილეს ღია კარებს.
თქვენ გგონიათ, რომ აწ ამათ
არავინ არ გაიკარებს?







3. აქ დირექტორს. იქ კი—გამგის
სამმართველომ სცა პატივი,
და ეს კაციც შემოცურდა
სოკოტრესტში, როგორც ტივი
მას დიდხანს ცდა არ დასჭირდა
მალე მოხვდა ზუთხი ხელში
და ჩაბრძანდა თავისუფალ
დირექტორის სავარძელში.

4. აქ მის ნაცვლად გამგის ადგილს
დაეძგერა „დირექტორი".
(რაც ტრესტიდან გამოსწმინდეს,
ლე გავიდა მხოლოდ ორი).
ეს ხომ წმენდა აღარ არის!
დაიხსომეთ ეს იგავი,
და ერთიდან მეორეში
ნულარ შეგვაქვს კვლავ ნაგავი.

(230)



# ათანასეს გერი და ოქტომბერი

— ამხანაგებო! მე ვერ შევეხე ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეებს. თქვენ ჩემზე უკეთ ხედავთ განახლებულ სოფელს, სადაც აღარ არის მშრომელთა ტანჯვა, სადაც იქმნება ახალი ცხოვრება. მაგრამ იცოდეთ, მტერს არ სძინავს. უნდა ვიყოთ მზად მტერთან ბრძოლისათვის. გაუმარჯოს სოციალისტურ წყობილებას მთელ მსოფლიოში!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს,—გაისმა ხალხში და ორატორის სიტყვა დაიფარა ტაშის ცემით.

სოფლის სკოლის ეზოში გამართული მიტინგი დაიშალა. ხალხი წავიდწამოვიდა. ქალაქიდან ჩამოსული ამხანაგი პეტრე ბროლაძე და ადგილობრივი ამხანაგების ერთი ჯგუფი მიტინგის შემდეგ გაეშურენ ერთი ამხანაგის სახლისაკენ, სადაც მათ სადღესასწაულოთ გამართული სადილი ელოდებოდა. სოფელი ზეგნარა პეტრეს კარგად იცნობდა, ის ამ სოფლის უღარიბესი გლეხის შვილი იყო.

ხედავთ, ბიჭებო, რავა მოფუღურებულა მაი უბედური ათანასაი? —წამოიძახა ერთმა ახალგაზრდა გლეხმა და გაიშვირა ხელი ათანასე გაქნილაძისაკენ, რომელიც თავჩაღუნული მიდიოდა თავის სახლისაკენ.

— ალბად პეტრიეს დანახვა თუ ეწყინა—შენიშნა მეორემ.

— რაზე უნდა წყინებოდა, რავა, „ვიგინდარაი" ხომ არაა, თავისი გერია!—დაცინვით ჩაილაპარაკა მესამემ.

— კაი ბიჭი კია და სხვა თქვენ იცით. ციხეები მაგას არ დაკლებია და ციმბირი, მარა თავის მიზანს მაინც მიაღწია!—სთქვა ერთმა შეჭაღარებულმა გლეხმა და ჩიბუხი მოსწია. და ასე მთელი სოფელი ლაპარაკობდა პეტრე ბრძოლაძეზე, რომელსაც დავალება ქონდა სოფ. ზეგნარში ოქტომბრის 18 წლის დღესასწაულში მონაწილეობის მიღება.

— თომა, თომა, თუ კაცი ხარ, გვითხარი, როგორ იყო ათანასემ, რომ პეტრეს უჯაშუშა და პოლიციას ჩაუგდო ხელში? შენ საქმე კარგად იცი თურმე!—მიმართის თხოვნით ახალგაზრდა გლეხებმა თომა წაბლაძეს, რომელიც ათანასეს მეზობლად ცხოვრობდა.

— აბა, რა უნდა გითხრათ. მაი ამბავი დიდი ხნისაა.—დაიწყო თომამ.

— ათანასე გაქნილაძეს ვინ არ იცნობდა ჩვენში. ის ფულის პატრონი კაცი იყო. ვაი მას, ვინც მის კლანჭებში ჩავარდებოდა: გაოთავებამდე-გაუძვალტყავებლად არავის გაუშვებდა.

მაგისთანაი თუ იყო, ძმაო. მდიდარი იქნებოდა, აბა რა!—ჩაილაპარაკა ერთმა გლეხმა.

— გაქნილაძე მდიდარი კი არა, ჩვენს სოფელს უყიდდა და გაყიდდა.

განაგრძო წაბლაძემ, მარა ერთ საქმეში მაინც ბედი არ წყალობდა. ითხოვდა თუ არა ცოლს, ორ-სამ წელიწადში უსათუოდ მოუკვდებოდა. მე რომ მახსოვს, მან ოთხი ცოლი გამოიცვალა. ათანასეს ეს გარემოება ძლიერ აწუხებდა. მისთვის მარჩიელს ეთქვა: ცოლი თუ ითხოვო, იცოდე ჯვარი არ დაიწერო, შენ ეშმაკი უფრო გწყალობს, ვინემ ღმერთიო.

ათანასეც ასე მოქცეულა. შეუჩნდა თურმე პეტრეს დედას, თებრონეს, რომელიც მაშინ ახალი დაქვრივებული იყო და ხასათ გაიჩინა. პეტრე მაშინ ათი წლის თუ იქნებოდა. პეტრიასანაი ახალგაზდა ჩვენს სოსოფელში ერთიც არ ყოფილა. მანეთათ თუ მოგეხმარებოდა, სამი მანეთისას გაგიკეთებდა. 905-ში მაი ჩვენს სოფელში პირველი კაცი იყო.. მაგ ყველა ჭკუას ეკითხებოდა. ბავშვობას მას ათანასეს გერს ეძახდენ. ათანასეს რევოლიუცია არ მოსწონდა, სამაგიეროდ რევოლიუციასაც არ მოსწონდა ათანასე. ცხრაას ხუთში მაგის მოკვლაც კი იყო თურმე გადაწყვეტილი.., როცა რევოლიუცია დამარცხდა, პეტრეს დევნა დაუწყეს. მას სოფელი ინახავდა, ხან ერთისას ათევდა ღამეს, ხან მეორესას. რაღაც საუბედუროთ ერთ დღეს დედის ნახვა მოუნდომებია. ათანასემ სიხარულით მიიღო სახლში თურმე პეტრე, რომელიც იმ ღამეს იქ დარჩენილიყო. ათანასეს კაცი ეფრინა მამასახლისისათვის და პოლიცია გამოეთხოვა. დილით პეტრე გაბაწრული მიყავდათ!—თომამ დაასრულა კიდეც ეს ამბავი და თავის ეზოში შევიდა...

მეორე დღეს პეტრე ცხენით მიჰქროდა სადგურისაკენ. როცა სოფელი ზეგნარია გაიარა, გზის პირად თვალი მოჰკრა ათანასეს, რომელიც ქვაზე ჩამომჯდარიყო და პეტრეს გამოვლას ელოდებოდა.

— ათანასეს გაუმარჯოს, როგორა ხარ ათანასე? ხომ არ მოხუცდი?

პეტრემ ცხენი შეაჩერა და ათანასეს ხელი ჩამოართვა.

— როგორ ვიქნები რა, შვილივით გზდიდი, მარა ეხლა დიდი კაცი შეიქენი და არც კი მკადრულობ... არ გრცხვენია, დედაშენი რომ მოკვდა, მერე არც კი გიკითხავარ. სოფელმა ტყავი გამაძრო, ქონება ჩამომართვეს და დაინაწილეს... ერთი სიტყვა მაინც გეთქვა ჩემს სასარგებლოთ!—თავჩაღუნული უსაყვედურებდა ათანასე პეტრეს.

— ათანასე შენ მუდამ ხუმარა კაცი იყავი და ეხლაც ხუმრობ. აბა რას ამბობ? დიდი კაცები, ჩემო ათანასე ოცდა ერთში გაიქცენ საქართველოდან. რაც შეეხება იმას, რომ შვილივით მზრდიდი, ეს კი ჩემი გულმავიწყობის ბრალია, რაღაც არ მახსოვს. თქვენი ტყავის საკითხი კი უნდა გამოვარკვიოთ, არა მგონია თქვენი ტყავი სოფელს სჭიროდეს. მე კი გავიგე, რომ სოფელი უკან იბრუნებს თავის ტყავს, რომელიც თქვენ წინათ მიგითვისებიათ. მაშასადამე სასაყვედურო რა უნდა გქონდეთ? კერძო საკუთრება ხომ გწამთ? ხალხსაც თავისი ტყავი უნდა დაუბრუნოთ.. ნახვამდის, ათანასე, ნახვამდის!—გამოეშშვიდობა პეტრე ათანასეს და ცხენს შოლტი გადაჰკრა.

ათანასე რამდენიმე წუთს გაქვავებულივით იდგა. მან თვალი გააყოლა პეტრეს, რომელიც სადგურისკენ მიაქენებდა ცხენს. —ახ, თქვენი... დაიგინა მან და უკან გამობრუნდა.

ჟუმბარა.



მოელოდენ ოქტომბრის მონაპოვრის წალეკვას,
ბოლშევიზმის აღსასრულს, შეცბის ზარის დარეკვას.

# ტკბილი სიზმარი

წარმოიდგინეთ
ემიგრანტის ბინა პარიზში,
გარეუბანში,
სახლის ქვედა სართული
ბნელი,
ჭუჭის ნაპირად;
სამოვარი,
ძველი მაგიდა,
ძველი წიგნები,
გრამაფონი, მუნდირი ძველი,
მუნდირი ძველი გენერალის—
საჭუზეიმო;
მუნდირი გმირის,
ვინც ტახტის მტრებს
შიშის ზარს სცემდა;
მუნდირი,—ახლა ზითხითა და
მტვერით დასვრილი
(რას მოესწრება კაცი
„ღმერთო, დიდება შენდა")—
დღეს იყიდება
ცხვირ გაცვეთილ
  წაღებთან ერთად —
ყიდის გრამაფონს,
კოვზებს, ჭიქებს,
ბამბულის შეილი
ყიდის ნაღდ ფულზე.
ან ნისია,
რა სვინდისია".
მუშტრის ლოდინში მან ჩასთვლიმა.
მოუნდა ძილი...
სიზმარში ხედავს
განვლილ ამბებს,
ძველებს, საგმიროს,
ბოდავს! „დახვრიტეთ"
„ჩამოაღრჩვეთ,
სმირნო!
როტა, პლი!
იმის წინ შიშით ჭანკალებენ.
მის ალმატების
კალთებთან მუხლით იჩოქებენ.
თაფლია, თაფლი
მოგონებანი ძველ ამბავთა
გადასულთანი...
მაგრამ უეცრად
მეფის ტახტმა დაიწყო რყევა
  მისი ბჭეებთან შეტორტმანდენ.
სასწაულია —
თუ ცათა რისხვით ჩამონგრევა
და ღმერთის წყევა?
დაინგრა ტახტი...
მეფე ტყვეა...
მაგრამ დამხსნელთ
ერის, სამშობლოს
„განსაცდელის ჟამს"
ჩნდება კერენსკი
  აჰა, არილი კორნილოვის —
„უდრეკი გმირის",
(გვირგვინს ელოდა
და მას „ქესტი" მიაკრეს კი,)
კერენსკი მაინც ნაპოლეონს
წაგავს მშობლიურს,
წახდება, ვისაც მოუნდება
„ცხებულთან" ომი,
„სერაფიმების",
ვით ზღაპრული ლაშქარი წმინდა,
სდგება საომრად
დამკვრელ ქალთა „ბატალიონი"
მოისმის „ტკბილი" ლოზუნგები:
მოგვეცით მეფე,
მოგვეცით მალე „უჩრედილკა"...
რეკენ ზარები
ჰა, „უჩრედილკაც" იკრიბება...
  რეკენ ზარები.
ჭუჩები ლეშით მოფენილან
კომუნარების...
მიტროპოლიტი პიტირიმი
  იხდის პარაკლისს; —
უფალმა სამწყსოს
განსაცდელი რომ ააშორა,
იმპერატორი სასახლეში
ბრძანებლობს ისევ...
„ბოჟე ცარია",
ტკბილი ჰიმნი,
ტკბილი ჰიმნი, გაისმის შორს
ჰა, გენერალი—ცხენზე მჯდომი
მიუძღვის ჯარებს...
აჯანყებული ველურები
რომ დააწყნაროს.
იმპერატორის პორტრეტები
ამკობენ დროშებს...
გაგიძელდი ტკბილო მოჩვენებავ,
დაუვიწყარო.

---

მაგრამ ჩათვლემილს
მოუცნებეს
მისი მეუღლე
„გაპრანჭებული"
ავბედისგან
პრინცესა ძველი,
ილვიძებს ხელად და წინ უდებს
მოსკოვის „პრავდას",
ბრაზით კანკალობს
„ქალბატონის" ბაგე და ხელი.
ტყვილი გამოდგა.
„მამა" ფოტოს
გადმოცემული:
მოსკოვი თეთრებს
ჯერეთ კიდევ არ აუღიათ,
ჩინეთის ჯარიც
ჯერ შორს არის ლენინგრადიდან.
მეფის „არწივებს"
კი აწივლებს
  წითლების ტყვია.
მოსკოვში
  უკვე მეცამეტე ოქტომბერია;
დახლს ალებს ცოლი,
შიგ არ არის კაპიკი ხეიშტი...
  — რა ვჭამოთ ბორის?
— შენ ვინა ხარ?
სმირნო! როტა, პლი!
არ მომეკარო.
გესვრი...
მოვკლ...
ვკვდები...
გავჟივდი

[illegible]




მაგრამ უცებ გაბრწყინდა ცაზე რიცხვი თორმეტი,—
მათი ილუზიების და გლოვის წინამორბედი.

# უცხოელი ჩვენში




— წითელ-არმიელი უფრო საშიშარი ყოფილა სინამდვილეში, ვიდრე მას ჩვენი გაზეთები ხატავენ. „კროკოდილიდან".

# ქრისტეფორე ქუცია და ოქტომბრის რევოლუცია

„ვინც გააჩინა თხა, მანვე მოუკვეთა რქა"-ო.— ამბობს ხალხური თქმულება. ამის შემდეგ გასაგები ხდება, რომ სიტყვა „ქუცია" ქრისტეფორეს მარტო გვარი კი არ გახლავთ. თუ ამასთანავე ქრისტეფორეს ცოტა რამე შინაგანი თუ გარეგანი თვისებებსაც გულისხმობს იმავე დროს.

— დიდი გაქუცული კაცი კია ეს ჩვენი ქრისტეფორე! — იტყოდენ ხოლმე ქრისტეფორეს ახლო ნაცნობები და ბევრს მათგანს გვარი „ქუცია" ქრისტეფორეს ნამდვილ გვარათ კი არ ესახებოდა, არამედ უფრო მის პირად თვისებად, მის ზედმეტ სახელად, მის „სიგელად".

— ცხენს, აბა, როგორ დაგიჯერდე, მაგრამ ზურგზე ტყავი ქრისტეფორეს ქუციამ გადააქუცა"-ო, ეტყოდა ხოლმე ცხინკილევთის წყალობელი გლეხი ვიღაცის ერთგულ მეზობელს იმ ხანებში, როცა ქრისტეფორე ალიხინშულ სოფლის მწერალი გახლდათ.

და მართლაც, ჩაუდებდა თუ არა ხელში რომელიმე დაჯახნებულ გლეხის ცხენს, იგი იმდენს ხედინდა, ათრევდა და აწვალებდა ხელშივე ცხოველს, სანამ უდიერი და ხანგრძლივი ხტომისაგან ზურგზე ტყავს არ გადაიგლიჯდა, სხვა ნაირად თუ ცხინკილევთისწყალობლურად ზურგს არ გადააქუცავდა.

გლეხი კი იმედოვნდა იყო ცხინკილევთისწყალობაში, ქრისტეფორეს რომ არ დაეჯაბნოს, ხოლო ცხენი —ამაზე კიდევ უფრო ნაკლები, ქრისტეფორეს რომ მისთვის ზურგი არ გადაექუცოს.

— „თავს ვინ-ღა სჩიოდა, ორმოცდაათი ბაცეთი მარტო „ხეუსტოიკა" რომ არ აექუცა ჩემთვის ქრისტეფორე ქუციას"-ო, — უმატებდენ მეხამეხე საუბარში ქრისტეფორეს შესახებ.

ერთი სიტყვით, როგორც გაქნილ სოფლის მწერალს შეშვენოდა, ქრისტეფორეს აუქუც - გაუქუცველი თითქმის არც კაცი დარჩენია, შინაური ცხოველი და არც სხვა რაიმე ნივთი, რომელთაც კი ის წაჰკვრია, რომლებთანაც ასეთსა თუ ისეთს დამოკიდებულებაში ოდესმე კი ყოფილა.

მარტო რევოლიუციას ვერაფერი ააფცქვნა და აქუცა ქრისტეფორემ.

პირიქით, იყო ისეთი მომენტი, როცა ქრისტეფორეს თვით უძვირფასესი საკუთრება — სიცოცხლეც კინაღამ არ ააქუცა თვითონ მან რევოლიუციამ.

მართალია, თებერვლის რევოლიუციამაც დიდი საწყენი მიაყენა ქრისტეფორეს პირველ დღეებში, იყო მასზედ ცოტა რამ შეცოდებანი რევოლიუციონერების წინაამდეგ და ამიტომ კანცელარიიდან გაძევებას აღარ აჯერებდენ, ითხოვდენ მის კიდევ ზედმიწრად დასჯას.

მაგრამ ამ სასჯელს ქრისტეფორე მოხერხებულათ გადაურჩა. ანაფცქვენ - წანაქუცავიდან, გარდა უამრავ უძრავ-მოძრავი ქონებისა, ცოტა რამე ხელზე ფულად შერჩენილიც უყაჯოდა. სასწრაფოდ მიჰკრიბ-მოჰკრიბა ყოველივე ეს და მოუსვა რუსეთისაკენ.

აქ ქრისტეფორე ჩაება რაღაც კომერციულ დარდიმანდობაში და რამოდენიმე თვის განმავლობაში თითქმის დიდის წარმატებით იქუცებ-ოგლიჯებოდა. მას ჰყავდა ქვისლი, რომელიც რუსეთიდან ეზიდებოდა სხვადასხვა სურსათს: ფქვილს, მარილს, კარტოფილს, კომბოსტოს.

აი, ამ ქვისლს მიმართა ქრისტეფორემ, როცა სახლში დგომა გაუძნელდა და ასე მცირე ხნით მხედველობიდან მიიქმალა.

როცა რუსეთშიაც გაძნელდა საქმე (ლაპარაკია სამხრეთ - რუსეთისა და ჩრდილოეთ - კავკასიაზე), ქრისტეფორე, რომელიც სულ მცირე ხნის განმავლობაში საკმაოდ გამოეწაფა ადგილების ცოდნა - ვაგონებში, ხან ალექსეევსა და დენიკინს აფარებდა თავს, ხან ეგრედწოდებულ „მწვანეებს" და ხან კიდევ მახნოვსკებს.

მაგრამ, ნათქვამია: „ოსტატმა ჩიტმა ორივე ფეხებით ისეც მახეში მოჰყოლა"-ო..

ქრისტეფორესაც სწორედ ასე მოუვიდა. ამ სწრაფი მანევრების ყოველთვის სასურველად ჩატარებით გათამამებულმა, მან ერთხელ ძალიან შორს შესტოპა და შიგ კაკალ ბოლშევიკების სფეროში მოჰყვა თავის სურსათ - სანოვაგითურთ. თავისთავა

ვალ ცხადი არის, სპეკულიანტ-ბაცაცა, რომელიც მებრძოლი რევოლუციონერებისთვის აუცილებელ სურსათს პირდაპირ ცხვირის წინიდან აცლიდა მათ, თავზე ხელს არავინ მოუსვამდა.

ქრისტეფორეს სურსათ - სანოვაგე წითლების სამეურნეო ორგანოების ჯანკარგულებაში მოჰყვა, ხოლო თვით ქრისტეფორე კი — საკმაოდ ნესტიან სარდაფში.

აქ მან გაიცნო, თუ რას ნიშნავდა ოქტომბრის რევოლუცია და რითი განსხვავდებოდა ის თებერვლის რევოლუციისაგან. ის მიხვდა, რომ წესი აეგო და სარდაფში ასპარეზი და ფრთები შეეკვეცა არა მარტო მსხვილი სიმდიდრის, მსხვილი საწარმოო საშუალების პატრონებს, არამედ საძრომში ხვრელებიც გადაეჭრა - გადაებრაათ ქრისტეფორესთანა წვრილ - წვრილ ჩარჩ-სპეკულიანტებსაც.

მაგრამ, განა, მარტო ეს?

ქრისტეფორეს ახლაც თვალწინ უდგას და შიშის ჟრუანტელს ჰგვრის თავის სარდაფში ყოფნის დროს განცდილი ერთი საღამო, როცა ცხადათ, თვალდანახულად და ყურთ-გასაგონად შეექნათ პატივი თვითონ მისი სიცოცხლის შესახებ.

— ჯაშუში იქნება მაგი! — ცხარობდა ერთი თავ-ძაბრიანი ქრისტეფორეს შესახებ.

— „გასავალში" გავუშვათ მაგი! —უმატებდა მეორე...

და ყოველივე ეს ხდებოდა ქრისტეფორეს ცხვირს წინ, მისი თანდასწრებითა და მოწმობით, თითქოს რაც თავის სიცოცხლეში ქრისტეფორეს ხსენებით ტანჯვა - წამება კი მიუყენებია, ყველასი ზღვევინება ახლა თუ სხვა რამეს.

აგონდება ეს ხშირად ქრისტეფორეს და, რომ მოაგონდება, დიდი ხნის გაჭირვების შემდეგ, უცბათ პირჯვარს გადაისახავს: „ღმერთო, შენ ხარ ლონე ჩემი"-ო, ჩუმად თავისთვის ჩაილაპარაკებს, თუმცა ქრისტეფორეს ამ შემთხვევით გადარჩენაში ღმერთის იმდენივე დამსახურება მიუძღვის, რამდენიც ეშმაკს, რადგან ქრისტეფორეს უვნებლად გადარჩენის მთავარი მიზეზი იყო ბოლშევიკების მიერ უცბათ ამ ადგილების მიტოვება.

მაგრამ, ნათქვამია: „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე"-ო. ვინც შემდეგ ბოლშევიკების ნაცვლად გამოცხადდნენ. იმათ სრულიად გახადეს ტანს ქრისტეფორეს, წაართვეს რის წართმევაც კი შეიძლებოდა და ასე დედიშობილა გაიგდეს წინ ფრონტისაკენ, სადაც არწმუნებდნენ სხვადასხვა საკადრის თუ არასაკადრის სამუშაოებს.

აქედან ქრისტეფორე ხოლოდ ბრმა ბედმა და იშვიათმა შემთხვევამ იხსნა.

სახლში დაბრუნებული ქრისტეფორე ყველას მოუთხრობდა თავის თავგადასავალს და ამით იწვევდა საერთო სიბრალულს, რის წყალობითაც მიაღწია იმას, რომ ძველი ცოდვები აპატიეს, ხოლო ახალი ცოდვებისათვის ცოტაოდენი გზაც გაუხსნეს: სასურსათო საქმეებში გამოცდილს, მას ერაძის უწყებაში მოუხერხეს დროებითი თავშესაფარი.

„დროებითი", ვამბობთ ჩვენ, რადგან ამას მალე საქართველოს გასაბჭოებაც მოჰყვა და ამიტომაც დიდი ოქტომბერი ჩვენშიაც შემობრძანდა.

ქრისტეფორეს, რასაკვირველია, უნდა, ბუძგი ჰქონდა შემდგარი ტანში, რადგან კარგად იცოდა, რომ ჩამოართმევდნენ ქალაქში ქირის საზიარო დიდ სახლს, ხოლო სოფელში — წისქვილს, ზედმეტ მიწებს და არც თავის ხუთ-თვალ წაბლის სახლს შეარჩენდნენ, ვინაიდან ყოველივე ეს ქრისტეფორეს დაბეჩავებული ხალხისაგან ნაგლეჯ - ნაქურდალით ჰქონდა შეძენილი - შეძენილი და, მართალია, ახლაც იყო ყოველივე ესის ჩამოართმევა, ასე ნაქურდალის ნუ-იქურდება, რადგან დიდი სახლი ქალაქში კოოპერატივისათვის იყო სულზე მისწრება, ხოლო ხუთ-თვალი წაბლის ოდა, დარჩენილი მიწის დიდი რაოდენობა და ზედაც მზამზარეული წისქვილიც სოფელში — გლეხ - ახალგაზრდობის სკოლას გამოადგებოდა, ხოლო ქრისტეფორე ქუცას კი შერჩებოდა ბირში მარტო ოქტომბრის რევოლუციის ძრახვა და კიცხვა.

ეს-მართლაც ასე მოხდა: ჩამოსართმევი ქრისტეფორეს ჩამოართვეს და აშკარად ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ ენის დაძრვის ნებაც კი წაართვეს, მხოლოდ ჩუმად, სხვების გაუგონრად, თავისთვის იგი მაინც სძრახავს და წყევლა-კრულვით იხსენიებს იმ რევოლუციას, რომელსაც ქებითა და ხოტბით იხსენიებენ ქრისტეფორესთანა მჩაგვრელი ხალხის კლანჭებიდან განთავისუფლებული მილიონები.

მაინც იკრულებ - იწყევლებს ქრისტეფორე, მაგრამ რა გამოვიდა?

— „კატა ვერ შესწვდა ძეხვს, პარასკევია დღესაო"-ო, ხომ გაგიგონიათ?!

წარო



— დროზე ფეხზე ჩავაქროთ, თორემ კვამლი ოთხივე ხან აქეთ გადმოდის.

— რაღაცა ჩავაქრობთ, როცა არსაიდან მისაშველი არ არის.

# ცოცხალი პლაკატები

სოფელი სატურია სადღესასწაულოთ ირთვებოდა.

მთელი სოფელი ქრიამულობდა.

წინად დაბეჩავებული სოფელი სატურია, ეხლა წელში გამართულიყო და ახალ ცხოვრების გზაზე ძალუმად წინ მიდიოდა.

სატურია ეხლა აღარ იყო ძველი სატურია, ძველი დუხჭირი ცხოვრება ძირიან-ფესვიანად აღმოიფხვრა და მის ნანგრევებზე გაჩაღდა ახალი ცხოვრება.

გლეხობამ შეიგნო, რომ ძალა ერთობაშია და მთელი შეგნებით შეუდგა კოლექტიური ცხოვრების მოწყობას.

ცხოვდება სდუღდა და გადმოდუღდა.

ხალხის მტრებმა და ორგულებმა ყურები ჩამოჰყარეს, სოროებში შეძვრენ და იქიდან ჩუმად იღრინებოდენ.

სოფელი ზეიმობდა. ის ეგებებოდა ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავს.

—:—

საღამო ხანი იყო.

უზარმაზარი სახალხო სახლის წინ თავი მოეყარა ხალხს.

კომუჯრედის მდივანი აკეთებდა მოხსენებას ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ.

გაიღო დარბაზის კარები. დარბაზი ხალხით გაიჭედა; ყველა სმენად გადაიქცა.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობას. განუმარტა ხალხს, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ ძირიან ფესვიანად შეცვალა ცხოვრება, დაამხო ბურჟუა-კაპიტალისტები და მთელი ძალა-უფლება ხალხს გადასცა.

— ოქტომბერი არის ჩვენი დიდი დღესასწაული, ამიტომ ყველა ერთად, არც ერთი არ დარჩეს სახლში, ყველანი გამოდით და მონაწილეობა მიიღეთ პროცესიაში!—დაამთავრა სიტყვა მომხსენებელმა.

— ამხანაგო, პროცესში კი მივიღებთ მონაწილეობას, მაგრამ პლაკატები რომ არა გაქვთ დამზადებული?—შეეკითხა ერთი დამსწრეთაგანი.

— მზად გახლავთ—ეშმაკური ღიმილით უპასუხა ერთმა კომკავშირელმა და თავის ამხანაგებს გადახედა.

ნასიამოვნები ხალხი სიმღერით და სიცილ-ხუმრობით თავთავიანთ სახლებისკენ წავიდ-წამოვიდა.

ხალხი ზეიმობდა.

მთელს სოფელში მხოლოდ სამი ადამიანი სკდებოდა ბოღმით გულზე.

მღვდელი იროდიონ ვაციწვერიძე, კულაკი ფიდუა ბრუციანიძე და ყოფილი ვაჭარი სოსანა ქელებაძე.

სამნივე ისხდენ ერთად ფიდუასას და მეტის სიბრაზისაგან ლაპარაკს ვერ ახერხებდენ.

— ა, რა დღეს მოვესწარით რა დღეს?—ძლივს წამოიყრანტალა სოსანამ და სიბრაზისაგან კბილები გააკრაჭუნა—რას იტყვით მამაო იროდიონ?

— ქრისტე ღმერთმა დასწყევლოს მაგათი თავი, აბა რა ვთქვა, ლამის არის ჭიპზე გავსკდე სიბრაზისაგან. განა ეს ცხოვრებაა. აბა შემომხედეთ როგორ დავდნი კაცი, სადღაა ჩემი მუცელი. მერე რისთვის; განა სიკეთის მეტი რამე გამიკეთებია მაგათთვის? არა უშავს ღმერთი მოწყალეა, ის არ დაგვივიწყებს—ანუგეშა იროდიონმა.

— თქვენ ეს მითხარით, ხვალ რას აპირებთ, ხვალ ყველანი უნდა გამოვიდენ პროცესიაში, სთქვით ქრისტიანებო, ჩვენ რა ვქნათ. მე მოვკვდები და მაგათ არ გავჰყვები—სთქვა სოსანამ.

— არც მე—წამოიძახა ფიდუამ.

— ღმერთმა დამიფაროს—სთქვა იროდიონმა.

— მაშ რას აპირებთ? შეეკითხა სოსანა.

— მე გადაწყვეტილი მაქვს უნდა დავიმალო. შევძვრები ტახტ ქვეშ და ვიქნები!—სთქვა იროდიონმა.

— მე ქვევრში ჩავძვრები!—სთქვა ფიდუამ.

— მე კიდე სალორეში დავიმალები!— სთქვა სოსანამ.

სამივემ გადასწყვიტა დამალულიყო. კიდევ ბევრი ილაპარაკეს, ბევრი ლანძღვა-გინება გადმოანთხიეს და გულდამშვიდებულნი წავიდენ თავთავიანთ სახლებში.

—:—

მეორე დღეს დილა ადრიან მთელი სოფელი აზმაურდა, მთელი სოფელი შეგროვდა მინდორზე.

მოვიდენ წინამძღოლები. თან მოიყვანეს სამი ვირი. ვირების დანახვაზე ასტყდა სიცილი.

პროცესია დაიძრა დიდი. შარაგზით სოფლისაკენ სიმღერით. გაიარეს ცოტა მანძილი და იროდიონ ვაციწვერაძეს ეზოს წინ გააჩერეს.

— ამხანაგებო! ცოტა ხან შეჩერდით, აქ გვაქვს შენახული ერთი პლაკატი და ეხლავე გამოვიტანთ—სთქვა ერთმა წინამძღოლთაგანმა.

სამი ახალგაზრდა შევიდა იროდიონის ეზოში და სახლისკენ გაემართა. შევიდენ სახლში, ბევრი ეძებეს იროდიონი და ბოლოს ტახტის ქვეშიდან გამოათრიეს. გადააცვეს ანაფორა, მისცეს ხელში ჯვარი და თუმცა ძალიან გაძალიანდა, მაგრამ კინწის კვრით გაიყვანეს ქუჩაში. ხალხს ვერ გაეგო რაში იყო საქმე, მაგრამ როდესაც ცივცივ ასწიეს და ვირზე შესვეს, ასტყდა გაუთავებელი ხარხარი და ტაშის ცემა.

მამა იროდიონს ზურგზე მიაკრეს პლაკატი შემდეგი წარწერით: „ძირს მღვდლები და ბერები, ძირს ღმერთები, გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას, რომელმაც ხალხი განთავისუფლა მათი კლანჭებისაგან".

გაიარეს რამდენიმე მანძილი და შეჩერდენ ფიდუას ეზოსთან.

— ამხანაგებო! აქ მეორე პლაკატი არის.

ასტყდა სიცილი. ხალხი უკვე მიხვდა რაშიაც იყო საქმე.

ფიდუა ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერას გზით ვერ იპოვნეს. ბოლოს ის იყო უნდა გამობრუნებულიყვენ, რომ ეზოში მოთამაშე ფიდუას პატარა ბიჭმა ეშმაკურად გაიღიმა.

— რა გაცინებს ბიჭუნა?—შეეკითხა ერთი.

— მამა ქვევრში არის—სიცილით უპასუხა ბავშვმა.

ფიდუაც „ამოაბძანეს" ქვევრიდან. შესვეს ვირზე და ასეთი პლაკატი მიაკრეს ზურგზე: „ძირს კულაკები, გაუმარჯოს საშუალო და ღარიბ გლეხობას, გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას".

სოსანა ხელად იპოვნეს სალორეში, ისიც შესვეს მესამე ვირზე და ასეთი პლაკატი მიაკრეს: „ძირს კერძო ჩარჩი ვაჭრები; გაუმარჯოს კოოპერატივს, გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას".

ჭინჭრაქა.

---

## ტარტაროზი

**შემდეგი ნომერი გამოვა 17 ნოემბერს**
**„ტარტაროზი"-ს ხუთი წლის**
**თავის აღსანიშნავად**

# ჩინეთის საზღვარზე




თვითმპყრობელი (ჩინელს): — რას იცემები?! ასე იცი ზურგის გამაგრება!

# დღეს ჩვენში



აჰ ზეიმია... ნადიმობს ხალხი
ყველა მშრომელი მხიარულია...

# დღეს პარიზში



ცრემლი გადმოსდის თვალებს მეფხა[illegible]
ჭათი ცხოვრება არის მწუხარე.

# ღ ი ა  წ ე რ ი ლ ი

## მენშევიკებს, ესერებს, მუსავატს და დაშნაკელებს

დღეს იწყება მეცამეტე წელიწადი, რაც რევოლიუციაში გამარჯვებულმა მუშამ და ღარიბმა გლეხმა გაქცეულ მემამულეს და ვაჭარს მზითევათ თქვენ გაგაყოლათ საზღვარგარეთ. ამ თორმეტ წლის განმავლობაში თქვენ, მანდაური ბურჟუაზიის და იმით კუდების—სოციალდემოკრატების დახმარებით არა ერთხელ ეცადეთ იერიშის მიტანა საერთაშორისო პროლეტარიატის ბურჯზე—საბჭოთა კავშირზე, მაგრამ ამაოთ.

გამარჯვებულმა რევოლიუციამ დაუნდობლათ ჩაამტვრია დამპალი კბილები თქვენ შავ და ყვითელ რაზმებს ოდესაში, არხანგელსკში, ლენინგრადში, ციმბირში, ყუბანზე, კავკავში, ტაშკენტში, ტფილისში, ბაქოში, ერევანში და ყველგან, საცა თქვენი საზიზღარი სახე მოხვდა მუშის მუშტს.

კალედინი, დენიკინი, იუდენიჩი, კოლჩაკი რუსეთში და მათი დამქაშები ამიერ-კავკასიაში. გაამალაშინა გამარჯვებულმა მუშის ხელმა.

დიდმა რევოლიუციამ თქვენ საგრძნობლად დაგასახიჩრათ. ევროპის ბურჟუაზიამ პარიზი, პრაღა, ვარშავა გახადა თქვენ სობესად. ქეციან ძაღლებივით თქვენ ერთ ლუკმა პურს არ აკლებენ, რომ საბჭოთა კავშირზე ხრინწიანი ხმით ყეფის უნარი არ დაგეკარგოთ

თქვენც ყეფთ, ხანდისხან კბენასაც ცდილობთ. რომელიმე ბურჟუაზიული სახელმწიფო როცა რომ გადმოდის ჩვენზე შეტევით, თქვენ მათ წინამძღოლობასაც უწევთ. ეს არ არის გასაკვირი. რადგანაც თქვენ იმედი გაქვთ, რომ რომელიმე იმპერიალისტურ სახელმწიფოს ჩვენზე გამარჯვება დაგიბრუნებთ თქვენ ბატონ-პატრონობას.

თქვენ თვალები გიბრმავდებათ ჩვენი მიღწევებით.

ჯერ ჯერობით თქვენ მანდ იმედს არ ჰკარგავთ, თუმცა თქვენი მოძმეები აქ უკვე ხავსსაც კი აღარ ეპიდებიან. თქვე საცოდავებო, აქამდის ის ვერ გიგრძვნიათ, რომ ისტორიის ჩარხს თქვენი ფანტასტიური სურვილი ვერ დააბრუნებს. რაც ჩნდება, ის იზრდება და აი ჩვენც ვიზრდებით თქვენი თვალის დასათხრელად.

იმ დროს, როცა თქვენ მანდ ლოთობით, ფოქსტროტებით და იაფი პოლიტიკანობით იგრილებთ გულს, ჩვენ აქ ვაშენებთ ზაჰესებს, რიონჰესებს, დნეპროსტროებს, ტრაქტორსტროებს, ურალნევთებს, ტურქსიბებს, ცემენტის, აბრეშუმის, მაუდის და რა ვიცი კიდევ რამდენ სხვადასხვა ქარხნებს და ზავოდებს. გაგვყავს ახალი არხები და ვრწყავთ სოციალისტურ ლიანდაგზე გადაყვანილ სოვხოზების და კოლხოზების მინდვრებს და ველებს. საცა თქვენ განუწყვეტლივ ომს აწარმოებდით, იქ დღეს ჩვენ ათობით ჩაის ქარხნებს ვაშენებთ, ათი ათას გექტარებს, ჩაის პლანტაციებს ვამუშავებთ. საქართველო რამოდენიმე წელში გადაიქცევა იმ მდიდარ კუთხეთ, რომელიც დაფარავს მთელ საბჭოთა კავშირის ჩაის მოთხოვნილებას, ამ გიგანტიურ საქმეში ხუთ წელში ჩავყრით ორას მილიონზე მეტ ფულს.

კიდევ რა გითხრათ, რითი დაგიბრმაოთ თვალები. ვიცი არც ისე გესიამოვნებათ, რომ ამავე დროს ჩვენ დიდ კულტურულ მუშაობასაც ვაწარმოებთ მუშებში და გლეხებში, თქვენ მოკავშირეს—წერა-კითხვის უცოდინარობას ბოლოს უღებთ უახლოეს წლებში. გეგმით გათვალისწინებული გვაქვს მომავალ სამ-ოთხ წელში მოვფინოთ ყველა ბნელი და მიყრუებული კუთხეები სამკითხველოებით, კლუბებით, შკოლებით, კინო და რადიოებით. მილიონები კომუნისტებია, კომკავშირელების და უპარტიო აქტივისა გადაიქცევიან მასწავლებლებათ, ჩამორჩენილ გლეხობის განვითარებისათვის და კულტურულ ცხოვრებაში ჩაბმისათვის.

სოციალისტურ შეჯიბრებით, შრომის დისციპლინის აწევით, აქტიურ მუშების დაწინაურებით და მუდმივ სამუშაო კვირაზე გადასვლით გამოვალთ ყველა სამეურნეო გაჭირვებიდან და უფრო სწრაფი ტემპით გარდავქმნით ჩვენ სოციალისტურ ქვეყანას საერთაშორისო პროლეტარიატის სიამაყეთ.

ჩვენ ამ დიდ აღმშენებლობაში ვეყრდნობით ჩვენ საკუთარ ძალაზე, საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებაზე და ჩაგრულ ერთა თანაგრძნობაზე.

ქვა-ქვაზე, აგური-აგურზე იწყობა მუშის ძარღვიან კლავით და დღედღეთ მაგრდება ის საძირკველი, რომელზედაც დამყარდება საერთაშორისო სოციალისტური წესწყობილება და ეს ქვები და აგურები ერთ და იმავე დროს შეიქმნება თქვენთვის იმ სასაფლაო ლოდათ, რომელიც დაგაწვებათ გულზე.

ჩვენ ვაშენებთ ახალ ქვეყანას. ჩვენ ვიბრძვით და დაუნდობლად ვანადგურებთ ყველა იმას, რაც ამ აღმშენებლობაში წინ გვეღობება.

ოფლით და სისხლით დავიწყეთ ჩვენი დიადი საქმე. თქვენ წინასწარმეტყველობდით, რომ ბოლშევიკები ერთ-ორ თვეზე მეტს ვერ შეინარჩუნებენ ხელისუფლებასაო—და აი, დღეს, მეცამეტე წელიწადს ვიწყებთ ჩვენი სიცოცხლისა და წინსვლისას და თქვენი გახრწნისა და განადგურებისას, ჩვენ ვიფურჩქნებით, ვიზრდებით და ვმაგრდებით, თქვენ კი სჭკნებით და ლპებით.

მაშ გაუმარჯოს ჩვენს დაბადების მეცამეტე წელს. ჩვენი დღესასწაული თქვენთვის სიკვდილზე მძიმეა.

ქიზიყელი.

## ვინ რაზე სჩივის

მენშევიკები სჩივიან:
— ვაჰ, დავკარგეთ ერიო.
მონაზონი ქმარს დაეძებს:
— სად გამექცა ბერიო?!

თავადს ჩუმპე დაუშვია —
და ბურჟუას ცხვირიო,
ნეპმანზე აბა რა გითხრათ,
ადგას გასაჭირიო!..

კულაკი სჩივის:—ქირზედა
მომემატა ქირიო,
კოლექტივის დაარსებით —
ცოფმორევით ვსტირიო.

მღვდელს ჰკრიან ქათამივით,
დასთრევს ანაფორაო,
განათლებამ საყდარიდან
ხალხი დააშორაო.

დიაკვანს კომუნისტების
არ ასვენებს ჯინიო,
იმ დროს ნატრობს, როცა სავსე
მიჰქონდა ხურჯინიო.

და ერთმანეთს შესჩივიან:
— დავკარგეთ სამოთხეო,
ღმერთო, ერთხელ კვლავ გვაჩვენე
ძველი, საამო დღეო.

აგონდებათ მუქთაჭამა —
ზურგიელი, ტაბლაო..
ყოფილი „მრევლი“ დასცინის:
— დასცემიათ დამბლაო?!.

ფუფუნდია მღვდელს გაურბის,
მეტრფე კოლიას
ეუბნება: კომცომოლას
მინდა გავხდე ცოლიო.

ექიმბაში ექიმს ლანძღავს;
— იმან გამაუქმაო,
ხალხს თვალები აუხილა,
და წამართვა ლუკმაო.

და ყველა არამზადები —
ეხლა შიშით ძრწიანო,
ჩვენი დანგრევის მეტზედა
არაზე იიწვიანო.

მაგრამ ყველგან ანიავებს
მათ ოქტომბრის ქარიო,
რომლის წარმტაც მოძახილზე
ჟღერს კომუნის ქნარიო.

ტარზან.

# ოქტომბრის ნალექი



ეს გმირები, ხალხის მტრები, ვისიც ქონდათ შიში, ძრწოლა
ოქტომბერმა ტარტაროზის სამეფოში გადისროლა.

# ჯამის გაკეთება

ოქტომბრის დღესასწაულის გამო, იმ დაწესებულებაში, რომელზედაც ახლა მოგახსენებთ, შეუდგნენ კედლის გაზეთის გამოშვებას.

პირველი წერილი, მოწინავის დაწერა, რასაკვირველია, გამგემ იკისრა.

— „დღეს ოქტომბრის 12 წლის თავია,— დასწერა მან,— ამიტომ ჩვენი ვალია ჯამი გაუკეთოთ მიღწევებს და არ დავივიწყოთ ნაკლულოვანებანიც. ორივე ამ დარგში ჯამის გასაკეთებელი.

ვიწყებთ რა ჯამის გაკეთებას ჩვენი საქმიანობისთვის, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ჩვენი მიღწევები, მაგრამ ამავე დროს ჯამი არ გაუკეთოთ დეფექტებსაც.

მაგრამ ჯამის გაკეთების დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ჯამი უნდა გაკეთდეს სასტიკი თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ, ისე, რომ ჯამის კეთების პროცესში ადგილი არ ექნეს ჩვენი დაწესებულების თანამშრომელთა მიერ ჯანსაღი თვითკრიტიკის ჩახშობას.

სულ სხვანაირი იყო საქმეთამმართველის წერილი, რომელსაც კედლის გაზეთში გამგის წერილის გვერდით უნდა დაეჭირა საპატიო ადგილი.

მართალია, ბოროტი ენები ამბობენ, რომ მან გამგის წერილი წინასწარ ჩაათვალიერა და იქიდან რაღაც - რაღაცეები, ისესხა, მაგრამ თქვენი რა მოგახსენოთ და კერძოდ ჩვენ ამას ვერ დავიჯერებთ. საქმეთამმართველი სავსებით დამოუკიდებლად ადგენს მიმართვებს და ახლა, კედლის გაზეთისთვის წერილის დაწერაში რა ეშმაკი გაუწყრებოდა, რომ პლაგიატისთვის მიემართა!

იმ აზრის გასამართლებლად, რომ საქმეთამმართველის წერილი გახლავთ სავსებით დამოუკიდებელი და ორიგინალური, მოგვყავს წერილის დამახასიათებელი ადგილები:

— „იქვე არ არის, — სწერს იგი, —რომ დღეს ოქტომბრის 12 წლის თავია. ეს ავალებს, ყველას გაუკეთოს ჯამი მიღწევა - დეფექტებს და ორივე დარგი შეაჯამოს. ყველამ უნდა იცოდეს, (მე მარტო მოლარე-ბუხგალტერზე არ ვლაპარაკობ), რომ ჯამები მომენტში უნდა გაკეთდეს სასტიკი თვითკრიტიკის შანთით.

ყველა ხედავს, რომ აქ პლაგიატის ნასახიც არ არის. თუ გამგე სწერს „მაშ ეგრეს“, საქმეთამმართველი სულ სხვას, სახელდობრ: „ეგრე მაშ“ ხმარობს, „თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ“-ის ნაცვლად — „თვითკრიტიკის შანთით“ სწერს და სხვ.

საერთოდ, ამ წერილის შემდეგ საქმისმწარმოებელი საბოლოოთ დარწმუნდა თავის უფროსის ფურნალისტ - პუბლიცისტურ ტალანტში, მაგრამ გადასწყვიტა თვითონაც არ დაეგდო ტოლი.

ვერ დავმალავთ იმასაც, რომ წყეულმა მოლარემ გესლიანი ხმები გაავრცელა, თითქოს საქმისმწარმოებელს წერილის შინაარსიცა და სხვა ბევრი რამ საქმეთამმართველისაგან მოეპაროს, მაგრამ თქვენი რა მოგახსენოთ და ჩვენ, კერძოთ, ამ შემთხვევაში მოლარის (რომელიც პოლიტიკურ საკითხებში, რბილად რომ ვთქვათ, სრული პროფანია) ფეხის ხმას ვერ ავყვებით. ურწმუნოთა დასაჯერებლად ინებეთ საქმის მწარმოებლის წერილის ზოგიერთი ადგილი:

„რომ დღეს ოქტომბრის 12 წლის თავია, ამას ალარ უნდა ლაპარაკი. თავისთავად მარტო ეს საქმე № (ტექსტში ნომერი წაშლილია, ალბათ პროფესიამ თავისი აქაც გაიტანა და „საქმე“—„დელო“ გაახსენდა) ვალდებულს გვხდის ჩვენებური ჯამი გაუკეთოთ დეფექტ - მიღწევებს. უნდა ესმოდეს ყველას (მე არ ვგულისხმობ მარტო რეგისტრატორის და მემანქანე ქალებს), რომ ჯამები უნდა დამზადდეს უსაშინელესი თვითკრიტიკის შამფურით...

აბა ასე! გადავაპირდაპიროთ სოციალისტურ მშენებლობას... და სხვ.

თქმა არ უნდა, რომ აქ სავსებით დამოუკიდებელ შემოქმედებითი ცეცხლს გააქვს გუზგუზი.

ბუნებრივია სავსებით და ადვილად გასაგებიც, რომ რეგისტრატორმა თავის დროზე აუღო ალღო საქმისმწარმოებელს და წერილის შედგენის დროს სხვადასხვა მომიზეზებით სულ თავს დასტრიალებდა და მართლაც მან მოახერხა წერილის შინაარსის საფუძვლიანად დამახსოვრება.

რასაკვირველია, ეს მოხდა არა იმ მიზნით, რომ რეგისტრატორს თუნდაც იოტის ოდენა განზრახვაც ჰქონდეს პლაგიატის, რა თქვენი ბრძანებაა! ეს კაცი ახლაა რეგისტრატორი, თორემ თუ საქმეთამმართველი ძველად ნაფიცი ვექილი იყო, ხოლო საქმისმწარმოებელი — გენერალ მაიორი, ჩვენი ახლანდელი რეგისტრატორი უწინ ბლაღოჩინი გახლდათ და საკუთარსა და დრამის ფულსაც რომ თავი დავანებოთ, ისედაც საკმაოდ დიდი შემოსავალიც ჰქონდა. მაგას თავის დროზე, როცა ამ ქვეყნად რუდუნის და ხატის გასავალი იყო, დიდად უქებდნენ როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის შეუდარებელ ცოდნას.

მე ამ ხალხის გენეალოგიას ახლა კი არ მოვყვებოდი, მით უმეტეს ამ წმენდის დროს, როცა აპარატის წმენდა იწყება და მოლარე ასეთი ადამიანი გადაცურცხება, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და თან მინდა დავუმტკიცო, რომ ქვემოდ მოყვანილი წერილის შედგენის დროსაც სავსებით დამოუკიდებლად იფურჩქნებოდა რეგისტრატორის შემოქმედების ყვავილი (მართალია, ცოტა მყრალი სუნის, მაგრამ მაინც ყვავილი). რა უყოთ, რომ მოლარის გესლი არც რეგისტრატორს ასცდა და იგი ყველას ეჩურჩულებოდა რეგისტრატორის პლაგიატობის შესახებ. მაგრამ ჩუმად მოლარევ! აი თვით წერილიც:

„ვინ იქნება ისეთი კონტრ-რევოლუციონერი, სთქვას, რომ დღეს ოქტომბრის 12 წლის თავი არ არის? —არავინ და, მაშასადამე, ეს აზრი მიღებულია ერთხმად და უნდა გავატაროთ რეგისტრაციაშიც. ამიტომ თითოეული ჩვენგანი მოვალეა იკისროს ჯამების გაკეთება და გადახედოს, როგორც დეფექტებს, ისე მიღწევებს. არავინ არ უნდა დაიფარყოს (მე ხომ მარტო შიკრიკზე და დამლაგებელზე არ ვლაპარაკობ), რომ ჯამების გაკეთება უნდა მოხდეს შემაძრწუნებელი, თავბრუდამხვევი და გულის - გამგმირავი თვითკრიტიკის ნიშნით, რომ საერთაშორისო ბურჟუაზიას თმა ყალყზე დაუდგეს შიშით.

სხვათა შორის, ამ უკანასკნელი სტრიქონების წერის დროს, რეგისტრატორს თითონვე აუდგა თმა ყალყზე, რასაც მე შემოქმედებითი მორევში შეტოპვით ვხსნი, ხოლო ზოგიერთი იქაური თანამშრომელი (მოლარე, ბუხგალტერი, და სხვ.) მით, რომ წერის დროს რეგისტრატორს თავზე დაადგა თვით ადგილკომის თავმჯდომარე და რაღაც ანკეტა დაუდო წინ (ვგონებ წმენდას შეეხებოდა).

ასე ზეპირად, რა თქმა უნდა, ძნელია თქმა, სახელდობრ: რატომ გამოუვიდა რეგისტრატორს თვითკრიტიკის ლოზუნგი ეგზომ გულშემზარავი, მაგრამ იგივე ბოროტი ენები გაიძახიან, რომ ამით მას წმენდის წინ სურდა თავისი რევოლუციონერობა დაემტკიცებინა. მე მგონია, ესეც პროვოკაცია უნდა იყოს.

დაბოლოს, კედლის გაზეთში გაიგზავნა ერთი ლექსი, რომელიც ალბათ, რაღაც საბედისწერო შემთხვევის გამო ასცდა (ცოტა ხელება ასეთი?) ნაბეჭდი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციათა კედლებს. (დაიბეჭდებოდა თუ არა, ეგ არ ვიცი).

ლექსი ეკუთვნის იმავე დაწესებულების სამნეო ნაწილის გამგეს (იგივე, რაც ზავხოზი), რომელიც ავად არის თავისუფალი მგოსნობის სენისგან.

ლექსის ზოგიერთი ადგილები:

„დღეს თორმეტია ეს ოქტომბერი
ამას არ უნდა ლაპარაკი,
მაშ. ერთი ჯამი ჩვენც გავაკეთოთ
ჩვენი მიღწევა - დეფექტებისა.
დემონსტრაციას ნუ დაიკლებთო
(ზოგიერთებმა იცის გაპარვაც),

და წინ წავიდეთ შეუამებულათ თვითკრიტიკების მარჯვე მუგუზ-ლით.

კედლის გაზეთებისთვის წერილე-ბის დაწერის ამბავი მთელმა ქვეყა-ნამ (იგულისხმეთ ამ დაწესებულების თანამშრომლები) გაიგო. ყველა მუ-რით უყურებდა ამ მწერლებს და თვით მათ ხომ უდიდესი პერსპექტი-ვები ეშლებოდათ წინ ხელფასის მო-მატების; წინ წაწევის და სხვა წარჩი-ნების. მათი ოჯახის წევრებიც დიდ ფუსფუსში იყვნენ.

— „რა მიჭირს, რომ ეს წერილი დიდ გაზეთებში არ გავგზავნე, ფიქ-რობდა თვითეული მათგანი, — აქ მასშტაბი პატარაა, იქ კი — რესპუბ-ლიკანური. ასეთი წერილისთვის იქ მეტი წარჩინება მომეცემოდა“.

დიახ, ასე ფიქრობდნენ ეს ახალი კედლკორები, მაგრამ კედლის გაზე-თის რედკოლეგია სულ სხვანაირი ჯანდის გამოდგა.... კალამი არ მემო-რჩილება ამის დასაწერათ, მაგრამ უნდა ვთქვა მაინც.. სულ ერთია, რომ დავმალო, მაინც გაიგებთ.. ერ-თი სიტყვით, და. ჰოი, საშინელებავ!

არც ერთი ზემოდ მოყვანილი წე-რილი არ დაიბეჭდა..

მათ ნაცვლად, საიუბილეო ნომე-რში მოათავსეს წერილები, რომლე-ბიც შეეხება იმ დაწესებულების წმენდას, განუწყვეტელ მუშაობას, მუშების დაწინაურებას, მუშურ თვითკრიტიკას, შრომის ნაყოფიერე-ბას და დისციპლინას და სხვ. კიდევ მეტი: რედკოლეგიის უმადურობა იქამდე მივიდა, რომ გააწმენდინა ჯამში ზევით რომ ჩამოვთვალე იმ ხალხსაც ათავსებს, ხალხს, რომელიც თითონ ასე გულმოდგინეთ აყენებ-და ჯამებს შემაძრწმუნებელი თვით-კრიტიკის შანთის ქვეშ“.

ალლარ-ალლარსან.

# „მსუბუქი კავალერისტი“ დღიურიდან

10 ხექტ. ქუთაისი. დღეს ვეწვე-ვით კაპ. კალანდაძის „საბრძანე-ბელს“. ეს კაცი არც ისე ბუმბერა-ზი ყოფილა, როგორც მე მეგონა. (მრავალი ხმები დადიოდა მის მიერ ჩადენილ „საგმირო საქმეების“, შესა-ხებ. ჩვენც ხომ ამიტომ ვეწვიეთ!) ბიუროკრატობის არავითარი გა-რეგნული, დამახასიათებელი ნიშანი არ აქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენ თვალწინ რამოდენიმე მთხოვნელი „გააბუნძულა“.

როცა კაბინეტში კეთილშობილი მანდილოსანი შემობრძანდა, საჩქა-როთ წამოხტა და ხელზე ემბორა. აღმოჩნდა, რომ მანდილოსანი კა-ლანდაძეების ჯილაგს ენათესავებო-და. ამიტომ „დიდმა“ კალანდაძემ ბარე ორი ოთახი უბოძა მას თავის „სამფლობელოში“.

1 ოქტ. აპარატის წმენდამ მთელი ქალაქი აახმაურა. (ჯერ წმენდაც არ დაწყებულა და ტყავში ძვრებიან.).

საღამოს ლიუქსემბურგის ქუჩაზე (ქუთაისში ერთად - ერთი უსახელო პროსპექტი) ჩავიარე. მოსეირნე „წყვილები“ სწრაფი სვლის ნებას არ მაძლევდა.

— რატომ ყველას აქ მოუყრია თავი? — გაჯავრებით წამოვიძახე.

— არაფერია. ეს პარტწმენდის მო-ზეზია. დაიცათ. სეირს მაშინ უყურე, როცა აპარატის წმენდა დამთავრდე-ბა! — ჩამილაპარაკა ვიღაცამ.

4 ოქტ. დამზღვევ სალაროში შე-ვიარე. ასეთ ადგილებში ბევრი სა-ქმილო რამე-რუმე იცის.

მივადექი პირველ სარკმელს.

— იქ!—იყო პასუხი.

მივედი „იქ“.

— იქ!—მივიღე პასუხათ. მივაკითხე მესამეს.

— იქ!

მივედი ნაჩვენებ სარკმელთან. ხნიერი დედაკაცი საყვედურის კი-ლოთი ლაპარაკობდა:

— რა ვქნა, ბატონო, მეტი არ შე-მიძლია, სადაც მივედი ყველგან „იქ“-„იქ“-ს მეუბნებიან; ჩემს საქმეს კი საშველი არ დაადგა.

— იქ! — მეც ასეთივე პასუხი მო-ვიღე.

კითხვის ნიშანს დავემსგავსე, რა-დგან შემდეგი სარკმელი არსად აღ-მოჩნდა.

— მართლაც „იქ“ („ტარტაროზ-ში“) გასაგზავნია ეს ხალხი. — ჩაი-ლაპარაკა ვიღაცამ.

ხვალ ამ ამბავს ტარტაროზს გა-ვუგზავნი.

ბაზრო.



— ღმერთო მიეც გამარჯვება კომუნისტებს ყოველივე საქმეში, დღეგრძელობა და....

— კაცო, შენ ხომ არ გაგიჟდი? რატომ ლოცავ კომუნისტებს?!

— რა ვიცი, ძმაო, რა! მგონი ღმერთის ჭკუაც ამ ქვეყანასავით უკუღმა ბოლშევიკების დაღუპვასა ვსთხოვმა გადატრიალებულა. ამდენი ხანია ება ბოლშევიკებს. ალბად უკუღმარ-და, ჩემი თხოვნა ლოცვად უსრულდ ვსთხოვ მას კომუნისტების გამარჯვე-თად ესმის ღმერთს, და მეც ამიტომ მას, ეგებ პირიქით აისრულდეს.

# მკითხველებს

ამოსჭერით ეს ადგილი, შეავსეთ და გამოგვიგზავნეთ:

1. გაკმაყოფილებთ თუ არა ჟურნალის შინაარსი (ტექსტი და მხატვრობა)?

2. რას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება?

3. კიდევ რა განყოფილებებია ჟურნალში საჭირო?

4. როგორია ჟურნალის ტექნიკური მხარე?

5. რა აზრისა ხართ ახალგაზრდა მხატვართა გვერდზე?

6. თქვენი საერთო შეხედულება ჟურნალის ავ-კარგიანობაზე?

# ცნობათა მიღება



შოთ—ბოჩს (კულაში, ქუთაისის ოლქი) — ვაქვეყნებთ თქვენს დეპეშას:

დიდ-ჯიხაისში დაარსდა მეფრინველეთა კომიტეტი, სადაც ყიდულობენ ქათმებს წლოვანობის და მიხედვით. წლოვანობის გამოსაცნობად დანიშნეს ყოფილი დიაკონი — აბიბო თევზაძე, რადგან ის მიჩვეული იყო მეტრიკულ საბუთების ძებნას, განსვენებულ ნიკოლოზის დროს.

ჩვენის აზრით, თქვენი ყოფილი დიაკონი მაინც არ არის სავსებით მისი სპეციალობის მიხედვით გამოყენებულ. გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ მისთვის წლოვანების გამორკვევის ნაცვლად კათმების ხორცის გემოვნების გამორკვევა დაევალებიათ.

სვანკროს (სოფ. ხაიში, ზემო-სვანეთი) — ექიმის თანაშემწე ნიჟარაძის შესახებ გვატყობინებთ:

საკურთხი და ტაბლა უყვარს,
კულაკებთან ერთად ცოცავს;
ხუცესს შვილებს ანათვლინებს,
არ აკლდება წირვა-ლოცვას.

ვინც ასე „ალრმავებს“ კულტურულ რევოლიუციას, —გულა-ნაბადი მისთანა ძიას.

ქამპიოს (ბათომი) — რადგან თქვენი „არავინ ინატროთ“, განმეორებით მივიღეთ და როგორც გავს ალარ „გვეშვებით“, მოგვყავს თქვენი ლექსის პირველი ნაწილი:

არვინ ინატროთ
რბილ რონოდით მოგზაურობა,
დარწმუნდით ყველა,
არ გეგონოთ თქვენ ეს ხუმრობა.
დაგესევა მთელი როტა
ბალლინჯო, მკბენარი,
თუ გამოხვედით იქიდან
თქვენ დაუკბენარი,

ჩვენ კი ასეთი „გამართული“ ლექსების დასევას, ისევ რბილი რონოდით მოგზაურობა გვირჩევნია.

მიხ—რელს (ახალ-სენაკი).— თქვენი ლექსი „ვინ როგორ ამაყობს“, ასე თავდება:

ქალაქის საბჭო ამაყობს,
წლიურად ორი კრებითა,
აკუშერკები ამაყობს
შვილების გამოყვანითა,
მა, გავათავე ეს ლექსი,
დავჭერი ზოგი კალმითა,
ბასრია ჩემი კალამი,
ვწერამ მე წითელ მელნითა.

წითელი მელნით კი არა, ალმასის ასოებითაც რომ წეროთ მაინც:

თქვენ უსაფუძვლოთ ამაყობთ,
ლექსების გამოყვანითა.
ბლაგვია თქვენი კალამი,
ლექსიც გოდორში ჩავიდა.

სერს (სადგ. გომი) — თქვენ გვატყობინებთ: სადგურის უფროსი გაჩეჩილაძე სამსახურში მოვალეობის ასრულების დროს იმხელას ღრიალებს, რომ იქაურობას აყრუებსო.

კაცია და ხასიათი. რკინის გზის პირობები, რკინისგზელ გაჩეჩილაძეზე თავისებურ გავლენას ახდენს და ისიც, ალბათ, ყვირილის დროს მატარებელს ბაძავს, მაგრამ, თუ ტონს არ დაუკლო, მაშინ მატარებელს წასვლაშიაც მიბაძავს.

როგორც თქვენი ლექსიდანვე სჩანს, იმავე სადგურის უფროსის:

თანაშემწე ფაჩულია,
ღვინის სმაში გაბმულია.

ჩვენ კი მოუწოდებთ სოფხიზლისაკენ, რომ ღვინის სმაში გაბმული, სხვა „იმაში“ არ „გაებას“.

ან-კომ-კორს (სოფ. გომი, ქუთ. ოლქი) — ელენეს შესახებ გვატყობინებთ:

კონტრაბანდისტი განთქმული,
ჩვენი თემსაბჭოს წევრია;
შევიოტები გაყიდა,
ფული აიღო ბევრია.

ალბად, „ქალბატონი ელიჩკა“ სულით [illegible] ცდილობს თავის მეზობლების შევიტებით გამოწყობას. ადგილობრივი ორგანიზაცია კი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ასეთ „საბდოვლათების“ სათემო საბჭოდან „გამოწყობას“.

ძამანჩას (აქვე) —

შენი „შაირი“ წავიკითხეთ,
ბიჭო, თავიდან,
„ზარით, გრიალით“, კალათაში
ჩახტა, ჩავიდა.

ჩიუგენს. — წავიკითხეთ თქვენი ლექსი [illegible] ციის ქურაზე მცხოვრებ ლიდა ვასაძის შესახებ და რომ ტარტაროზის წვერებ დაბასრული ჩანგალი არ გვქონოდა ხელთ მომარჯვებული, შიში შეგვიპყრობდა. მოგვყავს დამახასიათებელი ადგილები:

კოოპერაციის ქურას,
შიშის ზარს სცემს ქალი ლიდა.
და მეზობლებს ემუქრება
რევოლვერით, კეტით, ქვითა,
ხელობაა მისი მხოლოდ:
ლანძღვა, თრევა, მუშტი, კრივი;
ეტყობა, რომ ახალ მოდის
არის „ოთარაანთ ქვრივი“.

ამბობენ, „მადა ჭამაში მოდისო“ და ადმინისტრაციაც დროზე უნდა შეუდგეს ამ თავგასული „ბანოვანის“ „მორჯულებას“, თორემ მეზობლებისა და კოოპერაციის ქურის „წაზაკუსკების“ შემდეგ შეიძლება მან „გაალრმავოს იერიში“ და მთელი დიდუბის რაიონის „წავახშმება“ მოისუროს.

შ. ტო—ძეს (გომი)— თქვენი ნახატი „წმენდაში მოყვა“, არ გამოდგა და ისიც მიღებულ კორესპონდენციების „წმენდაში“ მოყვა.

ზროზნის (ს. კორიბოული, ხაჩხერის რაიონი). — მივიღეთ თქვენი ლექსი „ნახევრად გაწმენდილი“, რომელშიაც თემკომის ყოფილ მდივნის შესახებ ვკითხულობთ:

უნახ ესტ ადინ დარიხპაშ,
მაჭარაშვილი გვარადა,
ინტრიგან - მოკინკლავეა,
განთქმული მთად და ბარადა.
ამას წინად „ზემლი პროდალ“.
თავისა ძმის დუმლის პირას,
ეგონა ვერ გაუგებდენ,
გაუმჟღავნდა წასულ კვირას.
მას აქვს ბევრი სხვა ცოდვები,
გაუსინჯეთ კარგად კბილი;
მისი ცუდი საქმეებით,
ყველა არის განაკვირი.

თუ ასეა, „ნახევრად გაწმენდილი“ კი არა, სავსებით გასაწმენდი ყოფილა.

ურანს (ახალციხის მაზრა).— ჩვენ მოგვეწონა თქვენი ფსევდონიმი „ურანი“, მაგრამ როდესაც თქვენი ლექსი წავიკითხეთ, თვალებზე გადაგვეკრა ბურანი.

„ასანო დალშე“.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია. გაზ. „კ ო მ ი ს“ გამოცემა. მთავლიტი № 1346. საქ. პოლიგ.-ტრესტის 5 სტამბა, შეკვ. № 68.

ოქტომბრის ხ





კვირა, 17 ნოემბერი 1929 წ. № 47 (281) ფასი 10 კაპ.




„ტარტაროზი“-ს მიერ შესრულებული ხუთწლიანი გეგმა

# ხუთი წელი

**ხუთი წელია,**

რაც ჩვენი ჟურნალის პირველი ნომერი ყუმბარასავით გასკდა ჩვენი მტრების ბანაკში.

**ხუთი წელია,**

რაც ჩვენი ჟურნალი განუწყვეტლივ ატარებს საბჭოთა იუმორისა და სატირის დროშას.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ, ძისი ხელმძღვანელები და თანამშრომლები გამსჭვალულნი ვიყავით ერთი აზრით და ერთი მიზნით — ჩვენც შეგვეტანა ჩვენი წვლილი იმ დიად სოციალისტურ აღმშენებლობაში, რომელსაც დაუღალავი შრომით და თავგანწირული ბრძოლით აწარმოებს მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

„თავის ქება კიტრათ ღირს", ამბობს ხალხური ამდაზა და ჩვენც ამ თქმულებას გავამართლებდით, რომ ჩვენი ჟურნალის მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად საკმაო ნაკლულოვანებებსაც არ ვამჩნევდეთ და მათ შესახებ თქვენს წინაშე „პირში წყალს" ვიგუბებდეთ.

აღსანიშნავია, რომ იუმორისა და სატირის მნიშვნელობა საბჭოთა პირობებში უფრო მეტია, ვინემ ეს ზოგიერთ „განათლებულ" ხალხს ჰგონია.

მათ ალბად არ ესმით, რომ დღეს, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში და თვითკრიტიკის გაშლის პროცესში იუმორისა და სატირის მნიშვნელობა უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე (მათ ალბად არ უგემიათ იუმორისტის გაალმასებული და გესლიანი კალმით გამოწვეული სიმწარე).

არის ისეთი ხალხიც, რომელიც იუმორისა და სატირისაგან მხოლოდ **სიცილს** მოელის.

სიცილი ერთ-ერთი თვისებათაგანია იუმორისა. საბჭოთა იუმორსაც უნდა ახასიათებდეს ეს თვისება; ჩვენ გვინდა სიცილი სალი და გონიერი, მაგრამ პროლეტარული იუმორისა და სატირისათვის სიცილი მაინც არ არის მთავარი, არამედ მთავარია ის, რაც საზოგადოთ საბჭოთა პრესის დანიშნულებას შეადგენს.

იდგა თუ არა ჩვენი ჟურნალი თავის სიმაღლეზე? ასრულებდა თუ არა ის თავის დანიშნულებას ამ ხნის განმავლობაში?

ამ კითხვებზე პასუხი ერთია:

— კი.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეცდომები არ გვქონოდეს, რომ ჩვენ წარსულში არ „წაგვეჩოქებიოს" — არამედ ეს იმას ნიშნავს, რომ **ჩვენ „სასირცხო მარცხი" არ გვქონია, ჩვენი მიზნისა და დანიშნულებისათვის არ გვიღალატნია.**

დღეს ჩვენი ჟურნალის მკითხველთა რიცხვი დაახლოვებით 40.000 აღწევს. არც ერთ მკითხველს დღემდის (სიტყვიერათ თუ წერილობით) ჩვენთვის არ მიუთითებია ისეთ შეცდომაზე, რომელიც „მიუტოვებელ ცოდვად" ჩაიწერებოდა ჩვენი მუშაობის „დებეტში". ჩვენ ვთხოვეთ ანკეტების საშუალებით მათ აღენიშნათ ჩვენი ჟურნალის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები... და ისინიც ეხებიან მთელ რიგ საკითხებს, რომლებსაც კავშირი აქვთ ჩვენი ჟურნალის არსებობასთან. მათი უმრავლესობა უმთავრესად მოითხოვს ჟურნალის სახელწოდების შეცვლას, ტეხნიკურად მის გაუმჯობესებას და აუცილებელ საჭიროთ სთვლიან ფერებზე ბეჭდვას.

— ჩვენ მოვითხოვთ, — გვწერს მუშა - მკითხველთა ერთი ჯგუფი, რომ ერთად ერთი იუმორისტული ჟურნალი საქართველოში იდგეს თავის სიმაღლეზე".

რედაქცია აღტაცებით ეგებება მკითხველთა მოთხოვნას და სავსებით იღებს მათ შენიშვნებს, მხოლოდ, საჭიროა ითქვას — შეგვიძლია თუ არა ახლო მომავლისათვის მათი მოთხოვნილებების შესრულება, შევძლებთ თუ არა ჟურნალის ტეხნიკურად გაუმჯობესებას, ფერებზე ბეჭდვას და, რაც მთავარია, მისი იდეოლოგიურ - მხატვრული ღირებულების აწევას?

უნდა შევძლოთ.

ამისათვის საჭიროა შესაფერი პირობების შექმნა, საჭიროა მეტი ყურადღება და თანაგრძნობა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანოების,საჭიროა მკითხველთა, თანამშრომელთა და ჟურნალის რედაქციის შორის მჭიდრო კავშირი... ასეთ პირობებში რედაქციისათვის **სიტყვა და საქმე** ერთი იქნება. ჩვენ ვიცით, რომ ჟურნალის გარშემო დაირაზმებიან მტრები; ჩვენ შორის იქნება გამწვავებული ბრძოლა' მეშჩანობა სამკვდრო - სასიცოცხლოთ შეგვებრძოლება, გვექნება შეტევა ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნივ, მაგრამ ჩვენ მაინც ბრძოლის წითელ დროშას ხელს არ გაუშვებთ იმ რწმენით და იმედით, რომ მშრომელთა ფართო ფენების დახმარება არ მოგვაკლდება.

სალამი ძვირფას მკითხველებს.

**რედაქცია.**

## ასე ფიქრობდა...



— რამდენიმე ნომრის შემდეგ დალევს სულს!

# ანონიმური ბარათი ტარტაროზს

შენი პირველი ნომერი გამოვიდა ხუთი წლის წინედ, 16 ნოემბერს.

ეს იყო 1924 წელში, ნოემბრის პირველ რიცხვებში.

— კიდევ ახალი უბედურება, აწ აღარ მოგვასვენებს ეს წყეული „ტარტაროზი". განა მწუხარება არ გვეყოფოდა, რომ ეხლა ესეც დაგვემატა!—ვფიქრობდი მე, მაგრამ ჩემი მეგობრები მანუგეშებდენ:

— ნუ გეშინია; გამოვა სამი-ოთხი ნომერი და მერე გაქრება; ვერ იარსებებს, უდღეური იქნება.

და მეც იმედი მქონდა, რომ შენ მალე დაიხურებოდი, აღიგვებოდი პირისაგან მიწისა.

— არა უშავს,—ვანუგეშებდი თავს,—ორკვირეულია, თვეში მხოლოდ ორჯერ გამოვა; მალე ჩაიხრჩვება, ამ წელიწადს ვერ გადიტანს!

და, მართლაც, თითქოს გამართლდა ჩემი იმედი, 1925 წლის დასაწყისში გვერდები შეგითხელდა—რვა გვერდით გამოდიოდი. იმედი მომეცა, მაგრამ...

რამდენიმე ნომრის შემდეგ ისევ გახდი 16 გვერდი. ყურები ჩამოვყარე, მაგრამ თავს იმით ვანუგეშებდი, რომ თვეში ისევ ორჯერ გამოდიოდი მხოლოდ.

— რაც ხანია სულს დალევს!—ისევ ვანუგეშებდით ერთმანეთს მეგობრები.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს (როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე), შენ მოულოდნელად გამოაცხადე, რომ:

„ამიერიდან ჟურნალი „ტარტაროზი" გამოვა ყოველკვირეულად".

კი წარმოიდგენ, თუ რა თავზარს დაგვცემდა ეს სამწუხარო ამბავი.

ასე გრძელდებოდა დიდხანს. ჩვენს იმედს შენი სიკვდილის შესახებ ჯვარი ესმებოდა, მაგრამ..

იმედს მაინც არ ვკარგავდით, რომ შენ დაიხურებოდი.

— 1925 წელს ველარ გადაშორდება!—ვიტყოდით ხოლმე, როცა წაგიკითხავდით.

ისევ იმედის გაცრუება.

1926 წლიდან შენ უფრო და უფრო გაუმჯობესდი, გაძლიერდი და იანვრიდანვე დაიწყე ფერად საღებავებით ბეჭდვა.

ამ ამბავმა ისე იმოქმედა ჩვენზე, რომ დავკარგეთ ყოველივე იმედი და შევურიგდით ჩვენს უბედურებას.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს (და ეს დღე მართლაც მშვენიერი იყო მაშინ ჩვენთვის), 1926 წ. 16 მაისს „ტარტაროზი"-ს № 48-ში შენ შეგითხელდა გვერდები და ნაცვლად 16 გვერდისა, გამოდიოდი 8 გვერდი.

ეს იყო, როგორც შენ იმავე ნომერში სწერდი ბრძანებაში, რეჟიმ-ეკონომიის გამო, რომ სხვებისთვის თვალსაჩინო მაგალითი მიგეცა მომჭირნეობის გასატარებლად.

— რეჟიმ-ეკონომია კი არა, სულს ჰლაფავს და იმისია ეს ბოდიში!— აღტაცებით ვამბობდით ჩვენ და დაგცინოდით:

— გაგითხელდა გვერდები ფარგასავით ხომ? მალე დაიხრჩვები, მალე!—და ჩვენ ბრაზისა და სიხარულისაგან ფეხქვეშ გსრესავდით.

ყოველ კვირა დღეს მოველოდით შენს გარდაცვალებას, მაგრამ იმედი არ გამართლდა.

და, ვაი ასეთ ხანმოკლე ჩვენს სიხარულს, ორი თვის შემდეგ, 18 ივლისს გამოვიდა შენი № 57 16 გვერდით.

ყუმბარასავით გავარდა რისხვათ ჩვენს ქარალ თავზე ეს ამბავი.

ხანდახან, როცა ერთი ფერის საღებავით გამოდიოდა შენი ნომერი, ჩვენ, უგუნურებს, იმედი გვებადებოდა:

— ჰა, მგონი იწყება მისი აღსასრული!

მაგრამ 1927 წლიდან შენ დაიწყე კონკურსების გამოცხადება და სპეციალური ნომრების გამოცემა, რამაც შენ კიდევ მეტად გაგაძლიერა, ხოლო ჩვენ კი, პირიქით, სამარე გაგვითხარა.

— რაც უნდა მოხდეს, „ტარტაროზს", არ ეღირსება ასი ნომერი!—ხშირად ვინუგეშებდით თავს.

მაგრამ, როგორც ყოველი იმედი, ეს იმედიც გაგვიცამტვერდა 1927 წ. 15 მაისს, როცა შენ გამოეცი ასი ნომრის გამო „ტარტაროზი"-ს საიუბილეო ნომერი 32 გვერდით და დაგვანახვე შენი ლაშქრის ძლიერება.

იმედს ჯვარი დაესვა.

მძულდი, მეჯავრებოდი, მაგრამ მაინც ვკითხულობდი შენს ყოველ ნომერს, რომ შიგ მენახა შენი დაუძლურებისა და აღსასრულის მოახლოვების ნიშნები.

მაგრამ ამაოდ. რაც დრო გადიოდა, შენ უფრო ვაჟკაცდებოდი, თავისს საკუთარ შეცდომებზე, რაც ჩვენ სულელებს ასე გვახარებდა, შენ სწავლობდი და იძენდი გამოცდილებას.

ასე გავიდა 1928 წელი.

1929 წლის დასაწყისში, მეგონა ჭკუა ნასწავლი მქონდა—აღარ ვოცნებობდი შენს დახურვაზე, მაგრამ შენმა სამმა ნომერმა, რომლებიც სახვევ ქაღალდზე გამოვიდა, ისევ იმედი მოგვცა, რომ შენ, მართლაც უნდა დაგელია სული მაშინ.

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა!.. გველირსა როგორც იქნა!— გვიხაროდა ჩვენ, როცა საავიაშო და სახვევ თხელ ქაღალდზე დაიბეჭდა შენი სამი ნომერი, (№№ 8, 9 და 10).

მაგრამ ჩვენ იმედი როდის გაგვმართლებია, რომ მაშინ გაგვემართლებოდა?!

ორი ნომრის შემდეგ, შენ ისევ განაგრძე ძლევამოსილი წინსვლა.

ეხლა რა უნდა ვსთქვა. სინამდვილე თავისთავად ლაპარაკობს ყველაფერს.

მე სხვა რა დამრჩენია!

„ტარტაროზის" ხუთი წლის თავის აღსანიშნავად ვიხდი ანაფორას და ვაპარსები.

ყოფილი მღვდელი ათანასე.

და ასე მოხდა!



— ეს აღარ მომწონს... ერთი ამას დამიხედეთ.

# „ტარტაროზი"-ს ხუთი წელი

ხუთი წელია,
თითქმის უგეგმო,
ვზომავდი მიწას
უწყულ-უჩექმოთ,
მექქირა ხელში
ბასრი ჩანგალი,
ბევრმა იგემა
მისგან კანკალი,
მღვდელი თუ ბერი,
სტაროსტა, მნათე
მის გამო ნაძრახ
სიცოცხლეს ათრევს,
რეკავენ ზარებს,
ალებენ ტაძრებს,
მაგრამ მათ ესე
რა შავ ქვას აძლევს,
თუმცა შავი ქვა
ან მარგანეცი
დიდი სარფაა,
საქმე ასკეცი:
ის ინდუსტრიის
ქვა-კუთხედია,
ხოლად ჩვენი ყოფის
შეოთხედია,
შესაძლო არის,
ნახევარიცა,
რომ მივუმატოთ
ნავთიც—მარილსა,
და ყველას შემდეგ,—
რკინას—ნახშირი,
მით ინდუსტრიას,
დღეს ედგმის ძირი!
მაგრამ თან დღეს ეს
საქმე ყოველი
სწრაფად მიდის წინ
ტემპით ცხოველით,
მანქანასავით
აწყობილია..:
დღეს სიკვდილიც კი
უფრო ტკბილია,
ვიდრე ძველს დროში
ყოფნა დასჯილი,
ბევრი უაზრო
შრომით გარჯილი.
რევოლიუციამ
ძველი წარეცხა
და ახალ ყოფის
მხარებელ მერცხლად
წამოაყენა
ხუთი წლის გეგმა,
სოციალიზმის
ერთ ქვეყნად შექმნა!..
ჯერ კიდევ ბევრი
მხარე თუ ხალხი
არიან ბნელში,
ცხოვრების ჩარხი
მათთვის უკუღმა
ისევ რომ ბრუნავს:
მათ კაპიტალი
წელში ცხრად ჰღუნავს!..
მხოლოთ რომ ხვდება
საბჭოთა კედლებს,
მუშათა მტრები
მიჰგავან „დედლებს"!
და უილაჯოთ
ძირს ჰხრიან თავებს,
როს ხედვენ გამრჯელ
მუშათა მკლავებს,
ხუთ წლიან გეგმის
ამასრულებლებს,
შემოქმედების
ფოლადის ხელებს,
წითელ საზღვრების
ერთგულად მცველებს!
ბოლო ის უფრო
საქმეს უძნელებს,
რომ იქაც, შინაც
ჰყავთ ამბოხები:
მტრულად უბღვერენ
ღარიბთ ქოხები,
მდიდრულ სასახლეთ
დამპყრებულნი!
შიშისგან უფრო
უსქდებათ გულნი,
როცა ჩვენს ჟურნალს,
წითელს „ტარტაროზს",
ამ ხალისიან
შრომის ავგაროზს,
ამოძრავებულს
და მოქმედს ხედვენ!
შიშისგან ენის
დაძვრას ვერ ბედვენ,
იწერენ პირჯვარს
(ვით შეენის მშიშარს!)
როცა ტარტაროზს
ეს პირჯვრის წერა
პირზე სიცილს ჰგვრის
და ალმაცერად
გაჰყურებს. იმათ
მოღრეცილ სახეთ!
თუ არა გჯერათ,
მოდით და ნახეთ!
თვითონ „ტარტაროზს"
ეს ეცინება:
იცინის ღამით,
იცინის დილით,
იცინის მთელ დღე,
მთელ სიცოცხლეში:
ქვეყნად ამდენი
დაგროვდა ლეში!
ემიგრაცია,
გენერალთ ხროვა
ყველგან გასწივის
„ახ, როდის მოვა
მეორედ მოსვლა,
განკითხვის დღენი:
წაშავდებიან
აი, ესენი!..
და საბჭოთაკენ
აშვერენ ხელებს:
კომუნისტები
ამ ხალხს ასელებს!
ბევრს მისგან უკვე
სიმწრით ახველებს,
უქენჯნის გულსა
და უნაღვლებს...
„ტარტაროზი" კი
იცინის მათზეც,
ამ დაკარგულ და
დაცემულ ხალხზეც:
შინაურებზე, გარეულებზე,
კონტრრევოლიუციის
მზარეულებზე!
თუმცა იმათი
სამზარეულო,
სასახელო თუ
საგვარეულო,
განწირულია,
გაბახებული,
და ჩვენგანიც უკვე
ყბად-აღებული!
ეგ ყბად-აღება
და გაბახება
დღეიდან უფრო
გეგმითაც ხდება:
„კამპანიები"
იქნება ბევრი
და დაიცლება
ურიცხვი ქვევრი,
ღვინით კი არა,
მელნის ტბებითა!..
(თუ გავუძელით
სიცილს ყბებითა!..) ხათ...

---

## „რ ე ც ე პ ტ ი"

— ექიმო, დამჩემდა ღამით უძილობა,
ვშფოთავ და ნერვები სრულად ამეშალა,
წუთითაც ვეღარ ვგრძნობ სულის დამშვიდებას,
ვჰკნები, მეკარგება თანდათან მე ძალა.
არ მშველის: ვანები, ნემსები, „კაპლები",
ზაფხულის ბუნება და ზამთრის ტაროსი...
— წამალი გჭირდება? გასწავლი, უებარს,
წადი, წაიკითხე სადმე „ტარტაროზი".
— მიშველე, ძმობილო: ცოლი მეჩხუბება,
დალეწა ოჯახში ჭიქები, სკამები,
სარკე და საინი, „კრაოტი", მაგიდა;
მკურნალი ვერ შველის, ჯავროთ ვეწამები.
არ ვიცი რა ვუყო! როგორ დავამშვიდო?
რა წამალს მივმართო, რომ ჰპოვოს მან შვება?
— ჟურნალი მიეცი ხელში „ტარტაროზი"
და ხელად მშფოთვარე გულზეც მოეშვება.
— გამგე გვყავს, ძმობილო, ჩვენ ბიუროკრატი,
არ შველის „ჩისტკა" და მუშკორთა მხილება;
ჩალათაც არ აგდებს არავის, არაფერს,
ავტოთი სეირნობს, მუდამ იღრინება.
ამაყობს სპეცობით, საქმეს არ დაგიდევს:
ერთი თვის პროგრამა წლის შემდეგ სრულდება.
— ჟურნალი მიეცით ხელში „ტარტაროზი",
ჩანგალს რომ დახედავს, ხელად მორჯულდება.

მედუზა.

# „ტარტაროზი"-ს ხუთი წელი საგარეო პოლიტიკაში



# ჩვენი ნაკლისა და მიღწევების შესახებ

იუმორისტული ჟურნალი „ტარტაროზი“ ფართოდ ვრცელდება მშრომელ მოსახლეობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ჩვენი ჟურნალი ვერ დგას თავის სიმაღლეზე.

ჩვენი სამეურნეო და კულტურული ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით ვითარდება, სოციალისტური გზით და იქმნება ახალი სოციალისტური ყოფა-ცხოვრების ფორმები. ჩვენი მუშა მკითხველებისათვის საჭიროა ჯანსაღი და გამამხნევებელი იუმორი, „ტარტაროზი“ კი ისევ ძველ ფორმებს ვერ გასცილებია.

დიდ იმედს გამოვსთქვამ, რომ ჩვენი ჟურნალი გამონახავს ახალ გზებს და შეიქმნება მუშა-მკითხველისათვის საუკეთესო იუმორისტული ჟურნალი.

საქ. კომუნისტური პარტიის ცეკას აგიტპროპაგანდის განყოფილების გამგე: ა. ჟოჟიკაშვილი.

ჟურნალ „ტარტაროზი“-ს რედაქციას ვუსურვებ საბჭოთა სატირისა და იუმორისათვის ერთგულ სამსახურს.

ქართულ ენაზე სატირულ - იუმორისტული ჟურნალი უნდა იდგეს თავის სიმაღლეზე. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მას. ჩემის აზრით უმჯობესი იქნება ჟურნალის სახელწოდება გამოიცვლებოდეს. საბჭოთა იუმორის და სატირის მნიშვნელობა დიდია.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

მეურნეობის და საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტურს ნიადაგზე რევოლიუციონური ტემპით გარდაქმნის ხანაში იუმორი უძლიერეს იარაღათ უნდა გამოვიყენოთ. ძველი ცხოვრების ნაშთების ულმობელი მხილება სოციალისტური მშენებლობის ფართო და სალს ფონზე, ძველი ყოფა-ცხოვრების ლაქების მოურიდებლად გამომჟღავნება, გაკრიტიკება და სასიკვდილოთ გაკიცხვა— ისე, რომ ჯანსალ სხეულზე მუწუკი მოხდენილი და მოფიქრებული მოქნევით მოიკვეთოს, ნაყარი არ იშოვოს, არ გაზვიადდეს და არ გავრცელდეს — ჩვენი იუმორი, უნდა იყოს ფაქიზი და მოხდენილი დაუზოგველს და გაცხარებულს ბრძოლაში სოციალისტური კულტურისათვის.

განსახკომის მოადგილე მარიამ ორახელაშვილი.

საბჭოთა იუმორი და სატირა მახვილი იარაღია ჩვენი მტრების წინააღმდეგ.

ჩემი სურვილია ჟურნალი „ტარტაროზი“ (რომლის სახელწოდების გამოცვლა სასურველია) ემსახურებოდეს ფართო მუშათა მასებს თავისი გაალმასებული კალმით შინაურ თუ გარეშე მტრებთან ბრძოლაში. სასურველია ჟურნალი იდეოლოგიურ - მხატვრული ღირებულებით გვერდში უდგეს რუსულ იუმორისტულ ჟურნალებს. ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს უსურვებთ პროლეტარულ სიმტკიცეს.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. მაჩაიძე.

თუ ჩემი სურვილის გამოთქმა საჭიროა, მხოლოდ ერთს გისურვებდით: უფრო მკვეთრად, უფრო მწვავეთ შეუტიოთ საბჭოთა ხელისუფლების მტრებსა და ორგულებს.

გაზ. „ახალი სოფელი“-ს რედაქტორი პ. მ. საყვარელიძე.

„ტარტაროზი“ დღემდე სუსტი იყო, როგორც იუმორისტული ჟურნალი. იუმორისტული ჟურნალის საჭიროებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

ამიტომ მთავარხელოვნება ერთად-ერთ სურვილს გამოსთქვამს „ტარტაროზი“-ს არსებობის ხუთი წლის თავზე: ჟურ. „ტარტაროზი“ მეორე ხუთწლედში გახდეს ნამდვილი საბჭოთა პროლეტარული იუმორის ჟურნალი, აგრეთვე ვისურვებ, რომ ჟურნალს გამოეცვალოს სახელწოდება.

ხელოვნების მთ. მართვ. უფროსი: ა. პაპავა.

რევოლიუციონური სატირა და იუმორი ბასრი იარაღებია პროლეტარიატის ხელში ბიუროკრატიზმისა, უკულტურობის, მავნებლობისა, რელიგიის და ძველი ცხოვრების ყველა დახავსებული ნაშთების წინააღმდეგ. და ამ ბრძოლაში „ტარტაროზს“ თვალსაჩინო მიღწევები აქვს.

ვუსურვებ რომ მომავალშიაც ის ასეთივე დაუდგრომელი მებრძოლი ყოფილიყოს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის და წინ ეღობება ძლევამოსილ სოციალისტურ აღმშენებლობას და სოციალისტურ კულტურის აყვავებას.

საქართველოს პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის გამგის მოადგილე: ჩხენკელაძე.

ჟურნალი „ტარტაროზი“ უნდა გახდეს ნამდვილი იუმორისტული და სატირული ჟურნალი საქართველოში. ამისათვის დაცული უნდა იქნეს ერთი მთავარი პირობა: იუმორი და სატირა არა უმიზნო, ყველასათვის სასაცილო, არამედ კლასობრივი შეგნებით გამახვილებული.

საქ. პროლ. მწერ. ასოციაციის მდივანი ბ. ბუაჩიძე.

საბჭოთა ყოფითი სატირა და იუმორი ბრძოლაა სოციალისტური მშენებლობის შემაფერხებელ მოვლენების წინააღმდეგ. ჩვენ გვჭირდება პოლიტიკური პამფლეტისტი.

ჩვენი იუბილიარის დანიშნულებაა მკითხველ მასების თანამედროვეობის ხაზით გადამუშავება. იუმორი ადამიანის და მისი უარყოფითი მხარეების ბოროტი დაცინვა კი არ არის, არამედ გამოსწორების მიზნით მხილება. ჩვენი იუმორი კლასიური, პროლეტარული უნდა იყოს ამ გზას უნდა დაადგეს ჩვენი იუბილიარიც.

ტეხნიკური ორგანიზაციის მხრივ ჟურნალი მოიკოჭლებს.

საჭიროა უკეთესი ილიუსტრაცია, შრიფტი, ქაღალდი.

სახელწოდების შეცვლა აუცილებელია.

სახელგამის საბავშო გამომცემლობის გამგე ვ. ლუარსამიძე.

ბოლშევიკის იუმორი მძიმე და მებრძოლია. ბოლშევიკის სტილი ამ სფეროში — სატირაა. მხოლოდ მკვეთრი, მტრის დამცემი და გამანადგურებელი სატირა შეგვიძლია განვავითაროთ ჩვენ. „ეშმაკის მათრახი“-ს სტილი — ეს გამძღარი წვრილი ბურჟუის ხითხითია. ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი უსაქმო ხითხითი. გამძაფრებულ კლასთა ბრძოლაში არავის არ სცალია მუცელზე ხელის დასადებად და ღიმილისათვის, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავსცინოთ მტერს და გავამათრახოთ ჩვენი ნაკლოვანებანი, ამიტომ „ტარტაროზი“-ც (სასურველია სათაურის გამოცვლა), აი ასეთი მებრძოლი, შჩედრინისებური სასტიკი სატირის გზით უნდა წავიდეს.

პლ. ქიქოძე.

# ჩვენი უახლოესი თანამშრომლები



1) სილიბისტრო თოდრია (ს. თ–ია — სარედაქციო კოლეგიის წევრი), 2) სანდრო ეული (პასუხისმგებელი რედაქტორი); 3) ნ. ზომლეთელი, 4) ნ. ამირაღოვი, 5) ი. ხინველი (პ.-მ. მდივანი), 6) ალ. მალულარია, 7) ს. წეველი (რედაქციის თანამშრომელი), 8) დ. ნაცვლიშვილი (მხატვარი), 9) კ. თავზერიძე 10) ს. ნადარეიშვილი (მხატვარი), 11) გ. გიორგაძე, 12) ნ. შენგელია, 13) პ. ლორია 14) ი. ქოქიაშვილი (მხატვარი), 15) პ. ირეთელი, 16) მარიაში (მხატვარი), 17) გ. ბუაჩიძე.



1 ამ ვაჟბატონებს ახრჩობს
ჩვენი ბრაზი და შური.
არ მოსწონთ ამათ ხუთი,
ჩამოუყრიათ ყური.



2. და, ჰა, ეძგერენ მედგრათ,
რომ წააქციონ ხუთი.
(მათ ეხარჯებათ თითოს
ძალ-ღონე ასი ფუთი).



8 წამოაქციეს კიდ
ჰხარობენ გულით,
უნდათ ვარესი უყ
მოდიან ხერხით, (

# ჩემი სიტყვა

## „ტარტაროზი“-ს თანამშრომელთა საიუბილეო ზეიმზე

(ნაწყვეტი სტენოგრაფიიდან).

ამხანაგებო, მეც მინდა ორიოდე სიტყვით მოგესალმოთ და გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა. მომისმინეთ, ამხანაგებო... ისელს მაინცა და მაინც ეხლა მოუნდა გაზეთის კითხვა...

**ისელი** (ადგილიდან).—წინდაწინვე ვიცი რასაც იტყვი... გენდობი...

...ნდობის გამოცხადებისათვის მადლობელი ვარ, მაგრამ მე თუ მოგისმინე, შენც უნდა მომისმინო.

ჰო, ამხანაგებო, ჩვენი მუშაობის ნაკლზე და მიღწევებზე აქ ბევრმა ილაპარაკა. ზოგს ვეთანხმები, ზოგს არა და ამის გარშემო მათქმევინეთ ორიოდე სიტყვა.

**ონისიმე** (ადგილიდან):—„ზოგჯერ თქმა სჯობს, არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების!“..

ამხანაგო ონისიმე, რაა კაცო, მომისმინე!..

**მედუზა** (ადგილიდან): — ბიჭოს! ლექსი გამოვიდა. მე ძლიერ მიყვარს აზრების ლექსად გამოთქმა.... ჩამწვარი ვარ პირდაპირ. მზადა ვარ მთელი ჟურნალი ლექსად გადავაქციო. ბებია ჩემსაც ლექსად ვსწერ წერილს...

**ონისიმე** (ადგილიდან):—ტყუილია: შენ დასწერ ჩემზე უგრძეს პოემას?

**ხმა ადგილიდან**:—სიგრძეს რა ჭკუა აქვს!

**ისელი**,—რაო? რაო? ვინ ილანძღება!

**მედუზა** (ადგილიდან):—შენზე არ არის ლაპარაკი.... ლაპარაკია პოემაზე.

**ონისიმე**. გრძელ პოემას ის ჭკუა აქვს, რომ ბევრი ფული იცის.

**უშანგი ჯაში** (კანტ. გამგე): —ამხანაგებო, ფულზეა აქ ლაპარაკი? გამიშვით... მე უნდა წავიდე... საქმე მაქვს ფოსტაში.

ამხანაგებო ეს არაფერს არ ჰგავს... მათქმევინეთ ორი სიტყვა...

ჰო, ამხანაგებო, აქ ამხანაგმა **სანდროშ** სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ ყოველი თანამშრომელი მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ თავისი ნაწერი არ იყოს მშრალი აგიტაცია-პროპაგანდა... მასში უნდა იყოს სიხალისე და სიცოცხლე...

**დონი** (ადგილიდან):—„სიცოცხლე რამდენი ხანია დაკეტეს! ილაპარაკე „გემო“-ზე.

**ისელი** (ადგილიდანვე-:—„გემო“-ში ღვინოს არ ჰყიდიან... ამიტომ აუარა გვერდი...

**ალლარ-ალლარსან**. (იხსნის სათვალეებს):—კოლექტიური სასადილო ცოტაა თბილისში? თუ გვპატიჟობს, მართალია ცოლ-შვილი სახლში მელოდება, მაგრამ ხათრს არ გავუტეხ.

**ხმა ადგილიდან**:—შენ მუდამ დაპატიჟებაზე გაქვს თვალი და ყური, შენი მარიფათიც გვანახვე...



6. მათ ასე სურდათ.... მაგრამ
ტვირთი დამძიმდა ისე,
რომ დაუკარგა ამათ
წელების სიხალისე.



7. შემოუტია ხუთმა...
ერთდება ნაწილები.
ამათ დაეცა რისხვა...
შეშინდენ „ყმაწვილები“.



8. ნაწილი ნაწილ
ისევ შენდება ხუ
ქვეშ მოჰყვენ... 
სიმძიმე ასი ფუ







...ით.

...ით.

4 და ყირამალა დადგეს,
მთლად დაამცირეს ხუთი.
შეუდგენ ხერხვას პობას...
მოდის სიკვდილის წუთი...

5 გააცამტვერეს ხუთი —
ნაკუწ-ნაკუწი გახდა...
გაიპაწილეს ძმურად...
მათი სურვილი ახდა.

**სანდრო:**—ამხანაგებო, დაიცადეთ. კაცი საქმეზე ლაპარაკობს... რას მასხრობთ? რას იცინით?

**დონი** (ადგილიდან):—სანდრო ტირილს გვავალებს ამ ზეიმზე, თუ რაშია საქმე!

**ისელი:**—მაგას მართლაც სატირლად აქვს საქმე... გუშინ წინ ორასმანეთიანი პალტო მიათესა ბათომში...

**ალლარ-ალლარსან**— მერე მაგისი პალტო ჩვენ ვიტიროთ? მაგას ტყავის ტუჟურკა კიდევ დარჩა... მე უპალტოოდ ვარ ამ ზამთარში, მარა სულ ვიცინი...,

ამხანაგებო დამაცადეთ... ორიოდე სიტყვა მინდა ვსთქვა იუმორისტულ ნაწარმოების მხატვრულ მხარეზე...

**ნადარეიშვილი:**—მხატვართან რა გინდა?! მე ჩემთვის ვარ... თუ მომცემთ იდეას, დავხატავ, არა და—არაფერსაც არ გავაკეთებ... ჩემი თავი იდეებს ვერ ინელებს...

**თავმჯდომარე**—სიტყვა მგონი სემეირ-ბენშეიხს ჯერ არ გაუთავებია... განმეორებით ვსთხოვთ უშანგი ჯაშს ადგილი დაიკავოს, რადგან პრეზიდიუმის დადგენილებით დღეს აქ კრიტი არ იქნება დაძრული ფულზე... განაგრძეთ, ამხანაგო.

რაღა განვაგრძო... არ გესმით. რაჩოჩქოლია?

**ხმა ადგილიდან:** უშანგი კიდევ მიიპარება.... დაჯექი, კაცო... ხომ გითხრეს ფულზე არავის ვალაპარაკებთო.

**უშანგი** (მიიწევს):—გაუშვი ხელი, კაცო, დეიხა პლაში...

ამხანაგებო, მართლა რაშია საქმე ბოლოს და ბოლოს.., მე ვლაპარაკობ მგონი... რა მოგივიდათ? აქამდე კი მქონდა თქვენში ერთგვარი ნდობა და სიმპატია...

**დონი** (ადგილიდან):—ა, ბიჭო, გაკეთდა საქმე! ნდობა ჰქონია „სიმპატია"-ში... მოვითხოვ შეწყდეს ჩანახი... უკაცრავად ჩანახი კი არა—კამათი.

**სანდრო**—არ შეიძლება, ამხანაგებო, აქ ჩვენ კი არ ვმასხრობთ.. აქ ჩვენ ჩვენს მუშაობას უნდა გაუკეთოთ ერთგვარი ჯამი...

**ალლარ-ალლარსან** (პირზე ნერწყვი მოსდის):—ჯამი!! უჰ! მერე რა დიდი ჯამით იციან იმ დალოცვილებმა ჩანახის მორთმევა!

...ამხანაგებო, მე გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას... რაკი სიტყვის გაგრძელების საშუალებას მოკლებული ვარ განუწყვეტელი რეპლიკებით. მე ვჯდები...

**ხმა ადგილიდან:** მე მაგი დამჯდარი იყო მეგონა... ფეხზე სდგას?

... ვჯდები და მანამდე არაფერი სჭამოთ, სანამ ჩანახზე არ დაგპატიჟოთ.

**სეგეირ-ბენ-შეიხ.**









...მის

...ადევს

9. გამთელდა უკვე ხუთი...
ძლივს დაიძერინეს თავი...
მოჰკურცხლეს... თავს უშველეს...
მათ დღე დაადგათ შავი.

10. სდგას ხუთი სიამაყით
ჩვენს მტერთა გასაოცად,
და გაიზრდება იგი
ათად... ხუთმეტად... ოცად...

ზმუკი.

# მისალოცი დეპეშები ტარტაროზს

(ხუთი წლის თავზე)

გამოიცვალა ქვეყანა სასტიკად. ძველ დროს, ესე იგი ბოლშევიკების შემოთრევამდის, კვირა დღე ჩემთვის ქეიფის და მხიარულების დაუშრეტელი წყარო გახლდათ. დილით ადრეულ სტუმრებთან პატარა საუზმე. სმა გადაუჭარბებელი—სამ-სამი საროჯიშვილის ქარხნის ხუთ ვარსკვლავიანი კონიაკი და თითო ბოთლი სასიამოვნო ხვანჭკარა. სადილზე—ოცობით სტუმარი (სულ მაღალი წოდებისა) „მენიუ“ თქვენი მოწონებული. მუსიკა საუცხოვო. ცეკვა კეკლუც ლამაზებთან. სალამოთ სეირნობა და თეატრი. ვახშამი გვიანი დილამდის. შემოსავალი ბარაქიანი და ჭამა ლაზათიანი.

ეს იყო. ეხლა კი მივექეცით ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულებას. არ დაგისახელებ, შენ არ მომიკვდე. არ არის სასურველი ჩემთვის ის, რომ ქვეყანამ გაიგოს ჩემი სამსახურის ადგილი. ვმუშაობ ვირივით. ვჭამ კატასავით. არსად არ დავიარები და ხალხშიც არ ვჩნდები. ქეიფიც დამავიწყდა და კვირა-უქმე დღეც.

ტარტაროზო, არა ხარ ზრდილობიანი. არ ინდობ შენ მამულიშვილს, არც გწამს პურ-მარილი. შენი ისე მეშინია, როგორც კურდღელს არწივის.

ჩემთვის ყოველთვის სასურველი და სასიამოვნო კვირა დღე (მაშინ გამოდის შენი მორიგი ნუმერი), გახდა წამებათ და ტანჯვათ. აკანკალებულ ხელებით ვშლი შენ ფურცლებს და მხოლოდ მაშინ ვწყნარდები, როცა ჩემი სახელი, ანუ სახე არ არის გამოჭიმული შენს ფურცლებზე.

ხუთი წელიწადი ყოველ კვირა მე ასე ვიტანჯები შენს დაუნდობარ ხელში.

მაინც თავადი (თქვენთვის კი ყოფილი) **ავთანდილ ლუარსაბის ძე ქარაფშუტაძე.**

***

ხუთი თავი სახარება გაგიწყრეს შენცა და შენ დასტასაც ჩემ ტკბილ ცხოვრების განიავებისათვის. შამაჯექი შავი მაშალი რწყილივით და არ მომეცი ერთი დღის მოსვენება. არც ჩემი ეკლესიასავით მოწყობილი დუქანი დაინდე, არც ჩემი გაშლილი ალებ-მიცემა. ვილა მამისეული სახლში? ტნეების და დვორნიკების შვილებთან შვილი მკვიდან შემიშალე, და მეკურ-ერთად კომცომოლში შეაყოფინე თავი. ჩემ ფაშფაშა შუშანასაც კი უკბინე, როცა ის ბაგრატიონ მუხრანსკის ცოლივით გადაშხლართული მტრის თვალის დასაბრმავებლად სობსტვენი ეკიპაჟით აუვლიდა და ჩამოუვლიდა ჩემს მაღაზიას. ჩემ ოჯახის და ვაჭრობის აწეწვისათვის მაღალმა ღმერთმა და ჩვენმა წმინდა გრიგორი ლუსავორიჩმა მოგთხოვოს იმ საიქიოს პასუხი. მე ეხლა არაფერი აღარა ვარ. ეს სიცოცხლეა? ერკოპის „ვიეესკა“ ლამის ერთ ადგილსაც ამაკრან. მოდი და ამნაირად ივაჭრე ეხლა.

ტარტაროზ, ვევედრები სურფ ავეტარანს, რომ შენი ჟურნალის კასა ისე დაცლილიყოს, როგორც დაიცალა ჩემი ყოველთვის ბარაქიანი ჯიბე. აი ჩემი მოლოცვა შენი არსების ხუთი წლის თავზე.

ბივში პერვი გილდი კუპეც **ბალდასარ სტეფანიჩ ზრზრჩიანც.**

***

არც მე ჩამაგდო კარგ დღეში შენმა საძაგელა საქციელმა.

ტარტაროზო, ჯოჯოხეთის კუპრის ქვაბში მენახოს შენი თანამშრომლების თავი ჩვენ დალუპვისათვის. ჩემი შიმშილისაგან ლოგინათ ჩავარდნილი ფოფოდიას ცოდვები ზღოს თქვენი რედაქტორის სულმა.

სულის მამა **დიომიდე.**

დეპეშების მიმღები ქიზიყელი.

# ვინ რას ამბობს ტარტაროზზე

### მღვდელი

დაიქცეს ის დღე, რა დღიდანაც ეგ მოევლინა ჩვენს ქვეყანას ჩვენდა გასანადგურებლად. ეგ რომ არ გადაგვკიდებოდა, იქნებ ცოტა ხანს კიდევ გვეტყუილებია ხალხი.

ჩემი ჯვრისა და სახარების მადლი გაუწყრეს მას.

—:—

### თავადი.

მამა ნუ წამიწყდება, ნამეტანი გულმოსული ვარ მაგაზე. იმე, ყამახო, ჩვენი გაჭირვება გვეყოფოდა და მაგან მთლად შეგვრთო ცეცხლი. ჩვენი წოდების და ულვაშის ცოდვა მიეცეს მას.

—:—

### ვაჭარი

ეხ, მაჭლას!.. კაცი ათადან ბაბადან ვვაჭრობდი და გემრიელ ლუკმასაც ვჭამდი, რაც ეგ არ გადამეკიდა, იმის შემდეგ ჩემ დახლს ბარაქა დაეკარგა. ჩემი დაცარიელებულ სავაჭროს ცოდო ჰქონდეს მას.

—:—

### კულაკი.

დასწყევლის ჩემი გამჩენი ღმერთი მაგას. ყოველ ჩემ გადამალულ პურს და სხვა ეშმაკობას, მაგან ახადა ფარდა, ჩემი ბეღლის ცოდო მას.

—:—

### ბიუროკრატი

კაცი განათლებული ვიყავი და საქმეც განათლებულად მიმყავდა, მაგრამ მაგან სულ მიწასთან გამასწორა. ჩემი კაბინეტის და პორტფელის ცოდო ჰქონდეს მას.

—:—

### მენშევიკი.

— კაცი ცხრა მთას იქით გადვიკარგე და ასე მეგონა—აწი აღარაფერი მეჭირს-თქვა, მარა მაგის ჩანგალმა მაინც მომძებნა და დამიკარგა ღირსება. მეორე ინტერნაციონალის მადლი გოუწყრეს მას.

—:—

### ყოფ. ოფიცერი

— არავისთვის ისე მწარედ არ უკბენია, როგორც მე მიკბინა. ხან ტიანუშკების მოვაჭრედ დამხატა, ხან კიდევ—შტუკობით პაპიროსის გამყიდველად. ჩემი აპელატების ცოდვა ჰქონდეს მას.

—:—

### ყოფილი პოლიციელი.

— ნაცნობების წყალობით, როგორც იყო, მოვეწყვე სამსახურში და გამქონდა თავი ჩინებულად, მაგრამ ბოლოს მაინც მომძებნა და ოხრად დამტოვებია ყველაფერი. ჩემი მათრახის ცოდვა ჰქონდეს მას.

—:—

### გამფლანგველი.

—კარგა ხანს ვჭამე სახელმწიფო ფულები და კარგი დროებაც ვატარე. მაგრამ ბოლოს მაინც მომძებნა და ერთიანად წამამწარა ყველაფერი ჩემი ცოდო ჰქონდეს მას.

—:—

### სიმულიანტი.

— ერთხელ, როგორც იყო, მოვატყუე ექიმი და დავაძვრე თავისუფლება. მაგრამ მეორეთ მაგისმა ჩანგალმა მწარეთ მომანელებია მუქთად აღებული ფული. ჩემი ძალა გაუწყრეს მას.

—:—

### კონტრაბანდისტი

— დიდის გაჭირვებით გადმოვიტანე საზღვარზე საქონელი. ვფიქრობდი ბური ლელოს მაქვს მოტანილი-თქო, მაგრამ ერთბაშად მტაცა ხელი და მიმათრია ჩეკაში. ჩემი კონტრაბანდის ცოდვა ჰქონდეს მას.

კირილე საფიჩხიელი.

# „ტარტაროზი" — სახარება




— უი, ქა! ჩვენი მღვდელი სახარების მაგიერ „ტარტაროზს" უკითხავს ხალხს!
ფუფულია: — მა რა ჰქნას, შენი ჭირიმე! სახარების კითხვას არავინ ესწრება!

**საიუბილეო ნომრის დარჩენილი მასალები დაიბეჭდება შემდეგ ნომერში**

# ტექნიკა და კორექტურა

ჩვენ, მკითხველებს, ფრიად გვახიამოვნა „ტარტაროზის“ იუბილემ. მართალია, ამის გამო არც ერთი ჩვენ თაგანი სიხარულით ცას არ დასწვდება, მაგრამ ეს მოხდა სრულიად შემთხვევითი და ობიექტიური მიზეზის გამო: საქმე იმაშია, რომ ცა მეტად მაღლა აღმოჩნდა და უბრალო ტექნიკური მიზეზით ვერ დავეწიეთ მას. მიუხედავათ ამისა, არც ერთი ჩვენგანი არ კარგავს ცის დაწევის იმედს და ეს მოხდება ალბად „ტარტაროზის“ არსებობის სულ რაღაც ათი-ხუთმეტიოდე წლის თავზე: ჩვენ მაშინ მივაღწევთ ცას და ზოგიერთ ვარსკვლავზეც საიუბილეო ექსკურსიას მოვაწყობთ.

ვიმეორებთ, ტექნიკა ისე სწრაფად მიდის წინ, რომ ამის განხორციელება, ყოველ შემთხვევაში, ბიუროკრატიზმის სრული ლიკვიდაციის მიღწევაზე ძნელი არ არის. და ეს ტექნიკა ვითარდება „ტარტაროზის“ კორექტივებით (თუმცა თვით „ტარტაროზში“ კორექტურული შეცდომები თავზე საყრელია): „ტარტაროზი“ სულ მუდამ კრიჭაში უდგას ტექნიკისა და მეცნიერების სუსტ მხარეებს და რატომღაც ცდილობს აღნიშნულ მხარეების აღმოფხვრას.

რადგან ტექნიკასა და კორექტურაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ჩვენ ვუსურვებთ იუბილიარს გაეუმჯობესებინოს ჟურნალ „ტარტაროზის“ ტექნიკური მხარე და ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექციოს კორექტურისთვის, რადგანაც ამ წერილს რომ ვწერთ, აბსოლიუტურათ არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ ჩვენ მიერ დაწერილი სიტყვა „კორექტურას“ ნაცვლად „მოგეყურა“ არ გამოვა და „ტექნიკას“ მაგივრათ „შეხვლიპა“ არ დაიბეჭდება.

მკითხველი გუზ-გუზი.



# ოინბაზი

მატარებელი დაიძრა.

ქაიხოსრო მოთავსდა მესამე კლასის ვაგონის კუპეში. მალე იმავე კუპეში შემოძვრა მღვდელი, რომლის წვერები ძველი ცოცხივით ეხლახუნებოდა გახუნებულ ანაფორაზე.

თითქოს „სულმა-სული იცნო“, ზოსიმე პირდაპირ ქაიხოსროსაკენ გაეშურა. პატარა ჩვგა ფრთხილად შეაცოცა საჯდომის ქვეშ და ქაიხოსროს გვერდით მუმიასავით მდუმარე ჩამოჯდა. ქაიხოსრომ, ოდესღაც ყოფილმა პოლკოვნიკმა, ძველებურად, ცალი თვალით განსჭვრიტა დაუპატიჟებელი სტუმარი, და რაკი შენიშნა, რომ მის გვერდით „სულიერი“ მამა იყო, ჩაახველა და გამოესაუბრა.

ისინი აღნიშნავდნენ, რომ მდგომარეობა ეხლა გაცილებით უკეთესია, ვინემ წინათ.

მათი ბაასი რომ ყველა იქ მყოფთ მოესმინათ, ორთავენი ხმა-მაღლა საუბრობდენ.

მათ მაღლა გაჭიმულიყო კომკავშირელი გოგლა. გადაეფურცლა ჟურნალ „ტარტაროზის“ საიუბილეო ნომერი და კითხულობდა.

გოგლას ტკბილად ჩაეძინა.

„ტარტაროზი“ ფრთხილად დაუძვრა ხელიდან, დაცოცდა და მამა ზოსიმეს ცხვირზე მოადინა ტკაცანი.

დაფეთებული ზოსიმე შეხტა და დაეჯახა ქაიხოსროს, რომელსაც პირიდან ინგლისური ჩიბუხი გაუვარდა. ზოსიმემ დახედა გადმოვარდნილ ნივთს... ჰოი, საშინელებავ. ჟურნალი „ტარტაროზი“... ისიც საიუბილეო ნომერი შერჩა ხელში.

მღვდელმა შიშით მიიხედ-მოიხედა, სწრაფათ გადაიწერა პირჯვარი, სამჯერ ზედიზედ მიაფურთხა ეშმაკს და აკანკალებული ხელით ჟურნალი გადასცა ქაიხოსროს.

არც ქაიხოსროს ეამა „ტარტაროზი“-ს ნახვა, მაგრამ გამოართვა და მღვდელს ჩუმათ ჩასჩურჩულა ყურში:

— მაინც მიკვირს, მამაო ზოსიმე, ეს არგასაზრდელი ტარტაროზი, ხუთი წლის არის და, დახე, რა ოინებს სჩადის. ეს რომ ათი წლის შეიქნება, მაშინ ხომ სულ ძირიან-ფესვიანად გაგვანადგურებს?!..

შაკო.

# სახ. სახკინმრეწვის 1929 წ. გამოშვებანი

## დამთავრებულია:

### შეხვედრა
რეჟ. მ. მომართელი.
სცენარი ხ. ხუაკაური.
ოპერატორი ვ. პოზნანი.

### კავკასიელი ყაჩაღი
რეჟ. გელოვანი.
სცენარი ა. ბელიაშვილი.
ოპერატ. ა. პოლიკევიჩი.

### განწირულნი
რეჟ. ლ. პუშ.
ოპერ. ვ. კერესელიძე.
სცენარი პუშ. გიდონი.

### ბრმა
რეჟ. მ. კალატოზიშვილი.
სცენარი ს. ტრეტიაკოვი.
ოპერ. რ. ლაპინსკი.

### საკანი № 79
რეჟ. ზ. ბერიშვილი.
ოპერ. ა. დიღმელი.
სცენარი ს. ელხაზაშვილი.
ს. დოლიძე.

### შოვი
რეჟ. ნ. ღოღობერიძე.
ოპერ. ხ. ზაბოზლაევი.

### ხევსურეთი
რეჟ. ლ. პუშ.
ოპერ. ვ. პოზნანი.

### ჩემი ბებია
რეჟ. კ. მიქაბერიძე.
ოპერ. ა. პოლიკევიჩი.
ვ. პოზნანი.
სცენარი კ. მიქაბერიძე.,
გ. მდივანი.

### 900 მეტრის ტალღაზე
რეჟ. ლ. პუში.
ოპერ. ვ. პოზნანი.
სცენარი შ. ხუსკივაძე.
ი. პუშ.

### სვან მარილი
რეჟ. მ. კალატოზიშვილი.
ოპერ. რ. ლაპინსკი.

### მიწის ძახილი
რეჟ. ს. დოლიძე.
ოპერ. შ. მეგელაშვილი.

## მზადდება:

### დოლი
რეჟ. რონდელი.
მ. მდივანი.
მ. კერესელიძე.

### უმთავრესი
რეჟ. მ. მაკაროვი.
ა. პოლიკევიჩი.

### ამერიკანკა
რეჟ. ლ. ესაკია.

### რელიკვია
რეჟ. მ. ჭიაურელი.

# კომუნისტი

## დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

ცალკე № 5 კ.

**მიიღება ხელის მოწერა 1930 წლისათვის**

თბილისში—მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) და ცალკე რწმუნებულებთან
პროვინციაში ყველა ფ.-ტელეგრაფის დაწესებულებებში და შემდეგ კონტრაგენტებთან

ქუთაისში—„კომუნისტი"-ს განყოფილებაში
ოზურგეთში—ინწკირველთან
ახალსენაკში—ესებუასთან
სამტრედიაში—გოგელიასთან
ჭიათურაში—ჯალაღანიასთან
ყვირილაში—ცხომელიძესთან
შორაპანში—ჯალაღანიასთან

გორში—მაისურაძესთან
გურჯაანში—წიგნის მაღაზიაში
სიღნაღში—მდივანოვთან
აბაშაში—მიქაძესთან
ლანჩხუთში—ღლონტთან
ბორჯომ-ბალში—კობახიძესთან
ბორჯომში—კობახიძესთან
ფოთში—ფ.-ტელეგ. კანტორაში

ხონში—გენძეხაძესთან
თელავში—რევაზოვთან
ცხინვალში—იარალოვთან
ბათომში—ფ.-ტ. კანტორაში
ხაშურში—ლორთქიფანიძესთან
ბაღდადში—აბულაძესთან
ონში—ზერიშვილთან
ჭრებალოში—პაიჭაძესთან

# საქართველოს პროფ. კოოპერატიული გამომცემლობა

# შრომა

## წიგნისა და საკანცელარიო საგნების სავაჭროები

ცენტრალური—თბილისი, რუსთაველის გამზ., № 17.
იყიდება ყოველგვარი ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენაზე

**საამკინძაო და სახაზავი ქარხანა**

რუსთაველის გამზირი № 17. იღებს ყოველგვარ შეკვეთას.

**საბიბლიოთეკო კაბინეთი**

რუსთაველის გამზირი № 17.

წიგნების ტეხნიკურათ დამუშავება წიგნთ-საცავ-სამკითხველოებისათვის.

**ვაჭრობა წვრილათ და ბითუმათ** დაწესებულებებს ეძლევათ ფასდაკლება

**Кооп. издательство профсоюзов Грузии**

**ШРОМА**

Магазин Книжных и Канцтоваров в Тифлисе (проспект Руставели № 17) и в Чиатурах.

# საქართველოს სახელ. ვაჭრობის სააქციო საზ-ბა

# „საქსახვაჭრობა“

## (Грузгосторг)

იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სრულიად გამოირკვეს საქართველოს მრეწველობის, კომუნალური მეურნეობისა და სხვა მომხმარებელთა მოთხოვნილება, აგრეთვე იმ მიზნით, რომ საქონელი სწორად და თავის დროზე განაწილდეს, ვთხოვთ თბილისისა და საქართველოს იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელნიც მომარაგების მხრივ მიმაგრებულნი არიან საქართველოს „სახვაჭრობასთან“, აგრეთვე იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც განზრახული აქვთ მიიღონ საქონელი საქ. „სახვაჭრობის“ საშუალებით, არა უგვიანეს ა. წ. 25 ნოემბრისა წარმოადგინონ თავიანთი დაკვეთები შემდეგ საქონელზე:

**I. ლითონის საქონელი** რკინა სახურავი, სალღმშვენებლო, მავთული, კალა, თუთია, ბაბიტი, ლურსმანი. მილები წყალსადენისა და საკანალიზაციო. წყლის არმატურა, რელსები, კოჭები, რკინის კასრები. ხელსაწყოები: სადურგლო, საზეინკლო, სამჭედლო და საზეინკლო. კარ-ფანჯრის რკინეული—ბოქლომები, ფალები, საკეტები, შპინგალეტები, ხრახნები და სხვა საზომი ხელსაწყოები: სასწორები, საწონები, მეტრები, რულეტები და სხვ. ცეცხლმქრობები. თოკები.

**II. ქიმიკატები** საღებავები ანილანის რუსული და უცხოეთის. ლაქები ზეთის და სპირტის. სკიპიდარი. ბურა. თუთიას შაბიამანი. ნიშადური. სოდა. კაუსტიკური. სათეთრებელი გახეხილი და მშრალი. ოლიფა. გოგირდმჟავა და მარილმჟავა. წებო. კანიფოლი. კოქსი. ანტრაციტი. აზბესტი. რეზინის ტექნიკური ნაწარმები.

**III. ხე-ტყის მასალები** საშენებელი, საკუთე ნახერხი მასალა და მრგვალი ხე-ტყე, ფანერა.

**IV. საშენებელი მასალები და მინა** ცემენტი. ასფალტი, გუდრონი. ფანჯრის მინა ბემის და უბრალო. მინების ჩასმის სამუშაოები. სანიტარული ფაიანსი. თიხა. აგური. გაჯი. კირი. შალეჩი, მარმარილო მთლიანი და მოზაიკური.

**V. სილიკატები და სამეურნეო საქონელი** ბოთლები შამპანური და კომერციული. ლამპის შუშები. სარკეები. შუშის წვრილი ჭურჭელი. ჭურჭელი რკინის—ემალიანი. საწოლები. ლამპის პატრუქები. ნავთის სამზარეულოები და პრიმუსები. ლამპები და სანთურები. ფარნები „ლამპურა“. დგამი.

**VI. სასურსათო და სხვა საქონელი** თევზი. შვრია. ქერი. შაქარი. საპონი. სანთელი. ჩაი. მაკარონი და ვერმიშელი. ბურღული. ბადაგი. მარილი. ქაღალდი. მუყაო. ბამბა. ტომრები, ქილობი და პარკები. ბაწარი. სპეცტანისამოსი. ტექნიკური წებნაქსი გარნიტოლი. ბრეზენტები. ნართი. ტყავი—საქვავი და ტექნიკური. ტყავის ფურნიტურა სპეცფეხსაცმელი.

**დაკვეთები საქონლის თვითეულ კატეგორიაზე ცალკე უნდა იქნას წარმოდგენილი; სახვაჭრობა გადასულია განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე.**

გამგეობა.

# „მუშა“

**ყოველდღიური მასიური გაზეთი**

მიიღება ხელისმოწერა 1930 წლისათვის

ცალკე № 2 კაპ. თვიურად 50 კაპ.

**ყოველკვირეულ იუმორისტ. ჟურ. „ტარტაროზი“-ს დამატებით 70 კაპ.**

ტფილისში—მთავარ კანტორაში (ჯორჯიაშვილის ქ. № 6). პროვინციაში—მთავარ კანტორის განყოფილებებში და ფ.-ტელეგრაფში.


რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია. გაზ. „მუშა“-ს გამოცემა. პ.-ტრესტის მე-5 სტამბა მთავლიტი № 1332.

# „ტარტაროზი"-ს მომავალი ხუთწლიანი გეგმა



წელიწადი მეექვსე
კვირა, 24 ნოემბერი,
ტარტაროზი
ფასი 10 კაპ.
1929 წ.
№ 48 (232)

# „დაბალი ლოჟე"



საქმ. მწარმოებელი ცოლი (გამგე ქმარს): —ფრთხილად! დაწინაურებული ხომ არა გგონივარ, რომ მითვალისწუნე? მასეთი ბრძანებითა და მუქარის კილოთი დაწინაურებულს მიმართავენ მხოლოდ და არა თავის ცოლს!

# „დაწინაურება“

უფროსი მუშა, ხარატი ვანო დააწინაურეს.

მასზე უფრო ეს ამბავი ცოლ-შვილს გაუხარდა.

— გამგე იქნება, ანდა სხვა რამე ხეირიან ადგილს მისცემენ. „დიდი კაცი“ მეყოლება ქმარი. ჩვენი მეზობელი სოფიო ეხლა, რომ მიმინოსავით მიბღვერის (მისი ქმარი საქმეთა მმართველია ტრესტში), მაშინ ვერ გამიბედავს დაჯაბნიებას.

— ჩემი ქმარი მისი ქმარის უფროსი იქნება. ფიქრობდა ვანოს ცოლი.

— აბა, ვანო, ზოგმა დაწინაურებულმა, რომ იცის — გახდება „დიდი კაცი“ და მერე ამხანაგებს ველარ ცნობილობს, შენაც არ მოგივიდეს ასე, თორემ როგორც დაგაწინაურეთ, ისე ჩამოგაწინაურებთ! — ეხუმრებოდენ ამხანაგები.

დაწინაურებული ვანო ტრესტში გაიგზავნა.

მთელი ტრესტი ფეხზე დადგა.

— მოვიდა, მოვიდა! — გაძახოდენ ერთმანეთს თანამშრომლები და ვანოს მესცქეროდენ.

— გიჟები ხომ არ არიან?! ნუ თუ კაცი არ უნახავთ? — ფიქრობდა ვანო და ნერვიულად ქუდს მუჭავდა ხელში.

— მობრძანდით, მობრძანდით! — მიეგება ვანოს დირექტორი.

დირექტორმა ვანოს მთელი ტრესტი დაათვალიერებინა და თანამშრომლები სათითაოდ გააცნო.

— მე და მთელი ჩემი შტატი ძალზე მოხარული ვართ თქვენი მობრძანებით. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს, პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს ესაჭიროება თავისი წიაღიდან წარმოშობილი ხელმძღვანელები. მე ყოველთვის მწამდა, რომ მუშა ისეთივე ადამიანია, როგორც პროფესორი, ექიმი და ინჟინერი. ცხრაას ხუთში ჩემი სიმპატია მუშების მხარეზე იყო... ხვალიდანვე თქვენ შეუდგებით თავისი მოვალეობის შესრულებას, და, ამგვარად, თქვენთან ერთად ხელი-ხელჩაკიდებული დაჩქარებით შევასრულებთ ხუთწლიან გეგმას!

ვანო მხიარული დაბრუნდა სახლში.

— რად დაგნიშნეს? — მაშინვე შეეკითხა ცოლი.

— ხვალ გავიგებ, მარა რაღაც ისეთი დიდი თანამდებობის მოცემას მპირდებიან, რომ კიდეც მეშინია, — ვაი თუ ვერ გამოვდექი.

— ნუ გეშინია, კი გამოდგები! რა თანამდებობაზედაც არ უნდა დაგნიშნონ; ნუ გეშინია, კი შესძლებ, საქმეს შეეჩვევი! — ამხნევებდა ცოლი.

— უარს როგორ ვეტყვი, სირცხვილია, დაწინაურებული ვარ.

— აი, მე უკვე ვიყიდე შენთვის პორტფელი! — და ცოლმა ვანოს ახალი პორტფელი ამოუჩრა იღლიაში.

— ფული სად გქონდა?

— შემნახველ სალაროში მქონდა შემონახული გაჭირვების დროისათვის, მარა აწ ხომ გასაჭირი აღარ გვექნება!

სალამოს ტრესტში დირექტორის თავმჯდომარეობით გაიმართა გამგეთა სხდომა.

ყველას სახე ჩამოსტიროდა; ასე გეგონებოდათ — თითქოს იქვე მეორე ოთახში მიცვალებული ასვენიაო.

ღრუბლებად ადიოდა თამბაქოს ბოლი, რომელიც კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც „მძიმე ატმოსფეროს“.

გაისმა დირექტორის ზარის ნელი ხმა (ჩვეულებრივად მგრად იცოდა დარეკვა).

— ალბათ თქვენ იცით — პირველად დაიწყო დირექტორმა ლაპარაკი, — დღევანდელი ჩვენი, თუ შეიძლება ითქვას, და უნდა ითქვას აუცილებლად, დღევანდელი ჩვენი სამგლოვიარო სხდომის მოწვევის მიზეზი... დიახ, სამგლოვიარო სხდომა. ჩვენ გამოგვიგზავნეს დაწინაურებული მუშა. არ მივიღოთ, არ შეიძლება, რადგან აპარატის წმენდა კარებზე გვიკაკუნებს. ასეთია ჩვენი ტრაგიკული მდგომარეობა, და გთხოვთ გამოსთქვათ ამის შესახებ თავთავიანთი აზრი.

— ბედს უნდა შევურიგდეთ; სხვა რა დაგრჩენია! — განაცხადა სამწეო ნაწილის გამგემ და ისე ამოიოხრა, თითქოს გულიც ამოაყოლაო.

ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

— შენ რას იტყვი, დავით? — შეეკითხა დირექტორი იურისტ-კონსულტს. — როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? არის საიდანმე ამ მდგომარეობიდან გამოსავალი?

— როგორ არა... ჩვენ ისედაც გვისაყვედურებენ, რომ დაწინაურების წინაალმდეგი ხართო. ჩვენ უნდა მივიღოთ ის. უარს ვერ ვეტყვი. კიდევ მეტი; ჩვენ უნდა დავაწინაუროთ ჩვენი დამლაგებელი და მის ადგილზე მივიღოთ გამოგზავნილი დაწინაურებული. ამგვარად, ორ კურდღელს კვლავ ერთად...

— „ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს ნადირსა შავი ტყისასა“ შეაქო იურისტ - კონსულტი დირექტორის მოადგილემ.

ყველანი გამოფხიზლდენ და გამხიარულდენ.

— ...დაწინაურებულსაც ვღებულობ, უარს არ ვეუბნებით, და ჩვენსასაც ვაწინაურებთ, ასე რომ ამიერიდან ვერავინ გვისაყვედურებს — დაწინაურების წინაალმდეგი ხართო! — დაასრულა სიტყვა იურისტ-კონსულტმა და გაისმა ტაში.

მეორე დღეს ტრესტში ვანო გამოცხადდა.

თანამშრომლები, რომლებსაც გაეგოთ „სამგლოვიარო სხდომის“ გადაწყვეტილება (ერთერთ განყოფილების გამგეს მემანქანე ქალისთვის გაენდო იმავე ღამით ეს საიდუმლოება), სიცილს ვერ იმაგრებდენ და ქვეშ-ქვეშ ხითხითობდენ.

— ჰა, ჩაიბარე ეს ცოცხი, ჩვრებ და ჩოთქები. მე დამაწინაურეს და შიკრიკად გადამიყვანეს. — უთხრა ვანოს დამლაგებელმა და დერეფანს ცეკვა - ცეკვით გაიქცა.

ვანოს პორტფელი ხელიდან გაუვარდა.

სალამოს ვანო გვიან დაბრუნდა სახლში.

როცა ეზოში შემოვიდა, სოფიოს სიცილი ასტეხა (ქმარს უამბო ყველაფერი).

— რა მოგივიდა? რა დაგემართა — შეეკითხა ცოლი ვანოს, რომელიც დაღვრემილი შევიდა ოთახში.

ვანომ ყველაფერი უამბო ცოლს.

ისელი.



„სამგლოვიარო სხდომა“ დირექტორის თავმჯდომარეობით ტრესტში დაწინაურებულის გამოგზავნის გამო.

# ჩინეთის საზღვრები




## მილოცვა

მოგესალმები, ტარტაროზ,
ჟურნალო პატარაო.
უპატრონის ხალხთა მწყენდავო,
ლახვრის ჩამცემო მტრისაო.
რამდენი ხანი გავიდა,
რაც მარდად ხმარობ იარაღს!
რამდენ ჩაგრულმა—უმწეომ
დარდები გაგიზიარა.
მუდამ ხარ გამომხატველი
მუშური სულის კვეთების,
გლეხის წყურვილის მხილველი,
მფარველი ქარხნის ღვედების, —
რაც დაიბადე, მას შემდეგ,
დღემდის სთესავდი სიმართლეს..
შენ დაამსხვრიე ბევრი კლდე,
ბევრი ურყევი სიმაგრე,
ნაკლოვანება სუყველას
უმხილე, გადმოუღლაგე;
სოფლად ებრძოდი ხორცმეტებს
და აღვირ-ახსნილ კულაკებს.
ქალაქში რკინის ცოცხითა
ხვეტავდი ნაგავს უვარგისს.
გადმოაბრუნე ორპირთა
ბევრი ხვრელი და ბუნაგი.
ყველგან წვდებოდნენ თამამად
შენი მედგარი ხელები;
ამოაწებე ქვითკირით
მრავალ ქვემძრომთა ხვრელები.
მოგესალმები, ტარტაროზ,
მიიღე ჩემი სალამი:
კვლავ ისე მედგრად გეჭიროს
ხელში ბრძოლისა ალამი.

ვირთხა.

## ქადაგება

და ვიტყვი სიტყვასა მასა, რომელიც არს მორწმუნეთა სამწყსოისა ჩემისა შესაბამ, რათა განეგდეს ფერხთაგან ჩვენთა ყოველივე ურწმუნოებანი ულმთოთანი მათნი. ჰოი მორწმუნენო, ვამბობ მე, სულიერი მამა თქვენი გაბრიელ, რამეთუ შესრულდა უკვე წელი ხუთი არსებობისა მის ჟურნალ „ტარტაროზისა“, რომელიც ჯოჯოხეთს გვიმზადებს წმინდისა ამა ტაძრის კრებულს და გამოაქვს ხალხთა სამსჯავროსა წინაშე ყოველივე წმინდა საიდუმლოებანი ჩვენნი. ვითარცა არ შევრისხო და არ ვრისხდებოდე, როდესაც მიწოდებდეს მე მატყუარასა? ჰოი მორწმუნენო, ცხოვარნო უფლისანო ჩვენნო თქვენ უკეთ უწყით, თუ რაოდენ შემსრულებელ ვარ ყოველივე მღვდელ-მოქმედებისა. გულისხმა ჰყავთ და იტყოდით, ოდეს ყოფილ არს ჟამი, რომ მე არ გამოვცხადებულვარ მოხარულითა გულითა ნათელსა და ქორწინებასა შინა გადახდილსა მორწმუნეთა მიერ, და რაოდენ იყო თუნდ ერთი წუთი დაგვიანებისა ჩემისა ან საკურთხზე, ან ქელეხსა, ან ალაპსა შინა, ანუ ორმოცი წლის თავსა ზედა და ან ოდეს თქმულ არს ჩემდა მიერ ყოველივე მორთმეულ ხორაგის ალებასა ზედა.

დეკანოზი სახლისა უფლისა

ნიკიფორე.

## მილოცვა

### ბაზბე

ხუთი წელი—ჩემთვის მწველი...
შენს დახურვას მუდამ ველი.
ტარტაროზო, ნუ ხარ მკვლელი,
და აიღე ჩემზე ხელი.

### მღვდელი

ტარტაროზო, (ფუი ეშმაკს!),
ნულარ მიზამ აწი ავსა
ქელეხი და საკურთხები
გავატანე ზღვასა შავსა, —
ამასა გთხოვ მამა დავით,
გთხოვ შემეკრა აწი ზავით

### კულაკი

— მსუქანი ვარ,—
არ მოგწონს....
გიყვარს გლეხი ღარიბი,
ერთხელ ჩემსკენ მოიხედე,
„საწყალი“ ვარ — ყარიბი.

### მუშა და გლეხი

მტერს „ვაი დედა“ აძახე,
ჩვენ კი ვსთქვათ „დელა-დელაო“...
ჩვენი მტერი და ორგული
შენ გენაცვალოს ყველაო.

### მე

წერილი არ დამიწუნო,
არცა დაზოგო ქანქარი,
კარგი გაქვს, ძმაო, სატირა,
ეს შხამ-წამლები შაქარი.

ძველი.

# „წმინდა ბერი წმინდათ წაწყდა“-ო.

საბჭოთა უზარმაზარი ქვეყნის ერთი მიყრუებული კუთხის მიყრუებულ ცენტრალურ ქალაქში, რომელიც დაბრობას უფრო შეიფერებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ აეწია იგი ქალაქის დონემდე და (როგორც ეს ამ ხელისუფლებას ჩვევია), ქალაქის შესაფერი სასიცოცხლო ნაკადებით არ აევსო ის, აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში ამავე კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა ერთ ზამთრის საღამოს ცოტა მოგვიანებით დასრულდა.

სხდომაზე დამსწრენი: ვინ აჩქარებული ნაბიჯით და ვინ ჯერ კიდევ დაუსრულებელი ბაასით სტოვებდენ სხდომის დარბაზს.

ყველაფრიდან სჩანდა, რომ აქ იყრიდა თავს ფრიად საქმიანი ხალხი. და, რადგანაც ამ საღამოს სხდომა მართლაც, რომ განსაკუთრებული ინტესივობით ჩატარდა, განსაკუთრებული საკითხების მთელი რიგი განსაკუთრებული ერთსულოვნობითა და ერთგულოვნობით გაირჩა და გადაწყდა, ამიტომ სხდომის წევრებსაც განსაკუთრებული აღტაცება ასხამდა ფრთებს, აფრთოვანებდა და ამოვანებდა მათ.

აღმასკომის დარბაზიდან აღმასკომის თავმჯდომარის თადეოზ თავდიკაშვილის აღვარხვალებული ლაპარაკი სოფლურ მოუცლელ რადიოს ხმა-ჩახლეჩილ ხროტინივით მოისმენოდა ღამის სიბნელეში ახლად გაღებულ ფანჯრიდან.

სხდომა ჩატარდა დაკეტილ კარებში, რის გამო, ჰაერი იმდენად დამძიმებული იყო დარბაზში, რომ აღმასკომის ტეხნიკურმა მდივანმა ალარც კი დააცალა პასუხისმგებელ ამხანაგების დარბაზიდან გასვლა, ისე გაკადნიერდა, ეცა ფანჯარას და გამოაღო რომ ოთახში ჰაერის გასასუფთავებლად.

— თადეოზ წავიდეთ თეატრში!

უთხრა აღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგურად ხელის მხარზე დაკვრით, მაგრამ მაინც სათანადო მორიდებ - მოკრძალებით, მილიციის უფროსმა, კაპიტონ კანტიაშვილმა.

— რა მიდის ამელამ თეატრში?

— როგორ? არ იცი?

— ჰო!..

— ჰო და, ოპერა რომ არის ჩამოსული...

— უი, მართლა, კინაღამ დამავიწყდა...

ჩამოსასვლელთან მათ ფორდის სისტემის საერთოდ პატარა, მაგრამ ამ ქალაქისათვის მაინც დიდი საერთოდ საკმაოდ მოძველო, მაგრამ აღნიშნულ ქალაქისათვის მაინც ბრჭყიალა, სრიალა, კრიალა და საერთოდ ახალი ავტო ელოდებოდა.

მილიციის უფროსი და აღმასკომის თავმჯდომარე — აი ამ ქალაქის ხელისუფლებაც ავტოში მსვენებელმჯდარნი მჯდარნი!

რა თქმა უნდა, საერთოდ შთაბეჭდილება იქმნებოდა ასეთი, თორემ ავტოთი, აბა რომელი ქუჩაში მყოფელი განიზრახავდა ისეთ „ვიწრო“ ადგილებში გავლას?

აჰუჩუნდა მოტორი, არახრახდა კბილადა მუხრუჭი და გაიშხუილა მოხდენილმა ავტომ. ჰაერი შესძრა, მანქანის ხმასთან ერთად, ბორბლების კიდეებიდან შხეფებათ იქით-აქეთ გასროლილ - გაფანტულმა ტალახმაც.

რა თქმა უნდა, თეატრის შენობა შორს არ იყო, მაგრამ თვითონ თეატრში ხომ უნდა გაეგოთ — ვინ გამოვიდა ასე დაგვიანებით? ხომ უნდა ეკითხათ: „ვინ მობრძანდა“?.

აღმასკომის თავმჯდომარე თადეოზ თავდიკაშვილი კი იჯდა ავტოში მილიციის უფროსის გვერდით, რა თქმა უნდა, სავსებით საპატიო პოზაში, მაგრამ უხერხულობიდან ჯერაც კი ვერ გამოსულიყო მაინც იმისი გოგრა: — რა მოუვიდა ეს თადეოზს, რომ ქალაქში ოპერის არსებობა გადაავიწყდა?

— არა, ოპერის ქალაქში არსებობა კი იცოდა თადეოზმა! მას მხოლოდ ამელამდელი წარმოდგენა გადაავიწყდა, საქმით დატვირთულს და მხოლოდ ის მოაგონეს!..

ივლებდა გულში თავის გასამართლებელ ფიქრს თადეოზი.

თეატრში შეუმჩნევლად შევიდენ ისინი, გვერდის გზით, მთავრობისათვის მიჩნეულ ლოჟაში, სადაც მათ, მოლოდინის წინაალმდეგ, რამდენიმე „წვრილფეხა“ ხალხი დახვდათ ლოჟიდან ლოჟეზე დასხმულ კვახებივით თავ-გადაყუდებულები.

ასე იყო ამ საღამოსაც.

მაგრამ, მოგეცეთ ლხენა; „წვრილფეხა“ ხალხს ენებებოდა თავისისა და ცოლების ცქვეტაც და ციდან გამოჩენილ ალალის მოახლოებაზე წიწილების მეშინეასავით იქიდან დაფაცურთხაც. როცა ლოჟაში შემოსულები: წინ — თადეოზი და უკან — კაპიტონი დაინახეს!..

ლოჟა ვიწრო იყო, ორი კაცისათვის გამოანგარიშებული, თითქოს განგებ თადეოზისა და კაპიტონისათვის გაეკეთებინოთ ის, მიუხედავად იმისა, რომ თეატრი ნიკოლოზის ხანაში იყო აგებული და თავის დროზე აქ ბოიარულმა და მისმა მეუღლემ იცოდენ ყვავებივით წამოსკუპება.

რა შედარებაა!.. თადეოზი და კაპიტონი ორი ცეცხლივით გაიკაცეს, ორი არწივივით ამაყად გამომზირალი წითელი კუთხის ხელისუფალი!

მართალია, ონოფრე ფორიაქაშვილი, ადგილობრივი პროფრაიონბიუროს თავმჯდომარე მაშინვე წამოდგა პარტერიდან, ნელი ნაბიჯით გასწია, ფეხ-აკრეფით შეიპარა მთავრობის ლოჟაში, ვითომ იმის დასამტკიცებლად, რომ ისიც „მთავრობის კაცი“ იყო, და ფეხ და მხრებ-აკრეფითაც დაჯდა დოროთესი და კაპიტონის უკან სწორედ იმ დროს, როცა სცენაზე გამოჩნდა მომღერალი მსახიობი ქალი, სირმა პეტელაშვილისა, რომელმაც შემოსძახა რა თავისი შეყვარებულის არია: „შენ გეტრფი ლამაზო ვაჟო“-ო, ხელები მოხვევნის მოსურნესავით გაშალა და რაღაც ჯადო ძალის მეოხებით მიაჩერდა იმ ლოჟას, რომელშიც ისხდენ თადეოზი და კაპიტონი, მაგრამ მთელს თეატრში თითქმის ერთ აზირებულ მაყურებელსაც კი არ მოსვლია თავში აზრად, რომ ეს „შენ გეტრფი“ ონოფრეს ეკუთვნოდა, არამედ იგი ყველამ ან თადეოზს ან კაპიტონს „მიაკუთვნა“.

ხოლო თვით ეს „მიკუთვნება“ კი იმდენად ელიერი და გამჭვირვალე - ვაბასრული შეიქნა (არ იფიქროთ, რომ

ხოლო თვით ეს „მიკუთვნება“ კი იმდენად ელიერი და გამჭვირვალე - გაბასრული შეიქნა (არ იფიქროთ, რომ ვინმეს ამისთვის თავი შეეწუხებინოს თეატრში, არა, ეს ჯერ თადეოზის მიერ „ნაწყენი“, ხოლო შემდეგ კაპიტონის მიერ „ნატკენი“ გულის თქმა იყო, მსახიობი ქალის უბრალო დიქციით გამოწვეული), რომ თადეოზი მაშინვე გველისგან დაკბენილივით ზე წამოიჭრა და მაშინვე მიიღო გაბრისხებული ნერონის პოზა.

მას აჰყვა კაპიტონიც, ხოლო ონოფრე მაშინვე ლოჟის პარტერიზეს მიეფარა და უმალვე გაუჩინარდა.

დაცარიელდა „მთავრობის“ ლოჟა. თეატრში ტყვიასავით ლეგა და მძიმე ღრუბელი ჩამოწვა. შთაბეჭდილება იმდენად მძიმე ჩამოვარდა, რომ შემდეგი მოქმედებისათვის უკვე აღარ აწეულა ფარდა.

ხოლო იქვე „მთავრობის“ ლოჟის ფოიეში გამოიცა თადეოზის ძკაცრი დეკრეტი, რომელიც იმავე ღამით სისრულეში მოიყვანა კაპიტონ კანტიაშვილმა:

„კადნიერმა მსახიობმა ქალმა 24 საათის განმავლობაში დასტოვოს ქალაქი“!

ამის შემდეგ ამ ქალაქში პარტიის წმენდაც დაიწყო... გამწმენდ კომისიამ განიხილა თადეოზის და კაპიტონის მრავალი „საქმენი საგმირონი“ და მათ შორის ეს შემთხვევაც, თუ როგორი იყო კომისიის დასკვნა თადეოზისა და კაპიტონის შემართ, იქიდანა სჩანს, რომ ქალაქში მათ შესახებ ეხლაც გაიგონებთ: „წმინდა ბერი წმინდათ წაწყდათ“.

ნარი.

# მყუდროების დარღვევა



—რა გვეშველება, თუ „ტარტაროზი“-ც განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადავიდა?!

## მოხსენება არა სანიმუშო

ეს იყო პროვინციის ერთ-ერთი რაიონის ერთ-ერთი კონფერენცია, რომელზედაც ერთ-ერთმა ქარხნის დირექტორმა გააკეთა მოხსენება ერთ-ერთი წარმოების მდგომარეობის შესახებ.

— იმ ობიექტიურ და სუბიექტიურ გარემოში (ხმები ადგილებიდან: „მღაბიოთ, მდაბიოთ“)... უკაცრავად ამხანაგებო, ამაზე მდაბიოთ აღარ შემიძლია ჩემი ინტელექტის სიტუაციის გამო (ხმები: „კიდევ უფრო მდაბიოთ“)...

— ერთი სიტყვით,—განაგრძობს დირექტ.,—ჩვენი ქარხანა სულ წინ მიიწევს და მიიწევს. ამის კონკრეტიული მაგალითები უამრავი და ამომწურავიცაა: აი მაგალითად — 1917 წელს ჩვენი ქარხანა სრულებით გაჩერებული იყო, ახლა კი მუშაობს (ხმა: „ყოჩაღ, ყოჩაღ“). ამას გარდა სხვა მიღწევებიც მრავალია: მენშევიკების დროს ქარხანა წლიურად ამუშავებდა 100 მანეთის საქონელს, ახლა კი შრომის ნაყოფიერება სამი ათასი პროცენტით გაიზარდა. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ზრდა უდავოა.

**ხმა ადგილებიდან:**—რა გააკეთეთ 1927 წლიდან დღემდე?

**მომხსენებელი:**—აქაც უსათუოდ შესამჩნევი მიღწევებია: შრომის ნაყოფიერება, მართალია, არ გადიდებულა, მაგრამ ჩვენ მას ვადიდებთ 5 წლიანი პერსპექტიული გეგმით (ხმა: „უდიდესი მიღწევაა“). ამას გარდა, განზრახულია ახალი მანქანების შესაძენ პუნქტების დამუშავება. ეს პროექტები შეუთანხმდება შესაფერ ორგანიზაციებს და დამტკიცდება სათანადო ორგანოებში. ამასთანავე პრინციპიალურად გადაწყვეტილი გვაქვს რაციონალიზაციის გატარება და სათანადო ნაბიჯებსაც გადავდგამთ ახლო მომავალში.

ამასთანავე ვიდგენთ რეზოლიუციის პროექტს ჩემი მოხსენების გამო. ეს რეზოლიუცია შეიცავს შემდეგს:

„მოისმინა რა ამხ. კაზიონაძის მოხსენება, კონფერენცია **ფრიად დამაკმაყოფილებლად** სცნობს ქარხნის და კერძოთ მისი დირექციის მუშაობას და აღნიშნავს წარმოების ყოველმხრივ წარმატებას. კონფერენცია მა**დლობას უცხადებს ამხ. კაზიონაძეს** ასეთი საქმიანობისთვის და **საჭიროდ სცნობს მის გადაყვანას** უფრო დიდ ადგილებზე, ან სპეცსტაჟის გადიდებას“.

ვათავებ რა ჩემს მოკლე მოხსენებას (ილაპარაკა რაღაც 4 ნახ. საათი), გამოვთქვამ იმედს, რომ როგორც მსოფლიო, ისე საერთაშორისო პროლეტარიატი, როგორც ერთი კაცი ადგება ფეხზე საერთაშორისო რევოლიუციის აბობოქრებულ წყალში გადასაცურებლად. (მომხსენებელი კმაყოფილი ჯდება ტაშის მოლოდინში. დარბაზში სრული სიჩუმეა.

### რეზოლიუცია

**(მიღებულია ერთხმად)**

„მოისმინა რა დირექტორ კაზიონაძის მოხსენება, სარევიზიო კომისიის დასკვნა და კამათი კონფერენცია **ფრიად არა დამაკმაყოფილებლად** სცნობს ქარხნის მდგომარეობას, რაც უმთავრესად ქარხნის დირექციის, კერძოთ **კაზიონაძის უყაირათობით**, დაუდევრობით და საქმისადმი კაზიონური მიდგომით აიხსნება. **კონფერენცია საყვედურს უცხადებს დირექტორ** კაზიონაძეს უხეირო მუშაობისათვის, **აუცილებელ საჭიროდ სცნობს მის განთავისუფლებას** დირექტორის თანამდებობიდან და პასუხისგებაში მიცემას.

**ტერსიტი.**

# ღია წერილი ტარტაროზს

პატივცემულო, მაგრამ ჩვენთვის თავშიმცემელო ტარტაროზო!

ეს პატარა წერილი შენი მისამართითაა დაწერილი და ვფიცავთ ბიუროკრატიულ სინდისს, ეს იქნება პირველი და, რასაკვირველია, უკანასკნელი წერილი.

მიიღეთ უგულითადესი გულისწყრომა ჩემგან და ჩვენი მოძმე ბიუროკრატებისაგან—საქმის გამჭიანურებლებისაგან და სხვა ასეთი ჯურის ხალხისაგან.

მართლაც და რაშია საქმე? რომ აგიღიათ ხმალი და გვებრძვით ჩვენ, პატიოსან ბიუროკრატებს, ქვეყანა რკინა-ბეტონით ხომ არ არის დახურული? აქაო და მეურნეობას ვაჯანსაღებო, ჩვენ რაღა შუაში ვართ? შენ თუ მეურნეობის და სხვათაშორის აპარატის გაჯანსაღება დაისახე მიზნათ (რაშიაც ჩვენ ეჭვი არ გვებადება), ჩვენ, საწყალ ბიუროკრატებს, ვოლოკიტჩიკებს და სხვებს რაღას გვერჩი?

ავტომობილებით ვსეირნობთ—არ მოგწონს, ჩვენი ცოლები ხანდისხან აბანოში, ან სასეირნოთ დაწესებულებების ავტოებით დადიან—ვერ ითმენ, მთხოვნელებს თავის დროზე არ ვიღებთ—მიწას გვითხრი, დაწინაურებულ მუშებს შიკრიკებათ ვნიშნავთ—აღშფოთებული ხარ, ქაღალდებს თავის დროზე არ ვასრულებთ—გვიყუყინებ, სამსახურში თავის დროზე არ ვცხადდებით (ხან სულაც არ მივდივართ), სასტიკად გვდევნი, ადრე მივდივართ სამუშაოდან—პროტესტს აცხადებ, თვით სამსახურში არაფერს ვაკეთებთ—ზიზღით გვიხსენიებ, ბირჟის უმუშევრების ნაცვლად ჩვენ-ჩვენს ნათესავებს ვაწყობთ თბილ ადგილებზე—ქვეყანას მოსდებ ამბავს, მასებთან კავშირი არა გვაქვს—თავში გვცემ, წარმოების საკითხები არ გვაინტერესებს—წყევლას გვიგზავნი...

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, განა ქაღალდი ეყოფა? ან ქაღალდიც რომ ვიშოვოთ, მელანი იკმარებს? ერთი სიტყვით, კოჭაში გვიდგახარ და გასანადგურებლადაც აღარ გვინდობ...

რა გინდა ძმაო, ძიავ: მეურნეობას აჯანსაღებ?—აჯანსაღე ბატონო, სოციალიზმის აშენებას ხელს უწყობ?—ძიუძვი რამდენიც გსურდეს, კულტურულ რევოლუციას აღრმავებ?—თუ გინდ ძირი გაამოღებინე, საბჭოთა აპარატს წმენდ?—წმინდე, სანამ არ მოგეწყინოს, ხუთწლედის შესრულებას ეხმარება?—დაეხმარე ყმაწვილო, საერთოდ პარტიის გენერალური ხაზის გატარებას შველი?—გაატარე ჩემო კარგო.... ყველაფერი ეს, რაც აქ ჩამოვთვალეთ, შეასრულე, გაატარე, ხელი შეუწყვე, უშველე, გაანხორციელე, მოაქახრაკე და გააკეთე, ოღონდ ერთი გვითხარი. ჩვენ რაღა შუაში ვართ? ჩვენ, საწყალმა, ყველასგან მიტოვებულმა, შეძულებულმა და გასანადგურებულმა ბიუროკრატებმა რაღა დავაშავეთ? ნუთუ ჩვენ არ გვინდა კარგი ცხოვრება და ამ ავტოებში სეირნობა? ნუთუ ჩვენ არ გვიხარია თბილ კაბინეტებში მოკალათება, მით უმეტეს, რომ ჩვენ—ჩვენს დაწესებულებებში ყველა თავისიანები გვყავს და უცხოს არ ვირევთ!

დაბოლოს, რატომ გგონია, რომ ჩვენ აღმშენებლობას ხელს არ უწყობთ? განა ეს ჩვენ არა ვართ, რომლებმაც საუკეთესო ბინები ავიშენეთ და შიგ ვცხოვრობთ? განა ეს ჩვენ არა ვართ, რომ ბინები საუკეთესო ავეჯით მოვაწყვეთ და ბაზარზე ავეჯის ფასი ავწიეთ? განა ჩვენ არა ვართ, რომ ჩვენს ნათესავებში თითქმის მოვსპეთ უმუშევრობა? განა ჩვენ... მაგრამ არ უნდა გველაპარაკოთ: ჩვენ უკვე აღარ გვაქვს ლაპარაკის ხალისი, რადგანაც საბჭოთა აპარატის წმენდა, რომელიც შენ ასე გიხარია, უკვე დაიწყო და შენის მიზეზით მრავალი ჩვენგანი უნდა მოშორდეს აპარატს...

მართალია, იმედი გვაქვს, რომ კარებიდან გაგდებულნი ფანჯრებიდან შევძვრებით, მაგრამ თუ შენ, ტარტაროზო, ასე განაგრძე ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა, ბიუროკრატთა მთელი ლაშქარი უმუშევრად დარჩება, შრომის ბირჟაში ჩაეწერება და მაშინ იკითხე შრომის ბირჟის ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება...

**ბიუროკრატ-წრუ**

## პასუხი ბიუროკრატ-წრუს და საერთოდ ყოველ გვარი ჯურის, ხარისხის, თანრიგის და კატეგორიის ბიუროკრატებს, მიუხედავათ სტაჟისა, საქმის გაჭიანურებისა და სხვათა და სხვათა

„ტარტაროზი“, თვითკრიტიკის საფუძველზე, ადგილს უთმობს ზემოთმოყვანილ წერილს, მაგრამ ამ წუთში პასუხს არ იძლევა, რადგანაც დრო და ადგილი არა აქვს. ისე კი ზემოხსენებული ჯურის ბიუროკრატების საყურადღებოთ აცხადებს, რომ საბჭოთა აპარატის წმენდის დამთავრების შემდეგ იგი მოიწვევს ბიუროკრატების, ვოლოკიტჩიკების, პოდხალიმების, მედიდურების, ზარმაცების, გამფლანგველების, პროტექციონერების და სხვა ასეთი აქციონერების საერთო კრებას, სადაც განიხილება საკითხი ზემოხსენებულ კატეგორიის პირთათვის სპეციალურ სანაგვე ყუთების დამზადების შესახებ. ყუთებში ჩაწყობის შემდეგ, მოხდება ხსენებულ გვამთა ექსპორტი ჩვენი აპარატიდან და მთელი ჩვენი სამეურნეო პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებიდან.

სანაგვე ყუთების დამზადებისა და ჩამოთვლილ გვამთა ექსპორტის საკითხების მოგვარება ეკისრება თვით „ტარტაროზს“, მუშგლეხინს და გამწმენდ კომისიებს, რადგანაც, არსებული ანდაზის თანახმად, ძაღლს ვინც მოკლავს, მანვე უნდა გადაათრიოს.

დედანთან სწორია: **ალლარ-ალლარსან.**

# შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა

კუზიანი მიხაკას სამიკიტნო დუქანი ქალაქზე კარგა მოშორებით იყო.

კოჭლი მიხაკაც თავის დუქანს წააგავდა: გაჭუჭყიანებული და გახუნებული ფარაჯა ეცვა. ხელები ისე ჰქონდა გაშავებული ჭუჭყისაგან, რომ გეგონებოდა: მელანი გადაუსვამსო. წამდაუწუმ ხელით ცხვირს იხოცავდა და წინსაფარზე იწმენდდა. დაწითლებული თვალები და ჯაგარივით წვერ-ულვაში იმის მოწმე იყო, რომ მიხაკას პირი თავის დღეში არ დაებანა.

ნაკლებ საინტერესო არ იყო მიხაკას ბიჭი ტრიშკა. ის სულ ჭუჭყიანი, განხორცეელა იყო. როცა საქმე არ ჰქონდა, იდგა კუთხეში და ხან გაცხარებული იფხანდა თავსა და გვერდებს, ხან კი თითს ცხვირში იყოფდა.

დუქანს აბრა არ ჰქონდა და არავითარი წარწერა არ იყო ზედ. ასე, რომ ვინც არ იცოდა ამ დუქნის არსებობა, თავის დღეში მას ვერ მიაგნებდა. იქ თავს იყრიდენ მხოლოდ მიხაკას ძველი ნაცნობები.

ამბობდენ, რომ თურმე მიხაკას წინად დიდი ვაჭრობა ჰქონდა გაჩაღებული ვერის ბაღებში და იქ ტფილისის ყველა მდიდრები ატარებდენ დროს. დროთა ვითარების გამო, მიხაკა დაწვრილმანდა, მისი ძველი მუშტრებიც დაწვრილმანდენ და წინად თუ ბაღში ქეიფობდენ და შამპანიურს მიირთმევდენ, ეხლა მიხაკას მყრალ დუქანში შიდიოდენ და მყრალი არაყით და მჟავე ღვინით კმაყოფილი იყვენ.

საღამო ხანი იყო. საშინლად ბნელოდა და წვიმდა. დუქანში აქა-იქ ჭერიდან ჩამონადენ წვიმის წვეთებს გაქონდა ჭყაპუნი. დუქანში ოდნავ ბჟუტავდა თუნუქის ლამპა.

ერთ კუთხეში ჭუჭყიან მაგიდას მოსხდომოდენ ყოფლან ხრინტაძე — ყოფილი გენერალი, ეხლა პაპიროსის გამყიდველი ინვალიდი. ქრისტეფორა

# „შესავალი"—შესასვლელი




ესეც შესავალი....    ესეც რომანი

ჩანგალაძე— ყოფილი მღვდელი და ეხლა მეეზოვე, ბეგლარა ჩათლახაძე——სოფლიდან გამოძევებული კულაკი, ზაქარი ტიკიბერია—ყოფილი ჩარჩი

ცოტა მოშორებით კუზიან მიხაკას მაყალი გაეჩაღებია, ჭუჭყიან შამფურზე წამოეგო რაღაც ჯღარკის მსგავსი ხორცი და სწვავდა.

— აბა, მიხაკ, ჩქარა წვადები.—გაისმა ყაფლანის ჩახრინწიანებული ხმა

— ეხლავე.—უპასუხა მიხაკამ, წამოდგა და მწვადი მიურბენინა,- აბა ტრიშკა, თეფში.—დასჭყივლა მას. ტრიშკამ ცხვირიდან თითი გამოიღო, წინსაფარზე შეიწმინდა და გაიქცა თეფშის მოსატანად. აილო თეფში წინსაფარი მაგრად შიუს-მოუსვა და მიართვა სტუმრებს.

— მიხაკ, აბა ღვინო.—გაისმა კვლავ ყაფლანის ხმა. ტრიშკამ ხელათ მოურბენინა ბოთლით ღვინო.

— ბატონებო,—დაიწყო ყაფლანმა—სმა-ჭამა და ქეიფი კარგია, მაგრამ დროა საქმეს შეუდგეთ. დილამდე რომ ვიქეიფოთ, არ მოგვწყინდება, მაგრამ ხომ იცით რაზედ მოვედით და რა უნდა გავაკეთოთ, გთხოვთ ჯერ მოხსენება გააკეთოს და მერე გეგმის შემუშავებას შევუდგეთ. მე მგონია კარგი იქნება ბატონი ქრისტეფორე იკისრებდეს, გათლილი კაცია, ვინ იცის რამდენი ქადაგება წარმოუთქვამს ეკლესიაში. გთხოვთ, ბატონო ქრისტეფორე.

ყველა აჰმაურდა. ყველამ დაჟინებით მოითხოვა მოხსენება ქრისტეფორეს გაეკეთებინა. იმანაც ველარ გაუძლო ამდენ ხვეწნა-მუდარას. წამოდგა, ჩაახველა და დაიწყო.

— ბატონებო, მართლმორწმუნე ქრისტიანებო. წარმოიდგინეთ, რომ მე ისევ მღვდელი ვარ და არა უბრალო მეეზოვე. გთხოვთ გულდასმით მოისმინოთ ჩემი სიტყვები. ქრისტიანებო. რა დროს შევესწარით, რა დრო დაგვიდგა. შეხედეთ აი ამ ვაჟკაცს ეს იყო დიდი გენერალი, მაგის შიშით მთელი ფრონტი თრთოდა და კანკალებდა. მაგისი ერთი ხმა თავზარს სცემდა მტერს. ეხლა რა არის? პაპიროსებით მოვაჭრე...

ამ ლაპარაკის დროს ყაფლანი წამოვარდა, წელში გასწორდა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დასჭყივლა:

— სმირნოოო.—უცბად ყველას ენა მუცელში ჩაუვარდა.

— დიახ! მე ვიყავი, მე კიდევ გენერალი ვარ, მოვა დრო.—რიხით წარმოსთქვა ყაფლანმა, უცბად ჩაჯდა და ჯავრისაგან დიდი ჭიქა ღვინო გადახუხა.

ქრისტეფორემ სული მოიბრუნა და განაგრძო.

— დიახ, რა ვართ დღეს? რა ვარ მე? მეეზოვე. რა არის ბეგლარი? — არაფერი, რა არის ზაქარი? ნოქარი; რა არის მიხაკა?—მიკიტანი. მერე ვინ არის ყველა ამის მიზეზი? წყეული ტარტაროზი. ის მუდამ ჩვენზე სწერდა. მუდამ ჩვენ გვხატავდა და ბოლოს ამ დღემდე მიგვიყვანა. წინადადება შემომაქვს მივიტანოთ იერიში ტარტაროზზე და ამით საბოლოოდ ჯავრი ვიყაროთ. თანახმა ხართ?

— თანახმა ვართ, თანახმა.—ერთხმად წამოიყრანტალა ყველამ. გადაწყდა. გეგმა მიიღეს.

ვიდრე თანახმად დილა ადრიან ყველანი ფეხაკრეფით შევიდა რედაქციის შესასვლელ კარებში. მაგრამ აქ მოხდა საშინელი ამბავი. ატყდა კივილი, ყვირილი, ღრიალი და ბოლოს ხარხარი. მოულოდნელად შეთქმულებას იქ დაუხვდა თვით ტარტაროზი, რომელსაც ხელში შვეერიანი გაალმასებული ფოლადის სამთითა ეჭირა, და ყველანი სათითაოდ ზედ წამოაგო.

ფი. ჭრაძა.



ჩვენი „მსუბუქი კავალერიის“ ფურცელი № 1.

# თავდასხმა ალმასკომზე



მეგობრული შარჟი

ვანო: — რამდენი გასაწმენდი ყოფილა ამ ალმასკომში „რა!“



### ლომბარდი

სამადლიანაშვილს მხოლოდ
აინტერესებს. ფული
საერთო საქმეზე აქვს
აცრუებული გული
ამბობს:—გიჟი ვარ, რომ ვქნა
მე საზოგადო საქმე?
ჯამაგირისთვის მხოლოდ
ვემსახურობ, გესმით, აქ მე!

—:—



ნიჩოს აქ ყველა კი იცნობს;
(ჯავრიშვილია გვარადა).
გვიან მოდის და სანაცვლოდ
სახლისკენ გარბის ჩქარადა.

—:—



### სასოფ. საგად. სექცია

კვირიკაძე გაკულაკდა,
აქ შევიხო, რაც იქ აკლდა.

—:—



### საფინანსო

[illegible] მანქანას [illegible] ქალმა
([illegible] მისი გვარი)

„ტელას“





ყლაპი უქნა ჩუმად... და მან
განაცხადა ცივი ვარი...
ესლაც იხდის იმ ვალს წვრილად,—
(გაუწერეს ჯამაგირზე...
დღეში სამ ფუთ „კრასკას" ხმა-
რობს
წასასმელად სახე-პირზე).

—:—




საკანტ. განყ.

ბათომში რომ „გაიმასქნა",—
აქ მოეწყო ოთხმეზური.
ნეტავ ვინ ჰყავს, გვაცოდინა,
პროკურორი და მეგზური?!

—:—



კაბინეტში ზის თოხაძე,
კაცი არის ბუღალტერი.
ჩვენი ახალ ცხოვრებისა
იგი არის ბუღა მტერი.
ისე უცქერს აღმასკომის
ადგილობრივ მრეწველობას.
როგორც, რომ ვსთქვათ შესადარად,
ადგილობრივ მეწველობას,
ებრალიძე „ებრალება",
მიტომ აძლევს ბლომად ფულებს
ამიტომაც ებრალიძე
მას მიართმევს მოხრაკულებს,



არ ეწყინოს კომენდანტის
მოადგილეს მესხის.
უწოდებენ მას აქ „ანტი"-ს,
რომ მთავრობას „ესხმის".
მას არ მოსწონს ვინც გაუდგა
განზე მეწ'შევიკებს.
„კაცი ჩემებრ გამძლე უნდა",—
ამ თავისთავს იქებს.

—:—



ის სოფლიდან გამოცოცხდეს,
შეაფარა ტელავს თავი.
უფროსებთან იგრიხება
და ენა აქვს მეტად ავი.
ჭორიკანობს... ამ საქმეში
ვინ იქნება იმისთანა?
ეხლა მაინც ხომ მიხვდებით,
რომ ელენტია ეს შუშანა.

**„ყუმბარა"-ს შემდე-
გი ნომერი გამოვა
8 დეკემბერს**

მეფარეული ჰყავს ვილაც დიდი,
მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს,
არ გვექნება მისი რიდი.
აბა გვითხრას—რად არ იხდის
ის ძველის-ძველ დავალებას?
რატომ იჩენს ნაცნობთ მიმართ
ეგზომ გულჩვილ შებრალებას,
რომ ხაზს უსვამს იმათ ვალსა,
და აყენებს ზარალს ტელავს?
ჯერ ეს ცოტა იყოს მასზე...
(ვინ ჩამოთვლის ცოდვებს ყველას).

—:—



(საექსპ. განყ.)

თავს ასაღებს ინჟენერად,
ეს ვინ არის ვინ მიხვდება?
თუ დიპლომი გაუსინჯეთ,
გიმნაზისტი აღმოჩნდება.

—:—



სოხაძეს და ჯიშკარიანს
შეედრება სხვა ვინ განა?
ორივენი აქ არიან
თამარები ჭორიკანა.

სტროევი სწყალობს ვაჭრებსა,
სტროევს კი—გაზარიანი,
და სამმართველოს ამათგან
ზარალი აქვს გვარიანი.

ჩამოუწერეს არუთინს
400 მანეთი ვალია...
ოქმიც კი შესდგა ამაზე,
მაგრამ არა სჩანს კვალია.

—:—

# „ლ ო მ ბ ა რ დ ი"





გენერალი ივანე,
გვარად საგინაშვილი,—
ვინ არ იცნობს ლომბარდში,
ოუ რა არის რა შვილი.
გამოდევნეს სოფლიდან,—
თავი ლომბარდს აფარა.
(პროტექცია თუ ჰყავდა
მიიღებდნენ, აბა, რა!).

იცნობდეთ ლოლობერიძეს
და მასთან მაჭაჭვარიანს.
ესენი ლომბარდს აძლევენ
წლიურად ზარალს გვარიანს.
მარცხენ - მარჯვენა ხელია
მფლანგველ ბაქრაძის ესენი..
(მეორე კიდეც სულიგნობს,
ვერ მოიშალა ეს სენი).

—:—




მფლანგველთა კამპანიამა
ლომბარდს აფარეს თავია:
ხომასურიძე, სანაძე,
ნადირაძე და მჟავია.
ანჯაფარიძეც მათშია...
ხმები მიმოდის მჟავეა...
დროზე ვუშველოთ ლომბარდსა,
გავცოცხოთ დამნაშავეა.



უხვად სწყალობსო ხოსო
ნაცნობთ და ნათესავებს.
გამოვა სალაროდან,
უმიგოდ უგირავებს.

ალმასკომში სათანადო ორგანოებთან შეუთანხმებლად პროტექციით მოეწყო სამი ვექილი: რობაქიძე, მკურნალი და დანელია, რომლებიც ანტი-საბჭოთა ელემენტე[illegible] არიან.




პროტექტორი: — ნუ გეშინიათ, შემოდით; თვა ლი ახვეული აქ[illegible] და ვერა გხედავსთ!

# ხაშურის ამბები

ერთხელ კიდევ, ტარტაროზო,
მსურს გავსწერო ეს ხაშური.
პირში „ფლიდათ“ არვის ვაქებ,
არავის მაქვს მტრობა, შური.
ჯერ მე მინდა აგიწერო—
„ძმურად“ ქალთა სამკერვალო,—
ორ თვის შემდეგ შეგისრულებს,
თუ გსურს რამე დაავალო.
და ამიტომ, ტარტაროზო,
ტყუილს ვერ გეტყვი, ძმაო აქ მე.
ერთხელ შეველ მეც შემთხვევით,
თუმც არ მქონდა დიდი საქმე.
მე მინდოდა თეთრს „ტილოზე“
სიტყვა „ზაკტპო“ დამეწერა..
—„სალამოზე მზად იქნება“—
გამგემ მითხრა, დამაჯერა.
მაგრამ აბა მათი „საქმე“
მითხარ როგორ დავაფასო,
ჩემს „ტილოზე“ პირუკუღმა,
დაეწერათ მათ „ტ“ ასო.

—:—

შემდეგ ქუჩებს ჩამოგითვლი
ტარტაროზო, ხაშურისას,
„ზემო-სერის“, „ქვემო-სერის“,
„სოხუმის“ და „კავშირისას“.

გეფიცები, ტარტაროზო,
ცაძდი ვიყავ აფრენილი,
რომ „კავშირის“ ქუჩაზედა
გაგვიკეთეს „ქვაფენილი“.
მაგრამ ამით ვერას ვხედავ;
მე ვერაფერს სასიკეთოს,
ეგრეთ არც მსურს ალმასკომმა
აქ სხვა ქუჩა გაგვიკეთოს.
მარტო ქვებით „მოგვიკენჭეს“;
არ დაყარეს ქვებზე ხრეში.
ასი კაცი თავპირს იმტვრევს,
ტარტაროზო, ყოველ დღეში.
სხვა ქუჩებს კი სულ ნუ მკითხავ
გულსაკლავი სანახია,
ვაჟკაცი ხარ თუ გაივლი —
მუხლებამდი „ტალახია“.
მსურს გავსწერო „მეგობრულად“
კანცელარია ჩვენი კოლა.
აქ ხაშურში ისე დადის,
გეგონებათ „ვილაც“ მოლა
ალმასკომის „ზავ-ხოზია“
მოტრფიალე ქალებისა
მოქეიფე „გმირთა-გმირი“
არ მიმცემი ვალებისა.

მიტომ მირდა, ტარტაროზო,
მას „შექება“ მივუმატო,—
ნუ თუ მისთვის შეიძინა
ალმასკომმა დიდი ავტო?
მუდმივ დადის სურამისკენ...
მიქრის... ავტოს მიაქანებს,
რას იდარდებს ერთი მითხარ,
გვერდით უჯდის ლამაზ ქალებს!
იმ „ქალს“ მე არ ვასახელებ
თვითონ მიხვდა... დაისვენა,
კანანოვმა „წმინდის“ შემდეგ,
შენს „აკვანში“ განისვენა.
„ზაკტპოშიაც“ შევიარე,
რომ მეყიდა რამე მსურდა,
მუნ მოლარის საქციელით,
გული წამსვე დამიწყლულდა.
ხურდა თუმც კი ბევრი ჰქონდა,
კვლავ ასანთი გაასაღა,
იქნებ მისი საქციელით
დამტყვილა ფიქრობს რაღა.
ასანთი თუ შემოაკლდა,
სულ არ მოგცემს მაშინ ხურდას,
ეტყვი რამეს,—გიპასუხებს:
„ნუ ედები აბდა-უბდას“.
ამ მოლარეს საქციელი
ნეტავი რას დავადარო.
მაგ გზით „ზაკტპოს“ სახელს უტ[illegible]
თუ მიხვდები, ჩემო „დარო“.
ხაშურში წყალს ძვირად ნახავ,
ლამის მოვკვდე წყურვილითა,
გული დადნა მოლოდინში
„წყალ-სადენის“ სურვილითა.
წყალი ისე გაგვიძვირდა —
თითო „ქიქა“ შაურია,
წყალის კრანთან ხალხის გროვა
და თან აურ-ზაურია.
ვინ არ გინდათ იქ არ იდგეს,
მუშების მხრივ წყლისა მდომი,
წყალს წვეთ-წვეთად თუ შეიძენ,
ეხ, სად არის ალმასკომი?
ინჟენერსაც აგიწერავ,
ვაჟკაცს ფლიდს და გაიძვერას
რა გინდ კარგი კაცი იყო,
ვერ გახდება მასთან ვერას.
უყვარს სმა და ქეიფობა,
ღვინო, ზუთხი, ხიზილალა,
მან თავისი „უთ ჯობით“,
„სამშენს“ ბევრი აზარალა.
ხალხის ფულით ძლიერ უყვარს
სუფრის გაშლა, ერთობ ძვირი,
„გაზეთის“ ფულს რომ არ იხდის,
ეს კი არის გასაკვირი..
მუშას თხოვნით მასთან მისულს,
ის უხეშად მოექცევა
ძველსა „ჟანდარმს“ მოგვაგონებს
ნამდვილად მისი ყოფა-ქცევა.
არ დავსტოვებ ელსადგურსაც,
მაზედ ვიტყვი სიმართლესა.
ყოველ ღამე რომ გვიგზავნის
„პორციობით“ სინათლესა.
ხაშურს უცქერ ბნელით მოცულს,
არსაით მაქვს გასაქანი,
ტარტაროზო, შენ გასაჯე
ამ საკითხის სიგრძე—განი.
და თუ კიდევ ამის შემდეგ
საქმე ცუდათ გამოვგოს,—
მაშინ ვკადროთ საყვედური
ელსადგურის გამგე სერგოს.

ნექატრი.

# რუსული იუმორი



— შენ. გგონია, რომ ეს ადვილია: მოიტანე, ჩაგვაბარე, მიიღე ჩეკი და, ჰაბარდა, წადი! ეეეჰ, შე ხამო შენა! აპა ჩვენ აქ რისთვის ვზივართ? რისთვის ვღებულობთ ჯამაგირს სახელმწიფოსაგან?!

„კრაკადილ“.



— ეს რა არის! ყველი მოიტანეს?

— არა, ეს საჩივრის ახალი ყუთია!

„ჩუდაკ“.

ზოგ კოოპერატივებში სასწორები არ არის საკმაო რაოდენობით.



— ოი, ეს რა ამბავია! იქედანაც რიგი დაიწყეს.



— გამაკრიტიკეთ წმენდაზე; მე არა ვარ ამისი წინააღმდეგი, მაგრამ ნუ დამაწვრილმანებთ, ნუ იტყვით ჩემზე: „ბიუროკრატია, მყვირალა, დაწინაურებულებს ვერ ინელებსო“ და სხვა.

რევიზორ.



— მთელი ორი საათია აქ ვდგევარ და ვერ გავიგე, თუ რატომ ასე მატულობს გაცდენა.

„რევიზორ“.



— თუ ქალი ხარ, ხელს ნუ შეუშლი. საერთო კრების დადგენილება დაავიწყდა, და ხვალ კი მოხსენება უნდა გააკეთოს მის შესრულების შესახებ.

„კრაკადილ“.

---

ახალგაზრდა მხატვართა თხოვნით გაგრძელებულია ახალგაზრდა მხატვართა შეჯიბრის ვადა. გრძელდება სურათების მიღება. (პიროიბები იხ. „ტარტაროზი“. (№ 45-ში).

# სოფლის თეატრში

## სატირა—შარჟი 1 მოქმედ.

სცენა წარმოადგენს სოფლის თეატრის მინიატიურული სცენით, კულისებით და დარბაზით. სცენის კუთხეში საწოლია. კედელზე კიდია აფიშა: **„დღეს თრიატში წარმოდგენილი იქნება სცენები შაქსპირის „ატელოდან“.** მაყურებლები თანამედროვე სოფლის ტიპებია, დარბაზში ხმაურია: ღრეობიან, ცეკვავენ, ბავშები ტირიან).

**გამგე** (სცენიდან) — ეი, თქვენ, რა გაღრიალებთ!?

**1 მაყ.** — ღრიალებ და არც არაფერი იცი.

**2 მაყ.** — ერთი მაგას პორტრეტში შეხედეთ.

**1 მაყ.** — ფულები რომ გადაგვაშვლეპე, ძამია, რავა, წარმოდგენას არ იძლევი?

**2 მაყ.** — ღამის თევაზე ხომ არ მოვსულვართ?

**1 მაყ.** შენ ერ, ვერ უყურებ მამლები ყივიან?

**გამგე** (1 მაყ.) — მაი ენა რომ წაგიგძელებია, ცოტა დეიმოკლე, თვარა თუ გადმოვხტი აქედან, ჩიტივით გაგბდღვნი.

**1 მაყ.** — რაო, რაო? გადმოვხტიო? გადმოხტი, თვარა საბანჩე არ მომიჯექნო...

**2. მაყ.** — ბიჭო, მაჭელა ენა ვის ექნება?

**გამგე** — გაჩუმდით, გელაპარაკებით.

**3. მაყ.** — ყმაწვილებო, დამშვიდდით, ერთი ღერი სიტყვა მაქვს სათქმელი.

**ხმები** — სთქვი! სთქვი!

**3 მაყ.** — აფხანაკებო, რომ ჩხუბობთ, რა გაჩხუბებთ? რა გაქვთ გასაყოფი? ამ პატიოსანი ხალხის მაინც არ გრცხვენიათ? (უჩვენებს ყოფილ თავადზე, აზნაურზე, მღვდელზე, დიაკონზე, ჩარჩზე და კულაკებზე).

**ხმები** — პატიოსანი ხალხი, პატიოსანი! (სიცილ - ხარხარი).

**3 მაყ.** (გამგეს) — შენ ეი, ერთი მითხარი, ტრაქტორის მადლი შეეწიოს შენს ოჯახს, ატელოა, თუ ვილაცა იგი, გველირსება მისი ნახვა თუ არა?

**2 მაყ.** — წარმოდგენა იქნება თუ არა?

**გამგე:** — იქნება! იქნება!...

**ხმები:** — როდის? როდის? როდის?...

**1 მაყ.** — როცა მაგის თავი გახმება...

**გამგე:** —ბიჭო, შენ კიდევ არ იმოკლებ მაგ ენას?

**1 მაყ.** (მღერის):

ეს ჩვენი გამგე თრიატრის
ცნობილი ვაჟკაციაო,
შემოუყვირე ერთი და
შიშისგან გაიციაო.

**გამგე:** — გაჩერდი შენ, ვირო შენა!

**1 მაყ.**—რაო, რაო, ვირი ვარ? აბა, ბიჭებო, მომყევით. (მაყურებელთა ერთი ჯგუფი სცენისაკენ გაიწევს. გამგე მიიმალება... შემოდის მასხარა).

**ხმები** — მასხარა მოვიდა, მასხარა.

**მასხარა** — ხალხნო, აქ რა გინდათ. წარმოდგენაზე რატომ არა ხართ? (ყველა იცინის).

**ხმები:** — მასხარავ, სად არის წარმოდგენა?

**მასხარა** — სად არის წარმოდგენა და რესტორანში...

**ხმები:** — გვიამბე, მასხარა, გვიამბე...

**მასხარა:** — ჩვენი არტისტები იქ ქეიფობდენ, როცა ქეიფს მორჩენ, დაერიენ ერთმანეთს და დასცხეს...

**ხმები** — წავიდეთ, წავიდეთ (მაყურებელთა ნაწილი დარბაზიდან გარბის. გამგე სცენიდან გადმოხტება და მათ მისდევს).

**მასხარა:** — მოიცათ, ერთი დიდი აზრი მომივიდა.

**ხმები:** — თქვი მასხარა, თქვი...

**მასხარა:** — ვის უნდა წარმოდგენა?

**ხმები:** — ჩვენ გვინდა.

**მასხარა:** — ერთი ისეთი წარმოდგენა ვიცი, ისეთი, რომ ყველას გაგაკვირვებთ... ოღონდ ცოტა გროშებია საჭირო. (ქუდს მოიძრობს და ფულს აგროვებს. შემდეგ ფულებს ჯიბეში ჩაიყრის, ხალხს თავს დაუკრავს და გარეთ გავარდება. იცინიან. შემორბის გამგე).

**გამგე** — მოდიან, მოდიან (დარბაზში შემოდის რეჟისორი. მას მოყვებიან სცენის მოყვარენი, რომლებიც ფეხზე ძლივს დგებიან).

**რეჟისორი** (ხმა აწევით) — სმენა! (გამგეს) — არა გრცხვენია, ამდენ ხანს ხალხს რათ აცდევინებ?

**გამგე** — შენი ბრალია, და მე მეუბნები.

**რეჟისორი** — მე საქმე მქონდა.

**გამგე** — გეტყობა თავზე.

**რეჟისორი** — ნაწვიმარი იყო და, გზაში დავეცი.

**გამგე** — ერთი თვეა არის სოფლად გვალვა დგას. (ხალხი იცინის.)

**რეჟ.** — (ხალხს) — მოქალაქენო, ხომ არის წვიმა?

**ხმები** — წვიმაა, წვიმა...

**რეჟ.** (გამგეს) — აა, ხომ ხედავ, მე მართალი ვარ. (გამგე, რეჟისორი და სცენის მოყვარენი კულისებში გადიან); აბა, დავიწყოთ (გამგეს) მიეცი პირველი ზარი.

**გამგე:** — ზარი არა გვაქვს. (ზარის მაგიერ თუნუქის კოლოფს ხმარობს).

**რეჟ.** — ოტელო, კასიო, გრაციანო, იაგო, მონტანო აქა ხართ?

**ხმები** — აქა ვართ, აქა.

**რეჟისორი:** — აბა, ოტელო, გადი სცენაზე, ნუ გეშინია. მე გიკარნახებ.

**სცენის მოყვ.** — არ შემიძლია, როლი არ ვიცი და თანაც ბრუნავს ჩემს გარშემო მთელი ქვეყანა.

**რეჟ.** — არა უშავს... როლის ცოდნა რა საჭიროა... საქმე თამაშია და არა სიტყვებში, გესმის. აბა, მარშ.

**სც. მოყვ.** — ვერაფერს ვიტყვი, ენა მებმება (ყვირის)—ვაიმე, ვაიმე!.. (რეჟისორს) დათვი მეგონე...

**რეჟის.** — გადი, გადი, გადი... აბა მოკიდე ხელი. („ოტელოს“ სცენაზე გააგდებენ, ერთხანს გაქვავებული დგას) ოტელო, დაიწყე...

**სცენის მოყვ.** — ოტელო დაიწყე.

**რეჟის.** — ვაგისკდეს მიწა.

**სცენის მოყვ.** — ვაგისკდეს მიწა. —აი მიზეზი, სულო ჩემო... ვარდი ბუჩქიდან რომ მოვგლიჯო ხომ უნდა დასჭკნეს.

**რეჟ.** — მასე, მაეს, მალადეც.

**სც. მოყვ.** — მასე, მასე, მალადეც.

**რეჟის.** — დევილუპეთ.

**სც. მოყვ.** — დავილუპეთ...

**რეჟის.** — მე სიცოცხლის ძალას ველარ მივცემ...

**სც. მოყვ.** — მე სიცოცხლის ძალას ველარ მივცემ... მინდა ვიგემო იმისი სუნი, ვიდრე კიდევ მტოზეა აბია (ვითომ კოცნის საწოლში დეზდემონას).

**რეჟის.** — სად გადახტა მაი ოჯახდაქცეული (სცენის მოყვარეს)—პო. ბალზამისა სურნელებავ ძალგიძს აცდინო.

**სცენის მოყვ.:** — ვიდრემდი წახვალთ, მათქმევინეთ ეს ორი სიტყვა.

**ხმები** (დარბაზიდან): — თქვი, თქვი.

**რეჟის.:** — დევილუპეთ.

**სცენის მოყვ.:**— დევილუპეთ.. მე ვენეციის სახელმწიფოს გამგებელთათვის გამიწევია სამსახური, თითონაც იციან...

**რეჟის.:** — ილაპარაკე ჩაც გინდოდეს.

**სცენის მოყვ.:** — როცა ერთხელ ალეპოში ოსმალი ვინმე თავს რიდე დუმული ვენეციელსა სცემდა და უშვერი სიტყვით აგინებდა. მივწვდი მე ყელში იმ ქოფაკ ძაღლსა და დავკალი ასე. (ხანჯალს ჩაიკრავს გულში და დაეცემა; ხალხში ხმაურია, ბავშები ტირიან, ქალები კივიან).

**რეჟის.:** — მოლოდეც. შეუდარებელი იყო ამ ადგილას.. (გამგეს)... დაამშვიდე ხალხი.

**გამგე:**— აფხანაკებო, რა გაღრიალებთ? სად გგონიათ თქვენი თავი?.

**რეჟის.** (გამგეს):— რას გაშტერებულხარ, შენ უბედურო! ააყენე ი ბიჭი რომ აგდია.

**სც. მოყ.** (გამგ.)—თავი დამანებე: როდის ცყო მკვდარი დგებოდა?..

**გამგე:** — ჯანდაბას შენი თავი, თვარ ადგები, ამ ჩემ ფეხებს (ხალხისკენ) წარმოდგენა გათავდა... შეგიძლიანსთ მიბრძანდეთ!.

(ფარდა)

**6—მი.**

# დეპეშები

### სკოლის გადატანა

**ზესტაფონი.** ვინაიდან მოწაფეები სკოლის მაგიერ საბილიარდოში დადიან, ამიტომ განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა სკოლა გადაიტანოს საბილიარდოში.

**ძგმუნტი,**

### ახალი წიგნი

**ლანჩხუთი.** დაიბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა ტ. ართმელაძის ბროშურა: „აპარატის წმენდა და წმენდიდან თავის დაძვრენა“. წიგნზე დიდი მოთხოვნილებაა. განზრახულია მეორეჯერ გამოცემა.

**მარტ.**

### თავის დახრჩობის განზრახვა

**ლანჩხუთი.** თავის დახრჩობის მიზნით აკ. ქერქაძემ გადაყლაპა „ეპო“-ს 300 მანეთი. დაზარალებული გადაგზავნილია ოზურგეთის საავად... უკანდავად გამსახლში.

**—ისა.**

### მუდმივი სურდო

**ზესტაფონი.** სანიტკომისია შეპყრობილია მუდმივი სურდოთ და არა აქვს ყნოსვის უნარი. ამიტომ ვერ ამჩნევს ქუჩებში აყროლებულ ლეშსა და სიბინძურეს.

**„ჯვებე“.**

### სასწაული თუ მარცხი?

**ორულ-ერგეტი (ზუგდიდი).** დღეს ზაქარია მოელაპარაკა ტელეფონით ზუგდიდს. ტელეფონით გამოძახებას დასჭირდა რაღაც ორი-სამი საათი. ლაპარაკი გვარიანად ისმოდა. ასეთი მუყაითი მუშაობისათვის განზრახულია — ჯილდო მისცენ ტელეფონისტებს.

**„ჯიქო.“**

### „კოლექტივი“

**ნაგარევჯო.** გაკოტრებულმა ვაჭრებმა: **რევაზოვმა, არმენაკმა** და სხვებმა საიდუმლო სხდომაზე დაადგინეს:— დავაარსოთ **„წითელი ვაჭრების კოლექტივი“.** ტფილისიდან დეპეშით გამოიწვიეს აზარია დიაროვი.

**წიმპა.**

### თვითმომარაგება

**ლია (ზუგდიდი).** ამ თვის ბოლო რიცხვებში „ეპო“-ს თანამშრომლები დაიწყებენ საქონლის დარიგებას თავისიანებისა და ნაცნობთა შორის.

**რუბაკინი.**

### დახმარების მიღება

**ფასანაური.** ადგილობრივმა მცხოვრებებმა მთიელთა კულტურულ საზოგადოების წარმომადგენელ მაკალათიასაგან მიიღეს ათასი ფუთი... დაპირება და სამი გრამი დახმარება.

**შე—რე.**

### შვილად აყვანა

**სამტრედია.** შავხიელი გიორგი ქართველიშვილი სახელგამმა იშვილა და თბილი ადგილი მისცა.

**იქიდანვე.** „ეპო“-ს ნოქრებმა მშვიდობიანად გაინაწილეს მომხმარებლებისათვის მიღებული შალეულობა.

### მშვიდობიანი დღე

**ცხუნკური (ქუთ. ოლქი).** სამი ნოემბერი ( მიღებულია დაგვიანებით). დღეს აღმასკომში სცემეს მხოლოდ თეოფილე ჩირგვაძეს. (ცემაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა თანამშრომელი მესხის ქალიც..

ბუთუ და ვანო საჭაპურიძეებმა ერთმანეთს აჭამეს ხაჭაპური.. (მუშტები). ერთს დაუზიანდა ცხვირი, ხოლო მეორეს — თავი.

აგრეთვე ვანო ჯიმშელაშვილმა სცემა გრიშა ლორთქიფანიძეს.

ასეთი მშვიდობიანი დღე იშვიათია ცხუნკურში (და ჩვენც იმიტომ აღვნიშნეთ).

**მოლი.**

# სუფსა

### დილას

— ერთი შაში კამათელო!

— სადაა შაში, შაშს შენ კი არა, მე ძლივს ვაგორებ!

— ე ბიჭო ჩარი!..

— ნუ ხუმრობ, რა დროის ჩარია?!

— ფანჯი კამათელო!

— გეშველა, ორია ერთად!

— აბა, ტომბის ფული, ყმაწვილებო, ტომბის ფული. (ეს კლუბის გამგე გახლავთ).

—:—

— აბა, დუ სე!

— არ შეგჭამოს ქირმა.. სე მე მინდა...

— ერთი სე მეც, ბიჭო!

— არაა შენ. აბა ჩარი მოდი!

— ფანჯი, შე ძაღლის ძვალო...

— დღეს არაა, ხვალ მოვა!

— ტომბის ფულს ნუ დაივიწყებთ! (კლუბის მუშაკის ხმაა).

### საღამოს

— მევიდა ფანჯი!..

— უცადე: სანამ მოგივა.

— ერთი შაში ბეში!

— არაა შით.

— ბეში კამათელო!

— ნუ იტყვი უნელს.

— ე ბიჭო, ერთი ბეში მაღირსე!

— ღირსი ხარ ჭეშმარიტად, მარა სადაა ბეში ამ ღამე...

— ყმაწვილებო, ტომბის ფულს გუშინდელივით ნუ შეირჩენთ, ჩამოდით ახლავე (ისევ კლუბის გამგეა)... თქვენ კი, ამხანაგებო, მაქ ჭადრაკს, რომ თამაშობთ, ან გარეთ გადით, ან ეგერ ითამაშეთ სამკითხველოში, აგი ცტოლი ნარდის მოთამაშეებისაა, აბა, ჰაიდა...

მოჭადრაკენი მიდიან სამკითხველოში. ნარდის მოთამაშეთა წრე ფართოვდება.

— შაში, კამათელო!..

**გუზ-გუზ**

## ტფილისის ფოტოგრაფების „კლასიური“ შეგნება

ფოტოგრაფმა სოკოლოვმა სცემა გაფიცულ მუშას, რის გამოც ის გამსახლშია მოთავსებული. ფოტოგრაფები ცდილობენ მის განთავისუფლებას.

**ხ—ლი.**



# 1930 წლის იანვრიდან

# ?

## ბ ა ზ ა რ შ ი



— რა ამბავია, რომ მთელი ურემი კარტოფილი თქვენ იყიდეთ! ცოტა ჩვენც გვინდა.
— რა მშიერები და პანიკიორები ხართ. განა ცოტაა ბაზარზე კარტოფილი?

# ცნობათა მიღება

**კი-კი-ლის** (ჯურუყვეთი, გურია). ხომ გაგიგონიათ: „ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო“. ჩვენც ასე გვირჩევნია. გვპირდებით: „შემდეგ უკეთეს მასალას მოგაწოდებთო“. ასეთი დაპირებით ვერ შევაცდენთ და ვერ დაგვაბეჭდვინებთ ამნაირ ლექსს:

**გერონტი, ქსენია, მარო, იქვე ნინა.**
**დანგრეული სკოლა, დამტვრეული მინა.**

ჩვენ ეჭვი გვებადება — განგებ ხომ არ გაგიტეხიათ სკოლის მინა, რომ „ნინა“-სათვის რითმა გამოგენახათ!?

**ლილიპუტს**, (ქობულეთი) ლილიპუტი და ასეთი გრძელი წერილი? „სცენა ტელეფონთან“ ისეთივე მოსაბეზრებელია და ნერვების ამშლელი“ როგორც თვით საერთოდ ტელეფონი. ტარტაროზი ისეა გაბრაზებული ტელეფონზე, რომ ამიერიდან არც ერთ „სცენა ტელეფონთან“-ს არ დაბეჭდავს.

**გარდაქმნილანს** (კონტუათი). სკოლის სასარგებლოთ გამართულ სალამოდან შემოსულ ფულის შესახებ, თქვენ გინდათ:

**ალექსანდრეს შევკითხოთ:**
**— ნეტავ რაღამ იზარალა?**
**ალბად მიტომ, რომ მიირთვეს**
**წიწილი და ხიზალალა.**

რატომღაც ეჭვი შეგვედის, რომ ხიზალალა აქ რითმისათვის არის მოტანილი, თორემ ის ვახშამზე არც კი იქნებოდა მანდ.

**ლეტას** (ზუგდიდი). ტფილისის სადგურში თუ ხურჯინი მოგპარეს (და ისიც ღვინით), მართლაც მადლობა გმართებთ, რომ თქვენაც არ მოგიპარეს, რადგან ქურდებს ყოველთვის ხურჯინის მოპარვა ურჩევნიათ. ჩვენ რა უნდა მოგეშველოთ ასეთი მწუხარების დროს, როცა თქვენ უკვე გაგიქარვებიათ დარდი და „ტფილისში სამი დღე და ღამე ჰქეიფობდით კვასით“.

**ჯიმშითელ გლეხს** (კახეთის ოლქი). რადიოს შესახებ გვატყობინებენ, რომ:

**რაც გაგვიფუჭდა საწყალი,**
**მას აქეთ კარგა ხანია.**
**არავინ ნაღვლობს ამაზე,**
**არვის დაუძრავს ხმანია.**

ალბად იმიტომ არ ნაღვლობენ და არც არავინ ხმას ძრავს, რომ მოსვენებული არიან „მიხაკანა რადიოსა“-ს“ ...:

**ყურთა სმენას არ აყრუებს**
**და არ ჩხავის, როგორც კატა.**
**ხელახლად რომ გააკეთონ,**
**ეს იქნება მათთვის ხათა.**

**პირცეცხლაშვილს** (საჯავახო). ვერაფერი გავიგეთ თქვენს წერილში. მგონი იმის თქმა გინდათ, რომ ფრინველთა ამხანაგობაში მოაწყვეს „ხმაწართმეული სანდრო“, რომელსაც კარგი ხმა ჰქონდა და სცოდნია ტკბილი სიმღერა.

ალბად საჯავახოს მესვეურთ, ასე ჰგონიათ:

— რაკი ტკბილი სიმღერით გვატკბობს სანდრო, მაშასადამე, მას არც ხმა ჰქონია წართმეული! — (ხმა რომ წართმეული ჰქონდეს, როგორ იმღერებდა).

ერთი სიტყვით, ლექსი არ გეხერხებათ ჯერ-ჯერობით..

**ნიშადურს** (შორაპანი). მაკრატელების კრიზისი რომ ყოფილა სახელოსნო სკოლაში, ეს იქიდანაც სჩანს, რომ თქვენი წერილის სიგრძე ერთ კილომეტრს უდრის.

ალბათ თქვენი ბრალია, რომ თქვენი წერილი გახსნისთანავე ჩაფრინდა გოდორში (ალბად ბევრი ნიშადური ამოგიცხიათ მისთვის).

**ჰაგნელ გზიას**. გამოგვიგზავნეთ.

**ქვემეხს** (მარან-ქოლობანი). რატომ გიკვირთ, თუ თქვენი აღმასკომის თავმჯდომარე ინვალიდებს სცემს (და ისიც ალეგრაში)? ეს ალბად იმიტომ, რომ, ჯერ ერთი: ინვალიდის მორევა ადვილი საქმეა და, მეორე: მუნჯი მაინც ვერსად იტყვის, თუ მას თავმჯდომარემ სცემა.

**მარტისას** (ჩიბათი, გურია). რაღა ხუმრობის ხასიათზე იქნება ეხლა ბარნაბ სულამბერიძე, რომ ეს ამბავი დავბეჭდოთ მის შესახებ! თუ 1.500 მანეთი მან „გაიმასქნა“, სამაგიეროდ 1.500 მანეთს იგიც „გაუიმასქნებია“ (ეხლა რომ გამსახლში ბრძანდება!) სწორედ მისთანა კაცზე ყოფილა თქმულება,

**„კოოპერაცია გზაა“... გამხახლისაკენ.**

**ლიუბიმოვს** (მარანი) თუ „ეპოს“ გამგე ვარლამი:

**ღვინისაგან რეტ-დახხმული**
**ხაქმეს არ აკლებს ხიავეს, —**
**მაგრამ თუ წმენდამ მოუსწრო,**
**„ეპო“-დან დაანიავებს...**

ჩვენც გვგონია, რომ ეს ასე მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ თითონ ამბობს:

— თუ თითონ მე არ შევუწყვე ხელი ვაჭრობას, არაფერი მოგება არ დარჩება.

**ფული დახლში... ღვინო თავში...**
**დავლიოთ ღვინო „ნაფარეული“, —**
**სახლში წავიდეთ გადარეული.**

სიმღერაც რომ კარგი სცოდნია?! ერთი სიტყვით, ყოველმხრივ უნაკლო კანდიდატია... წმენდისათვის.

**კვიმატს** (კირცხი). დაიცადეთ ცოტა, და, ალბად, სიცივე გამოაღვიძებს თქვენს დრამ-წრეს (თქვენს თეატრს ხომ არ ათბობენ ზამთარში?!)

თქვენი თხოვნა, რომ:

**ამხ. რედაქტორო!**

**დილამშვიდობის (თუ დილაა. ხოლო თუ სალამო — სალამომშვიდობის!) გთხოვთ დამიბეჭდოთ ეს ლექსი,** — ვერ შევასრულეთ. (ზამთარს დაუცადოთ).

**ძირმწარაშვილს**. მივიღეთ თქვენი „თავგადასავალი“, რომელშიაც გვწერთ:

**„ცოლმა მაგრად მომბეგვა; გაბრაზებული ვუზივარ მაგიდას და ვსწერ ამ წერილს. არ ვიცი როდის და ხად დახრულდება!)**

შე კაი კაცო, ცოლის ჯავრი ჩვენზე გინდა ამოიყარო! რას გვერჩით, ძმაო!

გვერწმუნეთ, ახლოს რომ იყოთ, ამის დაწერისათვის ჩვენ უარეს დღეს დაგაყენებდით, ვიდრე ცოლმა დაგაყენათ.

**დაზარალებულ მგზავრს** (აქვე). დაკარგვის შესახებ განცხადებებს ჩვენ არ ვბეჭდავთ, ხოლო თქვენი განმარტებითი წერილიდან ამ ადგილს კი დავბეჭდავთ:

**ნაშუალამევს მე უბედურს დამძინებოდა ვაგონში, და ისე მაგრად დამძინებოდა, რომ ქურდებს ტანზე პერანგი და მისი ამხანაგი გაეხადა და მოეპარათ. (კიდევ კარგი, რომ ხალათი და შარვალი თურმე ისევ ჩამაცვეს, და არ წაიღეს). ეს მე გავიგე, როცა სახლში მივედი და სალამოს დასაწოლად ტანზე გავიხადე. ვიტაცე თავში ხელი — თავიც ხომ არ მოუპარავთ-მეთქი, მარა, მადლობა ღმერთს, თავი თავის ადგილას აღმოჩნდა, თორემ რომ მოეპარათ, რა გაუძლებდა ამდენ ზარალს?**

ჩვენ გვგონია, რომ თავის მოპარვის შემთხვევაში, ნაკლები ზარალი გექნებოდათ, ვიდრე თეთრეულის დაკარგვისას.




უველა ვინც ჩვენი მტერია, დაიჭერს „ბუზიმჭერია".

რედაქცია: სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი: გაზ. „მუშა". ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაწუნებული მასალები არ ინახება და არც ავტო-რებს უბრუნდება, რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 4.

პ.-ტრესტის მე 5 სტამბა მთალიტი № 3319

ფასი 10 კაპ.
წლიწადი მეექვსე
კვირა, 1 დეკემბერი,

# ტარტაროზი

1929 წ.
№ 49 (233)



— წავიდა ჩვენი შიში... ზაფხულამდე აღარ მოგვინახულებს!

# საშეფო

## იყო გაზაფხული.

მზე ისე მხიარულად გამოიყურებოდა, როგორც საქმეთა - მმართველი, რომელსაც საქმის გაჭიანურებას აბრალებდენ, მაგრამ მაინც სუფთად გამოვიდა აპარატის წმენდიდან. სიო გაუბედავათ ქროდა, როგორც ახლად დაწინაურებული დაზგელი დაქრის ხოლმე, როდესაც მას, საპასუხისმგებლო ადგილის ნაცვლად შიკრიკად ნიშნავენ.

ბუნება ახლად ღვიძებდა და იფშვნეტდა თვალებს, ისე, როგორც ყრების მონაწილენი — მომხსენებლის სიტყვის დამთავრების შემდეგ.

და აი ამ დროს სოფელში მეხიჯით გავარდა ხმა:

— „შეფი მოსულა“!

დიაღ! შეფი ესტუმრა სოფელს და მის მიერ მიძღვნილმა ტრაქტორმა ხულ გამოაფხიზლა მიდამო. ეს გაბლდათ მუშათა ბრიგადა, რომელიც ხელცარიელი არ მიდის ხოლმე სოფლად.

შეფიც არის და შეფიც. იყვენ ისეთი სოფლებიც, სადაც შეფები, მართალია, მივიდენ, მაგრამ მიტანით არაფერი მიუტანიათ. თქვენი რა მოგახსენოთ და თითონ სოფლელებს ასეთი შეფების სტუმრობა, როგორც გაგვიგია, არ აფრთოვანებს.

ისეთებიც იყვენ, რომელთაც მიზნათ მხოლოდ ნადირობა ქონდათ თურმე და სანადიროთ ალმასკომის ცხენებიც დაიხმარეს.

**მაგრამ საერთოდ, ზაფხულში საშეფო მუშაობა გაჩაღდა და გაცხოველდა.**

## დადგა ზაფხული.

იმ გრძელ დღეებში მზე ისე დაუხრულებლათ უტრიალებდა მიწას, როგორც საბჭოთა დაწესებულების კანცელარიაში ტრიალებს ხოლმე მიმსვლელი, რომელსაც პასუხს მხოლოდ ახალ მთვარეზე აღირსებენ.

ბუნება ისე იწურებოდა ოფლში, როგორც პარტმწმენდი კომისიის წინაშე მდგომი მიტმასნებული ელემენტი.

და ამ პაპანაქებაში სოფლად მხიარულად გაისმოდა:

— „შეფი მოსულა“!

შეფები, მართლაც უხვად მოეფინენ სოფელს: ზოგი ნამდვილი დახმარებისთვის — ტრაქტორით, გუთნით, ფარცხით, წიგნით, რადიო - აპარატით, კინო - აპარატით და სხვა. ზოგიც კი... რახ იზამ, სული მწარეა, იმისთვის ჩამოვიდა, რომ პრაქტიკულად შეემოწმებინა, სახელდობრ რა განსხვავებაა ზაფხულობით ქალაქის მტვრიან ქუჩებსა და სოფლის ჩერის შორის. მართალი კი უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელთა რიცხვი დიდი არ იყო, თუმცა არც ისე პატარა, როგორც ჩვენი საშეფო საზ-ბის მუშაკებს გონიათ.

იცოცხლეთ თქვენც, ძვირფასო მკითხველებო, რამდენი კოლექტივი არტელი, განაერთი, შენაერთი და ამხანაგობა დაარსებულიყოს სოფლად შეფების ინიციატივით. მაგრამ არა ნაკლებ ვიცოცხლოთ ჩვენც, რამდენი ყანწი, დოქი და ჩაფი ღვინო დალეულიყოს ჩაღლევის განხრით შეპყრობილ ზოგიერთ შეფთა მიერ.

რა უყოთ, შეფიც არის და შეფიც. საქმე ისაა, რომელ შეფს როგორ სურს გაიგოს საშეფო პოლიტიკა, ან როგორია მისი კონკრეტული ტაქტიკა.

**ასეა თუ ისე, ზაფხულში საშეფო მუშაობა დამაკმაყოფილებლათ ჩატარდა.**

## დადგა შემოდგომა.

მზემ იგრძნო ზამთრის მოახლოება, მაგრამ ისეთი ენერგიით დაუცხუნა, როგორც ლიასათხოვნი საპჭოთა მუშაკი გაერთგულდება ხოლმე „იქნებ ლამტოვონ“-ის იმედით. ქვეყანა გამდიდრდა, გაივსო და გალაღდა, როგორც ზოგიერთი სპეცი, რომელიც შვიდ ადგილას მუშაობს შეთავსებით, არსად არაფერს აკეთებს, მაგრამ ოჯახი სავსე აქვს შვიდმაგი შემოსავლის წყალობით.

აი, როდის იწყება იშვიათი საშეფო მუშაობა! ბრიგადები და დამკვრელი სხვა რაზმები რთველში ეხმარებიან გლეხებს და საშემოდგომო თესვის კამპანიასაც იწყებენ. იარაღმანქანების გამქირავებელი და შემკეთებელი სადგურ - სახელოსნოები განსაკუთრებული ხალისით მუშაობენ, ჯანსაღი საშეფო უჯრედები აქტიურად ეხმარებიან მშრომელ გლეხობას...

მაგრამ შემოდგომაზე სოფლის მზის სინათლეზე გამობობლდებიან ხოლმე ისეთი შეფებიც, რომლებიც საშეფო მუშაობისთვის მთელი წლის განმავლობაში ყრუვდებიან ორივე ყურით და ბრმავდებიან ორივე თვალით. ისინი მხოლოდ შემოდგომაზე გამოიჩიჩქნიან ყურს, მოიფშვნეტენ თვალებს და სოფლისკენ მიეშურებიან. ოლონდაც! სოფელი ხომ შემოდგომაზეა განსაკუთრებით მდიდარი და ქალაქელ კაცს ათასი რამე-რუმის მომარაგება ესაჭიროება.

ასეთი შეფები, სოფელში ჩასვლისას ჯერ კაკაბ - ხოხობ-კურდღლის ნადირობას შეუდგებიან და შემდეგ შინაური „ხოხობებით“ იქცევენ თავს. მათი მჭერმეტყველება სავსე სუფრაზე მჟღავნდება და რაკ-რუკ რაკ-რუკით გადადის (საცა ჯერ არს) ახლად მოწეულ და ძველი ღვინოებზე.

მაგრამ ასეთი ხალხი, რიცხვობრივათ არც ისე დიდია და შემოდგომა, საერთოდ თავს იწონებს საშეფო მუშაობის გაცხოველებით. რა გინდათ, რომ შეფობამ სოფელს არ შემატოს: მანქანა - იარაღი, ახალი კოლექტივი, რადიო, კინო, ქოხ - სამკითხველო, წიგნები, ჟურნალ - გაზეთები, ცოდნა - შეგნება, პოლიტიკური აღზრდა, აქტივობის გადიდება..

**ერთი სიტყვით, შემოდგომაზე საშეფო მუშაობა ჩინებულათ ჩატარდა.**

მაგრამ...

## დადგა ზამთარი

და:

„წერილი შეფს“.

ის რადიო - სადგური, თქვენ რომ მოგვიწყვეთ, უკვე აღარ მუშაობს. ახლა იანვარია და რადიო სწორედ ახლა გვინდოდა. თუ სიკეთე დაგვიდეთ, ბარემ მარილსაც ნულარ დაიზარებთ, გამოგვიგზავნეთ ტეხნიკოსი — რადიო შეგვიკეთოს“.

წერილი მეორე (ეს უკვე სხვა შეფს, სხვა სოფლიდან).

სამი თვეა კინო - აპარატი დაგვიტოვეთ და ორი თვეა, აღარ მუშაობს. ტრაქტორს რაღაც ვინტი მოსძვრა და სინათლეს აღარ იძლევა. თუ გვიშველით, სწორედ ახლა გვინდა კინოც და კლუბის განათებაც. გამოგვიგზავნეთ ტეხნიკოსი და გააკეთებს“.

წერილი მესამე (ესეც სხვა შეფს, სხვა სოფლიდან).

„თქვენ რომ კოლექტივი დაგვაარსებინეთ, იმისთვის მადლობა. მაგრამ შეგვპირდით, რომ ქოხ-სამკითხველოსთვის წიგნებს გამოგვიგზავნიდით, ალბათ დაგავიწყდათ, თუ სიკეთეს გვიზამთ, ახლა გვაქვს კითხვის დრო“..

წერილი... მესამე, მაგრამ..

სად ჩამოვთვალოთ ყველა წერილი, მით უმეტეს, რომ სულ-ერთიათ შემოდგომიდან გაზაფხულამდე შეფები თავს არ შეიწუხებენ, რადგან ზამთარში, ჩვენში საერთოდ ისე გაურბიან საშეფო მუშაობას, როგორც.. როგორც საშეფო ხოფლის კურდღელი — ავტოთი მონადირე ზოგიერთ შეფს.

ტერსიტი.

---

**1930 წ. იანვრიდან**

**გ ა მ ო გ ა**

**?**

## მწარე გაკვეთილი



„შეუსიეს, უთხრეს: „ლუკმა არის ტკბილი“...
მაგრამ ვერ-რას გახდა და ჩაიმტვრა კბილი.

# „პოლიტიკის გარეშე“

დარბაზი ხალხით არის სავსე.
— კვიმარაძე, მოლარე!
— აქ არის.
— აბა, გვიპასუხეთ, რა მიმართულების ხართ.

— აჰ! როგორ გეკადრებათ, სად მე, სად მიმართულება, მე არავითარი მიმართულების არა ვარ... საერთოდ, ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე ვდგევარ.... მე მიმართულებებს არ მივდევ, ვდგევარ ჩემთვის საბჭოთა პლატფორმაზე და ვიქნები, თუ დამაყენებთ... სწორედ ამ პლატფორმით მინდა ვესტუმრო სოციალიზმს, თქვენი კარგათ ყოფნით...

— პრინციპიალურად რა წყობილებას იცავთ, საერთოდ როგორია თქვენი პრინციპები?

— ვინა, მე და პრინციპი? სად მაქვს მე ბატონო პრინციპი? მაგისთანა კონტრ - რევოლიუციონერი გგონივართ? მე საერთოდ პრინციპი არ მიყვარს და თითონ პრინციპიც მწყრალად გახლავთ ჩემზე. საერთოდ ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე ვდგევარ ჩემო ბატონო...

—აქ ბატონები არ არიან, ამხანაგები ყველა!

— დიახ, უკაცრავად ჩემო ბატონო, კინალამ დამავიწყდა, რომ ბატონები შავ ზღვაში ცურა....

— მაინც რა იდეებს ატარებთ?

— ჯერ მოგახსენებთ, რომ მე იდეები არა მაქვს, ვარ ჩემთვის უპარტიოთ და ვჭამ პურს... იდეები და ამისთანა რამეები ვისაც უნდა იმას ქონდეს... მე პოლიტიკას არ ვეტრფი...

— როგორია თქვენი სოციალური წარმოშობა?

—აჰ, მაგას ნუ მიბრძანებთ, მე სოციალური მიმდინარეობის არაფერი მრწამს, საბჭოთა პლატფორმას კი ვიზიარებ... რა საქმე მაქვს წარმოშობასთან, —პოლიტიკის გარეშე მდგომ კაცს?

— თქვენ ვგონებ ბოქაულობდით წინად.

— არა ბატონო, მე კი არ ვბოქაულობდი, სხვები მაბოქაულებდნენ, თორემ სად მე, სად ბოქაულობა...

— კომუნისტებს რომ სდევნიდით?

— ტყუილია, ჩემი ნებით ხომ არ ვდევდი, სდიეთ მიბრძანებდნენ, ნახეთ, თუ გნებავთ არქივში ჩემი საქმეები, თითონ მაზრის უფროსი და გუბერნატორი მწერდნენ, კითხეთ თუ გნებავთ, ორივე აგერ ზის, ჩვენს უწყებაში მსახურობენ ახლაც...

— ფული რად გაფლანგეთ?

— მე-ე? ჩემი ბრალი ხომ არ არის, მთავარმა ბუხგალტერმა გამაბედვია, ა ბატონო აგერ ზის ისიც და კითხეთ.

— კომბინაციები რათ მოაწყვეთ დაწესებულებაში?

— მე არ მომიწყვია, თქვენს თავს გეფიცებით, ზავხოზის ბრალი იყო... აქაა ეს კაცი და კითხეთ, ჩვენთან მსახურობს, მაგას რომ არ ექნა, მე რა მესაქმებოდა კომბინაციებთან, კაცი ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე ვდგევარ...

ხლას.



ინგლისელი: — ყოველგვარ ზომებს ვღებულობთ, რომ ახალშენებში კულტურა შევიტანოთ, მაგრამ ესენი მაინც უკმაყოფილონი არიან!

# ლექსი პროზათ ანუ პროზა ლექსათ

### (ამბავი, სინამდვილედ ნამზირალი, მაგრამ დიდათ სასაცილო, რომ არ იყოს სატირალი)

ძველთაგან იყო ცნობილი „კაცი ფუტლიარში“
ესე იგი, ადამიანი ყოვლად თარსი,
ბიუროკრატად წოდებული,—
გულში და გულზე ნიადაგ მჭვარტლ-მოდებული.
და იწოდებოდა იგი მეფის ჩინოვნიკად,
რადგანაც ჰქონდა წესად და რიგად
აღსრულება კანონისა, მიხედვით ასოებისა,
იყო წამრთმევი ყოველი სასოებისა,
რადგანაც იყო უგულქვავ ქვისა,
არავინ სწამდა, თვინიერ თვისა,
და მოსულს მთხოვნელად წინაშე მისა
ხანდახან არც კი ალირსებდა მოსმენას თავის ხმისა.
და იდგა მის წინაშე ხანგრძლივ მოლოდინით, ვინც იყო ხამი,
ხოლო გამოცდილს შეჰქონდა ქრთამი,
რომელიც ძველად „ჯოჯოხეთსაც კი ალებდა“;
მაგრამ აი, იცვალენ დრონი!
ქვეყანას ახალს მოევლინა სხვა ახალი პატრონი:
მუშათა და გლეხთა ჩამოდგა წყობილება...
დღეს ვის არ ახარებს მისი რევოლიუციონური შობილება!..
ჰო და, გაუჩნდენ მას სხვადასხვა მსახურნი:
მუშაკნი, საერთოდ „სოციალისტურნი“;
ანუ გასინჯეთ, სავაჭრო დუქნებიც კი
შეიცვალენ, რა კი განიცადეს რევოლიუციის ბიძგი,
და ძველ სავაჭრო სახლების ნაცვლად,
კოოპერატივმა იწყო ნავაჭრის ჩათვლა
თავის სოციალისტურ დახლში,
რასაც, რა თქმა უნდა, ვერ იპოვიდით თქვენ იმ ძველ „სავაჭრო სახლში“!
იქ დახლი ეკუთვნოდათ კერძო ჩარჩებს,
ისინი აარშინებდენ მაუდებს თუ ფარჩებს,
და ნავაჭრსაც იხჩრიალებდენ ჯიბეებში ფულად,
ალებ-მიცემობა მათ ხელში იყო სრულად!
მხოლოდ იყო ერთი საერთო პარადოქსი:
როდესაც ჩინოვნიკის გულს იმ დროში ეკიდებოდა პოქსი,
ისე, როგორც ეს სჩვევია ხშირად დამჟავებულ პამიდორს,
და სახეზეც სიმჟავის ელფერი დაჰკრავდა მას ამიტომ,
მაშინ, ამავე დროს,
თითქმის ყოველ კერძო სავაჭროს
ესახლა ხალხი ერთობ თავაზიანი,
თუმც ამის გამო ბევრი სჭირდა ჯიბეს ზიანი,
რა თქმა უნდა,—უბრალო ხალხის ჯიბეს:
ვაჭარ - ნოქართა თავაზიანობა სწორედ აქ უსწორებდა მისადგმელ კიბეს,
რათა განძი, სავაჭროში შესულ მუშტართა ჯიბეებში დებული,
გამხდარიყო მათ კლანჭებიან ტორებში მოგდებული,
და ასე ჩასულიყო მათ კერძო დახლში,
რითაც ტკბილი ცხოვრება არ აკლდათ ამ უკანასკნელთ სახლში!
მაგრამ მაინც თავაზიანობა ვაჭართა,
დარდიმანდობა და გულგაშლილობა ნოქართ ლაშქართა,
მათი მზად ყოფნა მუშტრისთვის ყოველი სურვილის ასრულებაში
ბევრს სასიამოვნოთ ულიტინებდა გულსა თუ კეფაში,
და აყაქვინებდა ჯიბიდან ფულებს:
აყიდვინებდა რა ზოგჯერ გაცილებით მეტს, ვიდრე სახლში განზრახულებს!..
ამ რიგათ, ვაჭარ - ნოქართა თავაზიანობა, ძველი,
[illegible]
არა ნაკლებ ხელსაყრელი და სასარგებლო იქნებოდა დღესაც,
რომ კოოპერატივის ნოქრებსაც ჰქონდეთ ძველი თავაზიანობა წესათ
და არ უჭირდეთ ხოლმე გარჩევა წელში,
როცა ისეთ საქონელში,
რომელიც არცა დეფიციტიან-წასაგებია,
მასთან ზორბად ფასდებულიც, რაიცა გასაგებია,
რადგან ასეთ საქონელს ეწოდება „ჩეჩუტ-მეჩუტი“
რის გამოც ჯიბე ვისაც შედარებით სქელი აქვს, სწორედ იმას ეჩუტვის
ასეთი საქონლის სყიდვით!
მაგრამ ამავე დროს ამ გზით და ხიდით
კოოპერაციას აქვს საგრძნობი სარგებლობა,
რადგან ამ საშუალებით მას ძალუხდება იმ ფულების ფლობა,
რომელიც დაბანდებულია უბრალო ხალხში!
ესე იგი, კოოპერაცია მას აქცევს თავის საკუთარ დახლში
და შემდეგ ამ საშუალებით
განაგრძობს თავისავე საქმიანობას ნაკლების წვალებით...
მაგრამ ცნობილ არს იგავი „ლორისა და მუხაზე“!
სახელმძღვანელო წესი ზოგ კოოპერატორს, რამდენიც გსურდეს, უხაზე.
იგი მაინც მიედარება იმ ლორს,
რომელიც ასწლოვან მუხის ქვეშ მიემსგავსებოდა უსულო მძორს:
სჭამდა რკოს, სთრევდა დროს,
ყველაფერს თავის სტომაქში ჰყრიდა,
მუხასაც კი ფესვებს უთხრიდა,
რათა ამოეყარა თავისი ხარბი მუცელი!..
ვაშა, ასწლოვანო მუხავ, შენ, ასეთ ლორს რომ გაუძელი!..
მაგრამ კოოპერაცია ჩვენი,
თუ კი სადმე ასეთი ლორით დანამშვენი,
ცხადია, მას მუხასავით ამტანლობა გაუჭირდება,
ხოლო მხმარებელს საქონელი ერთი ორად გაუძვირდება!..
მაგალითისთვის მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი:
მე ერთ მუშტართან ამ დღეებში მუშკოოპში გახლდით.
მუშტარს მოეწონა ნივთი, ვიტრინაში დებული,
და რათა ის ყოფილიყო ხმარებაში და არა იქ უქმად გდებული,
მოითხოვა მისი ჩვენება...
(მუშტარს შეძენა ამ ნივთის გადაჰკრით ენება!).
მაგრამ წარმოიდგინეთ ნოქარი,
აშაზედ გაანჩხლებული და ბობოქარი:
როგორ? ვიტრინიდან გამოვიღო ნივთი?
არა და არა! არ შეიძლება ეს — მიხვდი!
აი, იქ სწერია თეთრზედ შავით
წესი, რომელიც გამოვიდა ჩვენი გამგეობის თავით,
რომ ვიტრინის ალაგებამდის
იქ დებული ნივთის გაყიდვა ისევე არ შეიძლება, როგორც მიღწევა ცამდის!..
იქვე კი, კოოპერატივის გვერდით, კერძო ვაჭარი,
ოღონდ ნივთი კი მოსთხოვე სასყიდელი და, იგი მზად არი,
რომ არა თუ ვიტრინიდან,
გასასყიდი ნივთი ჩამოხსნას თუნდაც ციდან!..
აზრი კი ყოველივე ამის გასაგებია:
თუმცა დღეს ვაჭრობა არც ისე წასაგებია,
მაგრამ ზოგი კოოპერატორების ხელში
[illegible]-დუქანიც კი გაწყვეტილია წელში!..

**ნარი.**

# სატირალი ქორწილი

— ბიჭათ ბიჭი? ნულარ იტყვი!... შენს სახეს ვფიცავარ, ივანე, ერთ საზოგადოებაში უკეთესი ვერ გამოვა. სიძღერა, ცეკვა - თამაში — უკეთესი ქვით!

— უი, ბეჩა! ცეკვა-სიმღერის მეტი თუ არაფერი იცის, ქე მომიკლავს ცოლს შიმშილით! გააწყვეტინა სიტყვა ივანეს ცოლმა ფედოსიმ.

— ცოლს რომ მეიყვანს, ჭკუაში ჩავარდება. ასე არ არის ივანე? — ჩაერია ლაპარაკში შუამავალი მოსე.

— არა, ძამია, არა... ეხალნდელ დროში, რომ კაცი ხეირს ვერ იზამს, იმის აფერი არ მინდა. მთავრობა ფულს იძლევა, მიწას, პურის ფქვილს და ყველაფერს, ოღონდ ჩაი გააშენეთ და სიკეთე ქენითო. ეს ჩვენი სასიძო კი, უვარგისი ყოფილა — ფულს და მზითევს რომ თხოულობს. —შეუტია ფედოსიმ.

— გაჩერდი, ქალო, ვინ გკითხავს შენ? მოსე, რამდენს თხოულობს სასიძო?

— უკანასკნელი სიტყვა არის... ერთი სიტყვით... ესე იგი, ხუთასი მანეთი... 300\| მანეთის მზითევი, 200 —ფულათ.

— არა ძმაო, მაგი ბევრია, 400 მანეთამდე შემიძლია, მეტი არა.

— ამ კაცის საქმე მაკვირვებს. სადა გაქვს შენ გაჭივრებული ამდენი ფული? ოთხასი მანეთი კი არა, ოთხასი შაური არა გაქვს.

— მადროვე, ბოშო. ჩემს სიცოცხლეში ქორწილებში დავდივარ, და მე თუ ქორწილში წავაგე, აბა ვინ უნდა მოიგოს ქორწილიდან?

— მართალს ამბობ, ივანე. ქორწილს თუ კი იზამ, ათასი მანეთი გინდამც ფედოსის ნამზით კამოდში გეწყოს, ისე ჩასთვალე! — წააქეზა ივანე მოსემ.

— ქორწილის გამართვა და ქორწილებში სიარული სირცხვილი რომ არის, ველარ გაიგეთ თქვენ? ქორწილს ხეირი არავისათვის მოუტანია.

— რას ამბობ, ბოშო?, ყაძახიზა რომ მიმილოცავს, აღარ უნდა დამიბრუნოს?

— ულოცავდი, თვარა აკეთებდი კიდეც. მოუტანდი ორ მანეთს და ხუთი მანეთისას გამოსკდებოდი.

ბევრი დიპლომატიური აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ, მოხდა სრული შეთანხმება, რომელსაც მოჰყვა ნიშნობა და შემდეგ ქორწინების დღის დანიშვნა.

—:—

— ამაზე უფრო უშველებელი საქმე და ამბავი ჩემს ოჯახში არ ყოფილა და არც იქნება. ჩემო მოსე, შენ თუ უხელმძღვანელებ ამ ქორწილს, თვარა სხვა გამოცდილი კაცი არა მყავს! — შეევედრა ივანე მოსეს, რომელიც ივანემ საგანგებოთ მოიწვია ქორწილის ორგანიზატორათ.

— დიდი სიამოვნებით. შეუდგეთ აბა საქმეს. რამდენს ფიქრობ ქორწილში მოსაწვევ ბარათების დარიგებას?

— აგერ სია. სულ ექვსასამდეა.

— ექვსასი! ერთი მეორეზე საშუალოთ სამი მანეთი რომ ვიანგარიშოთ, 1.800 მანეთი გამოვა. სიძესაც გეისტუმრებ, ქორწილსაც და სახაოჯო ფულიც დაგრჩება.

— რა ვიცი, შენისანა გამოცდილი კაცი თუ დამეხმარება, ყველაფერი შეიძლება.

— კარგი, მარა სიძე, რომ წინდაწინ თხოულობს ფულს?

— მაგაზეც შენ უნდა მომიმართო ხელი.

— კეთილი, მხოლოდ ჩემს პროცენტებს ქე იცნობ შენ.

—:—

შეიმუშავეს ქორწილის გეგმა, რომლის შემდეგ დარიგდა ქორწინების ბარათი შემდეგი შინაარსის:




ამა 1929 წლის 30 ნოემბერს დღით შაბათს, სადილათ 12 საათზე მაქვს გათხოვებითი ქორწინება ასულისა ჩემისა თეკლესი, რომელიც მითხოვილია კლემენტი ყაისარის-ძე მუავანაძისადმი.

ამიტომ გთხოვთ მობრძანდეთ აღნიშნულ დღეს და განამხიარულოთ ოჯახი ჩვენი, რისთვისაც დავრჩებით დიდათ პატივცემულნი და დავალებულნი.

პატივისცემით: ივანე ნიკიფორეს-ძე ყაზაიშვილი და შვილები ჩემი: აკაკი, მამია, სერაპიონ, აფრასიონ, ალექსი,. ბიჭიკო და ნოე.

სოფ. თავპანტა.

გადაიხადეს ქორწილი.

— ქორწილის საბოლოო ანგარიში, ჩემო ივანე, ასეთი არის: სიძეზე მიცემული ფული ოთხასი მანეთი, ქორწილის ხარჯები და მოწყობა, ფულის პროცენტები და სხვა ხარჯები, სულ უდრის 1200 მანეთს. ამას გამოაკლდება ქორწილში მოლოცვის სახით შემოსული ფული, რომელიც უდრის 450 მანეთს და დანარჩენში კი უნდა მომცე ხარები და მაგი შენი ოდა-სახლი, თუმცა ღა ამდენი არც კი ღირს.

— რაცხა ღირს კი ვიც[illegible] მოსე, მაგრამ ვკარი მდუღარე ძი ფეხი და რაღაა.

დურგლებმა დაიწყეს ივანეს სახლის დაშლა.

ფედოსი სწყევლიდა, ხოლო ივანე აგინებდა ქორწილის მომგონს და მომწყობსაც.

ამ დროს ეზოში შემოვიდნენ სიძე და ქალიშვილი. ფედოსიმ გაშალა ხელები და ტირილით მიაშურა შვილს: უკანასკნელმაც ტირილითვე უპასუხა:

— რა ამბავია? ხომ არ მომკვდარხვარ! — დაიღრიალა ივანემ.

— ნეტა მე მომკვდარიყავი, მამავ და აგრე ოჯახი არ მენახა ასე გაპარტახებული. ვის მიაქვს ოდა? სადაა ხარები?..

ივანემ შეხედა სიმწარით აგებულ საცხოვრებელ სახლს, გაახსენდა მისი ლომა და ნისლა, სისხლი ყელში მოებჯინა და მანაც მორთო ტირილი. მოსე კი განაგრძობდა სახლის ფიცრების ლაწყობას ურემზე და უდარდელად შესცქეროდა „ტრიოს გამოსვლებს“.

ტოქსინი.

# აქაც-იქაც!

## მიბაძვა.

კულაკი ნიკიფორე მძიმე ავად შეიქნა.

— უნდა ვაზიაროთ. — დაიჟინა მისმა მეუღლემ. ხუცეს დაუძახეს.

— ვკვდები მამაო...

— ვამაგრდი. დიდ არს ძალი უფლისა, ყველაფერი მისგან გამოვალს.

— მაინც მეშინია. ჯერ არც ერთხელ არ მინახავს სიკვდილი... მეშინია... პირველად ვკვდები...

— ნუ გეშინია, ყველა ჩვენები იქ ფერი იქნება.

— საკრედიტო ამხანაგობაც იქნება?

— იქნება.

— კოოპერატივები?

—იქნება.

— ოჩერედი?

—იქნება.

— პროტექცია, ნათლიმამობა, ქრთამი?

—იქნება.

— მაინც მეშინია!

— ნუ გეშინია, ყველა ჩვენი იქ იქნებიან.

— მნათე იქნება?

—იქნება.

— ჩარჩი გაბრიელა?

— ისიც.

— ალექსი დიაკონი?

— ისიც.

— აქციზი ბაგრატა?

—. ბაგრატაც.

— თქვენი მეუფება?

— ცხადია, მეც ვიქნები, ყველანი ერთად ვიქნებით.

— უ-უ-უ-უ. რა ქეიფი შეიქნება, ავიკლებთ იქაურობას!..

მ—ზა.

# ხელსაყრელი შემთხვევა



— რას შვრები? ხელი ჯიბისაგან!
— რა გაყვირებს!? ასვლაზე გეხმარები!

ამხ. ზს: — ღარიბი ურგო,
რას ქვია სიბრალულია,
„რასაცა შესჭამ შენია,
რაც არა დაკარგულია".

—:—

სასადილოა წითელი
მაგრამ შიგ არა ჰყრია რა,
ნაცარს მეტს ნახავ საჭმელში,
მარილის გემოს კი არა.
ყანგიან დანით, კოვზითა
სულ აგერევათ გულია,
ყურსაც არავინ გაიბერტყს—
თუ გინდ ამოგხდეს სულია.

—:—

სადგურის ბიუროკრატებს.
„საქმისთვის" აღარ სცალია;
ჭკუაზე ვერ მოიყვანეს,
„საათმა" სული დალია.
ვის ნახავ, სად რა კეთდება.
მაგრამ ეს არაფერია;
ბუფეტში შუაღამემდი
„მრავალჟამიერს" მღერიან.

—:—

აფთიაქს ნუღარ იკითხავ,
(ან კი რა საკითხავია),
გამგე და თანამშრომლები
„მამა აბრამის კრავია".
აცდევინებენ მუშებსა
დღე სამი, მგონი მეტიცა,
„ვაი რა ძნელია წაკითხვა"
გრძელ-გრძელი რეცეპტები!
წამლების დასამზადებლად
დრო კიდევ მეტი სჭირია,
სულს ლაფავს ავადმყოფი და
ჭირს გადაკიდეს ჭირია.

**მანი.**

# შორაპანი

„ზაკტპოდან" უნდა დავიწყოთ,
ვინც საქმე არივ-დარია.
იქ მამლაყინწა გამგეა,
(აბზიანიძე გვარია).
არ მოსწონს მუშა-ღარიბი
თუ სასყიდელზე მივიდა;
ხშირი ყოფილა შემთხვევა
გადმოუგდია კიბიდან.
თანაც რუსული გინებით
დედას გაუხდის ფარადა.
კიდევ ამბობენ აკაკის
ვიღაც ყავს ზურგს საფარადა,
კულაკზე გასცემს უხვადა,
მცირეც არ მოეწყინება,
ვაჭრებთან ქსელი გააბა,
სურს თავის გამოჩინება.
თანამშრომლებიც დატუქსა:
— „ჩორტ ვას პობერი ოტკუდა",
ყოყლოჩინობით მრავალი
წელში მოხარა, მოკუნტა.
კერძო ვაჭრებზე შაქარი
თანასწორ გაანაწილა,
არ მოიმდურა ბახტაძე,
სიმონია და ბასილა.
მოლარეს კითხეთ თუ იცის
(წვიმა დიოდა შხაპუნა),
სამასი მანეთი სურდა,
რომ ჩუმად შეეტყაპუნა.
ხშირ-ხშირად სახლში ბრძანდება
„ზაკტპო„ ფეხებზე ჰკიდია,
ღვინოზე უყვარს ქეიფი,
მომავლის გზა და ხიდია.

გლეხკომში პოლიკარპეა,
სიმინდში ჩაჰყო ცხვირია.
კულაკებშია ძმა-ბიჭი,
ღარიბი რაღად სჭირია.

სიმინდსა მისცემს „უხვადა",
ვინც სახლში მოეხმარება,
ვენახს გაუსხლავს, გათოხნის,
მისთვის არ დაეზარება.

# ვარჯიშობა

## დიდი-ჯიხაიში

მილიციას მივხედოთ,
გამოვაღოთ. კარები.
იქ ისეთი ჩხუბია,—
ველარ გაეკარები. **სი—ვა.**




— ჩხუბია.. ერთმანეთს ჰკლავენ... მილიციელებს დაუძახეთ!
— არა სცალიათ, თვითონ ჩხუბობენ!

# ქრიალოსანი

## „გასწმ ნდეს“ „წმიდა“ მამებმა“

ეპისკოპოსმა გერასიმემ, რომელიც ქალ. ბათუმში ცხოვრობს ფოთის ტაძრის დეკანოზს კლიმენტი ჭანტურიას გამოუგზავნა ბერი ალექსი ჩხეტიანი სხვადასხვა საეკლესიო ნივთების წასაღებად. დეკანოზმა გახსნა ტაძრის ნივთების ყუთი და აღმოაჩინა, რომ იქიდან მოუპარავთ საეკლესიო ნივთები. ჭანტურია ნივთების წაღებას აბრალებს მღვდლებს: ბიბოხიძეს და კაჭარავას, ხოლო ეს უკანასკნელნი—თვით ჭანტურიას.

„კომ“.



„დაღამდა. წვრილნი ვარსკვლავნი
აყვავდენ, დასხდენ ცაზედა“—
ქრისტე.—აბა მითხარით, ხუცებო,
რა ხდება ქვეყანაზედა?
ხუცები: — აღარ მოგვიდის მრევლი,
საკურთხები და დრამაო,
და ხალხის ცარცვის სურვილი
ჩვენთვის შექმნილა ამაო.
და რადგან მრევლი ურწმუნო
თავს აღარ „გვაწმენდინებსო“,
შენი ტაძარი „გავსწმინდეთ“
„წმინდა მამებმა“, იესო.

## უკანა კარიდან

საბჭოთა ქუჩაზე არსებულ კოოპერატიულ საყასბოს № 77 მოსამსახურე ამოტა ვანეცოვი მიკიტნებზე რიგს გარეშე ჰყიდის ხორცს უკანა კარებიდან.

„მ“.



ჯანეცოვი: (არშინ-მალ-ალანის“ ხმაზე)
მიკიტნებთან „სმიჩკა“ მიყვარს
დიმ-დარიდან, დარიდან.
ამიტომაც ხორცს ვაწოდებ
მათ უკანა კარიდან.

## კონსულტაცია

ცხეთის აგრონომი ჩონიაძე სისტემატიურად ლოთობს და მუდამ გალეშილი ბრძანდება.

„მ“.



გლეხი: ამხანაგო აგრონომო, მიშველე, მირჩიე რამე. ვილუპები! ჩემს ნერგებს ყველას ეთრი გაუჩნდათ და ძირი უხმებათ.

აგრონომი:—რაო?!.. ვისი დ-დ-დ-დედა-ო?!... გგგაწყენიე რამე? ბეე... (პირს ალებინებს).

## იობიძე ქაფია.

ქუთაისის ფოსტის სადგურის კანტორის გამგეს ვიქ. იობიძეს გაუფლანგავს კანტორის ფული 400 მანეთამდე... გაფლანგული თანხა მას დღესაც არა აქვს დაფარული, მაგრამ გამფლანგველის მოხსნასა და პასუხისგებაში მიცემაზე არავინ ზრუნავს.

„მ“.



იობიძე თავის გულში ალბად ასე ღიღინებს:

გენაცვალე ქუთაისო
და მის ფოსტის კანტორაო,
კანტორაში თუ ფულს შევხვდი,
არ გაუშვებ, დავტორავო.
თუ ცოდვები გამიმჟღავნდა
ხაჭმე ცუდათ წამივიდა,
ან ნელ-ნელა გადავიხდი
ან შევირჩენ ხახვივითა.

## როცა დავწინაურდი, ვიქეიფე დაურით

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ზეინკალი ალექსანდრე ვლადიმერისძე ჯაფარიძე დააწინაურეს და დანიშნეს რკინის გზის საქარხნო-საფაბრიკო სკოლის გამგეთ. მან საზეინკლო იარაღების ანგარიშში გადაიტანა 2.553 მანეთი, რომლის მიღებისთანავე გაუშვა საქეიფოთ რესტორან „ივერიაში“, „ივერიიდან“ „სიცოცხლეში“, „სიცოცხლიდან“ „ელდორადოში“, „ელდორადოდან“ „ოლიმპიაში“, „ოლიმპიადან“ „ვენოში“, სადაც ის უგრძნობელი თავის სახლში წაიყვანეს.

„კ“

ჯაფარიძე (რომელიც გამსახლში ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულა, ასე მღერის):




ჯიქო-ჯიქო, ვახე-ვახე,
დროს ტარება ბევრი ვნახე,
„ხიმპატია“, „სიცოცხლეო“,
ვიქეიფე, ვიცოცხლე.
არ დავტოვე „ელდორადო“,
და გამიხდა ბედი მტრადო.
(პროკურორს)—
განწი გამცილდი
რას ჩამაციებდი,
ა-რა-ლო-ო... დილ-დი-ლან...

## ტერორი და პურ-მარილი

ქუთაისის I-ლ აბანოს გამგე ნიკო კუხიანიძე თითქმის ყოველდღე ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება მუშებს, ემუქრება მათ სამსახურიდან მოხსნით, ეწევა მათ ექსპლოატაციას. ის იმდენად თამამად და უკონტროლოდ მოქმედებს, რომ დაწესებულების თანამშრომლებს თავის ოჯახის საქმეებისათვის იყენებს. მაგალითად, არუთინოვას ქალს ხშირად ატანს თავის სახლში სხვადასხვა ნივთებს, პირველ მოთხოვნილების საგნებს.



ჩამოდექით, გზა მომეცით!
ვერ მიყურებთ ტვირთით განა?
ეს სურსათი, ეს ბორაგი
ნიკოს სახლში გამატანა.
მას ფულებით „აცქნაფულით“
ხშირად უყვარს გამართვაო
ქეიფის და მასთან მიმაქვს
ხანოვაგით კალათაო.
თუ დროზე არ ჩავაბარე
ნიკოს ცოლს და იმის შვილებს
ლანძღვა-თრევით ამომაგდებს
დედის ხაფლავს ამიტირებს.

# ნაფშრიდან

ა. ზორიჩის ფელეტონიდან გადმოქართულებული

ფოსტაში შემნახველ კასის საკონტროლო ფანჯარას მიადგა კაცი, რომელსაც ხელში შეკრული ეჭირა. ეტყობოდა — ძალიან ეჩქარებოდა.

— ამხანაგო, — მიმართა მან მოსამსახურეს, რომელიც რაღაც ქაღალდებს ამოწმებდა, — დილით მე აქ წიგნაკით მივიღე ფული. თვრამეტი მანეთი მეტი მოგიციათ; მიიღეთ უკანვე.

— რიგში ჩადექით — უთხრა ერთმა უკანიდან.

— კი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ შეცდომით მეტი ფული მომცეს და მინდა უკან დავუბრუნო. მე არ შემიძლია მოცდა, მეჩქარება, მატარებელი სამის ორმოც წუთზე გადის, მე ჩამოსული ვარ!

— აქ ყველანი ჩამოსულები ვართ.. რიგი დაიკავეთ! — შემოუტიეს რიგიდან.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ზედმეტი მოგცეს? — შეეკითხა მას მოსამსახურე.

— როგორ არა; დავითვალე და მეტი აღმოჩნდა!

— რატომ სალაროსთან არ დაითვალეთ მაშინვე?

— რიგი იყო... მიჯიკავებდენ... ვერ მოვახერხე.

— მერე რა, რომ რიგი იყო! უნდა დაგეთვალათ. ეხლა ყველა რეესტრებში უნდა ვეძიოთ. მიმართეთ იქ, მესამე ფანჯარაში!

როცა მესამე ფანჯარასთან მივიდა, იქ ვიღაც მოქალაქე ფულებს იღებდა ბლომად და პორტფელში აწყობდა. (ალბად მოლარე იყო).

— დაიცადეთ! ხომ ხედავთ არა სცალია! იქით გაიწით! — საეჭვო თვალებით შემოუბღვირა მან კაცს შეკრულით.

— იცით საქმე რაშია...

— არაფერიც არ ვიცი. სახაზინო ფულებს ვღებულობ, პასუხისმგებელი ვარ... იქით გაიწით!

— თქვენ გგონიათ, რომ მე თქვენი გაძარცვა მინდა? — ბრაზი მოუვიდა მას.

— არაფერიც არ მგონია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მე თქვენ ვერ გიცნობთ. მომშორდით, თორემ დარაჯს დავუძახებ!

კაცი შეკრულით მოშორდა. ბრაზმა შეიპყრო ის. ყველა ეჭვის თვალით უცქეროდა მას. ბოლოს, როცა მოლარე წავიდა, კაცი შეკრულით მიადგა მესამე ფანჯარას.

— რიგი, რიგი დაიცავით! — შესძახეს ერთხმად.

— საკვირველია, — უთხრა მათ. —მე ხომ თავისთვის არ ვცდილობ?! შეცდომით მეტი ფული მომცეს, მე არ მინდა ვისარგებლო მათი შეცდომით, და კეთილსინდისიერად ვუბრუნებ ფულს.

— აქ ყველა კეთილსინდისიერი ხალხი ვართ. ჩვენც ვაბრუნებთ ფულს. რიგში ჩადექით.

როგორც იქნა, მიაღწია მესამე ფანჯარას, სადაც ასეთი პასუხი მიიღო:

— არ, იქ მეოთხე ფანჯარაში მიმართეთ!

— მე აქ გამომგზავნეს.

ეს შეცდომაა... ივანე სერგეევიჩ,— მიმართა მოსამსახურემ კოლეგას, — რატომ გამომიგზავნეთ ეს კაცი? ეს ხომ თქვენ გეხება?

— მე ხუთას ნომრამდე მეხება; შემდეგ კი — პეტრეს.

— პეტრე ბიულეტენით წავიდა. ავად არის, დეზინტერია დამართია.

— აკი ვეუბნებოდი, ნუ სჭამ-მეთქი ბაკლაჟანს, მოუხარშავია, რა ვქნათ ეხლა? — და მათ თათბირი გამართეს.

— ერთი ამ ვაჟბატონს დამიხედეთ!—დაცინვითა ჩვენა სხვებს ერთმა მანდილოსანმა კაცზე შეკრულით. —ყველგან ურიგოდ უნდა გაძვრეს. უკაცრავად, ჩადექით რიგის ბოლოში!

— უზრდელი, ხამი! მილიციონერს უნდა დავუძახოთ, რომ აქედან გაათრიოს ეს ოხერი!

— ჰმ! 18 მანეთი! ყოფილიყო 118 მანეთი, აქაურობას ერთ ვერსზე არ გაეკარებოდა.

კაცს შეკრულით შერცხვა და ზურგშექცევით დადგა. პასუხს არ აძლევდა მათ შეურაცხყოფაზე.

ბოლოს, როგორც იქნა, მოსამსახურემ ალნიშნა წიგნაკში და უთხრა მას:

— ეხლა მიმართეთ მეექვსე ფანჯარაში, შემდეგ—მეცამეტეში, იქიდან კი—პირდაპირ სალაროში.

— გამიგონეთ არ შემიძლია მე ამდენი სიარული. მატარებელზე მიგვიანდება, ქალაქ გარედ ვცხოვრობ.

— უწინ აც იქ ვცხოვრობდი; არა უშავს. სულერთია, პირველ მატარებელს მაინც ველარ მიუსწრებთ. ხუთის საათის მატარებელს გაჰყევით.

— გმადლობ ძალიან!—წყრომით სთქვა კაცმა შეკრულით.

— რა ვქნათ. ჩვენი ბრალი არ არის. ფული მაშინვე უნდა დაგეთვალათ სალაროსთან.

წავიდა მეექვსე ფანჯრისაკენ. მოთმინებიდან გამოსული, ის იყო მიუახლოვდა ფანჯარას, რომ შესძახეს:

— აბა, აბა, მაგეთები არ იყოს!— საითკენ მიძვრები? რიგში, რიგში ჩადექით უკან!—და წინ გაუდგენ გაუვალ კედლად. ყველანი ანთებულ და ზიზღის თვალებით უცქეროდენ მას.

— მხოლოდ ბეჭედის დასმაა საჭირო.. სხვა არაფერი არ მინდა!—მიმართა მათ მუდარის კილოთი კაცმა შეკრულით. —მე მხოლოთ ერთი წამი!

— ჩვენაც ყველას ერთი წამი გვჭირია, მხოლოდ ბეჭედის დასმა, მაგრამ რიგში ვდგევართ. მოითავმდაბლეთ თავი და თქვენც ჩადექით რიგში! — დასცინა ვიღაცამ და ყველას გაეცინა.

— მე ვერაფერი გამიგია ამათი! მე ხომ ჩემი სარგებლობისათვის არ ვცდილობ?.. ესენი კი დამცინიან, შეურაცხყოფას მაყენებენ, მდევნიან, მაგინებენ, მძარცველადაც მომნათლეს; დასწყევლოს ეშმაკმა, გინახავთ ასეთი ხათა?!

— თქვენ სულ წმინდა ხართ რა! მიიღეთ 18 მანეთი მეტი?—აიღეთ და ჩაიდევით ჯიბეში და არხეინად გაუყევი გზას სახლისაკენ. ბავშვებს რამეს უყიდით!—უთხრა კაცმა სათვალეებით.

მიაღწია ფანჯარას.

მოსამსახურემ ბეჭედი დასვა მის ქაღალდზე.

— ეხლა კიდევ ვის მივმართო! — ხმამაღლა და ბრაზიანი კილოთი შეეკითხა მოსამსახურეს.

— მეცამეტე ფანჯარაში და გთხოვთ ხმას ნუ უწევთ!

მეცამეტე ფანჯარასთან მას კიდევ მოუხდა 20 წუთი ცდა.

აქედან ის გაგზავნეს უფროს კონტროლიორთან, ხოლო ამ უკანასკნელმა ის გაგზავნა ინსპექციაში, სადაც შეადგინეს ოქმი.

ბოლოს, როცა ის მიადგა სალაროს 18 მანეთის ჩასაბარებლად, სალარო უკვე დაკეტილი იყო.

მოლარე „თავაზიანი" გამოდგა და, როგორც იქნა მიიღო ფული.

— ეეჰ, თქვენ! წესიერად მაინც დაგეწყოთ ეს ფული! განა ასე აბარებენ ფულს?—წყრომით უთხრა მოლარემ კაცს შეკრულით.

კაცო, ეს რასა ჰგავს! მე თქვენი სარგებლობისთვის ვქენი და არა ჩემთვის. მადლობა მაინც გეთქვათ, თქვენ კი მისაყვედურებთ კიდეც..

— ოჰო, ერთი ამას დამიხედეთ! მადლობა თქვენ უნდა მითხრათ, რომ ოთხი საათის შემდეგ სალარო გავაღე და თქვენგან ფული მივიღე!... მოდით მეათე ფანჯარაში და წიგნაკს მიიღებთ!

როცა კაცი შეკრულით მეათე ფანჯარას მოშორდა დაწესებულებაში ზოგიერთ თანამშრომლებისა და დარაჯების გარდა არავინ იყო.

გამოსვლისას შეხედა საათს, რომელიც 5 საათ. 47 წუთს აჩვენებდა.

— შემდეგში კიდევ შეცდენ და, თუ კაპიკი დაგიბრუნო, სულელი მიწოდეთ!—სთქვა მან და კარები გაიხურა.

ი. ი.

# ორი ქუდი



— ერთს ქუდსა და პორტფელს აქ დავტოვებ, თვით ქოს სამსახურში ვარ... მეორე ქუდს დავიხურავ და გავისეირნებ!

# „პოეტობამ დაღუპა"

„რა უცნაურად ატოკდა გული:
ძველისძველ წყლულებს ახლად მიფერავ.
სული ათასფრად გადაქარგული
შენ ჰაბუკურად გადმისხვაფერე.
რა უჩვეულოდ გული ატოკდა
მაგ სიქალწულის სხივ-დანაცემი...
უკვე აღარ მსურს ვიყვე მარტოკა,
მსურს შენთან ვიყო და იყო ჩემი.
ამ ახალ ტალღებს რომ მინანინებ
გული ზღვასავით ხომ ამიდიდდა!
მე წარსულს ველარ მოვინანიებ,
შენ კი დამიდექ მზიან ამინდათ.
სისულელეა ეს ყველაფერი!
რაღა დროს სულის ატოკებაა!
შენი მზე ახლა ამოიფერა
და მე კი... დროა ვიყო მარტოკა".

ეს იყო ერთად ერთი ლექსი, რომელიც გერმოგენმა მისწერა თავის შეყვარებულს, იმავე დაწესებულების საქმისმწარმოებელ ქალს, რომელმაც ის იყო, მეოთხე ქმარი გამოიცვალა. და მეხუთედ გერმოგენს გადააცვა ჯამანდი.

საერთოდ, მეტი ლექსი გერმოგენს არ დაუწერია თავის ცხოვრებაში.

მას შემდეგ გერმოგენი დაწინაურეს. ესე იგი დააწინაურა მისმა სიძემ, დაწესებულების გამგემ და მოლარეობა მისცა.

გერმოგენმა ფული გაფლანგა და ჩასვეს. ჩასვეს, მაგრამ ბოლოს გამოვიდა გამსახლიდან და სადღაც სხვა დაწესებულებაში მიიღო მოლარეობა. აქ მას, ახალი სალაროს დანახვაზე კვლავ მოუვიდა მუზა და დასწერა ახალი ლექსი, რომელიც, როგორც ამბობენ მოტივებით ძლიერ წაგავს სატრფოსადმი მიძღვნილ ლექსს. აი თვითონ ლექსიც:

„რა უცნაურად გათხელდა ჯიბე.
შენ კი სალაროვ, ახლად მატოკებ
და შენგან რამე თუ ჩავიჯიბე
გამსახლში აღარ წავალ მარტოკა.
რა უჩვეულოდ ჯიბე ატოკდა
მაგ ჩერვონცების სხივ-დანაცემი.
ყოველთვის წყალს არ მოიტანს კოკა,
მაგრამ ეგ თანხა ხომ არის ჩემი...
მაგ ჩერვონცებით რომ მინანინებ
ჯიბე ტიკივით ხომ გამიდიდდა.
ახლა ვუყვარვარ ყვილა მანიებს.
მაგრამ გამსახლში წასვლაც არ მინდა.
სისულელეა ეს თავპატიჟი:
რას ვუზოდიშებ ნეტა ამ კასას?
ეს ჩერვონცები ფრიად მაგიჟებს
და ვერ დავტოვებ ვერც ერთ მარკასაც"...

გერმოგენმა, როგორც ამ ლექსიდანაც სჩანს, ხელმეორედ გაფლანგა (მარკებიც კი არ დაუტოვებია) და მაშასადამე, ხელმეორედ ჩასვეს.

— დამღუპა პოეტობამ; პოეტის ულვინობა არ შეიძლება და ღვინო უფულოდ არ იშოვება... თუ ახლა ამ წმენდას გადავრჩი, პოეტობაზე ხელს ვიღებ, — ფიქრავს გერმოგენი, რომელსაც უკვე მოუსწრია გამსახლიდან გამოსვლა და ისევ მოწყობა სამსახურში.

ალლარ-ალლარხან.

# შეჯიბრი

სწვა გამგე ჩვენ არ გვინახავს,
იყოს ასეთი საზარი.
როდესაც იგი გაჰყვირის,
მიდამოს გააქვს ზანზარი.

ნაბარველიჩ.



— თუ არ ავუწიე ხმას, მგონი მაჯობოს.

## პროტექციის წინააღმდეგ

დირექტორი:—რაო? ბარათი გაქვთ? როგორ იქნება! დაუშვებელია. საპროტექციო ბარათით მე სამსახურში არავის არ ვღებულობ. ვინ არის შემდეგი?

უმუშევარი: — წაიკითხეთ, მაინც ბატონო დირექტორო!

— არა მცალია, მორჩა.

— დავიღუპე.. ნიკომ კი დამარწმუნა რომ...

— რაო... ნიკოს ბარათია... უკაცრავად... დაბრძანდით.... აგრე გეთქვათ თავიდან...

სიმი.

# სცენა ხიდზე

მუშები ღებავენ მდ. ტეხურზე ეხლახან აგებულ ვეებერთელა ხიდს. მიჰქრის ეტლი ერთი მგზავრით. ეტლს წინ გადაუდგება ანდრო გულუა.

ანდ. (მეეტლეს) პოსტოი, გააჩერეთ ეტლი.

მგზ. — ნუ დაუჯერებ, გასწი, მეჩქარება.

ანდ. (მრისხანეთ) დადექი მეთქი... (მეეტლე ჩერდება. მგზავრს ეკითხება) თქვენ ვინა ხართ?

მგზ. მე. მღებვართა უსტა, ფოთის კავშირის წევრი, კოწია ქითანავა.

ანდ. ააა... თქვენზე ამბობენ, რომ თანამშრომლებს სჩაგრავსო და, რაც უარესია, მათი ნაშრომსაც ითვისებსო.

მგზ. — სტყუიან, ხანდახან ზედმეტსაც ვაძლევ... მებრალება მუშები... (მრისხანეთ) ერთი ეს მიბრძანეთ: თქვენ რა უფლება გქონდათ შეგეჩერებიათ ჩემი ეტლი... ა... რა უფლება გქონდათ მეთქი?

ანდ. — მაპატიეთ, შევცდი... სხვა მეგონეთ... საინტერესოა ეიცოდე, ამ კასრით რა მიგაქვთ:

კოწ.: — ააა... როგორ აგიხსნა. თქვენ რად გაინტერესებს.

ანდ.: — საინტერესოა, უნდა მიპასუხოთ.

კოწ.: — ეს, ჩემო ბ-ნო, გახლავთ ზეთი... დიახ, ზეთი... სამ ფუთამდე.

ანდ.: — მერე საიდან. მოიპარე?

კოწ.: — რავა გეკადრებათ, მეტალტრესტს ვასესხე „დააკლდა“.

ანდ.: — მერე „აქეთ“ სად მიგაქვს.

კოწ.: — ნუ, პროსტო... არ დასჭირდა და ისევ „შინ“ მიმაქვს.

ანდ.: — სტყუი, მე ამას ჩეკას გავუცხადებ (ხმები „სტყუის, სტყუის, არ დაუჯეროთ მოპარული აქვს“).

ტარნათლია.

1930 წ. პირველ იანვრიდან

გ ა მ ო ვ ა

?

# ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

## ამბავი № 114 კოოპერატივში
ქ. ქმალიაშვილი. ტფილისი.



— შვილო, ერთი გირვანქა ყველი ამიწონე!
— არ არის დედი!

— ყველი ამიწონე ერთი კილო.
— ამ წუთში, ჩემო მშვენიერო!

## საპატიო მიზეზი
შ. ოთხოზორია. ზუგდიდი.



— რატომ არ უშვებთ კედლის გაზეთს?
— თავი დამანებე, თუ ძმა ხარ! გამგე ისეთი თვალით მიცქერის, რომ...

## „№ 8“
თათულოვი. ტფილისი.



ახალგაზრდა: — მგონი ტრამვაის მოსვლას ვერ ეღირსებით!
[illegible]: — მე ვიკითხო, თორემ შენ ახალგაზრდა ხარ, მოესწრები.

## „დაჩაგრული“
შ. დოლბაია. ტფილისი.



— გასწი, გასწი! მე ვინ შემეწევა, „ნალოგებმა“ ტყავი რომ გამაძვრეს?!

## ნამდვილი მიზეზი
ხ. ვერძაძე. ბათომი.



გამფლანგველი... — ფული მე არ შემიჭამია, ამან შეჭამა, და პასუხიც ამას მოსთხოვენ!

## არჩევანი
ლ. ასტვაცატუროვი.



— რომელი უფრო გიყვარს: მამა თუ დედა?
— მამა.
— რატომ?
— იმიტომ, რომ მამამ „ტარტაროზი“ მომიწერა!

## სამართლიანი საყვედური
გ. ლეჟნიევი. სიღნაღი.



— რატომ არ შეაკეთეს ჩვენი სკოლა?
— მმ! ეს კი არა, კედლის გაზეთისათვის ათი შაური ვერ გაუმეტებიათ.

## სწორი მისამართი
არჩ. ჩხეიძე. ტფილისი.



— ვის ეძებთ?
— სამმართველოს ინსტრ. გრ. მგალობლიშვილს.
— ის „მოსკოვში“ იქნება, ანდა „გურიაში“.
— გურიიდან ჩამოვედი და მოსკოვში როგორ წავიდე?
— შენ ვერ გაიგე — „გურია“ და „მოსკოვი“ რესტორანებია ტფილისში. წადი და იქ ნახავ!

# ჯოჯოხეთის კუთხე

## ო, დათიკო მამაო, გუვაოსბია ჭამაო.

შევარდენი

როცა სოფ. ერწოს (ტფ. ოლქი) მღვდელს დავითს, (დღეს კი დათიკოს) მრავალრიცხოვან მორწმუნეთა ლაშქრიდან შერჩა მხოლოდ ორიოდე ბებრუხანა, მან მღვდლობას გაკრეჭა ამჯობინა. ანაფორასაგან ხალათი და შარვალი შეიკერა და „განკაცდა".

— ქამაზე ჩვეული კაცია; მაგას შესაფერისი სამსახური უნდა მივსცეთ! — მოილაპარაკეს სოფლის მესვეურებმა და... და ორაგული (ე. ი. დავითი) წყალში (ე. ი. წითელ სასადილოს ღვინოში) გადააგდეს.

შესცურა დავითმა ღვინის ტბაში. (ვერავინ ვერ სჯობს სმაში).

— გმადლობ, ღმერთო, რომ ამდენი ხნის შენდამი წირვა-ლოცვა არ დამიკარგე და ამ გაჭირვების დროს, მელოკ, წარმოიდგინეთ, სასადილოშიაც გამოადგა.

— ქრისტემ თუ კი წყალი ღვინოდ აქცია, ნუ თუ მე არ შემიძლია ღვინო წყლად ვაქციო?—გაფიქრება და შესრულება ერთი იყო.

თუ ამის შესახებ ვინმე უსაყვედურებს დათიკოს, პასუხი ასეთი აქვს:

— წყალნარევი ღვინო (უფრო სწორად — ღვინონარევი წყალი) კაცს გაბერავს და ვერ დაათრობს! ლოთობას უნდა ვებრძოლოთ.

ასე ებრძვის ლოთობას ერწოს წითელი სასადილოს გამგე.

## ძმა ძმისთვინა, „შავ" დღისთვინა

აშ—ბი

ახალგაზრდა გელაშვილს ცოლის შერთვა სურს, საპატარძლოც მზადა ჰყავს, მაგრამ ქორწინებას ხელს უშლის ერთი გარემოება: გელაშვილი ვასილი ოცდაერთი წლისაა და მას სამხედრო სამსახურში წასვლა უწევს.

— თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ჯარში წასვლას სახლში ახალმოყვანილ ცოლთან ყოფნა სჯობია. ამიტომ, ბატონო გიორგი, შედით ჩემს მდგომარეობაში და დამიხსენით ჯარში გაწვევისაგან! — ასე ეჩურჩულებოდა ოროლობეში ვასილი ლიჩის თემის (საჩხერის რაიონი) ალმასკომის თავმჯდომარეს გიორგი ხარაიშვილს და ამ უკანასკნელის მარჯვენა ხელს — ლომიძეს (მატატის შვილი).

— კი, მარა როგორ მოვახერხოთ ეს საქმე? — შეეკითხა ვასილს თავმჯდომარე.

— სულ ადვილად! — ჩაერია ლაპარაკში ლომიძე,— ვასილს ჰყავდა და მოუკვდა ძმა, რომელიც ვასილზე ათი წლით უფროსი იყო, ე. ი. ეხლა 31 წლის იქნებოდა. და, აი: მის მაგიერ მკვდარი ძმის დაბადების წელში ეს ჩვენი ვასილი გადავიტანოთ.

— ეს მართლა კაი გამოგონებაა! — დაეთანხმა თავმჯდომარე.

საქმე გაიჩარხა.

ქორწილი გადაიხადეს.

დეზერტირი ვასილი სოფლად ნავარდობს.

სოფლელები ამბობენ:

— ზოგს ცოცხალი ძმა არ გამოადგება არაფერში; ვასილ გელაშვილი კი მიცვალებულმა ძმამ დაიცვა სამხედრო ბეგარისაგანო.

— თუ შტაინახი კაცს ახალგაზრდავებს, მე, პირიქით, ახალგაზრდას ერთი ციფრის გადასწორებით ათი წლით ვაბერებ, ვამოხუცებ- — თავმოწონებით ამბობს ლიჩის თემის ალმასკომის თავმჯდომარე.

მართალია, ათი წლით „მოახუცა" თავმჯდომარემ ახალგაზრდა ვასილ გელაშვილი, მაგრამ ამ უკანასკნელს მაინც 21 წლის ყმაწვილის შეხედულებს აქვს.

ვფსოუს, თუ ვასილს ისევ ხვდეს ჯარში წასვლა და ახალშერთული ცოლის მიტოვება, ხოლო ალმასკომის თავმჯდომარეს...

წინასწარ არაფერს ვიტყვით; ეს მუშგლეხინის საქმეა.

## საქმე არის ადვილი, შეიცვალოს ადგილი.

პოლუსკი.

ქალ. ფოთის წყალოსანთა კავშირის მუშები გვთხოვენ დავსწეროთ მათზე „სანამ ვიყავ ახალგაზრდა ს. პაოლოს:

სანამ ვიყავ ახალგაზრდა,
მოლოდინში ძგერდა გული.
ვნატრობდით და არ გვეღირსა
ჩვენი საქმის დასასრული.
ამდენ ცდაში ჩვენ დავბერდით,
სახე დაჰკნა, დაგვეღარა.
მაგრამ „სუდში" ჩვენი საქმე
არ გაირჩა მაინც არა.

და ეს პაროდია, გვთხოვენ, გადავუგზავნოთ ფოთის, ტფილისისა და ახალ-სენაკის შრომის სასამართლოებს, სადაც მათი საქმე ხელფასის შესახებ ირჩეოდა მთელი ორი წლის განმავლობაში.

ჩვენც ვასრულებთ მათ თხოვნას და პირველ ორ მათგანს (ფოთისა და ტფილისის შრ. სას.) ვუგზავნით ასლებს, ხოლო დედანს კი—სენაკის შრომის სასამართლოს, რომელიც ამ დღეებში აპირებს გადაიხადოს ამ საქმის გაჭიანურების ერთი წლის თავი.

რა მოკლე მანძილია სასამართლოს სკამიდან ბრალდებულის სკამამდე?!

ასეთი შემთხვევა ხშირად იწვევს ადგილის შეცვლას.

## წყალმა შობა ღვინო, ვინ იზამდა, ვინო!

სი-გოლა.

ზემოთ (ამავე გვერდზე) ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ხდება ღვინოსგან წყალის მიღება. ისიც გავიხსენეთ, თუ ქრისტემ როგორ აქცია წყალი ღვინოთ.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს ეხლაც საქმე, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ:

სასმელი წყალი არა გვაქვს,
ქსანსა ვსვამთ, როგორც ლაფია,
წყაროს ფულები მოკრიფეს,
სამ ვაჟკაცს გადუყლაპია.

ალბად თქვენ გიკვირთ: — რა შუაშია ა...
გან ღვინის მიღების საშუალებაო?!

ეხლავე მოგახსენებთ.

ქსოვრისი უწყლო სოფელია ქართლში.

სოფლელებმა წყლის გასაყვანად ფული მოკრიფეს და...

და სამმა „ვაჟკაცმა" (ალბად ფულის მომკრეფი კომისიის წევრებმა) ყლაპი უქნა მოკრეფილ ფულებს.

აი, მარტივად და უბრალოდ როგორ ღებულობენ წყლისაგან ღვინოს.

— რა გვექნა, სასმელი წყალი არ გვქონდა, გვწყუროდა და ღვინო დავლიეთ! — თავს იმართლებენ ფულის ამკრეფლები.

ალბად ადგილობრივმა ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო მათი თავისმართლება, ერწმუნა მათ სიტყვებს, გვერდზე გადაბრუნდა და დაეძინა!

თუ მაგრად არ სძინავს, ეს წერილიც გამოაღვიძებს.

# მოპყრობა მუშტრისადმი



როცა თავისთვის ვაჭრობდა — როცა კოოპერატივში ნოქრად მოეწყო

# საექიმო პუნქტში

## სცენა სოფლის ცხოვრებიდან

**მაკრინე:** — ბიჭო სად დეიკარგა აწი ის დოხტური?! რეიქნა ამდენ ხანს? მართლა რავა დაჩერჩეტობს საცხა, საცხა...

**ქრისტეფორე:** — დასწყევლოს ეშმაკმა იმისი თავი და ტანი. თუ ვინმე კი გამეელაპარაკა, ისიც რავა მოშორდება...

**მაკრინე:** — კაი დოხტური ქია ბიჭო! ამას წინათ ჩემი ბაღანაი გამხდა ავად და წამეიყვანე; ვაჩვენე და გამოუწერა რაცხა წამალი; დავალევინე და ქე მორჩა...

**ქრისტ.:** — კი, კი აქიმი კარა, უი, მართლა, ქრისტეფორე. რა გითხრა აცი? ქალი, რო მუშაობს ამ დოხტურთან, მაგი აკუშერკა ყოფილა ბიჭო.

**ქრისტ.:** — კი, კი... აკუშერაა, აბა!

**მაკრ.:** — კი მარა, ქალებსაც არჩენსო. ბებია ქალს რომ ვეტყვით ჩვენ, იმათზედ უკეთესად არჩენსო, თურმე ქალს - მშობიარეს.

**ქრისტ.:** — კი, კი! იმას დოხტურობამდის ბევრი კი არაფერი უკლია.

**მაკრ.:** — კი მარა სად დეიკარგა აწი ამდენ ხანს, არ ერთი და არ მეორე.

**ქრისტ.:** — რა გტკივა მაკრინე თქვენ?

**მაკრ.:** — რა ვიცი ბიჭო, რაცხა შემომაფრინდა ამ გულ-ბოყვში და საშუალებას არ მაძლევს; მომკლა ქალი პირდაპირ. ახლა რას მეტყვის დოხტური ვნახავ. ეს ყველაფერი კარგი, მარა შენ რაღაზე მოსულხარ ბიჭო ქრისტეფორე?

**ქრისტ.:** — მე, მაკრინე ჩემო, მუწუკი მაქ იმისთანა ადგილზე გამოსული, რომ ვეღარც ვჯდები და ვეღარც ვდგები. ეხლა შეიძლება გასკდეს კი დასჭირდეს.

**მაკრ.:** — ნუ გეშინია ბიჭო... რავა დეიკარგენ ბიჭო, აღარც აკუშერკა, აღარც დოხტური, კაი მაგენი არ მეიყვანა ჩემმა გამჩენმა. უი, სიკოია ბიჭი ქე მოდის, მარა მაგი რა შავ ქვათ მინდა.

**ქრისტ.:** — ახლა მაგი მობრძანდება, დაასუფთავებს აქაურობას და მერე, ალბათ, ისენიც მობრძანდებიან.

**სიკო:** — გამარჯობათ თქვენი...

**ქრისტ.** და **მაკრ.:** — გაგიმარჯოს...

**სიკო:** — კაცო, რომ შემოსულხართ აქანე, რატო არ იცით, რომე არ შეიძლება აქანე ჯდომა? ის ხალხი თუ კი იცით იქით, თქვენ რომელი წითელი კვერცხი ხართ?!.

**ქრისტ.:** — ბოშო, მოგვეწყინდა აქანე ჯდომა ამდენ ხანს.

**სიკო:** — უნდა მოიცადოთ, აბა რავა გინდათ!..

**მაკრ.:** — ქე მევიცდი, დედა, მარა, შემომაფრინდა რაცხა და მოვკვდი ქალი...

**სიკო:** — ნუ გეშინია, თუ შემოგაფრინდა, მოვა ექიმი და გამოაფრენს ისევე. ახლა გადით იქით და უნდა მოვალაგო - მოვალაგო აქაურობა...

**ქრისტ.:** — კი, კი... ბიძია, ჩვენ ქე გავალთ, თუ მალე მოვა ექიმი.

**სიკო:** მალე მოვა, მალე... (გადიან მაკრინე და ქრისტეფორე). დასწყევლა ღმერთმა მაგათი სახელი.

**ექიმი** (ავადმყოფს): — მოითმინეთ, მოითმინეთ.. რავაა სიკო საქმე?

**სიკო:** — რავაა ბატონო და რავარც უყურებ მაგენი ბატონო ავანტყოფები კი არა, ქაჯებია.

**ექიმი:** — სიკო, შენ გაიგე ახალი ამბავი?

**სიკო:** — რა ამბავი, ბატონო?

**ექიმი:** — ძაან ყაჩაღურათ იქცევიან, კაცო, ჩინელები.... დღეს სიმინდი მოვიდა მგონებ კოოპერატივში და არიგებენ არა, სიკო?

**სიკო** (თავისთვის): — ეე! ოურია ახლა... ბატონო, რა დროს მაგაზე ლაპარაკია.. ჩინელები თუ ყაჩაღურათ იქცევიან, ჩვენ მთავრობას კი შეუძლია იმდენი, რომე კბილები ჩაამტვრიოს... გამიგონეთ ეს ავანტყოფები, თვარა ამეილეს ტვინი პირდაპირ...

**ექიმი:** — ჰო, მართალი ხარ შენ... შემოუშვი რიგ-რიგობით (შემოდის ბავში)... რა გტკივა, შე კაცო?

**ბავში:** — მაციებს, ბატონო.

**ექიმი:** — აიწიე ხალათი.. უჰ! სიკო, საშინჯია მანდ და მომეცი თუ კაცი ხარ...

**სიკო:** — ბატონო, ბავშს ატიტველებ და ეხლა ეძებ სასინჯს? (თავისთვის) მთლად ცამოქერქეტებულია ეს საწყალი!

ექიმი: — ასუნთქე, სიკო, პუნქტის გალავერს როდის დაასრულებენ?.. შენ რომელი წამალი გინდა კაცო, ჩქარა მითხარი, აქ, რომელიც იშოვება, თუ, რომელიც აქ არ იშოვება?

ბავში: — რომელიც არ იშოვება, ის რათ მინდა, ბატონო.

ექიმი (სწერს რეცეპტს): — მოთავდება, სიკო, შენობის სარძიკველი მალე თუ არა?

სიკო: — ბატონო, სარძიკველი მალე მოთავდება მარა, ეს ხალხი მეიშოროთ აქედან დროზე, თვარა შემჭამეს ეს, ესაა...

ექიმი: — შემოუშვი შემდეგი..

სიკო: — შემოდი ქრისტეფორე...

ქრისტ.: — გამარჯობათ, ბატონო!.

ექიმი: — რა გტკივა შენ?

ქრისტ.: — მუწუკი გამომება, ბატონო, და ვკვდები კაცი.

ექიმი: — აბა გაიძვრე და ვნახოთ..

სიკო: — მაგი თუ გაატიტვლე, კაი დასანახავი იქნება მაგისმა გაზეთქამ.

ექიმი: — უ:! დამწიფებულა კაცო, აბა მაგრათ იყავი, გავჭრი.

ქრისტ.: — ვაი... ვაი.. ვაი...

სიკო: — ვაი შენ და... ნუ ყვირი შენ მაქანე, თვარა, თუ გამოგივარდი გარეთ..

ექიმი: — ვინ არის? ან რა უნდა?

სიკო: — ვინცხა ებრაელია, ფართალი აქვს ზორგზე, და სიარულში გვერდებში შემოათრინდა რაცხაო.

ექიმი: — შემოუშვი...

ებრაელი (შემოვარდება): — გავთავდი, კაცი ვადაი, რჯულის მადლმა!... გვერდებში შემომაფრინდა და ფეხი ველარ მევიცვალე.

ექიმი: — ქუთაისში რა ამბავია?

ებრაელი: — მე კულაშელი ვარ, შენიჭირიმე!.

ექიმი: — კულაშელი... კულაშში რა ამბავია.

ებრაელი: — შვიდობა, შენი ჭირიმე.

ექიმი: — წამლები გინდა წასასობი?

ებრაელი: — თქვენ წამისვით, თუ რამე გაქვთ.

ექიმი: — ა! რეცეპტი. შემოუშვი შემდეგი.

სიკო: — შემოდი მაკრინე!.. (მაკრინე შემოდის).

ექიმი: — შენი ქმარი იყო ეხლა, რომ მუწუკი გაუჭერი? ძალიან იყვირა, მაგრამ მაინც კარგი ქმარი გყოლია.

მაკრ.: — ჩემი ქმარი არ ყოფილა, ბატონო, მე ქვრივი ვარ, ბეჩა!..

ექიმი: — ქვრივი?!? მაშ, რომ გათხოვდე ეხლა შეიძლება.

მაკრინე: — უი!.. ბეჩა, დოხტური, რას მეუბნები!

სიკო: — ბატონო, თქვენ რას დეძებთ ახლა მაგის ქვრივობას და გათხოვებას? მეიშორეთ თავიდან (ებრაელს). შენ აღარ მიეთრევი აქედან?..

ებრაელი: — მაცალე ვადაი და წავეშავედები. დედობილო, ფართალი არაფერი გნებავთ?

სიკო: იმე, რა დროს ფართალია! აქანე ბაზარი ხომ არ გგონია ბიჭო შენ? მოუსვი აქედან თვარა, მაგ ფართალს ე იქ გადაუშობ ე!..

ებრაელი: — ვაი შენე! ფართალს ძლივს ვშოვილობ და შენ გადამიყრი? ნოქრებს მუხლებზე ვკოცნი ფართალი, რომ მომცენ და შენ გადამიყრი (გადის)..

მაკრინე: ბეჩა, რავა მტკივა იცი? პირდაპირ გამათავა, დოხტური, არ მაძინებს, არც დღე და არც ღამე.. მომკლა ქალი, მომკლა..

ექიმი: — ეხლა შენ გამოგიწერ წამალს, და ან აქ იყიდე, ან ზევით, ან ქვევით და ან ქუთაისში ჰო, და ასე.

სიკო: — კი, კი, საცხა ქე იყიდის, აბა, რა იქნება...

ექიმი: — აჰ! თავისუფალი ხარ! (მაკრინე გადის).

სიკო: — მიბრძანდი ახლა აქედან, მიბრძანდი.

ექიმი: — შემდეგი...

სიკო: — მოდი შენ აქ, რომ დადიხარ თეძო - ამოგდებულივით (შემოდის ივანე).

ექიმი: — შენ რაღა მოგივიდა?

ივანე: — მუწუკი გამომივიდა და მიშველეთ შენი ჭირიმე რამე...

ექიმი: — გაიძვრე და დაწევი (ექიმი გადის).

სიკო: — წაჩერჩეტდა საცხა და როდის მოვა ეშმაკმა არ იცის.

ივანე: — აბა, ასე უნდა ვიყო ახლა მე?

სიკო: — მეტი რა გზა გაქვს, უნდა მეითმინო.

ივანე: — აკუშერკას მაინც დაუძახეთ, კაცო!

სიკო: — აკუშერკა რათ გინდა! ორსულათ ხარ თუ?!?

ივანე: — აბა, რა ვქნა, კაცო, რა?

სიკო: — მოდი მე გავჭრი?

ივანე: — შენ რაიცი კაცო, არ დამღუპო კაცი..

სიკო: — თქვე ოჯახ დაქცეულებო, რა გაუჩინარი გაგიჩნდათ.. რა არი ეს?...

ივანე: — რა არი და ხო უყურებ რაცხა არი?

სიკო: — ჰო, და თუ გინდა გავჭრი.. მეიცა... (აპირებს გაჭრას).

ივანე: — კაცი არ დამღუპო, თავი დაანებე..

სიკო: — მეიცა ნუ ფაფხურობ, თვარა....

ივანე: — ვაიმე, მიშველეთ...

სიკო: — ნუ ყვირი... ჰა, მორჩა და გათავდა.. ეიფხიკე ეხლა აქედან...

ივანე: — რავა ნუ ვყვირი კაცო, რა მიქენი ეს! ამაყვირე და აღარ ვიყვირო?

(საერთო ხმაური).

შ. ალშენი.

## ახალი ტიპი



— რა ამბავია, ილიკო, რომ ასე გრძელი წვერი გაგიშვია?

— მევალეებმა, რომ არ მიცნონ, იმიტომ გავუშვი!

# ცნობათა მიღება

**ბებურის** დავბეჭდავდით თქვენს პოემას, მაგრამ თქვენს გარდა არავინ წაიკითხავდა; თქვენ კი ისედაც იცით და რა საჭიროა მარტო ავტორისათვის დაბეჭდვა!

**მუაევანას.** თქვენ გვთხოვთ, რომ ეჭვი ნუ შეგვიდა თქვენს პოეტობაში. და არც შეგვედის. რა ეჭვი უნდა დაგვებადოს თქვენი პოეტობის „ყოფნა - არყოფნის" საკითხის გარშემო, როცა აშკარად დარწმუნებული ვართ, რომ თქვენში პოეტობის ნატამალი არ არის.

თუ თქვენ შეასრულებთ თქვენს „პატიოსან სიტყვას", რომელსაც გვაძლევთ, რომ — ეს ერთი დამიბეჭდეთ და შემდეგში აღარ შეგაწუხებთო, — დავბეჭდავ თქვენს ლექსს:

და მას უყვარს, უყვარს, უყვარს,
სონას უყვარს გრიშა კაცი...
გრიშა ჰკოცნის სონას ლოყებს
არ სჭირია იმ ერთს ბაჟი.

გირჩევთ — პოეტობას თავი დაანებოთ და ფინინსპექტორად დადგეთ.

**გულმოსულს** (ხაშური) თუ მართლა გულმოსული არა ხართ, უბრალოდ უსიამოვნების ნიადაგზე და ამ წერილს ბრაზისა და შურის ნიადაგზე არ გვწერთ, ჩვენ მოვათავსებთ თქვენს ლექსიდან შემდეგ ადგილებს ათწლედის გამგის მოადგილის შესახებ:

...ეხლა მოგვევლინა, როგორც პედაგოგი.
ცნობილია, როგორც მღვდელი დემაგოგი.
ცმარა, უველა მიხვდა, რომ ეს არის გოგი.

**ფოცხვერია გენოს.** მიუხედავად იმისა, რომ თქვენი „ლექსი" არც პროზაა და არც ლექსი, არ არის შიგ დაცული წერის არც ერთი კანონი და მოთხოვნილება, ის თავისთავად არაფერს არ წარმოადგენს, ასეთ მასალებს უფსკრულ გოდორში ვაგზავნით, — მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვბეჭდავთ ზოგიერთ ადგილებს, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ მკითხველებს თქვენი ლექსი უფრო გაამცინებს, ვიდრე სხვა რომელიმე ჩვენი თანამშრომლის მასალა.

### ძლევნად სულიკოს

ნუ თუ გაფრინდა ჩვენი ალერსი?
ვიყავ შენთვისა კარგი ალექსი,
არა უშავს რა, გახსოვდეს სიზმრად.
გეძებ დღე და ღამ აღშფოთებული.
რომ დაგინახო, არ მენანები,
ცოცხლადა შეგჭამ, არ მენაღვლები.
მძულხარ, ისე, როგორც წიწილსა ქორი.
ნუ გამაბრაზებ, იყავ ფრთხილადა,
თორემ ვარ ცეცხლი შენი ასანთის.

მეორე ლექსსაც ისეთივე ბედი ეწია, როგორიც პირველს.

**გ. ნადიაშვილს** (სამტრედია). თქვენი რადიოს შესახებ, გვატყობინებთ, რომ:

ისე ჰკივის და გაჰკივის,
იმისი ხმა სოფელს წვდება,
გამვლელი და გამომვლელი
ყველა სიცილითა კვდება.

აა ერჩით! ესეც კარგი საქმეა, თუ ხალხს აცინებს და ართობს.

**ჩიორას** (ხარაგოული). მივიღეთ თქვენი „სიზმარი". სხვებს უსაყვედურებთ, რომ არაფერს აკეთებენო, ძილს მისცემიანო... და თქვენც სიზმარს იწერებით. ალბად თქვენც გძინავთ, თორემ ცხადში, ღვიძილში ვის უნახავს სიზმარი?

გაკვეთილის არცოდნისათვის თუ „ორი" დაუწერა მოწაფეს, ამისათვის არ არის „გასაკორავი" თქვენი მასწავლებელი.

**ირეზანელს** (ქობულეთი). როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, მთელ რიგ კოოპერატიულ სავაჭროებში მოკალათებული არიან ყოფილი ვაჭრები, რომლებიც „ეპო"-ს ასე ადღეგრძელებენ:

ვენაცვალოთ „ეპოს",
გაგვიმართა ხელი,
დიდხანს უნდა გვეყოს,
ლუკმა არის ცხელი.

ცხელმა ლუკმამ პირის დაწვა იცის (მაგრამ მაინც საინტერესოა ვიცოდეთ: ვინ მფარველობს მათ?).

**ფილოტი ჯიქიას** (ზუგდიდი). გიდასტურებთ, რომ „ტარტაროზი"-ს № 45-ში მოთავსებული ცნობა „კაკალარევი"-ს ფსევდონიმით, თქვენ არ გეკუთვნის.

**ნიშადურს** (ჩოხატაური). მართლაც მაგრად „მოქსაქმები" არიან, თუ

როცა „ეპო" მიიღებს
რამე მანუფაქტურას,
მაშინ სანდრო, ივანე
გვაგონებენ ტყის ტურას, — ე. ი.

ისინი კარგ საქონელს თავისთვის და თავისიანებისათვის მალავენ.

ალბად ამ თქმულების მიხედვით იქცევიან: „ჯერ თავო და თავო, მერე — ცოლო და შვილო", მერე — ნათესავებო, მერე—ნაცნობებო და მერე,—თუ რამე დარჩება, მომხმარებლებს, (ე. ი. სოფლელებს!).

მართლაც ნიშადურია საჭირო ასეთი ნოქრებისათვის.

**გ. ვე-რელს** (ახალ-სენაკი). ჩვენ დავბეჭდავდით თქვენს გამოცანას:

ინსპექციაში მსახურობს,
იყო მწერალი მეფისა;
სახელი ჰქონდა განთქმული
ხოფლად „ქრთამების მკრეფისა", მაგრამ ეს რა

გამოცანაა, როცა მანდ ადგილობრივად ყველამ იცის, რომ ეს — კალანდარაშვილია.

**„ჯავშნიანს"** (ბორჯომი). თქვენი პოემა „პირიდონ-სანდროიანი" ისე გრძელია, რომ აქედან (ტფილისიდან) მანამ (ბორჯომამდე) ჩამოწვდება.

ახალი ამ პოემაში არაფერია, გარდა იმისა, რომ:

ნავთის ურევენ სუპში ქონად,
რომ ლიპლიპი მორთონ მაღლით.

ეს კი მართლაც ახალი გამოგონებაა კულინარიაში.

**შაქროს** (სოხუმი). შეიძლება სხვა ქაღალდზედაც მოგვაწოდეთ.

**პიმენს.** მივიღეთ თქვენი ლექსი და წერილი, რომ მელშიაც გვწერთ:

თითქმის მოხუცდი კაცი, „ნახევარი ცხოვრების გზა განვლიე", მაგრამ დღემდე ერთი ლექსიც არ დამიწერია. ეხლა ვსწერ და გიგზავნი. მიიღეთ მხედველობაში ჩემი ამდენი ხნის თავდაჭერილობა და მომითავსეთ ეს ლექსი.

საკვირველია, რამ გაგაბრიყვათ ამ „სიბერის ჟამს" და კალამი ხელში რამ აგაღებინათ?!

# უტყუარი საბუთი



ბამბის პრეს-პაპიე (საშრობელი), რომელიც მიუდგომლად ახასიათებს ბამბას.

პ.-ტრესტის მე-5 სტამბა მთავლიტი № 3319

კვირა, 8 დეკემბერი, 1929 წ. ფასი 10 კაპ. № 50 (284)

# ტარტაროზი



— რაშია საქმე? საყვირი ეხლა იყო... მე სამუშაოდ მოვდივარ... ესენი კი—სახლში მიდიან!

# „ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონაო“.

**ს**ოციალისტური შეჯიბრი მეორე ქარხანასთან მუშების საერთო კრებაზე დაიდო.

ორივე ქარხნის მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ ამბავს.

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას და დაიშალნენ, თავთავიანთ სახლში წავიდნენ ჯგუფებად.

— **პარმენ**, შევუხვიოთ აგერ სარდაფში და „თითო-თითო“ (თითო-თითო) გადავკრათ!— ურჩია პარმენს ვარდენმა, როცა ესენი ღვინის სარდაფს გაუსწორდნენ.

—-კი, მაგრამ, ბიჭო, ეხლა სოციალისტური შეჯიბრი დავდევით და...—თანაც ტუჩებზე ღიმილი უთამაშებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ არც პარმენი იყო წინააღმდეგი.

— სწორედ იმიტომ... სოციალისტური შეჯიბრის დასალოცავად და მის გასამარჯვებლად დავლიოთ. რითიმე ხომ უნდა აღვნიშნოთ ეს დღე? ყველა ახალ საქმეს დალოცვა უნდა!— ასეთი ლაპარაკი დიდხანს არ გაგრძელებულა, პირი სარდაფისაკენ ჰქნეს.

— ვარდენ, იცოდე, მე ფული არა მაქვს!—უთხრა სარდაფში ჩასვლისას პარმენმა.

— მე მაქვს. რო[illegible]... აქ ჩვენი სანდროაა.

**ჩავიდნენ.**

სანდროას მეტად გაუხარდა [illegible].

— სად ხართ? სად დაიკარგეთ ამდენხანს? —შეეკითხა სანდრუა და ორივეს მხარზე ხელი დაჰკრა.

იქით კუთხეში ორი-სამი მაგიდა იდგა, სადაც გაჩაღებული სმა იყო.

— აბა, სად დაჯდებით?— შეეკითხა მსახური ვარდენსა და პარმენს.

— ჩვენ არ დავჯდებით.. ისე შემოვიარეთ... თითო ჭიქა გვინდა... სხვა არაფერი.., აი, აქვე დახლზე დავლევთ.

ერთ ჭიქას მეორე მოჰყვა. მეორეს—მესამე.

— ჩამოვჯდეთ, კაცო, სირი ხომ არა გვაქვს გადაყლაპული, რომ აღაპის ჩოგანივით დავყუდებულვართ! ლაყლაყობა და ფეხზე დგომა, ისედაც გვეყოფა! —უთხრა პარმენმა ვარდენს და თავთავიანთი სავსე ჭიქებით იქვე ახლოს მაგიდას შემოუსხდნენ.

— ამხანაგებო, თქვენი სადღეგრძელოა.— მოისმა ხმა კუთხიდან.

ვარდენმა და პარმენმა მოიხედეს.

— ჩვენი სუფრა სვამს თქვენს სადღეგრძელოს და ქისაურეებს... ერთი სიტყვით... რომ ბედნიერი და კარგი ცხოვრება.... თქვენი ცოლებისა და შვილებისათვის[illegible] რომ თქვენ მუდამ მხიარული ყოფილიყოთ!

საპასუხოთ ამათაც ადღეგრძელეს ისინი.

შემდეგ სხვა სუფრებმაც გამოიწვიეს და..

გაიმართა შეჯიბრი ღვინის სმაში.

სუფრები გაერთიანდნენ.

**სახლში** ყველას ეძინა, როცა პარმენი შ[illegible] ბრუნდა.

— ისევ დაიწყე შენებურად?— უსაყვედურა ცოლმა, როცა პარმენი ბარბაცით შევიდა ოთახში და მოქროლ ხესავით დაეცა ლოგინზე.

—ვაიმე, ბავში, ბავში!—შეკივლა ცოლმა და ლოგინს მივარდა.

ბავშმა ტირილი მორთო ლოგინში.

ცოლმა ლოგინში მწოლარე ბავშის გაჭყლეტისაგან გადასარჩენად ისე მაგრად ჰკრა ხელი ქმარს, რომ ეს უკანასკნელი ლოგინიდან გადმოვარდა და იატაკზე გაიშხლართა.

პარმენმა ძალღონე მოიკრიფა, წამოდგა და ბრაზისაგან ტუჩებზე იკბინა.

— შენ მე რა მიქენ! იატაკზე გადმომაგდე. მე შენი ქმარი ვარ, თუ?—კიდევ უფრო ბრაზდებოდა პარმენი და მომზადებულ მუშტებს ცოლის ცხვირ-პირის წინ ატრიალებდა.

— ბავშის გადარჩენა მინდოდა. მძინარე ბავშს დაეცი, გაჭყლეტდი, ასე რომ, არ მექნა. ლოგინიდან მე შენი გადმოგდება არ მინდოდა.

— უკაცრავად! არც მე მინდოდა ეს!—უთხრა დაცინვით ცოლს და მუშტი ცხვირში ამოჰკრა.

— კარგი! — მხოლოდ ეს სთქვა ცოლმა და მეორე ოთახში გავიდა. კარები ჩაიკეტა და ბავშს დამშვიდება დაუწყო.

— მიბრძანდით.. დამეკარგე თვალიდან... ამიერიდან შენ ჩემი ცოლი აღარა ხარ... ასე გგონია, ქალს ვერ ვიშოვი... ხა-ხა-ხა-ხა,... რამდენიც გნებავს... დავლიე, მერე რა? შემთხვევა და გარემოება მოითხოვდა. სოციალისტური შეჯიბრი ამას ხუმრობა ჰგონია.... ჩვენ უნდა დავეწიოთ და კიდეც გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს ამას ხუმრობა ჰგონია! ურემი კი არაა კაპიტალისტური ქვეყნები და ჩვენ ავტომობილი კი არა ვართ, რომ, სულ ერთია, მაინც ჩვ დავეწევით, რა გვაჩქარებსო რომ ვსთქვათ! საჭიროა სოციალისტური შეჯიბრი, განუწყვეტელი სამუშაო კვირა და... ინდუსტრიალიზაცია...

როგორ ყველაფერი ტრიალებს.... სახლიც ტრიალებს... ტრიალებს... ტრრრ... იააა... ლეეეეეს!

ჩაეძინა პარმენს.

**პარმენის** ცოლმა მთელი ღამე თეთრად გაათენა გათენებისას საყვირამდე ადგა.

როგორც კი საყვირი მოისმა, ბავში თბილად გახვია, აიყვანა ხელში და თავის ქარხნისაკენ გზას გაუდგა. (ქარხანასთან არსებობდა საბავშო ბაგა).

პარმენს ჩაესმა ძილში თავისი ქარხნის საყვირის ხმა, მოინდომა ადგომა, მაგრამ თავი ისეთი მძიმე აღმოუჩნდა, რომ ბალიშიდან მისი აწევა ვერ შესძლო. [illegible] და ისევ განაგრძო ძილი.

დიდხანს ეძინა.

**მოისმა** კიდევ ქარხნის საყვირი.

პარმენი კვირცხლად წამოხტა.

გაუკვირდა, რომ ტანზე ყველაფერი [illegible].

— ეს კარგია; არ დამაგვიანდება ქარხანაში წასვლა! —გაიფიქრა მან.

შორეულ სიზმარივით მიაგონდა წუხანდელი ამბავი.

— რა უზნეო ქალია. ყოველთვის ასე იცის, როცა დავთვრები.—და დაუძახა მეორე ოთახში: — სონა... სონა...

ხმა არ ისმოდა.

— ალბად, უკვე წასულა ქარხანაში. არ დამაგვიანდეს; მეც მალე წავალ... საყვირი ეხლა იყო, არ დამაგვიანდება!—და პარმენმა გარედ გაიხედა, დრო რომ გაეგო.

— ჯერ ადრეა. არ დამაგვიანდა!— გაუხარდა პარმენს, მაგრამ მაინც საჩქაროდ გაუდგა გზას ქარხნისაკენ.

როცა ქარხნის ჭიშკარს მიუახლოვდა, დაინახა, რომ მუშები ქარხნიდან გამოდიან და სახლში მიდიან.

— ეს რა ამბავია?

ქარხნის ჭიშკარზე საათს შეხედა. ისარი „3“-ს უჩვენებდა.

— პარმენ ჯერ ადრეა, რა გაჩქარებს! —უთხრა ვიღაცამ და ხელი მოჰკიდა.

პარმენმა მოიხედა. მის წინ ამხანაგი იდგა.

— მე ეხლა დილა მეგონა. ღრუბლიანმა ამინდმა მომატყუა!— მორცხვად წაილუღლუღა პარმენმა. ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და გაბრუნდა.

— დავუჩქარებ, პატიებას ვსთხოვ ცოლს!— გაიფიქრა მან და თავის ეზოში შევიდა.

**ხმუკი.**

## გამოსარკვევი საკითხი



— სად არის გამგე?
— ეხლა წმენდაზეა, ხოლო წმენდის შემდეგ სად იქნება, არ ვიცი!

## კაცი პროსპექტიდან

მე ვარ კაცი პროსპექტიდან,
გაქექილი, ძველი,
ვინ არ მიცნობს ამ ქალაქში,
ვარ ცოტა პირთხელი.
არც ვმსახურობ, არც ვმუშაობ,
არც ვთესავ და არც ვმკი;
სხვებზე უკეთესად ვცხოვრობ,
ვჭამ კარგად და ვსვამ კი.
ყველამ იცის ჩემი ენა
ტკბილად მოუბარი,
რომ გაზომოთ ქე გამოვა
მეტრო - ნახევარი.

დაწყებული ზემელიდან
ალმასკომის ბჭემდე,
ჰვალ - მოვალ, ქუჩებს ვტკეპნი
დილით — საღამომდე.

ზემელიდან ერთს შევხვდე კაი,
ვეტყვი „ძმურად" ზრასტის,
იამ ჯიბეს მივჩერებივარ,
თუ ჩხრიალი გაზდის.

თუ ასეთი შევამჩნიე,
უცებ ვიძრობ მახათს,
კავუყრი და გამოვუყრი,
ვით დახეულ ხალათს.
ასში ერთი გამოდგება
გულუბრყვილო, „მტკრი",
ქე იმას დღე დავაყენო,
ასემც თქვენი მტერი.
ზაკუსკა და კვარტით ღვინო
ყელს ჩამიტკბარუნებს,
ქარხლებულს, შეხურებულს
სახლში დამაბრუნებს.

ჯიბის ფულათ სამიანი
მომცეს თანაც უნდა,
ნავთლუღამდეც ქე გავყვები
თუ არ ექნა ხურდა.

ეტლის ფულსაც გამოვტყუებ,
ისე წავბრძანდები;
დავწვები და დავიძინებ...
დილით ადრე ვდგები.
ისევ მახათს მოვიმარჯვებ,
ქუჩა-ქუჩა დავალ,
სანამ ვინმეს არ მოვწველი,
ისე შინ არ წავალ.

ჩანგალი.

## მდგომარეობის შეცვლა



ბოქაულობის დროს



საბჭ. აპარატის წმენდის დროს

# რიცხვების დახასიათება

**0** ნოლი თავისთავად არაფერს ნიშნავს, მაგრამ თუ წინ დაუყენეთ რომელიმე ციფრი, (ე. ი. პროტექცია) მაშინ იგი ფრიად მნიშვნელოვანი შეიქნება. ძველი რომაული თქმაა: **„გაცილებით სჯობია ათასი ცხვარის ლაშქარი ერთი ბელადი ლომის წინამძღოლობით, ვიდრე ათასი ლომი ერთი ცხვრის ბელადობით“** — ასეთივე ითქმის ნოლის შესახებაც.

**1** ერთი კენტია, მოხეტიალე. იგი ნიშანია მარტოობისა, სულით ობლობისა. ანდაზაც არის ქართული: **„მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ცოდვა არისო“.** თვალში „1“ ნიშნავს პირველს და პირველობს კიდეც, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ პრივილეგიების პირველობა ისე ჩამოაქვეითა და ისე ჩამოაყენა უკან, რომ ყოფილი „პირველები“ ეხლა არც კი სჩანან ცხოვრების ორომტრიალში... ბიბლიაც ქადაგობდა: **„წინანი უკანო“.** დღეს კი ამბობენ: **„არა უშავს-რა, ერთი იყოს და კარგი იყოსო“** ყოველ პირველ რიცხვს სულის ფანცქალით მოელოდებიან პენსიონერები და საბჭოთა მოსამსახურენი.

**2** ორი შეყვარებულთა და მიჯნურთა საყვარელი რიცხვია. ორჯერ ორი ზოგი ჭკუის კოლოფისათვის ხუთია, უმრავლესობისათვის კი—ოთხი. ძალზე შეზარხოშებულს ერთი საგანი ორად ეჩვენება; ყველაფერს გაორებულად ხედავს. ორი მოქიშპე ერთი ჯამიდან ვერ სჭამს. ორ მოჩხუბარს, რომ აზავებდე, ნუ გაგიკვირდება, თუ ორთავემ შეგიტია და ერთმანეთის ჯავრი შენზე იყარეს... როცა ისინი საქეიფოდ მიდიან, უსათუოდ მესამეს აიკვიატებენ, რომ ფული ამ უკანასკნელმა გადაიხადოს.

არ დაგავიწყდეთ, რომ მეორე ზარის შემდეგ მაყურებელი დაიძვრის. თუ რუსთაველის თეატრში ხარ — წარმოდგენის საყურებლად, არ შეგიშვებენ.

**3** სამი ბედნიერი ცოლქმრობის მაჩვენებელია. თანამედროვე ჯადოსნური სამკუთხედია: ცოლი, ქმარი და „ოჯახის ამხანაგი“, სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ რედაქტორისა და ქმარს შორის ყოველთვის მწარე მსგავსებას ამჩნევენ. ერთსაც და მეორესაც აუცილებლად თანამშრომლები ჰყავს.

„3, სამეული („ტროიკა“) თავზარდამცემია ყველა უმართებულო ორგანიზაციისათვის. საშინელებაა „ტროიკა“ წმენდის დროს; მისგან განწმენდილი ყოველთვის გამოპანღურებულია ხოლმე პარტიიდანაც და დაწესებულებიდანაც. ციებ-ცხელების მომგვრელია „3“ ყველა სპეკულიანტ - კულაკისათვის. ახალი დადგენილებით თავისუფლად შეგიძლიანთ სხვის ორსართულიან სახლზე თქვენი საჭიროებისათვის მესამე სართული ააგოთ. ყოველი მშრომელი და საბჭოთა მოქალაქე მოელოდა სინდისის ქვეშ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ბილეთი შეიძინოს...

**4** ოთხი საფუძველია ყოველგვარი მტკიცე შენობისა — ოთხი კედელი, ოთხი საძირკველი. პავშვმაც კი უნდა იცოდეს, რომ სამყაროზე არსებობს ოთხი მხარე — აღმოსავლეთი, რომელიც თანდათან იღვიძებს და ირაზმება დამპყრობელთა წინააღმდეგ. დასავლეთი, რომლის ისპანური სწრაფის ნაბიჯით ახლოვდება, ჩრდილოეთი, რომლის ყინვა და სუსხი თეთრ სუდარასავით ზედ ეფინება სამხრეთს.

**5** ხუთი მუშურ - გლეხური რიცხვია — მარტივი და სადაა. ხუთ-ხუთ თითზე შეიძლება დაითვალოს უთვალავი სიმდიდრე და შესაძლებლობანი და სოციალური პერსპექტივების აღნუსხვა. ხუთ თითიან ხელს ყოველგვარი სამუშაო ეადვილება და ეხალისება. ხოლო ხუთი თითისაგან შეკუმშული მუშურ - გლეხური მუშტი სამეფო ტახტებს ანგრევს და კაპიტალისტურ სიმაგრეებს ამსხვრევს...

ჯიბგირებს, ქურდ-ბაცაცებს და გამფლანგველებს ხუთი თითი, ცოტა არ იყოს, უშლის, იმათ ორი თითით უფრო ემარჯვებათ სხვის უბე-ჯიბეში ხელის ფათური, და რკინის კასების ჩხრეკა...

განვლილმა სამეურნეო წელიწადმა აშკარად დაამტკიცა ყველა „ურწმუნო თომებისათვის“, ე. ი. მარჯვენა გადახრის მოციქულებისათვის, რომ ხუთწლიანი აღმშენებლობის გეგმა შესაძლოა ოთხ წელიწადში განხორციელდეს და, აკი, ეს ამბავი აშკარად, თუმცა ცოტაოდენის შეგვიანებით, აღიარეს ამ ერთი კვირის წინედ ხუთმა მემარჯვენე ცნობილმა ბელადებმა: ამხ. **რიკოვმა, ბუხარინმა, ტომსკიმ** და მათთან ერთად ყოფილმა ტროცკისტებმა: **ზინოვიევმა და კამენევმა.** ახალ შრომის კალენდარში სამუშაო კვირაში ითვლება ხუთი დღე— ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი. შაბათი და კვირა განდევნილია, როგორც ძველ ჩვეულებათა ზედმეტი მეჭეჭი. დეე, ეკლესიამ და მისმა წადიდებლებმა იზეიმონ ამ დღეებში თავიანთი დამარცხება, ჩვენ კი თავს შემოვიყრით ხუთქიმიან ვარსკვლავის გარშემო ხუთ თითიან ხელებით და ხუთ დღიან განუწყვეტელ კვირაში აღფრთოვანებულ მუშაობით სოციალიზმის, ე. ი. ბედნიერებისა და სიხარულის დამყარებისათვის ქვეყნების ხუთივე ნაწილში.

ნაბოლარა.





# „მე შენ მეგონე“

ივლიანე მოანგარიშედ მსახურობს ტრესტში.
ერთგული მუშაკია. სადილის შემდეგ ცოტას ისვენებს და ისევ მიდის სამსახურში სამუშაოდ.
შუაღამეზე ბრუნდება სახლში.

იმ დღესაც ჩვეულებისამებრ გვიან დაბრუნდა ივლიანე.

მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ოთახის კარები ღიად დახვდა.

გულმა „რეწხი“ უყო.

საჩქაროდ შევიდა ოთახში. პირველად საწოლს შეხედა—თეკლე თუ არის სახლშიო. ცოლს ეძინა; წახურულ საბნიდან ოდნავ სჩანდა თეკლეს თავი.

ივლიანემ მიიხედ-მოიხედა ოთახში. ესხვაფერა. აფორიაქებული იყო ყველაფერი. შკაფის კარები ღია იყო და შიგ მხოლოდ ერთი ძველი პირსახოცი ეკიდა. კედელზე არ სჩანდა ნოხი. საწოლზე ზეწარიც არ იყო გადაფარებული.

— თეკლე, თეკლე... გაიღვიძე. ეს რა ამბავია ჩვენს თავზე?!— გააღვიძა ივლიანემ ცოლი.

— რა იყო? რა ამბავია?—იკითხა ცოლმა და მძინარე თვალებში ხელი ამოისვა.

— შეხედე აქაურობას! ქურდებს ყველაფერი წაუღიათ.

— ვაიმე, ვაიმე!— წამოვარდა თეკლე.

— ქალო, ისე მაგრად როგორ დაგეძინა, რომ ზეწარი გამოგაძვრეს საწოლიდან და ვერ გაიგე?

— შენ, რატომ ვერ გაიგე? ვაიმე, ვაიმე!—მოსთქვამდა თეკლე, და თანაც ეძებდა ნივთებს, მაგრამ რაც სახეირო გააჩნდათ, სულ წაეღოთ ქურდებს.

— მე სამსახურიდან ეხლა მოვედი!— თავს იმართლებდა ივლიანე.

— როგორ თუ ეხლა მოხვედი! წეღან, დაახლოებით ერთი საათის წინ, გაგიღე კარები, როცა დამიკაკუნე!

— ქალო, ხომ არ გაგიჟდი? მე ეხლა მოვედი!

— კარები ვინ გაგიღო აბა?

— კარები ღიად დამხვდა.

— ვაი, ჩემს უბედურ თავს; ქურდი ყოფილა, კარებზე რომ დამიკაკუნა, მე შენ მეგონე და კარები გავაღე.

— კი, მარა ვერ შეეკითხე ვინ იყო?

— შევეკითხე და სწორედ შენსავით მიპასუხა: „მე ვარ, გამიღე კარები“-ო.

— ვერ შეხედე?

— რა ვიცოდი! ნამძინარევი ავდექი. თვალებიც არც კი გამიჭყეტია, რომ ძილი არ გამტეხოდა, ყოველთვის ასე გიღებ კარებს.

— სახლში რომ შემოვიდა, მაშინ ვერ შეხედე?

— მაშინვე შევგორდი ლოგინში და ძილი განვაგრძე; არც კი შემიხედია... მე შენ მეგონე.

— ეს გამზადებული ვახშამი რომ მიურთმევია, ვერც მაშინ შეხედე?

— ძილში კი ჩამესმა, რომ მადიანად სჭამდა საჭმელს, მარა მე შენ მეგონე.

— მერე-და ვერ გამოელაპარაკე?

— კი ვუთხარი: მალე დაწექი-მეთქი, მარა საბნიდან თავი არ გამოშიყვია. „ამ წუთში“-ო მითხრა იმ შეჩვენებულმა და მეც ლოგინში ველოდებოდი... მე შენ მეგონე.

— საწოლზე რომ არ გაგეკარა, ვერ მიხვდი, რომ მე არ ვიქნებოდი?

— რა ვიცი, რა.. ჩამოჯდა ლოგინზე, დამიწყო კოცნა და ხვევა. კიდეც გავიფიქრე: — რაშია საქმე, რომ ივლიანე დღეს ასეთ კარგ ხასიათზეა - მეთქი.. მე შენ მეგონე....

შენ ტანზე იხდიდი და წვებოდი მეგონე.

ქალო, მკვდარი ხომ არ იყავ, რომ არ გაგეღვიძა ხვევნისა და კოცნის დროს?

— წავუყრუე... მე შენ მეგონე. ძილისაგან ისედაც ვიყავ გაბრუებული და ალერსმა სულ წამართვა არაქათი.

— დაიღუპე! მგონი კიდეც იწვა შენთან და შენ არაფერი არ გახსოვს!

— არა, ივლიანე, არა შენს თავს გეფიცავარ. მე შენ მეგონე. ბევრი ვეხვეწე ადრე დაწოლილიყო, მარა... მერე ჩამეძინა... ვიცი, რომ არ დაწოლილა... ნეტავ დაწოლილიყო, სახლში მოუსწრებდი და დავიჭერდით, ვერ გაგვექურდავდა... განვაცხადოთ კომისარიატში.

— რა განვაცხადოთ, ქალო? რა ვსთქვათ?

— ყველაფერი, რაც მოხდა, როგორც მოხდა!

— სულელი ხომ არა ხარ? სინდის-ნამუსი ალარა გაქვს? გინდა მთლად მოგვჭრას თავი?

— რა თავის - მოჭრაა! განა ცოტას ქურდავენ.

— ქურდობაც არის და ქურდობაც. შენ თვითონ გაგიღია კარები...

— მე შენ მეგონე!

— ჰო, მე გეგონე... უკოცნია... ჩაგხვევია და რა ვიცი... ქვეყანა გაიგებს და ათასგვარ ჭორებს დაუმატებენ.

— აბა რა ვქნათ, კაცო! არსად ვსთქვათ?

— არც მეზობლებში, თორემ თავი მოგვეჭრება.

—:—



ივლიანე და თეკლე ორჯერ იყვენ ბაზარში —ეგებ ჩვენს ნივთებს წავაწყდეთ-ო, მარა ჯერჯერობით ვერაფერი ნახეს.

**ისელი.**

# ყურმოკრული

(სოფ. ჭალა, გურია)

— ივანეს გაუმარჯოს.

— გაგიმარჯოს! კაცო, აგი ერთი ხანია, სახლში არ ვყოფილვარ და ძალიან მაინტერესებს აქაური ამბები. შენ ყველაფერი გეცოდინება და მიამბე, თუ კაცი ხარ.

— ამბები მართლაც ბევრია. იგი ქლოფაი, რომაა, საბაშვილი, იმან კაცო, თვალსა და ხელსა შუა ორი ქცევა მიწა იყიდა გოგიტიძიდან ზედ კაკალ გზის პირზე და ორი ეტაჟა სახლი წამოჭიმა ზედ. აგი ამბავი ყველას პირზე აკერია, მარა კაცი აფერს არ კითხულობს. ამეზე „სუდიეც" კი იყო ცხემლისხიდზე. მარა ხომ იცი, ჩემო ივანე, პურმარილის ძალა...

— კოოპერატივის საქმე როგორ არის?

— კოოპერატივს ამბავს ნუღარ მკითხავ შვილებს გაფიცებ.

გამოაკრეს განცხადება: ვისაც საქონელი გინდა, იმან სამოცი მანეთი ბეთ უნდა შამეიტანოთო. სად აქვს ჩემისთანა ღარიბ კაცს ამდენი ფული.

მაგი ისაკიეს ბიჭი რომაა, კოლიე ძიძიგური, არ ერჩევა აფერ საქმეში.

მთავრობამ ფართალი გამუაგზავნა მეჩაიეებზე დასარიგებლად, კოლიე კომისიაში აეირჩიეთ. ღარიბ გლეხ ილიკო ინარიძეს, რომ ფანელი ეკუთვნოდა, ყველა იმან წეილო, ილიკო ღარიბია და ფულს ვერ იშოვნისო. ქე მაინც კომცომოლი არ იყოს.

ივანე სიხარულიძე ძალიან გაკუჭებული არის იმაზე, რომ, ვინცხამ გაზეთში გამწერაო და გლეხკორებს მამისულს უგინებს.

— როგორია კულტურული მუშაობა? სოფლის ინტელიგენცია რას აკეთებს ამ დარგში?

— წიგნის მუშაობაში ერთი საქმე არ მომწონს მე და ჩემმა ღმერთმა. კაცო, ყურს წაგაძრობენ ყვირილით: დაგწვეთ ქელეხები, ქორწილები და სხვა ასეთი მავნე ზნე - ჩვეულებაო. თვითონ კი 9 ნოემბერს, რომ ალეგრა ვამართეს; რით ჩამოუვარდება ქორწილს: მთელი თუთხმეტი დღეი ებლაცუნენ სოფელში — ქათამი და გოჭი შეწოვეწიეთო. გაიმართა ქეიფი, დოლ-მტვერა ჭიქები, სინები და გვერდებიც შეუზილეს ერთმანეთს ლომიანიძემ და დათუნაიშვილმა. მოცდენას რომ თავი დავანებოთ, ზარალიც ბევრი იქნა, ამას არ ჯობდა, რომ სოფლისათვის შესაფერი გასართობი გამოენახათ? კაცმა, რომ სთქვას, ეს იგივე ქელეხები და ქორწილებია, როცა ძმეთ ხასიათს ღებულობს.

**ულაპაძე.**

# „მელა და ყურძენი"

ბელგიის „სოციალისტური პარტია ვანდერველდეს მეთაურობით ცდილობს ბურჟუაზიულ მთავრობაში სამინისტრო პორტფელების მიღებას.

(დეპეშებიდან)



ვანდერველდე:

ნაგები მაქვს... ვიცი არის
გემრიელი და ტკბილი...
როგორ მინდა, როგორ, როგორ,
კიდევ გავკრა რომ კბილი?!

# სიზმარი № 1.

(ზუგდიდის სახერხი ქარხანა)

ქარხნის პირველმა საყვირმა გამაღვიძა. ავდექი, ხელ-პირი დავიბანე, გაისმა მეორე საყვირიც და გავწიე ქარხნისაკენ. ყველა მუშები მოსულიყვნენ.

დაუშვეს ძრავა. ატრიალდა ბორბლები და აციმციმდა ელნათურები. მუშები თავთავიანთ დაზგებთან მიყიდნენ, გასწმინდეს მანქანების მოძრავი ნაწილები და, როცა მესამე საყვირი მისცეს, ვით ერთი მანქანა, ისე ამუშავდა ყველა დაზგები.

სატიცრედან საყუთეში შევიარე. შემდეგ რგვალი ხერხი ვინახულე. აქედან სამანქანოში შევედი. ტყვილად არავინ არ იყო, ყველა მუშაობდა. ცეცხლმფარეში მტკიცედ იცავდენ ყველა წესებს. ელსადგურის გამგის დამხმარე გამრიგ დაფასთან იყო, და რეოსტატით აღანაოებდა ოლტაჟის მოკლება - მომატებას.

სრული კმაყოფილება ვიგრძენი.

მერე სახელოსნოში შევედი. ხერხის სალესი დაზგა იქაურობას აღარ აყრუებდა. გაცვეთილი ბაბიტი გამოეცვალათ.

---

სარდაფში შევედი. ქალები გამალებით უსვამდენ ცოცხს. არც ერთი მამაკაცი არ სწევდა პაპიროსს. იცავდენ არსებულ წესებს, რადგან ცეცხლის გაჩენის ეშინოდათ.

ამასობაში მოაღწია შაბაშმა. მუშებმა სამუშაოს ხელი გაუშვეს და დინჯად გასწიეს პურის საცხობისკენ პურის საყიდლად. იქ რიგში ჩადგნენ; წინანდებურად ერთმანეთს თავზე აღარ აჯდებოდენ.

აქედან სასადილოში წავიდენ. იქაც მშვენიერი წესრიგი იყო. ერთმანეთს ისე ერიდებოდენ, რომ არც ერთ მათგანს ბორში და ხარჩო იატაკზე აღარ დაქცევია.

საუზმის შემდეგ კოოპერატივთან მივედი. წარმოიდგინეთ საპნის, მარილის, ძაფისა და სხვა ასეთი სამომხმარებლო საგნები კოოპერატივში ბლომად მოეტანათ. ისევ დაიწყო მუშაობა. ისევ მშვენიერი წესრიგი იყო. როცა მუშაობა გათავდა, სამკითხველოში შევედი გაზეთის გამოსატანად. ვნახე, რომ გაზეთები ჩვეულებრივ ადრე მოსულიყო, მაგრამ ის კი უფრო გამეხარდა, როცა მაგიდაზე არც ერთი ძველი გაზეთი არ იდო. ასე გაგრძელდებოდა ჩემი სიზმარი, რომ, მართლაც, პირველ საყვირს არ გავეღვიძებინე.

ოჰ, როგორ სასიხარულო იქნებოდა, რომ სინამდვილეშიც ასე იყოს!...

**ელნათური.**

## იშვიათი შემთხვევა



მოჯამაგირე (ალმას. თავმჯდომარეს): — დაჯე, შე კაი კაცო ე პატიოსან სუფრაზე, რო შენი შიშით მეც სათამადო ადგილას დამსვან... თორე წახვალ და მეც ქვევით ძროხაში გამგზავნიან ხმელი პურით!

## საუბარი გზაში

### ასკანისათვის. (გურია)

— გამარჯობა, ელეფთერ!

— გამარჯობა კი არა, სისხლი მეყრება გულზე ჩემო მასიკო.

— რა დაგემართა, კაცო? ცუდი ხომ არ შეგემთხვევია?

— შემთხვევა კი არა, წყურვილით ვიხრჩობი კაცი. რავა ნუ გასკდები კაცი გულზე! ეიანცენ ყველაფერი — წყალსადენი გამოგვყავს და შეგავეწრიეთო. დაატყავეს: სოფელი, ქალაქი და ქე გოუყვანიენ კაოგვა, კაი მაგეთის ცხვირს მოუვა. ეხლა ბათომიდან მოვდივარ. მოვწყურდი, ერთი წყალს დავლევ - მეთქი, ვიფიქრე; მოუშვი კრანტი, დავაფჩინე პირი ტკაველაზე, მარა სად არის თურმე წყალი! არ შეგჭამოს ქირმა.

— მაგიზა რამ გაგაცოფა მერე. წინორი ჩემსას და ღვინის დაგალევინებ.

— იფ, ქი არ სთქვა რეჩი! მე ეხლა მწყურია, თვარა სახლში მეც ქე დამხვდება მონაყილი ღვინო. ერთი ეს მითხარი, თუ ძმა ხარ, სკოლის ეზოში რომ სვეტები ლოუსვიენ, იგი რის მაქნისია?

— იგი რადიოა, კაცო. უფასოდ შემოგვყვირებ.

— მერე მუშაობს?

— კაი ხანია არ ლაპარაკობს.

— მაინც კარგია, ჩალის დასაზვინავათ გამოდგება. წყალსადენი დამყაყებულა, რადიო დაყრუებულა, მადლქვით აწი და ჩიჩეთ მატყლი.

— მატყლს კი ჩიჩავ, სად არის რეაჩა. ჩვენს კოოპერატივში ორი წელიწადია მატყლი არ მოსულა.

პომპოლიკი.

## „ეს არ არის ჩახშობა"

კანდიდოს საერთოდ თავის დროზე სამუშაოზე მისვლას არასოდეს არ უქებდნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: თუ მუშაობა ქარხანაში 6 საათზე იწყება ხოლმე, კანდიდო 7-ზე ადრე მისული არავის უნახავს, ხოლო ამ ბოლო დროს, რაც სოც. შეჯიბრების კამპანია დაიწყო, კანდიდო 8 საათამდე იშვიათად მოდის და ისიც გადაკრული.

არა ნაკლებ აქტივობას იჩენს მისი მეგობარი კვატიტო: იშვიათია შემთხვევა, რომ იგი კანდიდოზე ადრე მოვიდეს სამუშაოზე და თუ შეცდა და მივიდა. მაშინაც კანდიდოზე ნაკლებ შეზარხოშებული არ არის.

— ვნახოთ, ვინ მოიგებს, იტყვის ხოლმე შეზარხოშებული კვატიტო.

— გაჩვენებ ცეირს, შე ინდაურო! ჩაიპუტბუტებს ხოლმე გადაკრული კანდიდო.

— ამხანაგო კანდიდო! თქვენ სამუშაოზე რაღომ აგვიანებთ ხოლმე — ეკითხება ხშირად ქარხნის გამგე.

— თვითკრიტიკას ნუ ახშობთ ამხანაგო, მინდა მოვალ, მინდა არა, — ასეთია კანდიდოს პასუხი.

— ამხანაგო კვატიტო, თქვენ ყოველთვის შეზარხოშებული მოდიხართ სამუშაოზე და ისიც დაგვიანებით, — ხშირად ესმის კვატიტოს ადგილკომის ხმა.

— აი ქარხკომი, რომელიც ადმინისტრაციას ეხმარება, რა შუაში ხარ შენ, მე ვაგვიანებ თუ ადრე მოვდივარ, ეს არ არის თვითკრიტიკისა და ინიციატივის ჩახშობა? — გაისმის კვატიტოს მკვახე პასუხი.

როგორც ამბობენ, ახლა [illegible] დათხოვნა გადაუწყვიტეს მუშათა ბრიგადების ინიციატივით.

— აი, თუ გნებავთ, მუშათა ინიციატივის შეზღუდვის ნიმუში, — ამბობს უკმაყოფილო კანდიდო.

— ჰმ! განა ეს არის მუშური თვითმოქმედების გაშლა? წყენით კითხულობს განცვიფრებული კვატიტო, როცა თავის გვარს შავ დაფაზე ხედავს კანდიდოსთან ერთად.

შურ. დული.

## „საპატიო მიზეზი"

შენიშნულია, რომ ზოგიერთი სასოფ. საკ. ბანკები სესხს აძლევენ შეძლებულ გლეხებს და ღარიბებს უარით ისტუმრებენ.




— როგორ? სესხი მოგცე?! ჰმ! სესხი შეძლებულ გლეხს უნდა მივსცეთ, რომ გადახდა შესძლოს... შენ ღარიბი ხარ... ვერ მოგცემთ!

მეგობრული შარჟი

# ყუმბარა

№ 2

„ყუმბარას“ შემდეგი ნომერი გამოვა 22 დეკემბერს.



ს. ჯუღელი:

გასრისე ჩემო მანქანავ, მავნე ბელების ხროვანი
და დაჩქარებით აგვიგე კომუნა სახელოვანი.

## თავდასხმა მიწსახკომზე

მეგობრული შარჟი

მიწსახკომის შტატი იმდენად დიდია, რომ მელორეობისა და მეცხვარეობის გასაუმჯობესებლად გადადებული თანხები ზემოაღნიშნულის (შტატის) შენახვას სჭირდება.

გაზეთებიდან.



ლორები (ამხ. თ. კეჭაყმაძეს):—ჩამოდევი, ჩამოდევი საჩქაროდ ჩვენ თანხები, თორემ ცოცხლად შეგახრამუნებთ.

კეჭაყმაძე: — მე რა შუაში ვარ,ამათ მოკითხეთ!

## სას.-სამ. სამმართველო.



ავალიშვილი გიორგი
საშიში საბახავია;
გვარის შინაარს ამართლებს,
თვითონაც ცეზე ავია.
ანჩხლი და გულით ზვიადი,
წათავადარი, ყოფილი;
დღეს სამმართველოს უფროსი,
ბიუროკრატი ცნობილი.
მასთან ვერავინ მიბედავს
ჩაუკეტია კარები;
მიხვალ და დედას გიტირებს
ახლოს ვერ მიეკარები.



აქ ჩიტაშვილიც ბრძანდება
მოეწყო ვილაც ძიითა,
მოანგარიშეთ მასწავლებლების
მოსული პროტექციითა.
ვარიზერიძეს „საწყლობით“
არ დაუჩრება ვალებში
საქმეს ნაკლებად აკეთებს
დალაზღანდარობს ქალებში.




## მემანქანეთა ბიურო



## სატყეო სამმართველო.



აქა ამბავი მოგითხროთ,
ოთხნი ყოფილან ტოლები:
სატყეო სამმართველოსი
ცნობილი ტაქსატორები:
კაკაურიძეს, გოგვაძეს,
მამამთავრიშვილს. პაპავას
ხრიკები მოეხმარიათ.

ზალანჩივაძეს, — ლევარსის
სახელი აღარ აძინებს;
ტრესტის მდივანი ბრძანდება,
„ოსტროვს“ და ყველას აცინებს.

## მიწათ-მოწყ. სამმართველო.





აქ ერთი ვაჭრის ქალია,
ხმობენ სახელათ თამარას,
საღებავებით იკაზმავს
ლოყებს და წარბის კამარას.

## ცხენთსაშენის განყოფილებ.



აქ კამბეგოვი მსახურობს.
ჟოკეი, მწვრთნელი ცხენების:
იმაზე „ცოდვას" ამბობენ
მაყურებელთა ენები.
თუმცა ვით მწვრთნელი,— კარგა
გვიტაცებს ანდამანტურად,
ათას სამახი „დაკარგა" —
„დააფარვინეს" კვაჭურათ.

## საბჭოთა მეურნეობის ტრესტი



ვარიბერიძე ამ ტრესტის
„საწყალი" ბუღალტერია,
გორში სახლები ქონია,
ფულიც ბევრია.
თან პიანინოც მოუნდა,
მაშ რის ბუღალტერია
თუ უაკომპანიმენტოთ
სახლში შვილები მღერიან?
მაგრამ უხეია გულითა
„ნაღ ლით" უფალი გრძელწვერა,
და ო კლა ხუთი თუმანი
„ნისია - ჩამოეწერა".

ცაცა მდივანი შევაქოთ,
გამგეა მალაზიისა;
(სახელით მანდილოსანი
არვინ ეგონოს კი ისა).
ფედერალისტთა ბანაკში
კარგად იცნობდენ წინადა...
ათას ორასი მანეთი
შეახრამუნა ტკბილადა.



საქმის კაცია დოლიძე
იზრდება, როგორც ზმანება:
ხელფასის გასადიდებლად
კადაასწორა ბრძანება.

## ვექილი აბაკელია



ფორმალისტ-ბიუროკრატობს
აბაკელია ვექილი;
ენა მჭევრობით ცნობილი,
საქმეში გამოქექილი.
მაგრამ მჭევრობას ენისას
აზრიც ჰხამს სწორი, მართალი,
და ეგეთ სიმართლეც არ არის
გასაყიდელი ფართალი.
აბაკელია კი მსჯელობს,
როგორც ცნობილი მანანე;
ხან ამას ამბობს, ხან იმას,
ხან ისე ჰკერავს, ხან—ასე.
და რადგან იგი „ვექილურ
დიალექტიკით" მღერისა,
წყალის დამსხმელი ყოფილა
წისქვილზე ჩვენი მტერისა,

ფულების ჩასაყლაპავად.
შეუდგენიათ ოთხივეს
მათ ყალბი ანგარიშები;
კარგათ შენდება, როგორც გავს
კვაჭანტირაძის ჯიშები:
ოთხივე პირწავარდნილი
კვაჭანტირაძე კვაჭია.
ოთხივე ერთად ხაფანგში
გაება, როგორც ბაჭია.

## საცდელ სამეცნ. განყ-ბა.



გამგეს უხმობენ აპალონს,
მართლაც, რომ აპალონია:
შემოსხევიან ქალები,
თავი სულთანი ჰგონია.
პროტექტორობას სწავლებენ
უყვარს ქეთო და ფაცია;
„ეპატიება" ცოდვები,
„ზაგრანიცელი" კაცია.

## საერთო კანცელარია.



რეგისტრატორათ მსახურებს
აქ ძიბლა კვარაცხელია;
გასულ-შემოსულს აღნიშნავს,
მოუღერია ყელია.
დასაგმობელი რაც არის,
ჩვენაც აღვნიშნავთ გმობითა;
ცხვირს იწევს „დიდი კაცების"
„ძმობით" და „ნაცნობობითა".

გოგილაძე არის ვასო.
მისგან პასუხს ვერ მიიღებ,
წაგიხდება ოწმენა, სასო.
საბჭოებზე მწყრალად არის.
ეზარება კომკავშირი;
არ სწამს: მუშის დიქტატურა,
ადგილკომი, პროფკავშირი.
რომ შეხედო სპეცის როლში,
ნერონი გეგონება:
იმისი დაუდევრობით
იფლანგება ქონება.

## მდივანი სვიმონიშვილი



სვიმონიშვილსა, მდივანსა —
ფეხი შეუდგამს ფეხზეა,
საქმეს არაფერს აკეთებს,
მუქთად ღებულობს „პენსიას"
ხან დამლაგებელს აგინებს,
ხან სადღაც მიუხარია,
აქ სამსახური იმისთვის
ქიანური და თარია.

## ადმ. საფინ. განყ-ბა

თეოფილე კეჭაყმაძეს
მიგიმბრუნდეთ ვეტყვით: — ძია,
შეამოკლე შტატები და
ქაღალდების ინსტანცია.

---

**„ყუმბარა"-ს**
**შემდეგი ნომერი**
**═ გამოვა ═**
**22 დეკემბერს**

# ერთი ღღით კახეთში

კახეთში პირველად მომიხდა მგზავრობა, ისიც ღამით.

— სანთელს რატომ არ აანთებთ? — ვკითხე კონდუქტორს.

— სანთელს იმიტომ არ ანთებენ, რომ ეშინიათ ყაჩაღებმა არ დაინახონ მატარებელი — იხუმრა ჩემმა თანამგზავრმა.

ვაგონში ბნელოდა. მგზავრები ისე ველაპარაკებოდით ერთმანეთს, თითქოს რადიოს ვუსმენდით.

ვაგონები გაჭედილი იყო ხალხით. უფრო მონადირე ძაღლებით. როგორც იყო დიდის ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ გურჯაანს. ისიც გათენებისას.

— გურჯაანს გამოფხიზლება დასჭირდებოდა —მითხრა თანამგზავრმა, —

— გურჯაანი კი იღვიძებს, მაგრამ სოფლის საბჭოს გამოღვიძებას არაფერი ეშველა. მომრიგებელი კომისია თვითონ გახდა მოსარიგებელი. მოჯამაგირეების კულაკებთან სადავო საქმეები იმდენი დაგროვდა, რომ საბჭოს თავმჯდომარე ლამის არის შიგ დაიხრჩოს — საქვეყნოდ სთქვა იქაურმა მოჯამაგირემ.

— ალბათ შილდის აღმასკომის თავმჯდომარემ თუ გამოიწვია შეჯიბრებაში. ის შრომის ხელშეკრულებაზე თვალებ დახუჭული არტყამს ბეჭედს. მოჯამაგირეთა სადავო საქმეს ხელს არ ჰკიდებს. სადავო და სახელაფორთოთ თქვენ თვითონ მოაგვარეთ. კულაკს მოჯამაგირის გულისათვის გიჟი ვარ ვაწყენინო. უმუშევარი, რომ დავრჩე, მერე კულაკი ხომ არ გამიკარებს ახლოს, — ასე ფიქრობს ჩვენი თავმჯდომარეო, — ჩაერია ჩვენს საუბარში შილდელი მოჯამაგირე.

სასამართლოს შენობას გავუსწორდით.

— გაიცანით. ეს გახალვთ ვექილი ალიოში შილაძე.

მაგი მართლაც რომ გამოქექილია — იხუმრა ჩემმა თანამგზავრმა.

— როგორ, კლასიურ ხაზს ხომ არ ამახინჯებს?

— ჰმ. აქაური ვექილები კლასიურ ხაზს ამახინჯებენ კი არა, სახეს დაიმახინჯებენ, ოღონდ ფული დაანახე. თუ ფული გაქვს, ქვეყნის დამქცევი, რომ იყო, მამა აბრამის ბატკანივით გამოგიყვანებენ. თუ ფული არა გაქვს, მაშინ ისე დადუმდებიან, როგორც ჩვენი რადიო.

— თელავი შორს არის?

— თელავი არ არის შორს, მაგრამ იქაურმა გამომძიებელმა ფოფხაძემ თუ ჩაიგდო ქაღალდი ხელში, მის ნახვას ველარ ეღირსები, ისე გადაკარგავს. ამას წინეთ მას პროკურატურამ გადასცა კულაკ ცისკარაშვილის საქმე, მწყემს რომ სჩაგრავდა, ავერ ექვსი თვე გავიდა და საქმეც დაიკარგა და ფოფხაძეც. ბოჭკები და ღვინის საწყობები ყველგან გადასინჯეს, მაგრამ, მაინც ვერ აღმოაჩინეს.

სასოფლო შრომის ინსპექტორი მიმართვას მიმართვაზე უგზავნის პროკურორს, კულაკის დასასჯელად. პროკურორიც პასუხს-პასუხზე იძლევა. ისე, რომ ორი ოთახი გაავსო ცისკარაშვილზე მიწერ-მოწერამ. ასე, რომ ინსპექტორს წელს შემა აღარ დასჭირდება. დაგროვილ ქაღალდებით ზამთარს იოლად გავა! — თავაზიანად მითხრა უცნობმა ქალმა. და ჩურჩხელა მომაწოდა.

— ამხანაგო, ერთი ჩვენი დაწესებულებაც დაათვალიერე — მთხოვა საკრედიტო ამხანაგობის თანამშრომელმა. მას ალბათ დიდი კაცი ვეგონე. მეც მძიმეთ უარი უპასუხე და უკან გამოვბრუნდი სადგურისაკენ, არ მინდოდა გურჯაანზე ცუდი შთაბეჭდილება დამრჩენოდა.

— ლოთი მოდის (ასე ეძახიან კახეთის მატარებელს) — გაისმა ხმები. და გამოჩნდა თელავიდან მომავალი მატარებელი.

მგზავრები მხიარულ გუნებაზე იყვენ. ღვიძრა მატარებელი.

— ადე, დალიე, თორემ დღეს დაგლევ! -- მომაწოდა ჭიქა უცნობმა.

— მადლობთ ამხანაგო, ღვინოს აღარ ვსვამ — უპასუხე. სათვალეები ჯიბეში ჩავიდე, ზეზე წამოვდექი და მოვემზადე ყოველ შემთხვევისათვის პასუხის გასაცემად.

— რა უფლება გაქვს ფეხიზელი რომ მიდიხარ. ვინ მოგცა შენ მაგის ნება? — მისაყვედურა კონდუქტორმა, მეორე ვაგონისაკენ წაბარბაცდა და თან ჩაიღიღინა:

კახეთო ჩემო ლამაზო
შენ მირჩევნიხარ სხვასაო,
თელავში მე რომ დავიწყებ
ჩაის ჭიქებით სმასაო,
ტფილისში ისე ჩავდივარ
არც კი ვტყობილობ გზასაო...

მის ღიღინს მეორე ვაგონის კონდუქტორის ღიღინი შეუერთდა. მცხეთაში ჩავედით. ქალის ტირილი მოგვესმა.

— მიშველეთ, ინდაური მომპარეს.

გამოვიკითხეთ. ქურდი დავიჭირეთ. გვინდა ჩავაბაროთ ვინმეს, მაგრამ ვის?

— „ახრანა“ სად არის თუ იცით?

— ის მთვრალია. ახლა გაატარეს დასაძინებლად.

— მომეცი აგერ. მე გავუსწორდები მაგას. წიწილივით გავგლეჯ შუაზე— ჩაერია ლაპარაკში მატარებლის გამყოლთაგანი, რომელიც ძლივსღა დგებოდა ფეხზე, მას ისე უტევდა ღვინო, რომ თვალებში კაცი კამეჩად ეჩვენებოდა. დავთარი აერია. ქურდი მე ვეგონე. მეცა კისერში. სხვები, რომ არ მომშველებოდენ, ამაღებინებდა ხელს კიდეც წვრილ ცოლ-შვილზე. გაგუდული ცივი წყალით ძლივსღა მომაბრუნეს.

როგორც იყო ჩამომიტანა მატარებელმა ტფილისში. შიიდი თუ არა სახლში, ცოლმა მომაყვირა — რა დაგემართა ბოშო, ცუდ ფერზე რომ ხარ?

— არაფერი. გამაცივა გზაში — მივუგე. ცოლი აფთიაქში გაიქცა ქინაქინისათვის, კი ვერ მიხვდა, თუ რისგან მქონდა ფერი დაკარგული.

ეჟენიკა.



— თავს უშველეთ! ავტო-კურსების ავტო მოდის!

# რუსული იუმორი



— როგორ შეიძლება დაწინაურებულის დათხოვნა და ისიც ამ წმენდის დროს! ჩვენ ის უნდა ვაიძულოთ, რომ თვითონ მან შემოიტანოს განცხადება და გვთხოვოს სამსახურიდან [illegible]



— თქვენ საითკენ?
— მარჯვნივ!.. თქვენ?
— მარცხნივ! ——— ———
— მაშ მალე შეხვდებით ერთმა-



— თუ ის ბრალდიბები, რომლე-ბიც წამომიყენე, ვერ [illegible], მე ვიცი რასაც გიზამ!
— თუ დაგიმტკიცე?
— მაშინ უარეს გიზამ!



— ამათმა თუ ყველამ თავისი შესწორებები შეიტანეს, კოლხელშეკრულება კი არა, ხუთწლიანი გეგმა გამოვა!



— როგორ ზრდილობიანად ეპყრობა მთხოვნელებს-
— დაწინაურებულია. ჯერ არ შესჩვევია ჩვენს ჩვეულებს და აქაურ წესებს.

## სამოცდათუთხმეტწლიანი კარლიკი

(ჟურ. „ჩუდაკ"-იდან)

გაზეთებიდან ვტყობილობთ, რომ ამ დღეებში კარლ კაუცკის შეუსრულდა 75 წელი. საჭიროა ამ ცნობას ცოტა შესწორება გაუკეთოთ. კარლ კაუტსკი გარდაიცვალა თუთხმეტი წლის წინათ დაბადებიდან 60 წლის თავზე.

იყო ომი. სისხლით და ცრემლით ირწყოდა დედამიწა. მოხდა ისე, რომ კარლ კაუცკის დამარხვა დაავიწყდათ. კაუცკი გაბრაზდა და ხთქვა: მაშ, თუ ასეა მე თქვენ გაგახსენებთ, თუ ვინა ვარ მე. და მან დაიწყო გახრწნა. იხრწნებოდა და ყროლდებოდა. პროლეტარიატმა ვერ გაუძლო აყროლებულ სუნს და დაუყვირა: — რატომ არ არის დამარხული? როგორც ცნობილია, მენშევიკები, თევზები და მათგვარი „ტვინის" პატრონები ყროლდებიან თავიდან. კაუცკის აყროლებაც თავიდან დაიწყო. დღეს ამ აყროლებულ ლეშს შეუსრულდა თურმე 75 წელი. თუ საზღვარგარეთ გახრწნილი ლეში ითვლება ცოცხლათ არსებათ, დე, ასე იყოს.

ᲘᲝᲠᲘᲙ.

# თავისებური მიდგომა



კონდ. — ადგილი არ არის... ფრთხილად!

— უზრდელი! ალბად ყველა თავისიანები მიჰყავს, და გარეშეს წაყვანა ცი არ უნდა.

# ქ. დუშეთი

ყველაფერს დასაწყისი და დასასრული აქვს.

დუშეთის საშ. ან. პედაგოგიური კოლექტივს მუდამ კონფერენცია აქვს გაკვეთილების განაწილების შესახებ. გაკვეთილები ხელიდან ხელში გადადის. ამ ნიადაგზე გოგორიშვილი მონდომა სხდომის „დიპლომატიური“ მოსაზრებით დატოვება.

— ამხანაგო გოგორიშვილო, გიმატებ ერთ გაკვეთილს. მოდი! — დაუძახა გამგემ.

— არ მინდა.

— გიმატებ ორს.

— უარს ვამბობ.

— ჯანი გავარდეს, სამი. ეხლაც არ გინდა?

— აღარ მოვბრუნდები, — ამბობს გოგორიშვილი და თანაც კარებს აჯახუნებს, თითქოს ვერ აღებს.

— ხუთზედაც უარს ამბობ? მაშ წადი სადაც გინდა და იქ იჩივლე.

— სირცხვილია ტირილი ორ გაკვეთილზე, თორემ არ მოვბრუნდებოდი, ბატონო გამგე. — ამბობს გოგორიშვილი და ჯდება თავის ადგილზე.

საზოგადოთ დუშეთი განთქმულია კრებებით და სამუშაო გეგმების შედგენით, რაც შეეხება მუშაობას, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ სახეიროს.

ვსთქვათ, მიდიხარ ქუჩაში. უსათუოდ შეგეყრება ალმასკომის დარაჯი. გადმოგცემს უწყებას: **„დღეს 6 საათზე მოწვეულია უფასო ინსტრუქტორთა თათბირი“.**

მოაწერ ხელს.

წინ გადაგეღობება სკოლის დარაჯი: **„დღეს 7 საათზე შესდგება პედკოლექტივის სხდომა“.**

გაივლი ცოტას და კიდევ უწყება: **„თესვის კამპანიის ჩატარების შედეგებზე“.**

— ეჰ, ჯანი გავარდეს, ბარემ მოვრჩები ამ კრებებს და შემდეგ დავისვენებ. — იფიქრებს კაცი.

მეორე დღეს უწყებით ხელში გეძებს ალგილკომი — **„5 საათისათვის წავშირის კრებაა“.**

მობრუნდები და გაჩეჩებენ უწყებას: **„ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შედეგებზე თათბირი“.**

კაცი ბრაზით ქიპზე გასკდები: — ალმასკომს სესხის გავრცელებისათვის არაფერი გაუკეთებია და შედეგებს საიდან მიიღებდა. ეს დალოცვილი ნეტავი?

გაჯავრებული მობრუნდები უკან და ისევ უწყებას. გაწოიბენ. ერთი სიტყვით სულ კრებები და კრებები, დგება გეგმები.

— რა უყოთ, რომ ეს გეგმები 25 პროც.-ითაც ვერ შესრულდა. ჩვენი კეთილი განზრახვით ხომ გვინდოდა შეგვესრულებია! — ამბობს ალმასკომის თავ-რე.

ტარფინე

# ბებიას წერილი (ბასილეთი, გურია)

ყოველ წამდაუწუმ მოსაგონარო, ბებიკო კარპეზა.

შვილიშვილობის გამჩენმა გუნებამ კარგად მიმყოფის შენი თავი. (არ გრცხვენია, ბიჭო, კომსომოლებს, ღმერთის ხსენებაც რომ ქე შემაძულეთ?).

სხვა მომილოცავს ბებია, მაი რაცხა „ჩისტკაათ“ რომ იძახოდი — მშვიდობით, რომ გადარჩენილხარ. ბიჭო, ჩვენი მეზობელი რომაა — ტიხონიე - ძველ ბატონსავით რომ იბდღვირებოდა და ჩვენსკენ გადმოხედვასაც, რომ არ კადრულობდა, — იგი ქე გამოუბრძანებიეთ სამსახურიდან. ახლა ქე აგდია შინ ყურებ ჩამობერტყილი. შენ რომ მწერ: „ბებია, ისთე გავდიდკაცდი, რომე სულ ანტონობილით დავქრი იქით-აქეთო“ — არ გაითირო ჯუღუღა, არ გაგაბრიყვოს ეშმაკმა. მაგ სახიფათოში არ ჩაჯდე, ნენა. მაგით სიარულს ფეხით სიარული გერჩიოს. ქე მაინც დანტროვის და დანსხროვის შიში არ გექნება. ანტონობილით და მისთანებით არ მიარია, მარა აგერ ოთხმოც წელიწადს დავაკანკალებ; — ჩემდენი გზაი ვის ექნება გარებული, მარა ქე ვარ კეტავით. კიდევ, თუ ქალი ვარ, 30 წელიწადს ასთე ვიქნები. ან რაღაიზა უნდა მოვკტე, ბიჭო, ღმერთი ალარაარ და საიქიოო. ნუ გეშინია, მეორეხელ აღარ მოვბრუნდე აქანე და არ დღიწყო კვერების ცხობა, ანდა ბაბუა და მამაშენი აღარ ენახო იქინე.

ასთე, ჩემო ბებიკო.

აქოური ამბები თუ გეინტერესება, ეს არის, რომ საცოდავი სპირტო ნახუცვარის დედა კურცხალს ყრის თვალებიდან — გაზეთში იყო გამოჭიმული თურმე — პენცია რეიზა აქო და მაგის თაობაზე ვინცხა კროკუროორი რომ ყოფილა, იგი ჩამევიდა და პენცია მოუხსნეს. მარა, ბოლოს დაფაცურდა ისთევლე, გააკეთა ქახალდი, რომ „მე კეთილი კაცი ვარ — სხვა ხუცესს არ ვგავდიო, კლასში სამღთო სჯულთან ერთად სხვასაც კი ვასწავლიდიო“. მოაწერია ხელი მისგან მირონცხებულებს და, ნაზიარევებს და წეილო მთავრობაში — მარა ამიხცხეს ყველას ნიორი და ისე გამოუშვეს.

აღარც ჩვენი მეზობელი ასალო რომაა (მთავარ კომუნისტათ, რომ მოქონდა თავი), აღარც იგია ძველებურ გუნებაზე. მასაც ქე მოუსპეს 30 მანეთი პენცია და ყოველ ცისმარე დღეს ხელ აპყრობილი იწყევლება: ვინცხამ ჩემს ცოდვაში ჩადგა და ჩემი ძველი ცოდვები და შპიონობა გამომიჟღავნა, იგი მიესპო მის დედასაო.

სამსონას რომ ვაშლები მოპარეს, იმის შესახებ საბჭოს წევრებმა ოქმი დასწერეს, მარა ჯერ არ წეუკითხავენ. ისთე ელცაბედა თავს იკვალს — მე მარტო ბალჩა-ყანებში ძრომა მიყვარდა და ვაშლის ქურდობა რავა შკადრეთო... მარა ენახოთ...

იყავი კარგად. გწერს შენი ნახვის მონატრე ბებია.

ლოკროკა.

# რამე-რუმე

## დაბა სუფსის

ჯერ მოგახსენებთ სამკითხველოს შესახებ.
(შემდეგ აქედან ვიპოვით შესახვევს).
მისი კარები მუდამ გამოკეტილია
და არე-მარე გამოხვეტილია:
მასში არ არის სკამი და მაგიდა,
(რაც იყო აქამდე — გამგისას წავიდა,
აბა, გაზეთებს ნულარ იკითხავთ
და ნურასოდეს ნუ წაიკითხავთ.
წიგნები რაც იყო,—ისიც გამქრალა.
(საკვირველია — საიდან გამძვრალა!)
ვნახოთ სადგური, თავის „გმირებით“
მუშტი - კრივით და თავში გირებით.
ერთი—მეორეს პატივს რომ სცემენ,
დაუსრულებელ დედის გინებით.

ძირკვაძე.

## სტუმართმოყვ[illegible]



— ქმარი (ცოლს): — გენაცვალე, ხელსახოცი მომეცი!
— არ არის საჭირო! ხელსახოცი ახალ-გარეცხილია!

# საზაფხულო სურათი (ფოთის სინამდვილედან)

დილაა.

მივდივარ ლეკაევას ქუჩაზე. ეს ქუჩა სწორი ქუჩაა, მაგრამ აშმორებულია და ჰყარს. ჭაობებში ზაფხულზე მაზუთი ჩაასხეს კოღოების საწინააღმდეგოდ და ბაყაყების თვალების დასაფხეხად. ეხლა ქვების ჩაყრაზე და ამოშრობაზე არავინ ფიქრობს. ე-ი. მივდივარ ნელად და, აი, უბედურებას წავაწყდი. აპილებული გლეხი ღელეფოში მუხლებამდე ჩამდგარიყო და ვაშლები ამოქონდა.

— რა მოგივიდა ბიძია?—შევეკითხე და პირზე ღიმილი ამითამაშდა.

— რა მომივიდა და, აგერ ავტომობილს რომ მიახრიგინებს ვინცხაა ი ცხვირმოუხოცელი ბალანი, ჩემს ურემს ანტომობილი მუშტარივით მოაყენა. შეკუნტრუშდა ხარები და ურემი ჩამოკოტრიალდა ამ ღელეფოში.

— ჰო, ჰო! ვიცი, ვიცი, ის ნებრანის შვილია.

გამიკვირდა, 12 წლის ბავშვს როგორ ანდობს ქალაქის აღმასკომი ავტომობილს. მაგრამ მამა მისი შოფერია და შეეფერება.

ამას წინეთ დაწოლილ ძროხაზე გადაიყვანა ავტომობილი.

ბაზარში ცენტრ. კლუბის წინ ძროხა ბალახს სძოვდა, ძროხასთან თხაც აცანცალებდა წვერს. იქვე ღორიც კრუსუნებდა.

ეს ყოველიფერი დავინახე, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, და მე ვანე ბაზარში ამოვყავი თავი.

აგერ ყაბალახმოშველებილ მეურმეს დაუჭერია ორი ბავში და ეუბნება:

— თქვენ წუწკებო, ამას გასწავლიან სკოლაში?...

— რას დამდგარხარ ბიძია აქ — მომაძახა მეზობლის ბიჭმა, — წამო კინოში, დღეს მოწაფეებისათვის სურათი მიდის.

— რა სურათებია, ბიძია?

— „ნამდვილი ჯენტლემენი“ — ამაყად მიპასუხა მან და თავი მაღლა ასწია.

შევედი დარბაზში. დაიწყო „საზავშო კინო“ (ფოთის გან. განყ. აზრით) და, ჰა, კოცნის მომენტები და ქალის გაშიშვლება. დაიწყეს მოწაფეებმა „ჰეი-ჰეი“-ს ყვირილი და კოცნის დროს წრიპინი, მთელ დარბაზს აყრუებდენ. ცხვირსახოცი ჩავიკვეხე ყურებში და ისე ვუყურებდი ამ სურათს.

ხაველა.

## გოსლევის სკოლაში

გამგეს სკოლა გაუხდია
საქათმეთ და ბუდეთ.
ამბობს:—ქათმის კვერცხებიან
წიწილები „ბუდეტ“.



## პუშკინის ქ., 17

აქ, დუქან ნომერ სამშია
ბევრი რამე ხდებათ;
ნოქარ კობახიძის მუშტი
ბევრ მუშტარსა ხვდებათ.
თუმცა დუქანს აწერია:
„ზდრავოოხრანენიავო“,
მაგრამ აქ ნაყად საქონლით,
ბევრს კუჭი ასტკენიათ.
მყრალი კვერცხი რამდენიც გსურს,
გინდ სხვა საქონელიაო, —
მაგრამ სიტყვის შებრუნება
იცოდეთ, აქ ძნელიაო.
მაგალითი თუ გსურთ, აჰა,
მოწმე მზადა ვარ აქ მეო.
ოცდა ორ ოქტომბერსა ქნა
იმან ასეთი საქმეო.
საჭიროა ამ საქმისა
სწრაფი გამოძიებაო,
რათა ამ თავხედ „მკლავაძეს“
ავუტეხოთ ციებაო.

ტარზან.

## სადგ. თბილისი

— რაო? მიშა ობოლაძეო! მიშა ობოლაძეს ვერავინ გასცინებს. მე ვარ სპეცი ობერ - კონდუქტორი. რაო? თოფურიაო?... მერე რაა, თუ ის ოთხ დღეს დამყავდა მატარებელში ისე, რომ ტაბელში არ მყავდა გატარებული?!

ეს არაფერია. ჩემს გულში ხომ იყო გატარებული?

რაო? ავჭალაში რათ დააბრუნეო. ეს იმიტომ, რომ მარშრუტში არ მყავდა გატარებული და ისე მთელი კვირას ხომ არ ვატარებდი! რაო? გორში მატარებელმა კაცი გადაჭრაო?... მერე მე რა? მე ხომ არ გადამიჭრია... ეს არაფერია, მე თუ შემთხვევის ადგილზე არ გამოვცხადდი. მატარებელს წასვლის სიგნალი მივეცი და არ გავაჩერე. ეს იმიტომ, რომ სოციალისტური შეჯიბრებას ვატარებთ და ერთი წუთით მატარებლის გაჩერება, წარმოებას აფერხებს.

კვდარი ხუთ სადგურზე ჩავატარეო?... და, რა მექნა გზაში ვისთვის დამეტიებია? ზოგიერთ კონდუქტორებს [illegible] მყავთ ხალხი და იმას ბილეთი მაინც ქონდა, ეს კაცი. [illegible] რომ არ ჰქონოდა, კვდარი იყო. [illegible] ცხალი ხომ არ იყო, რომ დანარჩენი სადგურები ფეხით გამოევლო.

მხატვ—კორი.

## ბედნიერი მამა




— რა კარგი შვილი მყოლია! გაზეთებში სწ[illegible] სიმულიანტია, ბიუროკრატი და პროტექტორიო!

## ქიათურა

საუბარის საგანია
თაბაგარი სერგო.
ჩვენ ურჩევდით—ცუდი რამე
ხალხში არ დაერგო.
შვიდ ნოემბერს წარმოდგენის
დადგმა განვიზრახეთ;
მოვემზადეთ, როგორც იქნა...
მაგრამ ერთი ნახეთ!
მოვრთეთ ეზო, რალას ნახავს
მის უკეთესს თვალი...
ჩვენი სერგო გამოცხადდა,
გალეშილი, მთვრალი.
დაიჩემა: — მე არ ჩავშლი
წარმოდგენას, არა.
დროა უკვე, რომ დავიწყოთ,
ნუ დამცინით, კმარა.
წარმოდგენა გაიმართა,
და ავსწიეთ ფარდა.
ყველას სახე გაუბრწყინდა,
ყველას გაეხარდა.
წარმოდგენა კარგად მიდის,
უხარიათ ჩვენებს...
ვნახოთ სერგო, რომ გამოვა
როგორ დაგვამშვენებს.
აჰა, სერგოც გამოვიდა...
ბარბაცობდა, სთვლემდა,
კისერზე თავს ვერ იჭერდა,
მძიმე გახდა, სძლევდა.
რას ამბობდა, არ იცოდა,
მოემატა წნევა,
„ჩქარა ფარდა ჩამოუშვათ,
თორემ წავიქცევა!
დაიძახა რეჟისორმა,
ხალხი ადგა, წამოვიდა
ყველა სერგოს გარდა.
ეს კიდევ რა იმ სირცხვილთან,
რომ ვიგემეთ ჩვენა:
მიტინგს მთვრალი მიესალმა,
ჩაუვარდა ენა.

„რინელის ძმა“

## ცოტა რამ

ქოში ნალებით დავსჭედე,
წელში გავირჭვე კალამი,
მოუსვი დიდუბისაკენ,
აფთიაქს მივეც სალამი.
იქ საკინკლაო ბევრია,
მოკინკლავენიც ყვანანო;
ახ, ნეტავ ვიყო მე გამგე
სულ ყველას თავი ვანანო.
პირი ვიბრუნე უკანვე,
ცოტა წამოველ წკრომითა;
ვსთქვი — ტრამვაიში ჩავჯდებ
ფეხით ვერ ავალ შორითა.
ნადარეიშვილთან ჩამოვხტი
აფთიაქისა გამგეა,
(კობალაძისგან ვისმინე,
[illegible] აფთიაქი ვ[illegible]).
შუბლგატეხილი შემომხვდა,
სისხლი სდიოდა ღვარადა;
ემუქრებოდა მგალობელს
ყველას ამოგწყვეტ გვარადა.
გავიკითხ-გამოვიკითხე
ერთ უწცად არ დამჯდომია,
თურმე იმ პირშავ მგალობელს
ძისი გალახვა ნდომია.

მახვილი

## შეხურება

მარანი (სენაკის მაზრა)

კაცი აღარ ვყოფილვარ,
თუ მაგრად არ შეგჯორე
თავმჯდომარევ, სალამი,
ამხანაგო თედორე.
საქმეს ველარა შველის,
შენი ენა მჭევრობა.
გარედ დარღვეულია,
ეს ოთხწლედის შენობა.
სკოლის კომისიები
მარტო რალას გახდება,
ალმასკომი აქ გლეხებს
თუ არ გამოადგება!
დაპირება, ხომ იცი,
საქმეს შველის აღარა,
სკოლა კი არ შენდება,
გაგვერია ჭაღარა.
სოლომონიც ხელს გვიშლის
(ძიძიგური გვარათა)
და სასკოლო ეზოს წინ
მან შენობა გამართა.
ამით სკოლის ოთახებს
წაერთმევა სინათლე,
სწავლაც კი დაბრკოლდება,
რომ სთქვას კაცმა სიმართლე.
საზოგადო საქმისთვის
არც სწუხს; არცა სცხვენია;
ავიწყდება ალბად, რომ
პროფკავშირის წევრია.

# ცნობათა მიღება

**ტყისპირელს** (სოფ. ჯვარი-ეწერი, კარცხის თემ. ოლქი). — თუ ტყისმცველი—

ალექსანდრე ტყეს „პატრონობს",
ჩვენ კი დავრჩით ხახა-მშრალი.
სახლისაკენ ეზიდება
მოაშორე მას თუ თვალი, —

მართლაც ასე იქ-
საჭიროა მასაც დაუყენოთ დარაჯი, რომელიც დაიცავს ალექსანდრესაგან. სხვა გზა და საშუა... ...ებ, არ არის.

...ლო, რაც შეეხება იმას, რომ:

კუპატაძეს ვაგრძნობინოთ,
რომ ის არის მეტიჩარა,
და ორივეს პანღური ვკრათ,
მოვიშოროთ ბარემ ჩქარა, —

მ... ... ჩქარა ... გავხდებით, თუ ადგილობრივი ხელისუფლება ...ხმარა.

**ქიასიკ ბალდოს** (აქვე): — ახლოს რომ იყოთ, ...ვენს კეტს მიმართულებას თქვენივე თავისკენ ვუზამ...ით ამ ლექსის დაწერისათვის:

დავახვიოთ თავბრუ, რეტი,
თავში დავსცხოთ, თავში, კეტი

კიდევ კარგი, რომ წერილის ბოლოში ბო... ...ბთ: „ბოდიშს ვიხდი, რომ ასე უშნოდ ვსწერამ, მაგრამ ...ედი მაქვს მაინც დაბეჭდავთ".

ისემც ჩან-კაი-შის გაუმართლდეს თავისი იმედები, ...ოგორც თქვენ გაგიმართლდათ ამ შემთხვევაში.

„**შეხალგმულს**": — ფსევდონიმისდა მიხედვით, ...ქვენ ბავში გვეგონეთ, წერილიც ამას ადასტურებს, მაგრამ ვინაობას გვაცნობებთ და გვწერთ, რომ თქვენ ...ოფ...—ის მასწავლებელი ყოფილხართ.

ჩვენ დავაპირეთ თქვენი თხოვნის შესრულება, რომ —თუ არ დაიბეჭდებოდა, უკანვე გამოგვეგზავნა, მაგრამ ...ად გინდათ! დარწმუნებული ვართ, რომ ახლა თვითონ ...ქვენ ვერ ამოიკითხავთ თქვენს ნაწერს.

**კონკრობელას** (ტფილისი, საქონლის სადგური): ...ეხლაც რომ გაგეგრძელებინათ მამის დარიგება სხვის ...აქმეში არ ჩარევის შესახებ, უმჯობესი იქნებოდა. რა ...ვენი საქმეა, თუ:

ბაგრატასა და ზინას შორის შავმა კატამ გაირბინა; ...მ შემთხვევაში ელენემ შუამავლის როლი ითამაშა... ...ეუ—ვერ სძლებენ: ბაგრატი უზინაოთ, ელენე უირაკ...ლოთ, შალიკაშვილი უიმათოთ.

არც ის არის თქვენი საქმე, თუ ბაგრატა და ზინა ...რთ სკამზე სხედან. ორი კაცი თუ ერთ სკამზე ზის, ეს ...რაფერია; ცუდია, როცა ერთი კაცი ზის ორ სკამზე. ამა ...ა ჰქნან, თუ სკამის ნაკლებობა გაქვთ?

ერთი სიტყვით, უფრო სერიოზული რამე მოგვაწოდეთ.

**ბასტონს** (ზუგდიდი): —გარდა იმისა, რომ თქვენი წერილი გადამეორებაა ბევრჯერ მოთავსებული მასალისა, დაწერილია ქაღალდის ორივე გვერდზე (ეს სხვათა შორის).

**ბერეწმინდელს** (მარტვილი, ავეჯეულ. ფაბრიკა).— ...ქვენი სტვირზე ღიღინი კიდეც ესიამოვნება სუხია... ...რომელსაც კირილემ მიუტანა:

შემწვარი ინდაური,
ერთი ფუთა ხაჭაპური
და ზედ დასაყოლებლად
ტკბილი ღვინო ქაშანური.

...ეთ სუფრას თუ თქვენ სტვირს დაუკრავებთ, ამას ...ა ჯობია.

და სთხოვა მას — მომეციო
სამსახური რამე ერთი.
ვარით აღარ გამისტუმრო,
თუ გწამს ქრისტე, მამა ღმერთი.

თქვენ გგონიათ— სამსახური კირილეს იმიტომ მისცა სუხიაშვილმა, რომ მას ქრისტი და ღმერთი სწამს? არა, ...ვეთის-მორწმუნეობას ვერ დასწამებთ მას. ალბად, ხაჭაპური და ინდაური უფრო სწამს სუხიაშვილს, ვიდრე ღმერთი.

**კ. ზეგნელს** (ბათომი):— გაურკვეველია, თუ ვის ეხება თქვენი წერილი: „სამი წმენდა", ამიტომ ისიც ჩვენს წმენდაში მოჰყვა.

**ხლისტს** (მექვენა, ქუთ. ოლქი):— „ეპო"-ს შესახებ სწერთ, რომ:

ერთ ღამეს რომ შევიხედე,
გადვირიე ლამის,
რომ ნაცნობებს ფართალს აძლევს
ჩვენი გამგე ღამით.

ალბად, ეს არის მიზეზი, რომ გლეხობა „ეპო"-ში ფართალს ვერ შოულობს.

**მზვერავს** (მოწამეთის კირის ქარხანა, ქუთაისის ოლქი).— თქვენი ქარხნის „ავკარგში", კარგი ვერაფერი ვნახეთ, ავი კი ბევრი; ასე, რომ წერილს სათაურად უფრო შეეფერებოდა „ჩვენი ქარხნის სიავე". ალბად, ქარხნის გამგეს, როგორც ქარხნის ყოფილ მეპატრონეს, თავი ეხლაც ქარხნის პატრონად წარმოუდგენია. ჩვენც გეთანხმებით, რომ — საჭიროა ქუთაისის აღმასკომმა შეაგნებინოს ბატონ გამგეს, რომ ჩვენში დიდი ხანია არსებობს საბჭოთა ხელისუფლება.

**ოშტი-ალას** (ხოსლევი): —თქვენი წერილი ასე იწყება (ალბად თქვენც გახსოვთ):

„იმ დროს, როცა საბჭოთა ხელისუფლება დგას თავის სადარაჯოზე და აშენებს **წითელ სოციალიზმს**"... ნეტავ სხვა კიდევ რა ფერის არის სოციალიზმი?

**გურულს** (ამაღლება, გურია): —თქვენ გვატყობინებთ, რომ მირიან, ზაქრო, აკაკი და პროკოფი.

იკრიბებიან ჩუმად და...
ხურდება ნარდის თამაში,
და ათენებენ მთელ ღამეს
ისინი მხოლოდ ამაში.

რომ ეს ასეაო, გვწერთ, ამას დამიდასტურებს აღმასკომის თავმჯდომარეო.

და, მართლაც, წერილის ბოლოში წითელი მელნით ასე სწერია: „რომ ეს ნამდვილია, ვამოწმებ ამაღლების თემსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე: მ. ჯიბუტი. (დასმულია ბეჭედიც).

ჩვენ გვიკვირს—თუ თავმჯდომარემ ყველაფერი ეს კარგად იცის, რატომ ზომებს არ ღებულობს? აღმასკომის მოვალეობას შეადგენს არა მარტო „სინამდვილის შემოწმება, რედაქციაში გასაგზავნათ, არამედ სინამდვილეში არსებულ დეფექტების გამოსწორება.

**გაბრაწულს**:— მივიღეთ თქვენი „ძმის წერილი", რომელშიაც მხოლოდ ერთ ადგას არის გამართული რითმა:

მამაშენსა ენატრები,
შემოეხა „ბილიო"...
მკბენარები დაესია
უთვალავი — მილიონ.

თქვენ ამ ამბავს ... და ... წერიათ ეს „ლექსი", რომელშიაც არის:

ილიუზია მეტად ლამაზი
და პოეტობა ხათუთი, ნაზი,

—:—

მე პოეტი ვარ.. ხულმა პოეტის
ვერ აიტანა ამბავი ეხე.
თითქოს მკბენარი მკბინს მამაჩემის
გულზე მიკბინა რაღაცამ ისე.

ვარჩევთ აბანოში წახვიდეთ და ტანი მექისეს დააბანინოთ.

**მ. მაჩალდას** (ხართიჯალა): — სხვისი ბიოგრაფია რომ დაგეწერათ ამნაირადვე, სიამოვნებით დავბეჭდავთ. ნუთუ მეტად თავისთავზე უფრო საინტერესო (და სატრატაროზო) ვერაფერი ნახეთ, რომ ავტობიოგრაფიას სწერთ?!.

# რადიო სოფლად

ბევრს სოფელშია მოწყობილი რადიო, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ხეირიანად არ მუშაობს.




— თუ შეშის ხერხვის მეტს არაფერს მოგვასმენინებს, რად მინდა?? ყურები გამოყრუებული მაქვს სახლში ხერხვისაგან.

რედაქ.: სარ. კოლეგია. გაზ. „მუშა"-ს გამოცემა. პოლიგრაფტრესტის მე-6 სტ. მთავლ. № 1809,

კვირა, 15 დეკემბერი, 1929 წ. № 51 (235) ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი




— რას შვრებით?! დაგავიწყდათ ეს პაქტი? აკი ხელი გაქვთ მოწერილი მასზე?!

## ჰაიტზე „სიწყნარეა“



— აკი ვამბობ, რომ მშვიდობიანობის დასამყარებლად იარალია საჭირო — მეთქი!

# საერთაშორისო კუზიანების პოლიტიკა

ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲘᲗ: ვასო ქექილაძე კაბ-ლავთ....

კაცი „ორ სკამზე მჯდომი“.

კაცი, რომელიც „არც წვადს დას-წვავს, არც შამფურს“.

მოლაყბე ხალხისათვის — „ხელზე საგოგმანებელი“ პიროვნებაა. თვალ-ში რომ ჩაუვარდეს, ხელს არ ამოის-ვამენ.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ ასეთი მისი თვისე-ბებისა, ის მაინც წმენდის კანდიდატ-თა სიაშია „ჩავარდნილი“.

ეს იცის ვასომ და გაკვირვებით ეუბნება თავის თავს:

— სწორედ, რომ გულთმისნებია კომუნისტები!

ᲕᲐᲡᲝᲡ სიფრთხილეში ვერავინ სჯობნის. ეშინია — არაფერი ცუდი წამოცდეს. მაგრამ რა ქნას, თუ ვერ ითმენს და თავის ძმისწულს „კომწო-მოლა“ ანდრიას (როგორც ის უწო-დებს მას) ხშირად „შეუკურთხებს“ ხოლმე.

განსაკუთრებით საერთაშორისო პოლიტიკაზე უყვარს ვასოს ლაპარა-კი. მისი ფიქრით, ის იქნებოდა მსოფ-ლიო გამოჩენილი დიპლომატი და პოლიტიკოსი, რომ გარემოებას ხელი შეეწყო. ერთ დროს მენშევიკებს დიპლომატიაშიც იღებდა მონაწილე-ობას.

— ბიჭო, ანდრია, დამიჯერე, თქვე-ნი საქმე ჭანდრაკულათ არის: ბურ-ჟუაზიამ თავის საქმე კარგათ იცის. მას რომ ომი უნდოდეს, თქვენგან ბურდლა არ დარჩება. ბურჟუაზიამ იცის, რომ თქვენი ხოხოლა უომრა-დაც დაინგრევა! — ამბობს ქექილაძე და თან გეშლიანათ ხითხითებს.

ᲐᲜᲓᲠᲘᲐ არ უთმობს ძია ვასოს; პირიქით, ხშირად შეტევაზეც გადა-დის:

— მაშ არა და ბურჟუაზიული სა-ხელმწიფოებს ომი არ უნდათ?

— ცდები მოქალაქევ. უნდათ კი, არა, სწყურიათ ომი, მაგრამ რა ქნან, ჩვენი ეშინიათ, გესმის, ეშინიათ წი-თელი არმიის! — უპასუხებს მას ან-დრია ვაჟკაცური გამომეტყველებით.

ᲩᲘᲜᲔᲗ - საბჭოთა კონფლიქტი სიხარულის ფრთებს უსხამდა ქექი-ლაძეს.

— აჰა, ხომ ხედავთ, ჩინეთის ძლე-ვამოსილი ჯარი მოიწევს მოსკოვისა-კენ! — ამბობდა ვასო, როცა გაზე-თებში ამოიკითხავდა ჩინელ ჯარის-კაცებისა და რუს თეთრგვარდიელ ბანდების მიერ საზღვრების გადმო-ლახვას და, რომელიმე სანაპირო სო-ფლის დაკავებას.

ᲐᲛ უკანასკნელ ხუთი თვის განმავ-ლობაში ქექილაძე გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს გაზეთებს, დარწმუნებული იმაში, რომ ჩინეთის „ძლევამოსილი“ არმია მოსკოვსაც ჩქარა აიღებდა.

—:—

ᲘᲛᲔᲓᲘ მალე გაუცრუვდა.

— აპა, ხედავ, ძია ვასო?—ეკით-ხება ქექილაძეს ანდრია და უკითხავს შორეულ აღმოსავლეთის წითელ არ-მიის გამარჯვების შესახებ.

— მოიცა ბიძია მოიცა. ეს ალბად სტრატეგიული ხერხია ჩინეთის არ-მიის! — დამშვიდებული კილოთი წარმოსთქვამს ქექილაძე და ჩინეთის რუკას ათვალიერებს.

— აჰა, ეხლა რას იტყვი. — კაიძა-ხის გახარებული ანდრია კითხულობს გაზეთს, რომელშიაც გამოქვე-ყნებულია ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის დეკლარაცია და საბ-ჭოთა მთავრობის პასუხი.

ქექილაძემ წაიკითხა დეკლარაცია. წაიკითხა საბჭოთა მთავრობის პასუ-ხი და ენა ჩაუვარდა.

— ძია ვასო, ვთხოვთ წაიკითხოთ საბჭოთა კავშირის პასუხის მე-8 მუხ-ლი! — გაბედული კილოთიეუბნება ქექილაძეს ანდრია და თვალები უბრ-წყინავს.

ვასო კითხულობს:

„საკავშირო მთავრობა აცხადებს, რომ მანჯურია - საბჭოთა კონფლიქ-ტი შეიძლება მოგვარებული იქნას მხოლოდ უშუალო მოლაპარაკებით საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის, ჩინეთისთვის ცნობილ და მუკდენის მთავრობის მიერ უკვე მიღებულ პი-რობებთა საფუძველზე. და რომ საბ-ჭოთა მთავრობას არ შეუძლია დაუშ-ვას ვინმეს ჩარევა ამ მოლაპარაკება-ში ან კონფლიქტში“.

ქექილაძე გაზეთს კეცავს და მაგი-დაზე აგდებს.

— იმუქრებიან კიდეც?! — ჩაილა-პარაკა ქექილაძემ თავისთვის და თა-ვი ჩაქინდრა.

— ჩვენ არ ვიმუქრებით, მაგრამ, თუ საჭირო იქნება, მზადა ვართ ბრძო-ლისათვის! მაშ რა გეგონათ, ჩვენ არავისი გვეშინია! ჩვენ ვიცით „კუ-ზიანებს“ რა გაასწორებს:

სამარე, სამარე!

**ნიანგი.**

# მიმოხილვა

ხუნხუზებმა საბჭოებთან
მოიტეხეს კბილი,
აღარ ახდა მტაცებლების
იმედები ტკბილი, —
ჩან-კაიში, — ინტრიგანი,
ხეპრე, მაჩანჩალა —
წაიჩანჩალდა, გამოევლო
პირში ხმელი ჩალა.

ვანდერველდე ლაქიების
ბელადია ძველი,
ისევ უნდა რომ ხელთ იგდოს
მინისტრის პორტფელი.
ბევრი ვიცით ჩვენ მისთანა
გაიძვერა მელა,
ხაფანგში რომ შეცუნცულდა,
შეიტყუეს ნელა,
ჩაამწარეს გაიძვერას
შინაური „ჩელა“,
„დღე ნათელი და მზიანი“
შეუცვალეს ბნელათ.

ჩემბერლენის საქმე იყო
„პადლოგების“ წერა,
არ შეეძლო მოსვენებით
საბჭოების ცქერა.
მოიხმარა პოლიტიკა
ნაცრობი და ძველი
და გაშა ყოველ მხარეს
ინტრიგების ქსელი.
მაგრამ მაინც საქმეები
წაუვიდა ცუდათ
და აუკრეს არჩევნებში
ნაბადი და გუდა.

იმის ნაცვლად მაკდონალდი
„გაიმართა წელში“
და ჩაბრძანდა პრემიერის
ნაცნობ სავარძელში.
თუმცა სიტყვით ის მუშათა
მინისტრობას ჩემობს, —
საქმით ისიც ინტრიგანობს,
ისიც ჩემბერლენობს.
მაგრამ ვაჰ თუ სავარძელი
მისიც გადაბრუნდა
და იმასაც აუკიდეს
ნაბადი და გუდა.

საერთოდ კი ბურჟუების
ყველა სამფლობელოს,
სადაც კაპიტალისტები
დაეუფლენ ლელოს,
ერთი „სენი“ აღმოაჩნდა
ერთი რამე ტკივა: —
მინისტრების პორტფელები
პანტასავით ცვივა.
ალბათ შედგა კაპიტალი
ბედის ხიდზე ბეწვის
და ხელები პორტფელებზე
„რჩეულთ“ მიტომ ეწვის.
კაპიტალი ჩიხში შედის
ეკარგება გზები,
და საქმეებს ვერ შველიან
ბრიან—იუზები.

— „ამერიკის წინააღმდეგ აჯანყდა ახალშენი გაიტი“... „ამერიკის მრეწველობის ბევრი დარგი კრიზისს განიცდის“.

# ამერიკელი ძია




— ეს არ მომწონს მე! მაგრამ საკუთარ სახლშიაც ბევრი საქმე მაქვს... ისევ-და წასვლა სჯობს.

ბარბაცობენ სავარძლები
მათი, როგორც მთვრალი
— ყველაფერი არის—ბჭობენ:
კომინტერნის ბრალი.

— კომინტერნი არის ჩვენი
ერთად-ერთი მტერი,
კომინტერნი მახეს გვიგებს,
გვღუპავს კომინტერნი“.
თუ რა არის კომინტერნი
ეს ჩვენც ვიცით კარგად:
მისი ჯავრით ჩემბერლენი
გადიქცა ხმელ ფარგათ.

ან როგორ არ გადაიქცეს? —
წასულ არჩევნებში
კომინტერნის „მოწყალებით“
ბერლინის ქუჩებში
კომპარტიამ მოიპოვა
დიდი გამარჯვება,
ლაქიები დაამარცხა
დაუკარგა შვება
და მუშებმა არჩევნებში
წითლებს მისცეს ხმები
და უჯაროთ ლაქიების
რჩება გენერლები.

მედუზა.

# 1924 წლის კრების ანგარიში

„გუშინ დილით, ვარშავის ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელობით დაიწყო ვარშავის აღმასკომის აპარატის წმენდა, რომელსაც აყარებელი მუშები ესწრებიან. წმენდის კომისიას თავჯდომარეობს ამხ. კომუნიცკი, რომელმაც ერთმა პირველთაგანმა ააფრიალა წითელი დროშა პოლონეთის სეიმის სხდომაზე 1929 წლის 7 დეკემბერს, როგორც ვიცით, მაშინ ამ ამბავს აყარებული კომუნისტის დაპატიმრება მოყვა შედეგად.

რაც ყველაზე შესანიშნავია, ვარშავის აღმასკომის აპარატში აღმოჩნდნენ ისეთი „მოღვაწეებიც", რომლებიც ჯალათი პილსუდსკის სისხლიანი ბატონობის დროს ერთგულად ასრულებდნენ პილსუდსკის სამსახურს და სეიმშიაც კარგი ადგილები ეჭირათ.

პირველად დაკითხეს პეპეს პეპესუცკი, რომელსაც ამჟამად საპასუხისმგებლო პოსტი უკავია აღმასკომში (!) წმენდის დროს გამოირკვა ამ ვაჟბატონის მუხანათური როლი პილსუდსკის ბატონობის დროს.

საკვირველია, რატომ ისიც არ მიაყოლეს პილსუდსკის, ან თუ დატოვეს როგორ მოხდა, რომ პეპესუცკიმ აღმასკომის აპარატში ამოჰყო თავისი მუხანათი თავი.

ცხადია: მას აღარ დატოვებენ აპარატში, მაგრამ ისიც უნდა გამოირკვეს, რომელ „ბაბუას" (ან იქნებ „ბებიას") კალთას ქვეშ იყო ამოფარებული დღემდე მოქ. პეპესუცკი? საჭიროა ამ მფარველი კალთის ჩამოგლეჯა!..

მეორედ დაკითხეს აღმასკომის ერთ ერთი ბობოლა, რომელიც აგრეთვე ყოფილი კაცი აღმოჩნდა. ეს გახლავთ მოქ. პილპერსკი, რომელიც პოლიციის დიდი მოხელეც იყო თურმე პილსუდსკის დროს. აღსანიშნავი ისაა, რომ მას დღეს რევოლუციონერად მოაქვს თავი და აცხადებს, რომ იგი პეპესოველებს (პოლონელ მენშევიკებს) სწორედ იმიტომ ებრძოდა, რომ პეპესოველები კომპარტიისა და საერთოდ რევოლუციის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. მუშებმა დაუყოვნებლივ ამხილეს ეს ჟანდარმი და მოითხოვეს მის დაუყოვნებლივ გაძევება ჩვენი საბჭოთა აპარატიდან.

მუშები გამოდიოდნენ ჯანსაღი თვითკრიტიკით და სამართლიანად განაცხადეს, რომ ჩვენ საკმაოდ ვერ გამოვიყენეთ საბჭოთა კავშირის გამოცდილება, სადაც უკვე 17 წელია არსებობს საბჭოთა ხელისუფლება და სადაც დიდი ბრძოლა გადაიტანეს საბჭოთა აპარატის გაწმენდისა და გაჯანსაღებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთში უკვე 3 წელია, არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე ვართ დიდი საბჭოთა კავშირის ნაწილი, — მაინც ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ვიყენებთ მოძმე რესპუბლიკების გამოცდილებას აპარატის წმენდის საქმეში.

ასეა თუ ისე, საბჭოთა პოლონეთს დღეს უდიდესი მიღწევები აქვს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში და ამ დარგშიაც — აპარატის გაჯანსაღების საკითხში გადამწყვეტი გარდატეხა უნდა მოვიპოვოთ.

პოლონეთის საბჭოთა აპარატიდან უნდა გაძევებულ იქნან ყოფ. პილსუდსკელები, პეპესოველები, პოლიციელები და ყველა ჯურის გახრწნილი, გადაგვარებული და გაბიუროკრატებული ელემენტები!

მივბაძოთ ჩვენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებს, სადაც პარტიაც გაჯანსაღებულია, აპარატიც; შესრულებულია პირველი ხუთწლედი, აყვავებულია მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა და დაწყებულია მეორე ხუთწლედის მეორე წელი, რადგანაც პირველი ხუთწლიანი გეგმა მათ 4 წელში შეასრულეს და ისიც თავისუფლად".

ეს გახლავთ კრების ანგარიში ამოწერილი, რომელიც მოთავსდება საბჭოთა პოლონეთის დედა-ქალაქ ვარშავის ერთ-ერთ გაზეთში 1934 წელს. როგორც ამ ანგარიშიდანაც ჩანს, მაშინ ახლად დაწყებული იქნება აპარატის წმენდა პოლონეთში და იგი (პოლონეთი), როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად შევა ჩვენს საბჭოთა კავშირში.

ეს იქნება უსათუოდ. სამისოდ საჭიროა მხოლოდ, რომ ის წითელი დროშა, რომელიც 1929 წლის 7 დეკემბერს აფრიალდა სეიმში, მოეფინოს მთელ პოლონეთს და კიდევ უფრო ძლიერად აამოძრაოს პოლონეთის რევოლუციონური პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა.

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ ანგარიშს, ჩვენ შეგვიძლია პირობა დავდოთ, რომ იგი დაიწერება რამოდენიმე წლის შემდეგ გასაბჭოებული პოლონეთის მუშურ გაზეთებში და ადვილი მოსალოდნელია პოლონეთის „ტარტაროზშიაც"...

ტერსიტი.

# იმედის დაღუპვა



ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტი ჩაიშალა ცვახრჩობს წყალი,

იმედი რომ დაგვეღუპა დავრჩენილვართ ხახა-მშრალნი,

# ჩინეთის მიმოხილვა*)

რომ გადავხედოთ ჩინეთის ამბებს, ფრონტების მიხედვით მდგომარეობა ასეთია: გუშინ სამ საათზე გენერალ ფუ-სუნის ჯარებმა გადალახეს მდ. ანცის ნაპირები და ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრიდან მდ. ცაცამოსაკენ ეკვეთენ გენერალ ჩაა-ფურო-ხუს არმიას, რომელიც დაბანაკებული იყო მდ. ციცამოსთან მდებარე ქალაქ ჩაახოუსთან და, ამნაირად, ეკავათ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის რკ. გზის ხაზი, რომელიც მიემართება ქ. უ-ცაუ-ცუნესკენ, სადაც თავმოყრილია მესამე გენერალის, თაო-ჩიბუხოს არმია, რომელიც ებრძვის მეოთხე გენერალს — ჩაო-ჩა-ხადეს.

მეხუთე გენერალი ფაი ფუნჯი ჯერ-ჯერობით თავს იკავებს შეტევისაგან, ვინაიდან დაწვრილებით არ იციან — თუ ვინ იქნება მისი წინააღმდეგე, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის ომი არც მას აცდება და ამიტომ გამალებით აგროვებს ტყეში გაქცეულ ჯარისკაცებს. ჩვენ კი მაინც ასე უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ფაი-ფუნჯი დაიძრა, ის წავა ალბად მდ. ჩაა-ცხინკოს ნაპირებისკენ და ამით დაუპირდაპირდება ქ. ბრინ-ჯიოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს და შეავიწროვებს იმ გენერლის არმიას, რომელიც ამ ადგილას იქნება დაბანაკებული. ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქ მოპირდაპირე არ დაუხვდა, ან წინასწარ უკუქცეულ იქნა, მაშინ ფაი-ფუნჯი იძულებული იქნება გაყვეს მდ. ბრინ-ჯიოს ნაპირებს და ვისაც შეხვდება ეკვეთოს იმას, გაურჩევლად გენერლობისა და მიმართულებისა.

ამნაირად ეს ხუთი გენერალი სასტიკ ბრძოლებს აწარმოებენ ამ რაიონში და სურით გზა გადუღობენ ერთმანეთს, ხოლო ჯერ-ჯერობით არ ვიცით — რომელი იქნება ეს გზა, რადგან თვითეულ მათგანმაც სისწორით არ იცის რომელ მხარისკენ აიღებენ გეზს.

რაც შეეხება მეექვსე გენერალს ძინ-ძაო-კუს, ის ჯერ-ჯერობით შეჩერებულია ყოველივე მოქმედებისაგან, რადგანაც არც არმია გააჩნია და არც ის გამოურკვევია, თუ რომელი მიმართულება დაიჭიროს ჩინეთის პოლიტიკაში. ვფიქრობთ, რომ ძინ-ძაო-კუც მალე გამოვა სხვა გენერლებივით სამოქმედო ასპარეზზე და მაშინ ცხადათ გამოჩნდება, რომ ისიც ომში ჩაერია თუ ამას ხელი არ შეუშალა მეშვიდე გენერლის ყია-ყიას მოქმედებამ. რომელიც მეორე გენერალი ჩუმ-ჩაირა უჭერს მხარს, მეცხრე გენერალის ლიტო-ლიტოს ნაწეზებით, რომლის წინააღმდეგ დიდი ხანია იბრძვის და სასტიკად უტევს ამ რაიონში მომქმედი მეათე გენერალი წიო, რაზედაც მეტის-მეტად უკმაყოფილოა და გულნაკლული მეთერთმეტე გენერალი ჩაუ-ლიო და მისი თანამებრძოლი, მაგრამ მცირე რიცხოვან არმიის მეთაური — მეთორმეტე გენერალი იფ-ფა-იფო.

ჩვენ ალარაფერს ვიტყვით დანარჩენ გენერლებზე, რომლებიც ჯერ საერთო ბრძოლაში არ ჩარეულან და მარტო შინაურ, კერძო საქმეებს აგვარებენ, ე. ი. თავის ჯარის აჯანყებულ ნაწილებს აშვიდებენ, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამათი ერთმანეთში არევ-დარევა და ვადაშენება მალე სათანადო მშვიდობიანობას და სიმწყობრეს გამოიწვევს ჩინეთის მშრომელ ხალხში და აგრეთვე მკითხველების ასეთ ამბებისაგან არეულ თავში და ამ მიმოხილვის დამწერიც დაისვენებს.

თით-თიო-სან.

*) ამხ. ი. გიდევანიშვილის არ გეგონოთ.

## „უცხო ხილი მეტს ფასობსო“



— სახელმწიფო გამოცდები ჩავაბარე, და, აი, დავბრუნდი ჩემს სოფელში, სკოლის გამგედ გამომგზავნეს!

— დახე ამას! ე-ე-ხო, ჩვენი შაქროჰი ბიჭია; ჩამოუკიდნია ი რაღაც ხაბლი ნაწყვეტი (გალსტუკი) და გვატყუილებს, თორე რაც რამ ჰქონდა სახელმწიფოსთვის ჩაუბარებია, და აქ რაღაჰი მოიტანდა!? გადე, გადე აქედან!



— ტეხნიკუმის პირველი კურსის სტუდენტი ვარ და...

— ჰოოო, აი, გვესმის: პირველი კა ციც ეს ყოფილა და ტეხნიკიც... უცხო კაცია, ალბად ბევრი ნასწავლი იქნება!

# „არაფერი მესმის, შენ არ მომიკვდე“

— შევრცხვი და მომჭრა თავი, — მეუბნება ჩემი მეგობარი, რომელიც გაზეთს არ გაუშვებს, რომ არ გადაყლაპოს. მოწინავედან რომ დაიწყებს „დავკარგეებამდე“ უნდა ჩაბულბულოს ყოველ მიზეზს გარეშე, ასე, რომ ყველა იცის, ვინ რა მოწმობა დაკარგა, ან ვის ამოართვეს პურის წიგნაკი „ა“, ან „ბ“.

— რატომ, რა დაგემართა? — შევეკითხე.

— როგორ თუ რატომ ყმაწვილო, მთელი ქრონიკა ზეპირად ვიცი, შემთხვევებს ხომ თუ გინდა, ერთი წლისას მოგიყვები, ინგლის-ამერიკის ამბები ჩაბეჭდილი მაქვს თავში... ერთი სიტყვით, ცოცხალი ენციკლოპედია ვარ, მაგრამ ერთი ნაკლი მაქვს და ფრიად დიდიც....

— რა არის ასეთი?

— ნუღარ მკითხავ, პირდაპირ სირცხვილში ვარ ჩავარდნილი, გაზეთების ეს მუდმივი მკითხველი კაცი ფინანსივით ვიქცევი ერთ საკითხში...

— რა საკითხია?

— რა და ჩინეთის, ჩემო ძმაო, რასაკვირველია ისე ვიცი, რომ ჩინეთის მილიტარისტებმა ომი აგვიტეხეს და ახლა მათ [illegible] დიდ [illegible] წილის კბილები ახლად ჩასარჩუმელი აქვთ ჩვენი წითელი არმიის წყალობით... ისიც ვიცი, რომ ჩვენმა ძალამ მათ ქედი მოახრევინა, მაგრამ...

— ჰოდა მაგრამ შე კაცო, ყველაფერი გცოდნია!

— არა, შენც არ მომიკვდე! აგერ გეტყვი: არსად გამაჩნილო და მოგიკვდე, თუ ვიცოდე, რა ხდება თითონ ჩინეთში! ბოშო, სულ დავიბენი, ველარაფერი გავიგე — ვინ ვის ებრძვის, ვინაა მტერი და მოყვარე!

ამას წინად ეწერა, რომ გენერალი კურ-კან-ტელი ჯარებს აგროვებს ჩან-კაი-შის წინააღმდეგ. გავიხიდე და ამ კურ-კანტელს შემოუბრუნებია ჯარები და დაჯახებია ვიღაც გენერალ რომ-ფიომ-სკვინს! ვინაა ეს სკვინა, ეშმაკმა იცის!

წავიკითხე კიდევ, რომ ფუ-სკვანჩვენს ალყა შემოურტყამს სიან-მიან-ჩანისათვის მაგრამ რა ვიცი რომლის გამარჯვებაა ჩვენთვის ხელსაყრელი? ვთქვათ, გაიმარჯვა რომელიმე ძვინცირ-ჯორომ და დამარცხდა ჩიან-გვიან-სიანი. მერე რა უნდა ვქნა მე? რომელს დაუკრა ტაში არც ერთის მიმართულება რომ არ ვიცი? იქნებ ის ვირ-ჯორი სოციალურად უცხო ელემენტია და მე კი ტაშს უკრავ! ან იქნებ ეს გვიან-სვანია წმინდა წყლის ლუმპენ-პროლეტარია და მე მისი მიზნების მიმართ არაფერს ვაკეთებ!

მინ-ხრამ-წკანის პროვინციაში თურმე გენერალ პინ-პონპენს დაუგროვებია ჯარები და მთის ზიპ-ლოპ-ტის რაიონში, სადაც შეებრძოლება გენერალ წის-ცინ-ძინს. კაი დაგემართოს, ვიცი, რომ შეებრძოლება და ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე, მაგრამ რა მოხელე „ნაჩალნიკებია“ ეს ზიპლიპიტოები, აღარ უნდა ვიცოდეთ?

ერთი სიტყვით, ჩინეთის ამბების გამორკვევაზე მე, სტაჟიანი მკითხველი უარს ვამბობ. რა ვქნა, არაფერი მესმის, მაგ ვირ-ჯორ-ზიპ-ლოპ-იტოებს და რაც გინდა ის მიყავი.

ალან.

---

# რიცხვების დახასიათება

ექვსი ჩვეულებრივი კანონიერი პროცენტის მაჩვენებელია. ამ ციფრს ერთი უცნაური თვისება ახლავს: თავდაყირა გადაკონტროლებისას „9“-დ იქცევა. (ორმოცდა ათი პროცენტით მატულობს). 69 რაც უნდა აკონტროლოთ, მაინც 69 გამოვა. ექვს თვეს ნამსახურევს შრომის კოდექსის ძალით ორი კვირის შვებულება — დასვენება ენიჭება.

**შვიდს** საბჭოთა ქვეყნებში უდიდესი საზეიმო მნიშვნელობა აქვს (ისტორიული თარიღია). 7 ნოემბერს პეტროპავლეს ციხიდან ჯავშნოსანმა გემმა „ავრორამ“ სიკვდილის მფრქვეველი ზარბაზნების ლულიდან ყუმბარები დაუშინა სამეფო ზამთრის სასახლეს, რომელშიაც თავი ჰქონდათ შეფარებული დროებითი მთავრობის ხელმძღვანელ მინისტრებს.

7 ნოემბრის წყალობით ყველა ქარხნებში და სამრეწველო დაწესებულებებში შემოიღეს 7 საათის სამუშაო დღე. საზოგადოთ ქართულ ყურს ძლიერ ესმატკბილება „7“; „შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გამოჭერიო“. ხალხური სიტყვა: „შვიდნი ძმანი გურჯაანელნი“, „შვიდ თვეიანი მდევი“ და სხვ.

**რვა** სანატრელი რიცხვია რვაწლედის ტეხნიკუმების მოწაფეთათვის, რადგან რვაწლედის შემდეგ საშუალება ეძლევათ უმაღლესი სასწავლებლის და უნივერსიტეტის სტუდენტებად გადაირიცხონ.

**ცხრა** სპეციალური რიცხვია გინეკოლოგიურ ცხოვრებაში. საზოგადოთ ეს რიცხვი ძლიერ უყვართ ქალებს. ნამეტნავად ორსულ დედაკაცებს და აკუშერკებს — ბებიებს, რომელნიც სულ ცხრა თვე, თვლასა და ანგარიშში არიან. საყვარელი რიცხვია აგრეთვე „ძმაბიჭებისათვის“, რომელთაც დღე და ღამე სულ „ცხრას“ თამაშობენ სამიკიტნოებსა და საყომარხანეებში. ქართულ ენას ძლიერ ემარჯვება ცხრა — „ცხრა მთას იქით“, „ცხრაკარიანი“, „ცხრა წყარო“, „ცხრა რჯულა“.

ნაბოლარა.

---

# ბიუროკრატის სიზმარი

ნეტავი ასეთს სიზმარსა
მეორედ აღარ ვნახავდე,
ღმერთო, მაღალო, რაც ვნახე
შენ პირუკულმა ახადე!
ვითომ იქ, სადაც ვმსახურობ
გაწმენდა დაწყებულიყო,
ჩემგან ნაკბენთა ლაშქარით
დარბაზი გავსებულიყო.
ჩემს საიდუმლო საქმეებს
ამზეურებდენ აშკარად;
მნათლავდენ ფლიდად, მსუნაგად,
მხეცად, მყვირალად, აშარად.
პირი დაეღო ჩემს პორტფელს
და უხირ კხვილოდ სჩიოდა;
შეუსრულებელ საქმეებს
თვალიდან ცრემლი სცვიოდა.
ჩემს აკტომობილს მშვენიერს
მიაჰქენებდენ გარაჟში,
შიგ იჯდა, ქნას მეკოფდა
ჩემგან ნაცემი დარაჯი.
დამსგავსებოდა ანკეტის
ჩემი ბრწყინვალე ფორმაზი,
ჩემი სახელი და გვარი
გაჭიმულიყო დაფაზე.
კაბინეტიდან მიჰქონდათ
სავარძლები და სკამები;
მათ ზიყვებოდა დივანი
ქალთაგან განაწამები.
და როიალი სტიროდა,
გაფლანგულ ფულით ნაშოვი;
სამგლოვიარო მარშის ქვეშ
მხურვალე ცრემლებს ვაშრობდი
შემდეგ ვითომცდა ვიცვალე,
ამომივიდა წვერები;
შემომეხვიენ გარშემო
ძველი რეჟიმის მწერები.
ისევ პრისტავად ვიქეცი,
ერთ დროს პრისტავი საზარი;
ჩემი მათრახის წვეთისგან
ცეკვავდა მთელი ბაზარი.
მაგრამ უეცრად ვიღაცამ
ამომკრა მაგრად პანღური;
გაიქცა, გაშპა, გაფრინდა,
ქალი და ღვინო კახური.
ჩწერებოდა წმენდაზე;
ჩემი სიკვდილის რეცეპტი;
უცებ დაკარგულს „ზავ“-ობას
სანაგვე ყუთში ვეძებდი.
ველარ გიხილავ, ტრესტოჯან!
გავშორდით ერთი-მეორეს:
„ბიუროკრატებს სიკვდილი!“
ტუჩებმა გაიმეორეს.
შევშინდი, გამომეღვიძა,
თავი კუბოში მეგონა,
მაგრამ ლოგინში უეცრად,
„სულიკო“ გადამეკონა.
თურმე სიზმარში ვყოფილვარ,
სიზმრისგან გული მეტკინა;
ისევ დავმშვიდდი, ჩემს მკერდზე
ჩემს მემანქანეს ეძინა.
ნეტავი ასეთ სიზმარსა
მეორედ აღარ ვნახავდე!
ღმერთო მაღალო, რაც ვნახე
შენ პირუკულმა ახადე!

ცხვირგატეხილი.

# „ემანსიპაცია“

დიდიხნის უნახავი ამხანაგი შემხვდა ქუჩაში და სახლში წამიყვანა.

— გაიცანით, ჩემი ცოლია! — გამაცნო ოთახში შესვლისთანავე თავისი ცოლი ამხანაგმა.

— ცოლი- ჰმ! ეს ძველი და შაბლონური სიტყვაა!— იუკადრისა დიასახლისმა.

— ამხანაგი! — გამოასწორა თავისი „შეცდომა“ ამხანაგმა.

— კიდევ უარესი! — უთხრა იუკადრისა დიასახლისმა და მე დამიწყო ლაპარაკი:—ნუ თუ თქვენც ჩემს ქმარსავით ანტიფემინისტი ხართ და თქვენც ამისავით ეპყრობით თქვენ ცოლს?

— მე არა ვარ ცოლიანი!

— ნეტავ შენ, რა ბედნიერი ხარ! — „იხუმრა“ ჩემმა ამხანაგმა.

— ხედავთ, როგორი შეხედულების არის ჩემი ქმარი ქალებზე? ნამდვილი აზიელია. ქალების ემანსიპაცია ამ ვაჟბატონს არა სწამს. ისეკი, დაწესებულებაში საერთო კრებებზე, როცა ქალთა საკითხზეა ლაპარაკი, ყოველთვის თხოულობს ემანსიპაციას, ქალების განთავისუფლებას.

— აწ მამაკაცების ემანსიპაცია უნდა მოვითხოვო! — „იხუმრა“ ჩემმა ამხანაგმა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ამ ხუმრობაში ის სინამდვილეს აღნიშნავდა.

— თქვენ, როგორც გეტყობათ, უკმაყოფილო ხართ, ჩემი ამხანაგით?—ვუთხარი დიასახლისს.

— ძალიან, ძალიან. ისეთი კაცია, რომ—ქალში მხოლოდ მოსამსახურე გოგოს ხედავს.

— კარგი. მაგას თავი გავანებოთ, და სადილი გამოიტანე! — უთხრა ქმარმა ცოლს.

— აი, ხომ ხედავთ, სადილს თხოულობს და სიტყვას უკადრისად, მაგრამ სადილი ბანზე ისვრის... სტუმართან არ გამიკეთებია. სადილს შენც ხომ სჭამ? მაშასადამე შენც უნდა მომეხმარო მის გაკეთებაში. აი, ამას ჰქვია თანასწორობა და ემანსიპაცია.

— დაიჩემებ შენებურად! — გაბრაზდა ქმარი, — ამაზე მეტი თანასწორობა და ემანსიპაცია რაღა გინდა, შე კაი ქალო?!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ... პაპიროსი მომეცი ერთი ცალი!— და ცოლი სავარძელში გაიშხლართა.

— ეს გაკლდა და ესეც დაიწყე? რომ გაიძახი — ქალი სათუთი და ნაზი არსებაო, — თამბაქოს შხამს როგორ გაუძლებს თქვენი „ნაზი“ ორგანიზმი? პაპიროსი მამაკაცის საქმეა.

— შენ რა გენაღვლება, მომეცი!

— არა მაქვს!

— მაშ მე მოგცემ! — უთხრა ცოლმა და რედიკულიდან პაპიროსი ამოიღო.

ქმარი სხარტად დარჩა.

ცოლმა პაპიროსი გააბოლა.

— თქვენ არა სწევთ პაპიროსს? — შემეკითხა დიასახლისი.

— არა!

— „ჩტო ზა ნეჟნაია ნატურა“.

— ერთი, თუ ძმა ხარ, კარგად შეხედე და გამიგე, რით განსხვავდება მამაკაცისაგან ეს ჩემი ცოლი?

— ოი, ეს გამორკვევა არ მიანდოთ თქვენს ამხანაგს, თორემ... ეშმაკური ღიმილით უთხრა ცოლმა ქმარს, ადგა და სარკის წინ შეკრეჭილი თმის ვარცხნა დაიწყო.

— შეხედეთ, თმა ჩემზე უფრო მოკლედ აქვს გაკრეჭილი, ულვაშები აკლია, თორემ ნამდვილი სასიძო ბიჭი იქნება.



— ჰა-ხა-ხა-ხა!.. არ მოგწონვარ?—დაცინვით ეუბნებოდა სარკეში ქმარს და თანაც კაბას მუხლებს ზემოთ იწევდა.—უნდა იცოდე, ჩემო კარგო, რომ მამაკაცი და დედაკაცი თანასწორნი არიან. ჩვენ უკვე ემანსიპაციაქმნილი ვართ; უკვე მოვიპოვეთ მამაკაცებისაგან ემანსიპაცია!

— მაშ აწ ჩვენ, მამაკაცებმა, უნდა მოვიპოვოთ ემანსიპაცია!

— კარგი, თავი გავანებოთ ამ ლაპარაკს. სტუმრის მაინც მოგერიდოს!—და ამ სიტყვებით დიასახლისი ჩემს წინ ჩამოჯდა. ისედაც მოკლე კაბა, დაჯდომის შემდეგ მთლად დამოკლდა. სირცხვილისაგან თვალი ძირს დავხარა დავაპირე, მაგრამ დიასახლისმა ეშმაკურად შემომხედა, თითქოს მეუბნებაო— „ცოც! ვიცი საითკენაც იცქირები“-ო!.. თავის მაღლა აწევა ვამჯობინე და ჭერში ცქერა დავუწყე ელექტრონის მავთულზე მიმკვდარ ბუზებს.

ნუ თუ ჭერი ჩემზე უფრო საინტერესოა, რომ მას უცქერით! — „გამეხუმრა“ დიასახლისი.

— როგორ გეკადრებათ... რას ბრძანებთ! — გავწითლდი სირცხვილისაგან და ავდექი.

— რა გაჩქარებთ? ჩვენც მოვდივართ „ორიანტში“ სადილის საჭმელად.

როცა წასვლა დავაპირეთ, შკაფიდან დიასახლისმა ახალი პორტფელი გამოიღო და ხელში დაიჭირა.

— ვისია, ქალო, ეს პორტფელი? — გაკვირვებით იკითხა ქმარმა.

— ვისი იქნება? ჩემია. მაშ რა გეგონა? ამდენი ხანია გეხვეწები. და არ მიყიდე. ხომ ხედავ — ყველა ქალებს აქვთ პორტფელი რედიკულის მაგიერ; მეც ვიყიდე.

— მე პაპკით დავათრევ ქაღალდებს, ეს კი პორტფელს ყიდულობს დუხისა და პუდრის სატარებლად!

— შენც იყიდე, ვინ გიშლის!

ორიანტში სადილად აღარ შევყევი. გამოვემშვიდობე.

ისელი.

# კოვზი ნაცარში

— ეს, ჩემო შვილებო, იყო დრო, როდესაც მონაელ ჩხარტიშვილი პირველ კაცად ითვლებოდა მთელ საზოგადოებაში. ქონებაც ბევრს მიწყობდა, ლხინსაც, და შეძენის შნოც ჰქონდა. ეხლა! ეხლა რაღა ვარ? ეხლა ლოთებზე და ყეყლოჯერი და მე კი არავინ არა. „წინანანი უკან და უკანანი წინ" — აი არის ნათქვამი, მარა ჩემზე თუ გამართლდებოდა ეს ამბავი, ალბათ ლეგენდა. ძველი მონაელი [illegible] არის ის, რაც იყო. მოვიხუცდი. ძველებურად სიმართლის ზურგით ქონების შეძენა აღარ შეიძლება. კაჭკობა თუ დაიწყე, სიქას გაგაცლიან. ფეხზე ვაჭრობაშიც აღარაფერი ხეირია. თუ რამე სოფლის ნაწარმოებია გასაყიდი, კოოპერატივებში და საკრედიტო ამხანაგობებში მიაქეთ. კოლექტივები ჩვენი საქმე არ არის და არც არავინ მიგვიღებს — კულაკები ხართო. მოდა, ეხლა ჩვენ რომ ჩაყრილხართ ნაცარში, რას ფიქრობთ?

შვილებმა ერთმანეთს გადახედეს და თავი ჩაქინდრეს.

— საპატიო ხართ, საპატიო... ისევ მეურნეობა მონაელი თუ გამონახავს რამე წყაროს, თორემ...

— [illegible], მამაც და ჩვენ მშიერები! — გამოესიტყვნა უფროსი ვაჟი კოტე.

— არის ერთი საშუალება, რომლითაც შეიძლება საქმეს ეშველოს [illegible] — პატარძალი სჭირია, არც გადასახადი და არც სარესტორნო [illegible].

— [illegible] კარგი ყოფილა, რაც შეეხება სარესტორნოს, [illegible] — სიხარულით წამოიძახეს [illegible].

— მოდით, მილოცვიანი ქორწილი მოვაწყოთ.

— კი, მაგრამ [illegible] რომ არა გვყავს, — შეეკითხნენ შვილები.

— [illegible] არა გვყავს, მაგრამ [illegible], ხომ გვყავს, [illegible], მოსე და [illegible] [illegible] ქორწილი და თეთრები [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ქორწილებში [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

— ძალიან კარგი საქმეა. — დაეთანხმნენ შვილებმა და...

მესამე დღეს დარიგდა საქორწინო ბარათები:



მონაელ ჩხარტიშვილის ეზოში გაიქცა ძველებური [illegible] „სუფრა".

— ქრისტეფორე, დღეს მონაელისას ქორწილში არ მიდიხარ?

— ნუ [illegible] ამხანაგო! კულაკებს უნდა ვებრძოლოთ, თუ [illegible], შევეწიოთ?

— მეც მაგ აზრის ვარ!

— ჩვენ, როგორც კოლექტივის წევრები, ქორწილს არ დავესწრებით.

— პროფკავშირის წევრები თვითონ [illegible] კამპანიებს [illegible], რომ ძველი ადათ-წესები მოვსპოთ.

ამრიგად თემის მშრომელმა მოსახლეობამ ზურგი აქცია მონაელის მოლოცვიან ქორწილს. პატარძლები უკვე [illegible]. მაყრები [illegible] ხომ ზედ არიან, მაგრამ...

„სუფრა" ცარიელია.

— მაყრებს სულით მოვკლავთ სიმშილით. დაქვეტეთ, — [illegible] განკარგულება მონაელმა, შემოიტანა [illegible] და სოფლის [illegible] შემოსასვლელში „მასპინძლის მოლოცვა", [illegible] ტოლი ყველას ყელში [illegible] მობჯენილი.

ტოქსინი.



— ...და თუ [illegible] შემოუჯდებიან სუფრას, მეზობლები კი [illegible] და [illegible]!

# თანამედროვე ანდაზები

— [illegible] მოლარეს [illegible] გადასახადის [illegible] დაუწყეთ.

— [illegible] [illegible] [illegible] წინაშე [illegible].

— [illegible] ოქტომბრის რევოლუციის მეცამეტე წლის [illegible] იქნება.

— [illegible] არც [illegible] წინადადება, და არც [illegible].

— [illegible] [illegible] [illegible].

— [illegible] [illegible], [illegible] [illegible] ხარით.

— [illegible] [illegible], [illegible] [illegible].

— [illegible] [illegible], [illegible] [illegible].

— [illegible] [illegible] და [illegible] [illegible], [illegible] [illegible].

— [illegible] [illegible], [illegible] და [illegible].

ვირთხა.



## პარტ-წმენდაზე

იორ-მუღანლო (კახეთი)

— როგორც გლეხობა ამბობს, თქვენ კულაკი ყოფილხართ!

— როგორ? მე კულაკი?! მთელი ჩემი ქონება ცოლს ბოდ ვეცი!

# გაწმენდილი-წაწყმენდილი

დილით დავითი კარგ ხასიათზე ადგა. უკაცრავად, კი არ ადგა, გამოეღვიძა კარგ ხასიათზე, მაგრამ როცა თავისი კარგი ხასიათის მიზეზი ცოლს უთხრა, და ამ უკანასკნელმა სიზმარი გაუბიათურა, დათიკოს გულშიაც სევდა დაბინავდა.

— ქალო, „შაბათის სიზმარი კვირა სადილობამდეო" — და ჩემი სიზმარიც დღეს უნდა ახდეს!

— ახდენით კი ახდება, მაგრამ ისე კი არა, შენ რომ დაგესიზმრა, არამედ წინააღმდეგ. ხომ იცი, თუ კარგი სიზმარი ნახე, ცუდათ ახდება! — უთხრა ცოლმა.

— აი ქვა ჩაგაგდო მაგ კბილებში, შე გამოსაწყვეტო. მაშ უნდა სიზმარის ახსნა? — გაჯავრდა დავითი.

სიზმარი მართლაც კარგი ნახა დავითმა. მისი თანამშრომლები ერთხმად გამოდიოდენ მის დასაცავად წმენდის დროს. ყველა მას აქებ-ადიდებდა, ტრიბუნიდან ხელში აყვანილი გამოიყვანეს დარბაზიდან. კომისიის წევრებიც კი ტაშს უკრავდენ მას. ასეთი იყო სიზმარი... დილიდან დაიწყო წმენდა, დავითი ძველი ტანსაცმლით გამოცხადდა თმა დავარცხნილი, წვერ მოპარსული და ყველას მორიდებული სალაში შევიდა.

დაიწყეს წმენდა. პირველი რიგი დავითის იყო. ის, ამაყად ავიდა ტრიბუნაზე და დაიწყო თავისი ბიოგრაფია:

„დავიბადე მართალია მღვდლის ოჯახში, მაგრამ მამაჩემი სხვა მღვდლებს არ გავდა, — ამბობდა ის — ნამდვილი მარქსისტი იყო. არამც თუ ფილოსოფიაში, არამედ თვისებებში და ჩვეულებებშიც არ განირჩეოდა მარქსისაგან. მასაც მარქსის მსგავსად ჰქონდა გაშვებული წვერები.

— გვითხარი, როგორია შენი მოღვაწეობა დღეს?

— სწორედ მაგას მოგახსენებთ. რაც შეეხება ჩემს მოღვაწეობას, 1905 წლის თვითონ ჩემი ხელით დავხიე ნიკოლოზ მეორეს სურათი. უნდა გითხრათ, ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო, რომ მამაჩემმა ამიტომ მცემა. უკაცრავად კი არ მცემა, მარქსისტი კაცი როგორ მცემდა, — ღიმილით გაისწორა შეცდომა, — საერთოდ ამხანაგებო, ძნელი იყო მაშინ მუშაობა...

— ვინ გეკითხება შენ მაშინდელ მუშაობაზე, — გააწყვეტინა კიდევ თავმჯდომარემ — გვითხარი სახლი რომ იყიდეთ, რომელი თანხიდან იყიდეთ?

— სახლი, ამხანაგებო, ჩემი ცოლის სახელზეა ნაყიდი. ხომ იცით დღევანდელი კანონი, რომელმაც, ამხანაგებო, ქალებსაც მიანიჭა უფლებები. ქალთა საკითხი დიდი ხანია მოუგვარებელი იყო, მაგრამ დიდმა რევოლიუციამ მათ მიანიჭა.

— არ გეკითხებით ქალთა საკითხზე, — გაჯავრდა თავმჯდომარე, — რატომ მოაყენეთ შეურაცხყოფა თქვენს თანამშრომელს სამსახურის შესრულების დროს.

— შეურაცხყოფა, ძვირფასო ამხანაგებო, სულ სხვა საკითხია. ამის შესახებ სულკურთხეული მარქსი — დარბაზში სიცილი გაისმა.

---

— მე ეხლა ვაპირებდი წამოსვლას, რომ შენს წმენდაზე მეყურებინა, და შენ დაბრუნდი. წყენით უთხრა ცოლმა დავითს, როცა ის უკანასკნელი სხდომიდან დაბრუნდა. დავითს პასუხი არარ მიუცია.

— სულ შენი ბრალია ჩემი უბედურება, შე ჯოჯოხეთის კერძო, — უყვირა მან ცოლს. — შენ რომ არ გაგეხმაურებინა ხალხში, — „ჩემმა ქმარმა ეს მიყიდაო", ვერ გაიგებდენ ისინი და ყველაფერი მშვიდობიანად გათავდებოდა.

ა. ოამლი.

# ჩაი — ღვინო (ქიათურა)

ნეტარცხონებულ მენშევიკების დროს სოდაში იყო სამოვრით ღვინის სმა. ამ ამბავმა დამფუძნებელ კრების კედლებს შორის აურ - ზაური კი გამოიწვია.

ჰო, ეს მაშინ იყო.

მაგრამ ქიათურის ბუფეტში ამ ამბავს ახლაც აქვს ადგილი.

განკარგულების თანახმად კვირაობით ღვინის გაყიდვა აკრძალულია ქალაქში.

მე და ჩემი ამხანაგი ბუფეტში შევედით ჩაის დასალევათ.

— მოგვიტანეთ ჩაი! — ვუთხარით ბუფეტის მსახურს.

— შაქარი არა გვაქვს! — იყო მოკლე პასუხი.

ჩვენ ვხედავდით, რო მეორე მსახური სამოვრიდან ჩაის ჭიქებში „ჩაის"ასხამდა და მიჰქონდა მაგიდაზე, რომლის გარშემო რამდენიმე შეზარხოშებული კაცი იჯდა.

— ეს ოხრები უშაქრო ჩაიმ დაათვრო, თუ რაშია საქმე? — გაგვიკვირდა ჩვენ.

მოქეიფეებმა ჩაის სავსე ჭიქები ერთმანეთს მიუკაკუნეს და ერთბაშად გადაჰკრეს.

— ვაი! — ინსტინქტიურად წამოვიძახეთ, და „სასწრაფო დახმარების" გამოძახება დავაპირეთ — ცხელი ჩაი დასწვავდა გულსა და პირსო...




მაგრამ არ გამართლდა ჩვენი შიში. ისევ მოუტანეს სამოვრიდან ჩამოსხმული „ჩაი"-ით სავსე ჭიქები.

— ამხანაგო, მოდი აქ! — მიგვიპატიჟეს.

— არ შეგვიძლია, ვერ დავლევთ. ჩაი სახლში გვიახლით!—მადლობა გადავუხადეთ მათ.

— ჩაი კი არა, ღვინოა, ნამდვილი ღვინო! — გვითხრა ერთმა მათგანმა.

ადმინისტრაციამ კი იცის ეს ამბავი, მაგრამ მასაც რომ უყვარს „აკრძალული ხილი"?!

შაკო.

# რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო

— სონა როგორ ფიქრობ, კარგად ვქენი თუ არა „ტელასი"-დან კომისარიატში რომ გადმოვედი?

— არაფერიც- იქ „სპეც სტავკა" გქონდა, აქ კი მხოლოდ ოც და ხუთი თუმანი გაქვს. რა არის ეხლა ოც და ხუთი თუმანი, როცა დღეს „ზაგრანიჩნი პუდრი" ხუთმეტი მანეთი დამიფასეს.

— ქალო- დაანებე თავი ამ „ზაგრანიჩნი პუდრებს", შეეჩვიე „ტეჟეს" პუდრებს; ის იყიდე ხოლმე. იმაზე ხომ მაინც აღარ არის ეს ოხერი „ოჩერედი".

— არა ეს არ შემიძლიან; არ ვქამ, არ ვსვამ, ოღონდ „პუდრს და პამადას" ნუ მომაკლებ.

— რა ვიცი, მადაც კარგი გაქვს და...

— „კაკ ტებე ნე სტიდნო", გიორგი, ქამას პაწაღლი?!

— არა, მაგრამ ცოტა უნდა მოუკლო: ხომ ხედავ ხუთასი მანეთის მაგიერ ოც და ხუთი თუმნის მეტი აღარ შემრჩება ამ თვიდან.

— შენი მეტით მოგივიდა ეგ საქმე ჩემო კარგო; ვითომ რომ არ წამოსულიყავი ტელასიდან რა იქნებოდა?

— ის იქნებოდა, რომ „გამჩისტავდენ", ქალო — „გამჩისტავდენ".

— — თუ „ჯაჩისტვაზე" მიდიდა საქმე, პანდაც ხომ მოგაგნებენ?

— კი მომაგნებენ, მაგრამ „ტელასში" დიდიდან იწყება წმენდა, ჩვენ კომისარიატში კი — შეიძლება წელს სულაც არ მოხდეს. გარდა ამისა. იქ ყველა მიცნობდა, აქ კი ბევრმა არ იცის ჩემი წარსული.

— ვითომ ა ვინ გლახა წარსული გაქვს? რა დაამავე ამის ფასი ?ძველით ოფიცერი იყავი, მერე „უეზდნი ნაჩალნიკი", სხვა რა მოხდა? შენ. რომ ასეთი არ ყოფილიყავი, არც გამოგყვებოდი ცოლად.

— ნეტა არც გამომყოლოდი: ეხლა რომ „გამჩისტონ", ხომ უნდა გავაუბედუროთ?

— არა უშავს რა ერთ დროს ხომ მაინც ვცხოვრობდით; ვაი მისი ბრალი, ვისაც ცხოვრების გემო სულ არ გასინჯა, თორემ ჩვენ...

— ჩვენც გაგვიჭირდება, წარსული ცხოვრება აღარ ახსოვს ადამიანს.

— კი, ეგ მართალია, მაგრამ ისეთი სიზმრები მაქვს, რომ მე მგონია არ უნდა „გაგჩისტონ".

— შენ სიზმრებისა და ზღაპრების ნუ გჯერა ბებია - ჩემივით; უკეთესია ჩვენ გაზეთს გადცნო და იმასთან მოალაპარაკო საქმე.

— თქვენ გაზეთს, დავით პეტროვისს? „რა ეგო დავნო ზნაიუ".

— „ზნაეშ" თო ორთა მოიყვანო სახლში, ოჯახურათ გაიცნო.

— არა; „ონ ოჩენ სტროგი", განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც „პრედუპრეჟდენიე" მიიღო, მეტად „ოსტოროჟნათ" უჭირავს თავი.

— არა, არა! ეხლა შენისთანების გადარჩენა ძნელია; ყველას მიგაპრძანებენ და ასეც იქნება:

— რა ვაეწყობა უნდა შევურიგდე კაცი ბედს.

— დიახ, დიახ, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო". ძველი

ქიზიკი



— ქა, დამიდგეს თვალები... ეს არის დაწინაურება? დამიცადე მაინც!

ს. კევლიშვილი. გორი.

**გორის ბაზრობიდან**



გ. ლომიძე. ქუთაისი.



ახალი ყაიდის სავარძლები ქუთაისის ქუჩებში.



— მართალია, მამაჩემი მღვდელი ყოფილა, მაგრამ დაბადებისას ეს მე არ ვიცოდი, თორემ...

ნადიაშვილი, სამტრედია.



— მამილო, მგონი სკოლა იწვის.

— არა, შვილო, მოწაფეები პაპიროსს ეწევიან, და თამბაქოს ბოლია.

მიზრელიშვილი. ტფილისი.



— მომილოცავს წმენდას რომ გადარჩი!

— რაა ახლა გადარჩენა, დავდნი კაცი წმენდის შიშისაგან!

დ. ბახტაძე. სამტრედია.



ქმარი: — კოოპერატივში მივდივარ, და თუ ქალურად არ გამოვეწყვე, ყურადღებას არ მომაქცევენ... შენ კი რატომ ასე მოკლე კაბა ჩაგიცვამს?

ცოლი: — იმიტომ, რომ მეც კოოპერატივში მივდივარ!

# დეპეშები

## ცხელი თავი

ქიათურა. საგანგებო რაზმის ერთი თანამშრომელი (ისით, რომელი?.. დაგვავიწყდა მისი სახელი, გვარად არის გომართელი), რგანში მეგობარ კულაკს ესტუმრა და როცა დათვრა, გაიხუმრა: გაისროლა მაუზერი, ალრიალდა ვით მოზვერი. ხალხს თუ ეშინოდა, — თვითონ იცინოდა: „ასეთი მაქვს ხასიათი, გავისროლო ბარე ათი“

რინელის ძმა.

## ადუღებული ტვინი

საჯავახო. სადგურის უფროსი ბიქტორ ელენტი (ღვინის სმაში არ გეგონოთ კენტი). ვერავის უშვებენებს მას თანაშემწე ჩარჩავა. (ღვინოს სვამენ, მუცელში რამდენიც ჩავა). როცა მოვიდენ სადგურში, მწონავ ალხაზაშვილს ეცენ ყურში. ცემით როცა გული იჯერეს, შემდეგ უფროსებს მისწერეს — ოხერია, ლოთია, უყვარს ჩხუბი შფოთიო.

მოხსნეს, მაგრამ აღადგინეს, — „მართალია“ დაადგინეს.

ჯაიანი და თოფურია მათი ტოლია.
თურმე რამდენი აზნაური გვყოლია?

გლარჯა.

## ახალი სისტემა

ქიათურა. რომ არ მოხდეს ჩხუბი, ომი, — ზომებს იღებს აღმასკომი. ბრძანება გასცა: „აკრძალულია ღვინის გაყიდვა კვირასო“... მიკიტნები აყაყანდენ: „ვერ გადვიხდით ქირასო“... და მოიგონეს ხერხი ასეთი (ამის შესახებ სწერდა გაზეთი): ლიმონათის ბოთლში ჩაასხეს ღვინო... (ლიმონათს ვინ აკრძალავს, ვინო?) ჩამწკრივებულია ბოთლები მაგიდის ქვეშ, ვითარცა წყრო... ყურადღებას არავინ აქცევს რამდენიც გაზეთში არ სწერო. სვამენ „ლიმონათს“ და ითვრებიან, სახლში ძლივ-ძლიობით მიეთრევიან. თუმცა ეს ყველამ იცის (მათში მილიციამაც), მაგრამ არვინ ათხოვა ყური, რადგან ღვინო მათაც სწყურიათ.

შ. ზღვისპირელი.

## ჭმენდისაგან გადარჩინა

ალბულაღი. დაჯდა გამწმენდი კომისია, წინ დაიდვა სია. ამოიკითხა მრავალი გვარი (უწინდელი მგელი ეხლა გახდა ცხვარი). ილიანე მარკოზიაზე, რომ მივიდა რიგი, განცვიფრდა იგი. კომისიამ ახედ-დახედა, გაწმენდა ვერარ გაბედა, რადგან ილიანეს ბევრი ჰქონდა ცოდვა... დაიწყო ილიანემ ბოდვა. ერთი როგორც კვერი, მაგრამ მას ვერ გარეცხავს ვერც მტკვარი.

შუვარძენი.

## „იასონის ოინი“

ქუთაისი (მუშკოოპის სასადილო № 7) სასადილოს გამგე იასონი, რომელსაც ყველა იცნობს მგონი, კაცი არის თავაზიანი. მიუჯდება სუფრასა... (ჯიბეში არა აქვს აბაზიანი). მოითხოვს თქვენს სუფრაზე თავისთვის ლუდსა, დალევს და მიდის, იხურავს რა ქუდსა.

ზლისტი.

## დაწინაურება

ქობულეთი. პოლკოვნიკი პრიხოდკო, ჩვენი ნამდვილი ბუდა მტერია. დააწინაურეს, და ეხლა კაცი ბუღალტერია. თავი ისე უჭირავს, თითქოს გენერალია. გლეხები სულ დააფრთხო, ის ყველაზე მწყრალია. აქ იმისი მოწყობა, ნეტავ ვისი ბრალია? მოგვაშორეთ თავიდან კაცი ასე მყრალი.

ირეზანელი.

# სოფლის ექიმი



— ეს რა წამალი გამომიწ[illegible] კიდევ აშენდა ჩემი [illegible] სახლში ვჭამე...

„ყუმბარა“-ს
შემდეგი ნომერი
(მსუბ. კავალერიის ფურცელი)
გამოვა 22 დეკემბერს

# კრიალოსანი

## „წყალს გაატანს— მდინარეს“

ა. თაშვილის წიგნი „სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და ორგანიზაციის საკითხები“, რომელიც განხილულია სახალხო განათლების მეთოდბიუროსა და სამეცნიერო ტეხნიკურ სექციის მიერ მავნე და ანტიმარქსისტულ აზრებს ავრცელებს.

მეთოდბიუროსა და სამეცნიერო-ტეხნიკურ სექციის მუშაობაში უნდა მოხდეს ძირითადი გარდატეხა.

„კომ“.



ჩვენო მეთოდბიურო,
მავნებლების საწველო,
სანამ გსურს სიყალბე და
უმეცრება ავრცელო?
სანამ გინდა, რომ ფარეხო
ჩვენი მტრებისთვის ყანა,
ან როდის გსურს ისწავლო
მარქსიზმის ანა-ბანა?
მალე წმენდა მოვიდა,
„გაგალევიძებს მძინარეს“,
და შენს „საქმიანობას“
„წყალს გაატანს—მდინარეს“.

## ძველი ტყავი, შავი გული, გურჯაანის თაიგული

კახეთის ოლქის გამწმენდმა კომისიამ პირველი კატეგორიით გამორიცხა შემდეგი პირები:

სააკოვი ალექ. — ყოფილი ვაჭარი,



მეგახში, სოლქო ფინგანის მეთოდ-ტორი, ფულებს ასესხებდა ქარხ პირებზე.

ნაცვლიშვილი ლუკა — ინსტრუქტორი, ყოფილი მღვდელი... ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას.

ბეჟანიშვილი შაქრო, — ინსტრუქტორი, ყოფ. ვაჭარი, სარევიზიო კომისიაში გაიყვანა კულაკები.

ივაქოვი მიხეილ — ყოფ. ვაჭარი.

„ქ“.

სულთათანა განისვენე
სააკოვო ალექ,
აწ კახეთის ოლქომინგანში
ველარ დაიშმაკოფ
გვერდს გიმშვენებს, „გაჩისტული“,
ლუკა — „ბივში“ მღვდელი,
ივაქოვი, — ვაჭარი და
შაქრო—მათი მცველი.
გულში ალბად იგინებით,
ნატრობთ მეფის „პრისტავს“,
ნიკოლოზის დრო რომ იყოს, —
აბა ვინ „გაგჩისტავს?“.
ჩვენს დროში კი, ასე ვიცით:
მოგაბამენ ქეჩოს,
და მიტყვიან: „ჩამობრძანდით
„სეტუ მოლზე მესტ“.

## გასაწმენდი გვამი, შეუყვაროდა ქრთამი

რიონის სადგურის უფროსი ჩხეიძე მექრთამეობას ეწევა.

ბაღდათის კოოპერატივის ნოქარმა ჭელაშვილმა ვერ შესძლო მარილის გამოხსნა, სანამ სადგურის უფროსს არ მისცა ერთი ტომარა მარილი.

„კრომ. ცხ.“




სადგურის უფროსს ჩხეიძეს ალბად ასე ესმის რონოდების ბორბლების სიმღერა:

„ტარა—რიტამ,
ტირა—რატამ,
არ მომიტან, —
არ ვაგატან,
ტირო—ტარამ,
რიტა—ტამ!
მომი-ტან,—
გაგა-ტან!

პოლიტსამართველოს სატრანსპორტო განყოფილებამ კი ზემოაღნიშნული მოხელე ასეთი აკომპანიმენტით უნდა დაამშვენოს:

— ტარამ—ტირამ
ტარამ—ტარს,
შენი ლეში მეტად ყარს,
ჩემთან წამო,
ვერიყო ნანას,
გაგიკეთებ ნელ-თბილ ვანას.
შენი ლეში მეტად ყარს, —
სადგურს ეშვე,
ტირამ — ტარს.

## ორნი არიან, ტოლნი არიან

— ცენაცვალე იმ ახრანკას, რომ დაყარა ძირს ინჟენერები (იგულისხმება ფერაძე და ჯაფარიძე). ნიკოლოზი სულელი კი არ იყო, რომ მაგარი დისციპლინა ჰქონდა პოსტზე. — ასე მსჯელობენ რკ. გზ. მცველთა რაზმის თანამშრომლები ა. ჩხეიძე და ბაგრ. მანჯავიძე, რომლებიც გამოულანძღველობით და ლომი-ეროთობით არიან ცნობილნი.

„მ“.



შენი სახრჩობელები,
და მათრახი შენია.
რომ არ არის ნიკოლოზ,
მიტომ მოგვიწყენია.
„დისციპლინის საქმეში“
იყავი დაჩიშილი,
მიტომ შენზე ვლოცულობთ
„ნოე“-ში ვალეშილი.

## კურთხეულ არს სკოლა

ტოლანთ სოფლის სკოლას (ერწოს თემი, ტფ. ოლქი) განაგებს ყოფილი მღვდელი წიკლაური.

სოფ. ფუღილეეში ოთხწლედის გამგეთ არის ყოფილი მღვდელი ქიტიაური.

ზემო ერწოს სოფლის სკოლის მდივანია ყოფ. მღვდელი აკაკი სუხიაშვილი.

„მ“.



განათლების განყოფილება ალბათ, ასე მსჯელობს:

რატომ უნდა ვანიდევნოთ
სულიერი მამა?
ისიც ადამიანია;
მასაც უნდა ჭამა.
სულ ერთია ნახუცარი
ხუცესი, თუ მოლა,
„კურთხეულ არს, კურთხეულ არს“
მათგან მორთმის სკოლა.

# ალლო, ალლო, ვლაპარაკობ გორიდან

— ვაშენებთ ძმაო, მიწის ძვრის შემდეგ აქ ბევრი სახლი ავაგეთ. გორში ყველაფერი რიგზეა! — ასეთი საუბარით მიმაცილა გორელ ამხანაგმა გორის სამფინგანში.

— ევა, უკანასკნელად გამრთხილებ ძაღლი დაწესებულებაში ნუ მოგყავს, თორემ აღარ დავტოვებთ სამსახურში და შენ კი მოგხსნით. — ედავებოდა უფროსი შიკრიკ ევას, რომელიც თურმე უძაღლოთ სამსახურში არ დადის.

ევა... ადამ... ამ სიტყვებზე მომაგონდა სამღვთოსჯული. ეკლესია. ვერ გამოვერკვეულიყავ — სად ვიყავი, თვალებზე ხელი მოვისვი, მაინც ვერ გამოვერკვიე, მერე შუბლზე მუშტი მაგრად გავირტყი, ტვინი შევანძრიე და, სანამ წარწერა არ ამოვიკითხე: „გორის სამფინგანი“, — ვერ გავბედე წინ ნაბიჯის გადადგმა. ფრთხილად შევაღე კარი. დიახ, იმას ვამბობდი, ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ გოგო არ გაყვება... კი გაყვება. რატომ არ უნდა გაყვეს სამსახური კარგი აქვს და ბიჭად ბიჭი კარგია... ასეთი საუბარით იქცევენ თავს კანცელარიაში. ჩემი შიგ შესვლა და ჩოთქების აჩხარუნება ერთი იყო, ისე გაკრეს - გამოკრეს ხელი, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო.

— აქით ძაღლო! — ეს კი დაიძახა ვიღაცამ და ის იყო ევას თეთრბეწვებიანი ძაღლი მეცა შარვალზე, შარვლის მარცხენა ტოტი მარძაყამდე ამაგლიჯა და მომჭამა ჭირი, სადღაც ოთახში გაძვრა.

— მადლობა გაჩვენს, რომ კიდევ იოლად გადარჩი! — მომესამძიმრა ქვეგანყოფილების გამგემ.

— რა ამბავია? — გავცხარდი და თან პალტოს კალთას შიშველ ხორცზე ვიფარებდი.

— ეჰ, ძაღლი კიდევ არაფერია, აი აიხედე მაღლა, დაწესებულებას სახურავი არ აქვს, კიდევ კარგი, რომ გორში წვიმა ამ ბოლო დროს იშვიათად მოდის. სახურავის ნაგლეჯი კი სცვივა ზევიდან, მაგრამ თავი გვაქვს თორემ...

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, რომ ისევ გამოჩნდა ძაღლი. კიდევ კარგი რომ კანცელარიაში კალოსავით იდგა შემოსული ქაღალდები, ვეცვითე თავი შიგ, დავიმალე და გადავრჩი შარვლის მეორე ტოტის დაკარგვისაგან.

— მიწათმოქმედების განყოფილება მიჩვენე თუ ძმა ხარ — ვთხოვე ამხანაგს.

— არ გირჩევთ!

— რატომ?

— ახლა ისედაც ცუდ გუნებაზე ხართ და მიწათმოქმედების განყოფილებაში რომ შეხვიდეთ, უფრო წაგიხდებათ ხასიათი.

— რაშია საქმე?

— არაფერი, ისე აგერ ოთხი თვე იქნება, ერთი სხდომა არ მოუწვევიათ. გლეხების განცხადებები კი უპატრონოთ ყრია.

გულის სიგანიერე მაქვს და ნერვიულობას ძალზე ვერიდები, ამიტომ გვერდი ავუარე მას.

— ჩვენს ღვინის საწყობში ჩამობრძანდით. ერთი ისეთი ღვინო გადაგაკვრით, რომ სულ გაგავიწყო დარდები! — შემომხვდა გზაში ვიღაც.

— თქვენ ვინ ხართ?

— მიწად-მოქმედების საწყობის მეღვინე ვარ გოგიჩაიშვილი.

— გოგიჩაიშვილი?

— დიახ არ გაგიგონიათ ვაჭარი გოგიჩაიშვილი. სწორედ მე ის ვარ. ეხლა ვაჭრობაში რა ხეირია. მოვახერხე მიწად - მოქმედების ღვინის საწყობში შეძრომა და თავს არხეინად ვგრძნობ. თუ ძმა ხარ არ გამამხილო! — ყურში ჩუმად მითხრა მან.

მზიანი დღე იყო. გორის ძველი ციხის ნანგრევების დასათვალიერებლად ავედით... გაგონილი მქონდა, რომ ციხეზე ლამაზი მოედანი არის. ავედით მწვერვალზე, მაგრამ რას ნახავ, წყვილ - წყვილად წაწოლილან ქალ - ვაჟი და ამ სიცხეში ჰუჰუნებიან. თვალებზე ხელი ავიფარე. არ მინდოდა მათთვის ხელი შემეშალა, უცებ თვალი დამიცდა, დავგორდი სიმაღლიდან და ძლივსღა მოვიდგი ფეხი მთავარ ქუჩაზე.

— აი ჩვენი პროფკავშირების კედლის გაზეთი — ამაყად მითხრა იქაურმა და მიმითითა ჩარჩოზე, რომელშიაც კედლის გაზეთები „სელიოტკასავით“ იყო ჩამწკრივებული.

— კი მარა სათაური, ან გამოცემის დრო რა უყავით?

— კედლის გაზეთის სათაური ჯერ არ გამოგვიგონია, დრო კი იმიტომ არ დავაწერეთ, რომ ამის მეტის გამოცემის იმედი მაინც არ გვაქვს და რა საჭიროა თარიღის დასმა.

— სარედაქციო კოლეგია როგორ მუშაობს?

— ჰმ, სარედაქციო კოლეგია არც კი ვიცი საჭმელია თუ სასმელი. — დარცხვენით მითხრა მოსაუბრემ.

ბორჯომში ვართ. ციხის ჯვარის რძის ფერმა მინდოდა მენახა. ვიკითხე.

— ჰმ, ალბად ღვინის დასალევად მიდიხ ფერმაში, ლოთია ვიღაცაა— გაიცინა ერთმა.

— ის ხომ რძის ფერმაა, ღვინო რა შუაშია?

— ეს ფერმის გამგეს კითხეთ? მუშებს ხელფასის მაგივრად ჩამოურიგეს ღვინის და ხელფასში აძლევსო — გვისაყვედურა იქაურმა მუშამ.

— ბორჯომის ვაშლის საწყობი გაივსო ჩინოვნიკებით. ვინ გინდათ შიგ რომ არ ნახოთ, ყოფილი ვექილი ს. მაისურაძე, ელიოზიშვილი და სხვ. ეს ხალხი განთქმულია ძველად გლეხების ძარცვაში და ახლა კი ვაშლებში შეაფარეს თავი — მითხრა საწყობის მუშამ და ვაშლი მიფეშქაშა.

ბაკურიანი, მართალია, ზამთარში არაა მაინცდამაინც საგარაკო, მაგრამ ბაკურიანში მაინც შევედი. შევიარე საკრედიტო ამხანაგობაში.

— ამხანაგო, გაგიგონიათ მოიჯარადრე ვარსკვანიშვილი? ტფილისელი ხართ, ალბად გეცოდინებათ; მან საკრედიტო ამხანაგობის წყალობით 80 საჟენი შეშა მიიკუთვნა და შიასაშლა. არ გამცე თუ ძმა ხარ, თორემ ბაკურიანში თვითკრიტიკას ახშობენ და, რომ გამიგონ დავიღუპები.

— მაგალითად?

— აი ნადირაშვილი საჭყვის ყოფილი გამგე ის მართლა ნადირია, მის [illegible]ში თუ კარგი ბიჭი იყავ და შეგებედა ან მის წინაალმდეგ სიტყვა გეთქვა, ჯობდა შენი ხელით მოგეგდო გუდა-ნაბადი და მოგენახა ადგილი სხვაგანაზე — თითქოს იხუმრა ტყის მცველმა. დაღამდა კიდეც. დავიძინე ბაკურიანში, დავიძინე მაგრამ რომ მეორე დილით ადრიანად წაღვერში გადავქუსლიყავი.

ივანიკა.

# მოხვდა!

(ჭიათურის შავი ქვის ტრესტის, მღვიმევის სექცია)

ტარტაროზო, სალამს გიძღვნი,
ვით მეგობარს და ამხანაგს,
მ[illegible] მინდა, რომ შეგიხვო
№ 28 ქარხანას.
[illegible] თმეტ[illegible] მოხვდა რა კი,
მოუმზა[illegible] ხილი კალამს, —
მსურს გაგაცნო იმა ქარხნის
„მეხანიკი“ მე „ნიკალა“.
გაწყრომას და „გინებაში“,
მას [illegible] არაა სწორი.
ქარხნის მუშებს თავს აბეზრებს,
„ყომბიონი [illegible]“.
თუ რომ კარგად აქეთე
ან პაპიროსი მას „ფეშქაში“
შენი საქმე კარგად წავა,
[illegible] თავის მაშინ.
და თუ არა დაატყდებათ
ყოველთა თავზე მისი „რისხვა“,
იძულობით ან შინ წახვალთ,
ან და თვითონ ის გაგირეცხავს.

აფშა
მექა
ჩვენი ნიკო

რომ მუშებში „ტკბილად“ იყო,
მათ წინ ქედი „მოიდრიკო“.

გ—ო.

# ცნობათა მიღება

**შევარდენს** (ერწო, ტფ. ოლქი). — თქვენი წერილიც ამღერდა თქვენს ჰანგზე — „თავო ჩემო"-ზე, როცა თავი უფსკრულო გოდრისაკენ ვაქნევინეთ. ჩვენის აზრით მთავარი მიზეზი იმისა, რომ:

ქალებს ჩემთვის არც ერთს არა სცალია,
მათი ცქერით გამითეთრდა თვალია, — არის

ასეთი ცუდი ლექსის წერა. პროზად სინჯეთ თქვენი სიყვარული, ეგებ უფრო გამართლდეს.

**ქოჩორას** (ოზურგეთი). — თქვენც ისეთივე მდგომარეობაში ყოფილხართ, როგორც თქვენს ზემოდ არის „შევარდენი".

როცა მიიღო ჩემი წერილი,
მაშინ დავაბი ეზოში ხარი.
სჩანს ვუყვარებივარ, რომ სიხარულით
მას აუვარდა სიცილ-ხარხარი.

არა! იმიტომ აუვარდა სიცილ-ხარხარი, რომ თქვენს ლექსსა და თქვენ დაგცინოდა.

გარდა ამისა, თქვენს ლექსში ასეთი სტრიქონებიც არის:

ვიყიდი ურემს... ვიყიდი ხარებს
მაშინ თებრონე, ხომ გაიხარებს?!

აქედან სჩანს, რომ თქვენ ხარები ჯერ კიდევ არ გყოლიათ. ზევით კი ამბობთ: „მაშინ დავაბი ეზოში ხარი".. რითმისათვის („ხარხარი") ვინ მოგცემს, ჩემო ძმაო, ხარს? ძალიან ცუდი წარმოდგენის ყოფილხართ ქალებზე, თუ გგონიათ, რომ ისინი ლექსით მოიხიბლებიან და შეიყვარებენ „პოეტს".

**პომპოლიკს** (ს. ჭაჭიეთი, გურია) — „პომპოლიკებს" ჩვენ არაფერს არ ვუბეჭდავთ, (ეს მიიღეთ ამიერიდან მხედველობაში), მაგრამ სერაპიონ თავბერიძის პატივსაცემლად ვათავსებთ ამონაწერს თქვენი წერილიდან:

როცა დათვრა სერაპიონ,
დაუშინა ყველას მუშტი.
„მუშკოოპის გამგე ვარო", —
გაიბერა როგორც ბუშტი.

ბუშტმა ადვილად იცის გახეთქვა. უფრთხილდეს სერაპიონი, თორემ მისი რევოლვერიც ვეღარ უშველის. ნათომის მუშკოოპშიაც გაიგებენ მის „საგმირო საქმეებს".

ჩვენ გვგონია, რომ ჯერ-ჯერობით ეს კმარა, მით უმეტეს, რომ:

დაედევნა მეზობელს
სერაპიონ გმირი...
ფეხი წაჰკრა ჯირკსა,
ტალახში ჰკრა ცხვირი.

ტალახში ცხვირის კვრა; სერაპიონისათვის არაფერია, თუ ფეხები არ ჰკრა მდუღარეში.

**ძირულელ თალას** (ძირულა). — საკვირველი პიროვნება ყოფილა ქ. ზუმბულიძე, რომელმაც:

ალმასკომში წაადგინა,
დოკუმენტად თეთრეული,
თითქოს იყოს გრიშას მიერ
ტანზე ძალით დახეული.

ადგილობრივი სათანადო ორგანოები უყურადღებოდ არ დასტოვებენ ამ ამბავს; სხვებზე უფრო ეს განათლების განყოფილების საქმეა.

**გოგოლესუნელს** (ჩოხატაური, ამაღლება). — თუ „ივანე წიქორიძემ სასოფლო გზა ჩაიღობა და თავის ეზოდ აქცია", სად არის ადგილობრივი ხელისუფლება?

**მამზერალს** (სამტრედია). — კოლ. სადურგლოს გამგე რაედენზე გვწერთ, თითქოს იგი:

შეგირდებს ცუდად ეპყრობა,
მას ღლეს ძველი დრო ჰგონია.
რომ გამოაგდეს დეპოდან,
აქ გამონახა ფონია.

მაგრამ იტყვიან: „ფონი გასავალს დალოცეო"... არ დაავიწყდეს რაედენს ხალხის ეს ბრძნული თქმულება.

**რაზუს** (სახერე). — აი ეხლახან დავასრულეთ თქვენი „ეპისტოლეს" კითხვა.

წერილის ბოლოში ასე იხდით ბოდიშს:

„მართალია, დაწერილია ქაღალდის ორივე მხარეს, მაგრამ, არა უშავს, რეჟიმ-ეკონომიას ვ. ცავ"-ო.

ჩვენის აზრით, უფრო უკეთესად დაიცავდით მომჭირნეობას, რომ არც ცალგვერდზე დაგეწერათ ასეთი ამბავი.

**მკალს**. — თქვენი სურვილის დაკმაყოფილება, ადვილი საქმეა:

„მე არ ვთხოულობ დამიბეჭდოთ წერილი.
არა, არც ისეთი უტიფარი ვარ, რომ
ეს არ მესმოდეს. მხოლოდ გთხოვთ
„ცნობათა მიღება"-ში მაინც აღმინიშნოთ.

მაგრამ, ვაი თუ აწ მეტი მოითხოვოთ ჩვენგან!

**ბასრს** (ზუგდიდი). — როგორც სჩანს არც თქვენ ხართ ბასრი, და არც თქვენი კალამი. წერილი უმარილოა, ხოლო ნაწერი — დასვრილი და გაუგებარი. მაგრამ ამისი ამოკითხვა მაინც შევსძელით:

„სახელწოდება „ზუგდიდი" წარმოსდგა სიტყვებისაგან: „ზურგი დიდი", ალბად იმიტომ, რომ აქაურებს ყველას დიდი ზურგი გვაქვს"-ო.

ახლოს რომ იყოთ, თქვენს მაგ „დიდ ზურგზე" ტარტაროზი ასეთი წერილის დაწერისათვის რამდენჯერმე მაინც გითავაზებდათ თავის ჩანგალს. ბედი თქვენი, რომ შორსა ხართ.

**[illegible]თიხს** (სენაკი). — აი, პატიოსანი კაცი!:

„თუ არ გამოგადგეთ ეს ჩემი დრამა, აიღეთ და გადაუძახეთ გოდორ......

შე კაი კაცო, არც ისეთი ზარმაცი ვართ რომ თქვენი დრამის გოდორში გადაგდება დაგვეზაროს, და, ამიტომ იგი ჟურნალში მოვათავსოთ. თქვენ თუ მისი შეთხზვა არ დაგეზარათ და „სამი ღამე გაათენეთ", სამაგიეროთ ჩვენ დავკარგეთ მასზე დრო — ბოლომდე წავიკითხეთ.

**მოწადინეგულს** (ოზურგეთი). — როცა ჩვენ ამ სტრიქონებს ვსწერთ თქვენდა საპასუხოთ, წინ გვიდევს თქვენი კორესპონდენცია:

„კვალდაკვალ მივსდევ ცხოვრებას. ორ-სამ გაზეთს ვკითხულობ დღეში... ამიტომ ცხოვრება და საერთაშორისო მდგომარეობა კარგად მესმის".

ფიცს გვწამს, მაგრამ ბოლო ძალიან გვაკვირვებს:

ჩემბერლენი მინისტრია,
პუანკარე — პრემიერი,
შეეშალათ ჩვენი ბრაზით
იმათ სახე და იერი.

გვიან გაგიღვიძებიათ. ეხლა ისინი აღარ არიან ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების სათავეში.

**როგოს**: — ჩვენ ეჭვი შეგვედის, რომ ეს „პოემა" თქვენი დაწერილია, (აბა, სხვა ვინ დასწერდა ასეთ ცუდს):

მტრებს ყველას დედას ვუტირებ,
და კევივითა ყლაპს ვუზამ.

(ცხელი ღომი ხომ არ გგონიათ, რომ ყლაპი უქნათ). ჩვენმა სარედაქციო გოდორმაც ყლაპი უყო თქვენს შემოქმედებას.

**მაკოს**: — გულახდილობა კარგია. გვწერთ:

ამ წერილის უვარგისობას თქვენ კი არა, მეც ვგრძნობ, მაგრამ მაინც ვაგზავნი-ო.

რატომ იზარალეთ ორშაურიანი მარკა?

# იმპერიალისტურ სახელმწიფოების დიპლომატიური



ენა

რედაქ. სარედაქციო კოლეგია. გაზ. „მუშა"-ს გამოცემა, მთავლ. № 1810.

კვირა, 22 დეკემბერი 1929 წ. № 52 (236) ფასი 10 კაპ

# ტარტაროზი




როგორ გაიგო ზოგიერთმა ბიუროკრატმა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა.

# ვისი ბრალია

**ᲓᲚᲔᲛᲓᲘᲡ** ფართოდ ცნობილია ყველა მღვდლების სიმსუნაგე და გაუმაძღრობა, თუ არას ვიტყვით სხვა მრავალ მათ უმსგავსოებათა შესახებ.

მრავალი მკვლევარი ამ მოვლენას თავისებურათ ხსნიდა, მარა ყველა ეს ახსნა-განმარტებანი არადამაკმაყოფილებელი იყვენ.

დიდათ დამაინტერესა რა ამ გარემოებამ, თვით შეუდექი გულმოდგინეთ საკითხის შესწავლას და მიზეზების გამორკვევას.

როგორც მარქსისტი და მატერიალისტი, პირველათ ყოვლისა უნდა გავცნობოდი თვით მღვდლების წარმოშობის ისტორიას.

ამ მიზნით შეუდექი „სახარების“ შესწავლას, მაგრამ გამოირკვა, რომ მღვდლები არსებობდენ, თურმე, სახარების შეთხზვამდის.

შეუდექი ისევ უფრო ძველი წიგნის, — „დაბადება“ ანუ **„ბიბლიას“** შესწავლას, რომელიც ქვეყნის გაჩენის ამბავსაც კი მოგვითხრობს, არამც თუ მღვდლების გაჩენის ისტორიას.

აქ ჩქარა აღმოვაჩინე იმის მიზეზი, თუ რატომ დასჩემდა მღვდლებს ეს უმსგავსოება.

გამოირკვა, რომ ამაში მთელი ბრალი ედება თვით ღმერთს!

რომ ეს ჩემი მოგონილი და შეთხზული არ გეგონოთ, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან სიტყვა-სიტყვით ამონაწერს თვით „დაბადებიდან“.

**...„ეტყოდა უფალი მოსეს და რქუა: სულმან უკეთუ რამე დაავიწყდა დავიწყება: და სცოდა არა ნებსით სიწმინდეთა შინა უფლისათა, შეწიროს ცოდვისა მისთვის უფლისა: ვერძი უბიწო ცხვართაგან, სასყიდლითა ვერცხლისათა სასწორთაგან სასწორითა წმინდითა, რომელსა თვის იგი ბრალი ქმნა და ცოდვა სიწმინდეთა შინა მისთა ზღოს ესე: მეხუთედი შეხძინოს მას, ზედა მისცეს იგი მღვდელსა მას, და მღვდელმან ლხინება ყოს მისთვის, ვერძითა მით ბრალისათა და მიეტეოს მას“.**

(„დაბადება“ წიგნი გ. მოსესი, თავი დ, გვერდი 202).

აქ კომენტარიები ზედმეტია, მარა, ვინაიდან „დაბადების“ ძველი წმინდა ქართული ენა ეხლანდელ მკითხველისათვის გაუგებარია, ამიტომ იძულებული ვარ გაუკეთო მას კომენტარიები გასაგები ენით:

გამოდის, რომ თუ ვინმემ გულმავიწყობით რამე შესცოდა ღმერთს, ამ შეცოდების გამოსასყიდლათ მან უნდა მოჰგვაროს მღვდელს უბიწო კარგი ვერძი, რომელიც იმდენი უნდა ღირდეს, რა ღირებულებისაც ეს შეცოდება არის. ამ ვერძის მეხუთედი უნდა დარჩეს შემცოდეს და ოთხი ნაწილით კი მღვდელმა მოილხინოს!..

**მოდი** და ნუ გახდები ამ პირობებში მსუნაგი და გაუმაძღარი? თვით ღმერთი ავალებს მღვდელს, რომ მან ლხენით მიირთვას ვერძის ოთხი ნაწილი!..

კიდევ მეტი!

იქვე შემდეგ ასე სწერია:

**„კაცმა უკეთუ ცოდოს, და ყოს ერთი რამე მცნებათაგანი უფლისათა, რომელ არა ჯერარს ყოფად, და ვერ ცნა, და ბრალ იქმნა, და მიიღო ცოდვა იგი, მოჰგვაროს მღდელსა ვერძი უბიწო, ცხოვართაგანი, სყიდული ვერცხლითა: ბრალისა მისთვის, და ლხინება ყოს მღვდელმან, უმეცრებისა მისთვის რომელ ვერ ცნა, და მან არა იცოდა და მიეტეოს მათ რამე თუ სცოდა ცოდვა წინაშე ღუთისა“.**

გასაგები ენით, რომ ამას კომენტარია უყოთ, — გამოდის შემდეგი:

თუ ვინმემ ისეთი ცოდვა ჩაიდინა, რომლის შესახებ მან არც კი იცოდა, — ეს ცოდვა იყო თუ არა, მან იყიდოს უბიწო ვერძი და მიუყვანოს მღვდელს, რომელიც მოილხენს ამ ვერძის მწვადებით და მომგვრელს მეხუთედსაც კი არ დაუბრუნებს!

რომ კაცმა თქვას, ეს უკანასკნელი შეცოდება წინანდელზე უფრო ნაკლებია და რატომ მეტი სასჯელი ეკუთვნის შემცოდველს, — ეს სრულებით გაურკვეველია, რაც უნდა კომენტარია არ გაუკეთო!

ცხადია მხოლოთ ერთი რამ: თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიულ კანონმდებლობის ერთი მუხლი, რომელიც ამბობს, რომ „არავის არა აქვს უფლება თავი იმართლოს კანონის არ ცოდნით“ — მთლიანათ ამოღებულია „დაბადებიდან“.

ცოტა კიდევ ქვემოთ ვკითხულობთ:

**„ცეცხლი იგი საკურთხევლისა ეგზებოდეს მას ზედა და არა დაშრტეს და შეიმოსოს მღუდელმან მან სამოსელი სელისა, და ნიფხავი სელისა, შეიმოსოს სხეულთა მისთა, და აღიღოს შეწირული იგი რომელ განლია ცეცხლმან ყოვლად დამწვარი იგი, საკურთხევლისაგან მისგან, და დადვას იგი მახლობელად საკურთხევლისა მას, და განიძარცოს სამოსელი მისი, და შეიმოსოს სხვა“.**

ხედავთ! როგორ ასწავლის ღმერთი მღვდელს ვერძის შეწვას, რათა უმი ხორცით მუცელი არ ასტკივდეს მას!

არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ ვინ უნდა მიიწვიოს მღვდელმა შემწვარი ვერძის შესჭმაზე, — შემწირველიც კი დავიწყებულია.

ცნობილია სახარებისაგან ქრისტეს მიერ ხუთი პურით და ორი თევზით თორმეტი ათასი კაცის გაძღომა,— სანამდვილეში კი თითონ გამოძღა და სხვებიც მაძღარი ეგონა!

ტყუილი კი არ არის ხალხური თქმულება: „მაძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონიაო“.

მზარეულების თეთრი ტილოს სპეც-ტანისამოსიც მაშინ ყოფილა ღმერთისგან მოგონილი და ჩვენი დროის პროფმუშაკებს გემო-კვების კავშირიდან თავიანთი მონაპოვარი ჰგონიათ!

ყოველივე ამის შემდეგ ჩემთვის გარკვეულათ ცხადი შეიქნა, რომ მღვდლების სიმსუნაგეში და გაუმაძღრობაში თვით ღმერთს მიუძღვის ბრალი.

ცხადია აგრეთვე ისიც, რომ მღვდლების, ტერტერების, პატრების, ქსენძების, მოლების და ხახამების სხვა— მრავალ უმსგავსო საქციელშიდაც თვით ღმერთია დამნაშავე!..

მაშ ძირს იგი!..

**ს. თ—ია.**



— რა გაჩქარებს! გაივლის წმენდა და მი გიღებ.

— (თავისთვის): მეც მაგისთვის ვჩქარობ — წმენდის შემდეგ შენ აქ ვინ გაგაჩერებს!

# ქრისტე პროვოკატორი

სალვთო წერილი თვით ამბობს და მე მსჯით რაღაში?
ქრისტე რომ იშვა, ჩააწვინეს თურმე ბაგაში!
კიდევ კარგი, რომ არ მოხდა ეს ქალაქ პრაღაში,
თორემ გასჭყლეტდა ფეხი, ფაშისტს რომ აქვს წაღაში.
პროვოკაცია, მაგავსი, ქრისტემ ბევრი მოაწყო:
ხუთი ათასი ფუთი პურით რომ გამოაძღო.
ან ფეხით წყალზე რომ იარა დაუსველებლად,
ბეთანიიდან ვირს ზურგს აჯდა დაუსვენებლად,
იერუსალიმში რომ მოაწყო ჩუმი სეირობა...
ეჰ, ერთი სიტყვით, ვით მოვთვალო გაიძვერობა,
რაც ქვეყნად ქრისტემ ჩაიდინა სხვადასხვა ადგილს?
ქალაქ კანაში, საქორწილო ვახშამს თუ სადილს,
ის რომ დაესწრო და წყალი რომ ღვინოთ აქცია,
განა, ეს ქცევა ცოტა იყო პროვოკაცია?
(რამდენ მიკიტანს მისცა ამით მან მაგალითი,
შემდეგ ღვინოში რომ დასხემდათ წყალის „ნალიტი"?)
გადასახადიც, შერჩა ამ გზით, პატრონს აქციზის!
ქრისტეს ეს ქცევა სინანულად, ახლაც აქ მიზის
და გული მტკივა, გული მიწუხს, ჭკუით მის ხრიკზე!
კაცი, რომელიც არ იჯენდა ბუზს კუდის რიკზე,
ასეთ საქმეებს სჩადიოდა დღის სინათლეზე!
დღეს დაჭერილი მყავს ყველაში ვით ქურდი მთხლეზე!
მაგრამ ვბრუნდები დაბადების მისის საკითხზე
და ამ მოვლენას შავ ძაფივით ვიხვევ მე თითზე.
არა, რომ იშვა, რაღა ჯინაზე, ჩაწვა ბაგაში?
ნუ თუ მარიამს ან იოსებს ჰქონდათ ბაგაჲი,
ხელს რომ უშლიდა ნაშობ ნორჩის თან ტარებაში?
მსგავსი რამე რომ არ სწერია სახარებაში!..
ან რომც ეწეროს რაა მერე? მე შემიგნია,
რომ სახარება ეს უტვინო ზღაპრის წიგნია!
მხოლოდ ყოველი ესე იყო პროვოკაცია,
დემაგოგიათ რაც რომ ქრისტემ შემდეგ აქცია!..
ვითომდა იყო ას პროცენტით ის პროლეტარი,
ხოლო მოძღვრება მისი — ჩაგრულთ ხსნა და ნექტარი!
ნამდვილად, ვიცით, ვინც მოიგო ამ მოძღვრებაში
და შეიყვანა თავი თავისი ტკბილ ცხოვრებაში,
ვინც გაისივა ჰამით ჩუმვე და საჯიჭოთ.

გამოიგონა რა ცხონება თუ საიქიო!
ეს იყვნენ: მეფე, ბატონები, მღვდლები, ხუცები,
ავაზაკები თავით ციხე-განატკუცები;
მდიდრების ხროვა, ყოველგვარი ჰარამზადები..
აი, ვინ დარჩენ ამ მოძღვრებით პატივ-ნადები!
ღარიბებს, მწირებს, დაჩაგრულებს, მუშებს თუ გლეხებს,
ვისაც ცხონებით, აპურებდენ, აწმენდდენ ფეხებს,
ხვდათ: მოთმინება, სინანული, და ღვთის ვედრება...
პროვოკაცია ამას კიდევ სხვა შეედრება?
მოტყუებული დარჩა ხალხი მშრომელი მისგან!..
თვითონ ქრისტე კი... ცად „ამაღლდა", მოსული ცისგან!
არც კიბე აქვს თუ სხვა საბჭენი რამ ასასვლელი,
მზე თუ ჰპწკენს ლოყას, თუ არა და — წვიმა სდის,
სველი.
არც თოვლი არის დიდათ მშრალი, გამოსადეგი...
აბა, მეხი ხომ... მდიდრებს — თავში ცით მონაჭექის
ღარიბებისთვის რა სარგაა მისი ქუხილი,
როს ჰკლავს: სიცივე, შიმშილი, თუ სხვა რამ წუხილი?.
რათ უნდა ქრისტე, მისი მცნება, მისი ღმერთობა
თუ ის ზის ცაში და იქიდან, ისე ერთობა,
როცა აქ ჩაგრულს კისრად აძევს მონის უღელი,
ზედ—მეფის ტახტი, მდიდრის ჯიბე, ხუცის მუცელი...
იჩოქე მათ ქვეშ და იკაკვე; გზაში, ყანაში...
არა, ქრისტეს სჯობს ერთი ვინტიც კი მანქანაში,
რომელიც ამ ტვირთს უმსუბუქებს მშრომელ ხალხს
დიდათ,
არის მის სვლაში თუ შრომაში მშველელად, ხიდათ!
(მეფეს ტახტიდან გადუძახა, მდიდარს — ქარხნიდან,
ხუცესს საკურთხი მან მოუსპო აბა, რა ხნიდან!..)
უნათებს ღამეს, გზას უმოკლებს, ტვირთს უმსუბუქებს...
დღეს ის ცრუ-ხატებს ეკლესიებს კი აღარ უგებს,
არამედ აგებს და აშენებს დიად კომუნიზმს!
თვის მაგიერად, შეაბა მან გაბძლე უღელში,
მეცნიერება მოიმარჯვა რა მტკიცედ ხელში!
ხოლო ღვთის მიმართ დარჩა იგი ეგზომ უხეში,
რომ ჰგმოს: თვით ქრისტეც, მისი მცნებაც, მისი „ნუ-
გეში"!..

ნარო.

## „მიზეზი"



შიკრიკი: — ყოველდღე ვმუშაობ... როდის არის ჩემი დასვენების დღე?
ბამბე: — რა ვქნა, ჩემო კარგო, ხახელმწიფო განუწყვეტელ ხამუშათ კვირაზე გადავიდა!

## ახალი ტიპი



— ტინა, ხუთი წუთით შენი პატარა გივიკო მათხოვე, მუშკოოპში მივდივარ და ურიგოდ შემიშვებენ!
ასეც ხდება.

## მოიგო

ღარიბად იყო ნიკო, ილებდა რაღაც გროშებს
სამოსი დაფლეთილდა, ფეხზე იცვამდა ქოშებს.
კაცი გამრჯელი, მარჯვე, ქველი, კეთილი გულით.
იკვებებოდა პრასით და გამომხმარი პურით.

ერთ საღამოზე, როცა მზე მთის წვერს მიეფარა,
სახლში დაბრუნდა ნიკო, სადაც აელო ფარა.
ამ დროს მეზობლის ქალი ტასო შევიდა მასთან
და მიაწოდა ნიკოს ობლიგაციის დასტა.

ერთი თვის შემდეგ ნიკო როს კითხულობდა გაზეთს,
მკითხველო, რაც აქ მოხდა თქვენც გისურვებდით ახეთს.
სახა—მოეგო ფული მის ბარათს ორას სამოცს.
ოხ, ალტაცების წუთო, ოხ, ნეტარების წამო.

არ უჯეროდა თვალებს თუ მას მოგება შეხვდა;
შემდეგ ჰერს სტყორცნა ქუდი, გახარებული შეხტა;
სალაროს მიაშურა, თვალზე შვების ცრემლს სწვმდა,
და ათასები მის წინ ბზესავით გადმოხცვინდა.

ქედანი.

## „მეორედ მოსვლა“

მართალია, დღეს ქრისტეს მეორედ მოსვლა კი არა, პირველი მოსვლაც თითქმის არავის სწამს, მაგრამ ასე არ იყო წინედ, როდესაც სარწმუნოება მაჯლაჯუნასავით აწვა მშრომელთა აზროვნებას.

სღვთო წიგნებში ბევრ ალაგას არის ლაპარაკი — ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ.

ქრისტე სიცოცხლეში გვპირდებოდა, რომ ის მეორედ მოვიდოდა ამ ქვეყნად.

მორწმუნეებს სწამდათ მისი დაპირება:

— სიტყვის კაცია, არ მოგატყუილებს“-ო. — და, მართლაც ელოდებოდენ.

ელოდებოდენ, მაგრამ ქრისტე არ ჩანდა.

ათასგვარი ჭორი დაიბადა მორწმუნეებში.

— დავიღუპეთ, თუ ხალხმა შეიგნო და რელიგია უარჰყო! — შიშმა მოიცვა ეკლესია და ბურჟუაზია.

და, აი, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში (ძველსა და უწინდელს არ ვეხებით) ამეტყველდენ „წინასწარმეტყველები“, რომლებიც ხალხს უნიშნავენ მეორედ მოსვლის ვადას.

ქ. ვიურტემბურგში ადგილობრივ მორწმუნეთა ერთი ჯგუფი დარწმუნებული იყო, რომ **ქრისტე მეორეჯერ მოვიდოდა 1886 წელში.**

ჰოლანდიაში ვიღაც **ჰენცეპეტერმა** სპეციალური გამოკვლევა გამოუშვა, რომ **მეორედ მოსვლა** მოხდებოდა **მასული საუკუნის ოციან წლებში.**

**ინგლისში იოსებ ვოლფმა** 1822 წელს გამოუშვა წიგნი, რომელშიაც წინასწარმეტყველობდა, რომ **„ქრისტე ამ დღეებში მოვა“-ო.** ამის გამო ინგლისში ქრისტეს შესახვედრი **„ხაზეიმო კომისიაც“** დაარსდა. ქრისტეს „შეაგვიანდა“ მოსვლა, და ბოლოში მოსახდელად ლენდერსმა გამოუშვა „ცხელად“ დაბეჭდილი წიგნი ასეთი სათაურით: **„1843 წელში ქრისტეს მოსვლის შესახებ“.**

ყველა ელოდებოდა ამ დროისთვის „ძვირფას სტუმარს“.

ეს დატა (1843 წელი) მორწმუნეთათვის საიმედოდ გახდა, რადგან **უილიამ მილერმა** მათემატიკური სისწორით გამოიანგარიშა ქრისტეს მეორედ მოსვლის ვადა. ის დაბეჯითებით ამბობდა, — რომ **„ქრისტე მეორედ მოვა 1843 წელში და იმეფებს 100 წელიწადს“-ო.**

დადგა და გავიდა 1843 წელი.

მაგრამ ქრისტე არც ამ დროს ესტუმრა ქვეყანას.

მილერს და მის თანამოაზროვნეებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ისევ შეირყა მორწმუნეთა ლაშქარი.

— თუ მოდის, ბარემ მოვიდეს, რას იგვიანებს; თუ არ მოდის-და, რას გვითვლის — მოვდივარო! ტყუილად გვაცდევინებს!?

— ქვეყანა იღუპებოდა მეგონა, ყველაფერი გავყიდე და შევსვამე! — გაისმოდა მორწმუნეებში უკმაყოფილო ლაპარაკი.

მორწმუნეთა დასამშვიდებლად, მილერმა აღიარა თავისი „შეცდომა“ და გამოაცხადა, რომ გამოანგარიშების დროს მას შეცდა — ერთი წლით ნაკლები აჩვენა.

— დაგვისახელე წელი და დღე! — მოითხოვეს მორწმუნეებმა.

— 1844 წელი 21 მარტი! — დაარწმუნა მილერმა მორწმუნეები.

მაგრამ ქრისტემ ეხლაც მოატყუილა ისინი — არ მოვიდა.

მილერმა მაინც არ გაიტეხა იხტიბარი და გამოაცხადა:

— მართალია, შემცდა, მაგრამ ქრისტე მაინც კარებზეა მომდგარიო, (ე. ი. ახლოს არის მეორედ მოსვლაო).

მილერის ერთერთი მიმდევარი (სნოუ) შეეცადა „გამოესწორებინა“ მასწავლებლის „შეცდომა“ და „აღმოაჩინა“, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა მოხდებოდა 1844 წ. 22 ოქტომბერს.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ქრისტემ ამ შემთხვევაშიაც მოატყუილა თავისი მორწმუნეები და ამ ქვეყნად მეორედ არ მოვიდა. (ანდა რა ჰქნას კაცმა? როგორ მოვიდეს, როცა არ არსებობს!),

ალბად, დღესაც არიან ისეთები, რომლებიც ქრისტეს მეორედ მოსვლას ელოდებიან.

**აბა ელოდენ.**

ი—ი.

## „ანტი-რელიგიური კამპანია“



— ვინ იტყვის ჩემზე, რომ —მო რწმუნე მღვდელიაო!? განა ეს რე-ლიგიის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის, რომ ჩვენი ეკლესიის მთელი ქონება გასაყიდათ მიმაქვს?!

## ყოფილთა გოდება

აღარ არის ჩვენთვის
შობა — ახალწელი,
ყველგან იერიშებს
ვეღარ გავუძელით,
აფსუს, ნიკოლოზო
ჩვენი გენერალი,
იქვე გამომჩისტეს
დამსვა თბილ ადგილზე,
გამგე მყავდა ძველი
მეგობარი კარგი,
დამსვა თბილ ადგილზე
დღეს ამიკრეს ბარგი.
მათ გაუწყრეთ ქრისტე
რაღაც ბრიგადები,
რომ გამოიგონეს
შიშისაგან კვდები.
გამწმენდ კომისიას
არ გადურჩა მღვდელიც,
ჩემთან მსახურობდა
მოუთრიეს წელი.
ერთად რომ ვიყავით
ხალხის გამომწველი,
ჩაგვაშხამეს შობა
და ახალი წელი.
თუმცა ანაფორა
მღვდელმა გაიხადა,
გადამალა ჯვარი,
ნდობა „გაინაღდა“.
დაიმოკლა თმები,
შეიკრიჭა წვერი.
მეც ფერი ვიცვალე
ტრესტში შემოვძვერი.
მაგრამ გამოგვჩხრიკეს
აგვიქნიეს ხელი,
დავრჩი მღვდელთან ერთად
გენერალი ძველი.
არ ვიყავ ხნიერი
ცოლიც მყავდა კოხტა,
ეხლა გამითხოვდა
სხვასთან აროხროხდა.
ფუფოდია ნოქარს,
ერკოპისას გაყვა;
შეგვრჩა პირჯვრის წერა
და მუდამ წყლის ნაყვა.
აფსუს, ნიკოლოზო,
მეფარველო და მამა,
შენთან გაგვიფრინდა
მუქთათ პურის ჭამა.

მანი.

## ღვთისმშობელი ბუასილის წინააღმდეგ

„რეკლამა ვაჭრობის მამოძრავებელია“, — იტყვიან ხოლმე. ბურჟუაზიულ ქვეყნებში ვაჭრობის წარმატება რეკლამაზეა დამოკიდებული.

რეკლამისათვის ყველაფერს გამოიყენებს ბურჟუაზია.

წარმოიდგინეთ, სარწმუნოებაც კი გამოიყენა კაპიტალმა რეკლამის საქმეში.

მაგ. ერთმა მადრიდელმა (ესპანეთი) მეკონდიტერემ გამოუშვა მესაფერი სურათით კომფეტები: „ქრისტეს გული“ და ღვთისმშობლის სხვადასხვა ტკბილეული.

ერთმა კომერსანტმა — მეაფთიაქემ გამოიგონა სპეციალური მაზი, რომელსაც ასეთ რეკლამას უკეთებს: „ღვთისმშობელი — ბუასილის წინააღმდეგ“. (ალბად ასეთი რეკლამა იმიტომ მისცა, რომ მორწმუნეებს ეს ავადმყოფობა ემართებათ ეკლესიაში ჯდომისაგან წირვა - ლოცვის დროს).

სამღვდელოება ალაპარაკდა ამ ამბის წინააღმდეგ, მაგრამ, მხოლოდ იმიტომ, რომ „ხმარების შემდეგ სახვევი ქაღალდები, რომლებზედაც დახატულია სარეკლამოთ წმინდანები, ფეხით ითელება და ისრისება“. მხოლოდ ამის თქმა გაბედეს.

კიდევ უკეთესი ამბავი.

პარიზში ერთ - ერთმა გამომცემლობამ გამოსცა ბიბლიის ზოგიერთი მოთხრობები, რომლებიც თავისი პორნოგრაფიული შინაარსით არ ჩამოუვარდება ბოკაჩიოს „დეკამერონს“. ეს მოთხრობები შინაარსის და მიხედვით დასურათებულია უწმაწური ნახატებით.

გამომცემლობამ წიგნს ასეთი რეკლამა წაუმძღვარა: „ბიბლიის ახალი გამოცემა. ერთად - ერთი წიგნი, რომელიც დაწერილია თითონ ღმერთის მიერ“.

წიგნს დიდი ტირაჟი ჰქონდა.

სამღვდელოებაც კი სიამოვნებით კითხულობდა.

ხ.

## პილსუდსკის საშობაო სიზმარი




## ჩემი სიმღერა
(ძირულისათვის)

აქ მსახურობს ოლიფანტე
(ოყრომიძე არის გვარათ),
გვარდიაში ყოფნის დროს მან
ხალხს ადინა ცრემლი ღვარათ.
აღმასკომის თავმჯდომარემ
(შეიძლება არვის სჯერა)
სიღარიბის მოწმობა, რომ
შეძლებულ გლეხს დაუწერა.
რა ვუყოთ, თუ ამით იმან
ღარიბები გადიმტერა,
შარა-გზებზე სულ არ ზრუნავს,
ოდილია რაში რერა...
აქ ნოქრები ფართალს მალვენ,
ქალა გვინდა, გვინდა შველა,
ვაჭრობაა ხშირად ღამით,
ოდილია დელი დელა.
გამგე ძლიერ გაგვისუქდა...
ის დაძვრება, როგორც მელა,
რით გამდიდრდა, რომ ტფილისში
მან იყიდა სახლი ხელათ?
მსახურობენ შავი სოის
ვაჭრები და გაიძვერა.
ტარტაროზო, ამ ბნელ ძალებს
აუტეხე გულის ძგერა.

ძირულელი თალა.

# კაცი პორტფელით და... ჯვრით

არა, აწ, აქ, ამ ბიწიერ ქვეყანაზე აღარ იდგომება,— გადასწყვიტა მამათ ნიტიფორმ და განიზრახა მეორე სამყაროში გადასახლება.

სადღაც იშოვა მან ნახევარი შუშა იოდი, ვგონებ საწირავის ფასად გამოართვა ადგილობრივ ფარმაცევტს, რომელიც თვითონ იყო უწინ ღვდლათ და შემდეგ ანაფორა ფარმაცევტის თეთრ ხალათზე გადასცვალა.

— ჰო-და, ამ ქვეყნად რაღაი აღარ მედგომება, მოდი ამ იოდს გადავკრავ და საიქიოს ვესტუმრები მეუფეს,— გადასწყვიტა მამა ნიტიფორმ და იოდიანი შუშა წინ დაიდო.

— კი მაგრამ, ეს იოდი რომ დავლიო, ვაი თუ იმ ქვეყანად არაფერია მართლაც და იქაური სამოთხის მოლოდინში აქაური ჯოჯოხეთი დავკარგო!

— შეყოყმანდა ნიტიფო.

— ვთქვათ, რომ საიქიოს მართლაც არაფერია. ხომ დავრჩი კაცი ხახამშრალი. ეს ბოლშევიკები ამ ამბავს, რომ გაიგებენ, ხომ სიცილით დაიხოცებიან... მერე კიდევ აქ არც ისე ცუდია ცხოვრება; თუ კაცი საბჭოთა პლატფორმაზე დადგები, ცოტა ადგილსაც მოგცემენ და თუ აპარატის წმენდას გადარჩი, შეიძლება თანდათანობით დაწინაურდე კიდეც!

— მე რომ ახლა ეს იოდი დავლიო, მაგით ვის რას დავაკლებ. ისე კი შეიძლება მომავალში დრო გადაბრუნდეს და მე ისევ აღვადგინო ძველი დიდება... ასეც რომ არ მოხდეს, განა ცოტა არიან გაკრეჭილი ღვდლები?

ნიტიფორმ იოდი გვერდზე გადადგა და გასწია სოფლის დალაქისაკენ, რომელიც ერთ და იმავე დროს ასრულებდა დალაქის, კბილის ექიმის და დოსტაქარის როლს. ეს ნურავის გაუკვირდება: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ბევრი ამთავრებს სამკურნალო ფაკულტეტს, სოფლად მუშაობა იშვიათად მოუნდება ვისმეს და ამიტომ სოფლის პარიკმახერებს, სოფლად ექიმების ნაკლებობის გამო, ჯერ კიდევ თავისუფლად შეუძლიათ იკისრონ დოსტაქრობა და კბილის ექიმობა.

— წურბელა გინდა, მამაო, თუ კბილის ამოღება, ან იქნება სისხლის გაღება გნებავს? დანა ისე გალესილია რომ...

— არა შვილო, გაკრეჭა მინდა...

დალაქი (იგივე დოსტაქარი და კბილის ექიმი) კინაღამ გაგიჟდა. ივი სრულიად არ მოელოდა ასეთი სენსაციას.

— ესე იგი, გაკრეჭა?

— ჰო, შე კაცო. ჯერ ღვდელი არ გაგიკრეჭია თუ? რაც შენ ხუცებს კრეჭ, რაღა უნდა გიკვირდეს!

— მამაო!...

— არავითარი მამაო, აქ ყველა ამხანაგები ვართ! ერთი კარგათ გამპარსე თუ ხათრი გაქვს.

დალაქმა შეასრულა ნიტიფოს დავალება:

ეს უკვე აღარ იყო გრძელწვერა მამაო ნიტიფო; ულვაშები ინგლისურ ყაიდაზე შეიკრიჭა, გადაიპარსა თმა, ბოხჩაში შეხვეული ხალათი-შარვალი ამოიღო, კეპკა ამოაყოლა და ტანისამოსი გამოიცვალა. ახლა უკვე განცვიფრებული დალაქის (იგივე დოსტაქრის და კბილის ექიმის) წინაშე თითქმის სოფლის პასუხისმგებელი აქტივისტი იდგა.

რა აკლდა ნიტიფოს? სულ უბრალო რამ: გახუნებული პორტფელი, ტყავის „ტუჟურკა“ და პოლიტცოდნა, არც ერთი ამ სამი ატრიბუტის შეძენა არ გაუძნელდებოდა ნიტიფოს, როგორც თვითონ ფიქრობდა, თუმცა არც ისე ადვილი გამოდგა განსაკუთრებით პორტფელის შოვნა: ვინ გიჟია, რომ ახლა პორტფელს შეელევა? ახლის ყიდვის თავი კი, თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, საიდან ექნებოდა უმრევლოთ დარჩენილ მღვდელს, რომლის ეკლესიაში სოფლის კლუბი იყო გამართული!

ნიტიფომ არც აცივა, არც აცხელა, სულ მოკლე ხანში კოოპერატივის ნოქრად ამოჰყო თავი, ხოლო როცა იქიდან მოხსნეს, ქოხ-სამკითხველოს გამგეობა მოინდომა, მაგრამ არ დაუშვეს, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი. ამიტომ ნიტიფომ საკრედიტო ამხანაგობაში მოიკალათა და იქ იყო მანამ, სანამ ფული არ შემოექამა და არ გამოაბრძანეს.

ბოლოს ნიტიფო ფოსტაში შევიდა ტელეგრაფისტის თანაშემწეთ, ხოლო როცა აღარც იქ დააყენეს, ქალაქში წავიდა და მოანგარიშის ადგილი იშოვნა. ერთხანს იყო იგი ამ თანამდებობაზე და ბოლოს სამნეო ნაწი-

# ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო!



— რატომ ყოველთვის შენი ვირი მაგ ეკლესიის გალავანთან გაჯიუტდება და ფეხს არ იცვლის?
— მღვდლისაგან ნაყიდია... ჯერ ვერ გადავაჩვიე... მიჩვეულია აქედან ტაბლების ზიდვას!

ლში გადავიდა, თუმცა იქიდანაც მოხსნეს, როგორც არა საიმედო პირი.

ნიტიფომ კიდევ იშოვა სამსახური, საწყობის გამგის თანაშემწეობა, მაგრამ აპარატის წმენდამ მოუსწრო და მგლის მოწმობა მისცეს.

როგორც უმუშევარმა, ნიტიფომ შრომის ბირჟას მიაკითხა, მაგრამ არ აიყვანეს აღრიცხავზე, როგორც სოციალურად უცხო ელემენტი.

— მივქარე იოდი რომ არ დავლიე, — იტყვის ხოლმე დაღონებული ნიტიფო, — იქნებ საიქიო მართლაც არსებობს და ახლა იქ შტატი უკვე იქნება შევსებული. თავის დროზე რომ მიმეკითხა, იქნებ დიაკვნის ადგილი მაინც მიმეღო.

დადის ახლა ჩვენი ნიტიფო უმუშევრად.

თქვენ, ამხანაგებო: გამგეებო, დირექტორებო, მათო თანაშემწენო, კოლეგიის წევრებო, მმართველნო და მათო მოადგილენო, იქნებ კვლავ მოგაკითხოთ მანდ ადგილის საშოვნელად და ვერ გამოიცნოთ, რომელია ეს კაცი: ცნობისათვის გატყობინებთ, რომ მას ახლა კეპკაც ახურავს, პორტფელიც უჭირავს და ერთი სიტყვით საბჭოთა ელემენტი გეგონებათ, მაგრამ ტყავის „ტუჟურკის" ქვეშ ნაღვდლევი ჯვარი კიდია და თავის ტვინი „მამაო ჩვენო"-ს და „ღირს არს ჭეშმარიტად"-ის ნახაზებით ისე აქვს დაბზარული, ისე, როგორც დაბზარულია ზოგიერთი ჩვენი ორგანიზაციის მიერ აგებულ ახალ შენობათა კედლები.

ლახვარი.

## ა მ ა ღ ლ ე ბ ა

(ქუთ. ოლქი)

ბანკის მოლარე არის
ტყეშელაშვილი შალვა;
სამსახურში ვერ ნახავთ,
უყვარს ჰაერზე გავლა.

—:—

აფთიაქში პაჭუა
ძვირობს ერთი ათასად,
თურმე მაჭრებს აყენებს
და ყიდის მაგარ ფასად.

—:—

დრამწრეს სძინავს ისევე,
ბოლთაძეს არ სცალია:
„დატვირთული" საქმითა
ის იღლება ძალიან.

გლეხკომში მდივან ქალთან
უყვარს ხელის ფათური;
მისთვის მუდამ მზად არის
ვარია - ხაჭაპური.

ილიკო ხარაბაძემ
ბევრი ფული შეკრიბა,
რომ მოეწყო საღამო,
მაგრამ მიკიბ-მოკიბა;
რევიზიის ფულები
ჯიბეს ჩაიჩხრიალა,
და ასე მოგახსენებს
კიდეც გაატიალა.

რწყილი.

# გიულნარი ჩადრს იხდის






## თანამედროვე ანდაზები

✦ უმუშევარი ჯერ სამსახურში არ შესულიყო და ჯამაგირის მომატებას ითხოვდაო.

✦ გასტეხს გამგესაც მაგარსა, ცრემლი ქალისა ტუ-რფისა.

✦ გაპირვება მირჩვენე და საქმეს უფრო გაგიპირ-ვებო.

✦ ვინც თავს თავდაბლად უჩვენებს, ის ადგილკო-მის თავმჯდომარეობას მიიღებსო.

✦ ვინც გამგეს ცუდ სიტყვას ესვრის, მას თავზე უა-რესი დაეცემაო.

✦ მოლარემ სთხარა, სთხარაო, გამსახლი გამოსთ-ხარაო.

✦ დარაჯმა ხთქვა: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი სამსახურიდან დათხოვნის შიშით მაქვს სავსეო.

✦ დღევანდელი კავშირის დახმარება მირჩევნია ხვა-ლინდელ სამსახურის შოვნის დაპირებასო.

✦ ერთი სალაროს ცული ცხრა მოლარემ გაიყოო.

## თავის ქება კიტრათ*),

მუდამ ბევრი ახირებული ფანტაზია მომდიოდა თავ-ში, მარა არას დროს ფიქრად არ მომსვლია — იუმორისტ მწერლათ გახდომა.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციას მიეწერება ის, რომ სხვა მრავალ საოცნებო მოვლენების განხორციელე-ბასთან ერთად, — მეც იუმორისტი მწერალი გავხდი.

თუმცა დიდხანს ვამტკიცებდი, — არა ვარ მწერალი მეთქი, მარა არ გამივიდა.

რომ გამემართლებია საპატიო წოდება, ხანდახან ვწერდი პატარა ფელეტონებს, რომლებიც იბეჭდებოდნენ სხვადასხვა გამოცემებში.

შემდეგ უყრიდი მათ თავს და ვცემდი ცალკე წიგ-ნაკებად. დღემდი გამოცემული მქონდა ოთხი ასეთი კრე-ბული: **„ცრემლებით სიცილი“** (რომელსაც ფასიც სასა-ცილო აქვს,—ოცდა ხუთი ათასი მანეთი), **„ელამი სარკე“** (ღირს ერთი მანეთი), **„ახალი აღთქმა, დემიან ბედნის თქმა, ს. თოდრიას — თარგმნა“** (ფასი ათი შაური) და **„უბად-ასაღები — წყალწასაღები ამბები“** (ღირს ათი შაური).

ისინი ჰქონდა გადაცემული სახელგამის საწყობს და წიგნის მაღაზიებს გასავრცელებლათ, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ საწყობის გამგე და მაღაზიების ნოქრები ღვთი-სა და მენშევიზმის მორწმუნე ხალხი უნდა იყვნენ და მე-ტისმეტად ეძნელებათ მკითხველებისათვის ჩემი ანტირე-ლიგიური და ანტიმენშევიკური წიგნაკების მიწოდება.

---

*) ეს სიმართლეს არ შეეფერება! — წელს კიტრი შა-ურზე ნაკლები არ ღირდა!.. შენიშვნა ასოთ - ამწყობისა.

## საამდროვო

**მუდამ დამრჩება ხსოვნაში**
**ღიმილი დაუვიწყარი,**
**როს, სატრფოვ, შენი თვალები**
**გაბრწყინდენ, როგორც ცისკარი.**

ეს ამბავი ალბად მოხდა მაშინ, როდესაც პირველად გამოცხადდა ხელის მოწერა 1930 წლისათვის გაზ. „მუ-შა“-ზე ჟურნალ „ტარტაროზი“-ს დამატებით.

**ქალო ა ვაშლი, რა ვაშლი,**
**უბეს ნადები, ნახეტყვი,**
**„მუშის“ კანტორას მივმართოთ:**
**— გულის პირიმე რას მეტყვი?**

რა უნდა უთხრას გულითად მადლობის და თანაგრძნო-ბის მეტი? მან კარგად იცის, რომ „მუშა“-ს კანტორაში მიიღება ხელის მოწერა **1930 წლისათვის** გაზეთ „მუ-შა“-ზე, რომელსაც უფასო დამატებათ მოყვება ჟურნა-ლი **“ტარტაროზი“**.

**ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში,**
**ტარკორების ვნახე კრება,**
**ცალ-ცალკე და ყველა ერთად —**
**სიცოცხლე და ნეტარება.**

ტარკორების ნახვა ცალ-ცალკეც სასიფათო საქმეა და ერთად — მით უმეტეს. ჟურნალზე და გაზეთზე ხელის მოსაწერი ფასის გადახდა კი ცალ-ცალკე, ე. ი. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**წავალ, წავალ, არ დავჯდები**
**მოწყენილი ოთახშიო;**
**„ტარტაროზსა“ გამოვიწერ,**
**ჩავარდები ყოფაშიო.**

ხელის მოწერა გაზ. „მუშა“-ზე („ტარტაროზი“-ს დამატებით) მიიღება მთავარ კანტორაში **(ჯორჯია-**

# კიტრი კაპეიკათ*)

მიუხედავათ ასეთი აწირებული პირობებისა, მე მაინც ...აკჯიუტდი და გამოვეცი მეხუთე წიგნაკი, — **„დაბადება ...ნუ ბიბლია“** (ფასი ათი შაური) და მივეცი იმავე სახელ...ამს თავისი საწყობიდან მაღაზიებისათვის დასარიგებ...ად და გასაყიდათ.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ წიგნაკს არ იწევა სხვე...ის ბედი, ვინაიდან მასზე მეთვალყურეობას ვანდობ „ტა...ტაროზს“!.

ამა გაბედონ სახელგამის საწყობის გამგემ და მაღა...ზიების ნოქრებმა **„დაბადება“-ს** ისე მოეპყრან, როგორც ...სვა ჩემ წიგნაკებს ეპყრობოდენ! — მათ დაბადებას დაა...ყევლინებს „ტარტაროზი“.

ვაფრთხილებ მკითხველებს, რომ თუ „დაბადება“-ს ...ნ სხვა ჩემი წიგნაკების მოთხოვნის დროს უარი მიიღონ ...ოქრებისგან, — არ დაუჯერონ მათ და თითონ მოძე...ნონ დახლის ქვეშ.

თუ ძებნამ უნაყოფოთ ჩაიაროს, —აცნობონ „ტარ...ტაროზს“, **რომელიც** მიიღებს სასწრაფო ზომებს დამა...ულის და დამმალველის აღმოსაჩენათ.

უნაყოფო იქნება მხოლოდ „ცრემლებით სიცილის“ ...ებნა, ვინაიდან ის ყველაზე უფრო ძვირი ღირდა და ყვე...ლაზე ადრე გაიყიდა!..

მოგზაურთა მოუწყენლათ მგზავრობისათვის მიღე...ბულია ზომები, რათა „დაბადება ანუ ბიბლია“ რკინის ...გზის სადგურების კიოსკებშიდაც იყიდებოდეს; მშრომე...ლებისათვის კი — „შრომის“ წიგნის მაღაზიაში.

ს. თ—ია.

# სიმღერები

...ვილის ქ. № 6). ტფილ. ფ.-ტელეგრ. საგაზეთო ...იუროში (რუსთ. პროსპ. № 10); ა. კ. ფ.-ტ. ყვე...ლა კანტორაში და რკ. გზ. ყველა კიოსკებში)

**მიყვარს** კალინა, მალინა
მსურს ვარდები და იაო;
„უტარტაროზო“ ცხოვრება
მეწყერსაც წაუღიაო.

...იცის და იტყვის. მალინის შოვა ამ ზამთარში ცოტა სა...ძნელოა. **„ტარტაროზი“-ს გამოწერა** კი — სულ ...ადვილი და უბრალო საქმეა. მიაკითხავ აგენტს ან ფოსტის ...კანტორას, ან შეივლი მთავარ კანტორაში, გადაიხდი ...ფულს და შემდეგ დაიწყებ ხელები მუცელზე და იცინე ...მთელი წელიწადი.

**ვეღარ** გავძელი სოფელში,
იქ თუმც მზეც ამოდიოდა,
არც **„ტარტაროზი“**, არც **„მუშა“**
არც ერთი არ მომდიოდა.

მერე მაგისთვის როგორ უნდა გამოექცე სოფელს „ასკა...ჭელი კაი ბიჭი“? გამოგზავნე ფული კანტორის სახელზე ...შემდეგი მისამართით: **ტფილისი, ჯორჯიაშვილის ქ. №6, „მუშა“-ს კანტორას** — და ყოველთვის თავის დროზე ...მოგიკვანკვალებენ“ გაზეთ **„მუშა“-ს „ტარტარო...ზი“-ს დამატებით.**

„შენ თვალი ხშირად ჩამეკოცნება
ღიმ მორეული
მე მიყვარს მხოლოდ შენზე ოცნება
შენივე მსგავსი და შორეული“.

შორეული კი არა, ყოველკვირეული, რადგან **„ტარ...ტაროზი“** გამოდის კვირაში ერთხელ და ცალკე ნომე...რი ღირს **ორი შაური.**

კვანტი.

## ზოგიერთ ჩვენს სკოლებში

ჟურ. „ბეზბოჟნიკ“-იდან



ღმერთი: — ციც!.. ეს ხომ ჩემი უარყოფაა!

## უბინაოთ დარჩენილი




— გამოგვყარეს გარედ... უბინაოდ დაგვტოვეს!

# თანამედროვე ანდაზები

✦ ერთი ფუქსავატი გამგე მთელს დაწესებულებას ისე არევს, რომ ათასი ჭკვიანი გამგე ვერ გამოასწორებსო.

✦ ეს ქვეყანა პროფკავშირის კიბეებია: ზოგი ადის და ზოგი ჩამოდის.

✦ გამგე უპორტფელოთ არავის გაუგონია.

✦ გამფლანგველი იმდენს არ გაფლანგავს, რამდენის მონელებაც არ შეეძლოს.

✦ მდივანსა და საქმის-მწარმოებელის შუა მემანქანე ქალი რომ არ იჯდეს, მდივანი და საქმეს მწარმოებელი ერთმანეთს ჩამოახრჩობდენო.

✦ მდივანი ზის და ამთქნარებს, თავი ლოგინში ჰგონია, ხელუხლებელი ხაქმენი გათავებული ჰგონია.

ვირთხა.

# მღვდელ-მოლოზანის მიწერ-მოწერა

## წერილი

ჩემო სულის კოკობო, გულის მალამო ნინო.

ისე მეხალისება შენსკენ წამოსვლა, რომ ორი ვერსტის გამოვლას ხუთ წუთში ვასწრებ.

როცა ნაწირვეს მონასტრიდან შინ ვბრუნდები, მაშინ კი შენი მოშორებით დაჯავრიანებული ისე დაზარებით მივდივარ, თითქო ათი ფუთი ტვირთი მეკიდოს ზურგზე, ფეხები უკან მრჩება და ორი ვერსტის გავლას ხუთი მინუტის ნაცვლად ორ საათს ვუნდები.

რა ბედნიერი იყო მე და შენთვის წარსული ხუთშაბათი, ჯერ გემოიანათ ვითოხლავეთ ალაპში. მერე იქიდან ტყე - ტყე სულ ხელგამოყრილები „პადრუჩკიანათ" მოვდიოდით ერთი - მეორეზე გადახლართული... მე იმ დღეს ცხენით განგებ მიტომ არ წამოვედი, რომ მინდოდა იმ დღეს „პადრუჩკიანი" სიარული შენთან, ჩემო სულის ყლაპიტონო, და თუ ღმერთი შეგვეწია და თუ კიდევ მოკვდა ვინმე, სოფლებში, სულ ქვეითად ვივლი შენთან.

ნინო ჩემო, უბრალო მადლობით ვერ გადაგიხდი იმ ამაგს, რომელიცა რომა, რაც შენ ამაგი დამდევი და ბესარიონ დეკანოზი გამაშავებინე სინოდში და ჩამომაშორე. ეპისკოპოზი დავითი გულნაკლულია ჩვენზე, მაგრამ კათალიკოზი ჩვენ მხარეზეა (ფეშკაშებს და პურ-მარილს თურმე ბევრი შეუძლია).

ხო, რა უნდა მეთხოვა შენთვის დამავიწყდა: რომელიცა რომა მარიობას ქიათურიდან მე და შენ რომ საწირავი და საპანაშვიდო სამი ტლიკვი ჩერნავეცა მივიღეთ, მაგ კოკობ სულს გაფიცებ, ბესარიონს არ უთხრა, თორემ გული მოუვა. რავა გამიბედეთ და ჩემი მრევლის შემოსავალი თქვენ რავა იტუცეთ ჯიბეშიო.

კომუნისტები მართალს ამბობენ, რომ ცხონება და წაწყმედა ზეცაში არ არის, არამედ ამ ქვეყნად არისო. მეც ასე ვფიქრობ: ზეცაში სასუფეველი და ჯოჯოხეთი მართლაც არ უნდა იქნეს. ნამდვილ ვატყუებთ ხალხს და, მე და ჩემმა ღმერთმა, როცა მე და შენ, რომელიცა რომა, მარტო დავიარებით „პადრუჩკიანათ" მოფარებულ ტყეში, მაშინ მე და შენთვის სამოთხეა ეს ქვეყანა, აბა რა ჯანდაბაა!

ნუცაკო, ჩემო სიცოცხლე, ჩვენ სოფელ მღვიმევში ავადმყოფები ბევრი არიანო. თუ იცი ის ოხრები აღარავინ კვდება? რავა დავიჯერო, რომ ყველა მორჩეს? ხანდისხან ეცანცალე ხოლმე მღვიმევში და ეკლესიის გალავანში თუ ვინმეა ახალი დამარხული მკვდარი. გამოარკვიე, თუ ვინ გაბედა უჩვენოთ, უპანაშვიდოთ, წეს აუგებლად და ულაპოთ დამარხვა, შერისხე და შეარჩევე — რატომ წაგიწყმედიათ მკვდარი-თქო. იქნება ერთი გვაქელეწონ.

ხომ გახსოვს აგერ წინეთ კომსომოლა ბიჭმა ვანია ბიშნიაშვილმა ოთხმოცი წლის მამა ქირიანი ხარივით ჩააგდო წეს აუგებელი მიწაში; კომუნისტების შიშით. მაგრამ რომ შევახერხე გემოზე და აუხსენი, რომ წესი თუ არ აუგე და მსუქანი ცხვარი თუ არ დაუკალი, მამაშენი წაწყდება და შიგ კუპრიან ჯოჯოხეთში ამოყოფს თავს-თქო, იცოცხლე ისგაფხაკურდა. მე და შენ ღამე ჩუმათ მიგვიყვანა მამის საფლავზე და იმ ღამეს კარგი მსუქანი ცხვრითაც გაგვიმასპინძლდა. თანაც ერთი ჩერნავეცა ბრაწვით ახალი მოგვცა.

მარტო მღვიმევში კი არა, სხვა სოფლებშიაც ადევნე თვალ-ყური, რომ უჩვენოთ მკვდრები არ დამარხონ და თუ ეშინიათ კომუნისტების, ღამ-ღამე ვიაროთ მე და შენ გადახლართული და ჩაპადრუჩკებული. (უკეთესიც არის).

ილოცე ჩემო ნინო, რომ ღმერთმა მკვდრები არ მოგვაკლოს. მეც ამას ხშირად ვლოცულობ, ეგებ ვიქალეხოთ და ჯიბეებიც გავიმსოთ ფულით.

ამბობენ ომიც მალე დაიწყებაო. ღმერთმაც ქნას, ბევრი მკვდრები იქნება, მერე უყურე, რამდენს ვითოხლავებთ მე და შენ ალაპში...

გწერს ნამდვილი სიყვარულით შენდამ შენთან დღე და ღამე თვალწინ მდგომარე მღვდელი **დიომიდე პრაწაძე.**

სექტემბერი, 1929 წელი — ქიათურა.

## პასუხი

ძვირფასზე უძვირფასესო და საყვარელზე უსაყვარლესო დიომიდე.

მივიღე შენი საიდუმლო ბარათი. შენი არ იყოს, გულმა ძგერა და სულმა შფოთვა დამიწყო: როცა ხელი მოვკიდე და გულში ჩავიხუტე შენი წერილი.

მღვიმევლების საჩივარში მატომ ჩავერიე მეც დეკანოზის ბესარიონის საწინააღმდეგოთ, რომ მე შენ უფრო მიყვარახარ და კიდეც სიკვდილამდე მეყვარები. ბესარიონი ჩვენთვის ზედმეტია. მე და შენ ხელს თუ შეგვიშლის და შემოსავალში დაგვაზარალებს, თორემ მისი წირვა - ლოცვა არაფერს არ შეგვმატებს.

მართალია, ჩემი ხელით გამოცხვარმა ხაჭაპურებმა, შენმა მოპარჩულმა ქათმებმა და ინდაურებმა და შენმა ლალივით წითელმა ღვინომ — პირდაპირ სასწაული მოახდინეს ობოლისში — ბესარიონზე უარი ვათქმევინეთ სინოდის თავმჯდომარეს, მაგრამ, ნუ დაგავიწყდება, რომ მარტო ფეშქაშებსაც ნუ დავაბრალებთ ამ სასწაულს, არამედ მის გასაშავებლად კათალიკოზთან დიდი ყალბი ჯაშუშობა გავწიე და ბევრი საწინააღმდეგო ჩავაგონე. თუმცაღა მას ისედაც ბევრი ცოდვები აქვს. ისე გასინჯე რომ შენი გულისთვის სულის წაწყმედასაც აღარ დავერიდე. მე, რომ არ ჩავრეულიყავი ამ საქმეში, შენ აუცილებლად მოგაშორებდენ ჩვენ მონასტერს.

მარიობას, რომ სამი თუმანი ავიღეთ, ბესარიონის მრევლიდან, ე. ი. ქიათურიდან, ამას მე ბესარიონს დიახაც არ ვეტყვი, მაგრამ ელენარიკას ერთ ფუთიანი ბოქლომი რომ დაადგება ენაზე, მაინც ეტყვის ბესარიონს. (ეს ხომ ჩემი ბრალი არ იქნება).

მეშლური, რომ მარიობას სადილათ ვეღარ გეწვიე. ამისი მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ იმ დღეს მარხვა გვქონდა, შენ კი ცხვრები და გოჭები დაგეკლა და სტუმრებს ხორცს მიართმევდი და ჩემი ჩამოსვლა მაშინ ულამაზო იყო. ეხლა კი ისეთ თავისუფალ დროს გეწვევი, რომ უფრო მეტს ვისიამოვნებთ.

მართალს ამბობ, რომ მე და შენი ერთად სიარული ტყეში „პადრუჩკიანათ" ძალიან სასიამოვნოა. (მეტი რა შეგვრჩება).

მონასტრის დაკეტვის ნუ გეშინია, და თუ მაინც დაკეტავენ, რა გვიჭირს, განა ცოტაა ჩვენში უმღვდელო-უდიაკვნო ეკლესიები? მთელ ზემოიმერეთში მე და შენს მეტი მღვდელი და დიაკვანი ხომ მაინც აღარსად არის! მე და შენ დაგვრჩა ბურთი და მოედანი.

მეც გეთანხმები იმაში, რომ სამოთხე და ჯოჯოხეთი თუ არის, მართლაც, რომ ისევ ამ ქვეყნად არის და ზეციერი არც არაფერი მე მწამს. შენ მაინც ნუ აყვები კომუნისტების ლაპარაკს. ილაპარაკე რომ საიქიოს სამოთხე და ჯოჯოხეთი არის-თქო, თორემ კუჭსა და წელებს გაგვიხმობენ სიმშილით სოფლები და არც არაფერს მოგვცემენ, თუ არ ვატყუილოთ ისე, როგორც დღემდის...

ამ ოხერ მღვიმევში არავინ კვდება. რაშია საქმე? ასეთ შემთხვევაში ღმერთი ჩვენ უფრო გვივიწყებს თუ იმათ, ეს კი აღარ ვიცი.

პატარა ხანი ნუ შეგიშინდება გული. ღვთის მადლით თითო-ოროლა მკვდარი კვირეში ყოველთვის გვყოლია და გვეყოლება.

წერილები ხშირად მომწერე ხოლმე. მხოლოდ სიფრთხილით, თორემ, რომ ვინმეს ჩაუვარდეს ხელში — „ნიამათ" „ტარტაროზში" ჩაგვაგდებინ და ჩვენ საიდუმლოებას მთელ ქვეყანას მოფენენ.

გწერს შენი ერთად - ერთი ერთგული, ერთად - ერთი პატივისმცემელი და მოსიყვარულე დიაკვანი — **მონაზონი ნინო ამაშუკლისა.**

სექტემბრის 15-ს, 1929 წელსა,

წერილების ხელში ჩამგდები **ავსული.**

# ღომხალიადა

არის ერთი წიგნი „დაბადება“, ანუ ბიბლია, რომელშიაც „ქვეყნის შექმნის ამბები მოთხრობილია. ამ წიგნს სხვანაირად ეწოდება „საღვთო წერილი“, ან „სიტყვა ღვთისა“, მაგრამ მიკროსკოპითაც რომ ეძიოთ ვერსად ვერ ნახავთ „უფალ საბაოს“ ხელის მოწერას. მის მაგივრად ხან დავითი აწერს ხელს (მხატვარი დონი არ გეგონოთ) ხან მოსე და ხან სოლომონი.

მოდი და ნუ გაკვირდები კაკალი კაცი!

გამოდის, თითქოს ყოვლის მცოდნე ღმერთი წერა - კითხვის უცოდინარი იყოს და ხელის მოწერა არ შეეძლოს.

— რა უყოთ მერე, რომ ხელს არ აწერს! ღმერთი უსხეულო სულია, მას არავითარი ორგანოები არა აქვს, და ამიტომ არ აწერს ხელს. — იმართლებენ თავს „წმინდა მგლება“ (უკაცრავად — „მამები“).

როგორც ზემოაღნიშნულიდან სჩანს, რაკი ხელი არა აქვს, „ყოვლის შემძლე ღმერთს“, არც ხელის მოწერა შეძლებია.

როგორც გადმოგვცემენ, ღმერთი თავის აზრს მოსე „წინასწარმეტყველს“ უკარნახებდა. ეს უკანასკნელი სრულიად უაზროთ და უგრძნობლად“ აფოთიალებდა“ კალამს პერგამენტის ქაღალდზე და ამგვარად შეიქნა ბიბლია.

— თუ ღმერთი უსხეულოა, მას არც ენა და ბაგე ექნება და როგორ შეეძლო კარნახი? — იკითხავს მკითხველი.

მაგრამ დაუშვათ, რომ შეეძლო, მაშინ მოსე ზეციური აპარატის „ჩისტკაში“ უნდა მოვაყოლოთ და სისხლის სამართლის მილიციას უნდა გადავცეთ მითვისებისა და „პადლოგისათვის“ დიახ, „პადლოგისათვის“, რადგან დაბადებაში არის ერთი დიდი ნაწილი, რომელსაც ეწოდება „წიგნი მოსესი“ და, მაშასადამე, სულ - წაკუპრულ მოსეს უფლის ნაშრომნააზრევი მიუთვისებია. მერე რამდენი ბოროტმოქმედება შეიძლებოდა მოყოლოდა ამ „წმინდანურ თაღლითობას?“. მოსე რომ სახალხო განათლების კომისარიატში შესულიყო და მისი ნამურტალი (ბოდიში — ნაჭურდალი) მეთოდ - ბიუროსთვის წაედგინა, უკანასკნელი მას შრომის სკოლებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოდ მიიღებდა და სახელგამი კიდევ ავანსს გამოუწერდა ჰონორარის ანგარიშში.

მაგრამ რას ვერჩით საწყალ მოსეს. მოსე „მოსეს წიგნის“ შედგენაში და სახელის დარქმევაში არაფერ შუაში არ არის, რადგან თვითონ მოსეს წიგნში არის დაწვრილებით მოთხრობილი ამბავი მოსეს გარდაცვალების შესახებ. მიცვალებულს კი როგორ შეუძლია თავის სიკვდილის ამბავი გვიამბოს? არა, ვერ დაგვიჯერებთ! აქ რაღაც ფანდია. აშკარა იშკილია, „საღვთო იშკილი“. ჩვენთვის აშკარა არის, რომ „მოსეს წიგნიდან“ მოსე ისე შორს. არის, როგორც ამის



— ღმერთო, მომეც მშვიდობიანი მგზავრობა...



— ო, შენი მამისული...

დამწერიდან ჩან-კაი-შის სახელდარი.

იმავე დაბადებაში არის „ფსალმუნი“, რომელსაც დავითს მიაწერენ („ფსალმუნი დავითისა“). ამ „ნაშრომში“ დავითი ღმერთს ეუბნება: „შევალ უთვალო სახლსა შენსა და თაყვანსა ვცემ ტაძარსა შენსა“ (ფს. 9.8).

„დადექი გუბერნატორად!“.

როგორ შევიდოდა ღვთის სახლში, როცა იმავე საღვთო წერილის გადმოცემით ამ დროს ღმერთს სახლი არ ქონდა და ტაძრების შენება მხოლოდ დავითის სიკვდილის შემდეგ დაიწყო! (და მაშასადამე, ხატები და უფლის სახლობა მანამდი-ცის ქვეშ — სანაგვეზე ეყარენ).

სჩანს „სიტყვა ღვთისა ცოტა „წეტყუილებს“.

„დაბადებაში“ არის აგრეთვე მოთავსებული „ქებათა-ქება“, რომელსაც ებრაელთა „წმინდა წინაპარს“ მეფე სოლომონს აკუთვნებენ.

დიდი გაცვეთილი „ბაბნიკი“ და „ლოთი - ფოთი ვინმე „წმინდანი“ კი უნდა იყოს ეგ სოლომონი:

„შენი მუცელი ფინჯანია, ით არის მორგვალო, შენი სხეული ჩაფსკვნილია“...

იძაბის ვნებით გახელებული „წმინდანი“.

— საკვირველია, რა კავშირი აქვს სოლომონის და მისი მშვილების ინტიმური ცხოვრების პორნოგრაფიულ ეპიზოდებს საღვთო წერილთან?

ან ვისგან უნდა აიღო მაგალითი?

წმინდა აბრამი ცოლს აქირავებდა და შემდეგ „სასუფევლის დასამკვიდრებლად“ საკუთარ შვილს მოუნდომა ყელის გამოჭრა.

ლოტმა ღვინო „ჩაცქნაფა“ და ისე გაილეშა, რომ გონება დაკარგულმა საკუთარი ქალიშვილები „გააიმასქნა“.

მეფე სოლომონს, რომელმაც „ღმერთს აუშენა პირველი ტაძარი კი 700 ცოლი ჰყავდა და 300 მხევალი ნიშნად „ერთგულ“ და „ნაყოფიერ სამსახურისა“ უფლისა მიმართ ჩვენისა.

ქრისტეს პაპაჯანი — იუდა კი... ოოო, ის, რომ ჩვენს დროში ყოფილიყო „ვარანცოვის“ ხიდი! ძლივს არც ერთ კაბიანს არ გაატარებდა და ხულიგნობისათვის პირდაპირ გამსახლში გამოლპებოდა.

ჭვანტი.

# ჯოჯოხეთის კუთხე

## ეს ლავრენტი ხვიჩია — „ძმა-ბიჭური“ ბიჭია.

ჭრიჭინა.

ფარცხანაყანევის (ქუთ. ოლქი) თემალმასკომის თავმჯდომარე ლავრენტი ხვიჩიას ასე ესმის სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორება:



„ვინაიდან“ პური ჩვენი არსებისა“ მღვდლებსაც უნდათ, ხოლო სახელმწიფო დღეს მათ არაფერს აძლევს, — ამიტომ თვითეულმა მოსახლემ ადგილობრივ მღვდელს უნდა აძლიოს 4 - 5 ფუთი სიმინდი“-ო.

— იყავ კურთხეულ უკუნითი უკუნისამდე. ამიიიინ! — ლოცავს ლავრენტის მღვდელი ამრეკლი ქიპაშვილი.

ანდა, რატომ არ დალოცავს! სულზე მოუსწრო მას ლავრენტის თავმჯდომარეობამ, თორემ მღვდელ ამრეკლი ქიპაშვილს ჩავარდნილი ჰქონდა ქიპი.

— ნატურით გადასახადი ხომ მთავრობის მიერ ნებადართულია! — ფიქრობს თავისთვის ლავრენტი და თავს აიმედებს: — ამიტომ ვერავინ დამწამებს რელიგიის დაცვას“-ო.

მაგრამ ლავრენტი სხვების მიმართაც „ძმა-ბიჭური ბიჭია“.

მაგ. როცა სოფლელები გზების გასაკეთებლად გამოდიოდენ სამუშაოდ, ლავრენტიმ:

**სამუშაოზე არ გაიყვანა**
**თავისი ხიძე და „კეთილები“...**
**გაზეთებშიაც ბევრჯერ გასწერეს,**
**მაგრამ ფუჭია გაკვეთილები.**

თუ მოწაფე გაკვეთილს ვერ ითვისებს, ის სკოლის კედლების გარეშე რჩება, (სულერთია, მოწაფედ უნდაც ალმასკომის თავმჯდომარე იყოს, ხოლო სკოლად — თვით ალმასკომი).

## შვილი კომკავშირელი, — მამა კი — შავსიელი.

შალიკო.

საჩხერეში ვინ არ იცნობს ხაიმ შათაშვილს. ის განთქმული ვაჭარია. მას, როგორც ქუთაისში და ტფილისში მოსკოვშიაც აქვს ქონება.

— „ღამის გასათევი სახლი მაქვს მხოლოდ“! — იტყვის ხოლმე ხაია, როცა მას ლაპარაკს ჩამოუგდებენ ქალაქის ქონებაზე.

აი, ამ გარემოებამ გახადა ის შავსიელი და, აგრეთვე, ხელი შეუშალა მის შვილს — უნივერსიტეტში შესულიყო.

ხაიმ დაფიქრდა. დაღონდა. ყურები ჩამოჰყარა და ცხვირი ძირს დაუშვა...

მაგრამ, აი, გაუელვა ნათელმა აზრმა:

— მოვახდენ ოჯახის ფორმალურ გაყოფას. შვილს სიმონს ცალკე გავუშვებ, და შემდეგ მას აღარ ეტყვიან უარს უნივერსიტეტში მიღებაზე!

ამის შემდეგ სიმონს განცხადება შეაქვს ადგილობრივ კომკავშირში და აცხადებს: **„შავსიელ მამასთან გაწყვეტილი მაქვს ყოველგვარი კავშირიო“.**

უეჯრედში მაგრად გაუშინჯეს კბილი, მაგრამ პარტიულ ამხანაგების რეკომენდაციამ მაინც თავისი ჰქნა.

„კომკავშირელი“ სიმონ რიხით შედის უნივერსიტეტში და თხოულობს „თავის უფლებას“.

— აკი თქვენ ეხლახან უარით გაგისტუმრეთ, როგორც ვაჭრისა და შავსიელის შვილი? — უთხრეს მას უნივერსიტეტში. — ჩვენი პასუხი ეხლაც ისეთივეა, როგორიც მაშინ იყო!

მაგრამ ზემდგომ ორგანოების შეცდომაში შეყვანით, სიმონმა თავისი მაინც გაიტანა, — ის ეხლა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მსმენელია.

— ასეა, შვილო; ხომ გაგიგონია, რომ იტყვიან:

რომელ ქვეყანაშიაც შეხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო“! კაცმა დრო უნდა მოიხმაროს, თორემ თუ ამისი ჭკუა არა აქვს, მისი საქმე წასულია! — უკიჩხავს სიმონს მამამისი ლექციებს ლექციების შემდეგ.

## ო, მიხედეთ საწყალ „ეპოს“, — ამდენ მჭამელს როგორ ეყოს!

უცხო.

იტყვიან: „შუბი ტომარაში არ დაიმალებაო“. ჩვენ ეს არ გვჯერა. თუ კი ფართლეულობა დაიმალება ცხენის საბძელში თივაში, რატომ შუბი ტომარაში არ უნდა დაიმალებოდეს?

თუ ვინმესთვის საეჭვოა ფართლის თივაში დამალვა, შეეკითხოს ვანის (ქუთ. ოლქი) კოოპერატივის ავანჩავანს მოსე ქყონიას — თუ როგორ ხდება ასეთი ამბავი.



მოსე იმასაც გიამბობთ, თუ როგორ შეიძლება კოოპერატივში კაცმა თავი მოუყაროს ყველა ანტი-საბჭოთა ელემენტებს, როგორიც არიან, მაგ. ძველი გვარდიელი, გამსახლის ხშირი სტუმარი. (ბუღალტერი შ. კოპალეიშვილი) ვაჭარი, მეეახშე და მიკიტანი (მიხაკო ნამიჭეიშვილი), ჩარჩი, კულაკი და სხვა ძმანი მათნი. როცა რევიზიამ 1.300 მანეთი დანაკლისი აღმოაჩინა კოოპერატივში, მოსე ქყონიას გაუკვირდა:

**— ამდენი ხანია ვჭამთ და ნუ თუ ამის მეტი არ არის დანაკლისი?**

ვინ იცის, ეგებ რევიზია შეცდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მოსე ქყონია ისევ აზის ვანის კოოპერატივს და ამბობს:

**არ მოვშორდები მანამდე,**
**სანამ უდგანა სულიო;**
**სანამ იგი არ გახდება**
**ჩემს ხელით დამარხულიო.**

ალბად ეს თქმა მალე აუსრულდება, — კოოპერატივი სულს ლაფავს.

# ცათა შინა

ოთხშაბათ საღამოს „ტარტაროზი“-ს რედაქციაში არაჩვეულებრივი თათბირი გაიმართა.

— ამგვარად, ამხანაგებო, მე საჭიროდ მიმაჩნია საბჭოთა აპარატის წმენდასთან დაკავშირებით, ჩვენმა რედაქციამ მოახდინოს ზეციური აპარატების წმენდა.

— გავგზავნოთ მედუზა; გიორგი მთაწმინდელის სახარება სულ ზეპირად იცის! გასწი! — წარმოსთქვა ნიანგმა, — ორ დღეში გამოკვლევა მზად უნდა იყოს.

და მეც პირდაპირი მარშრუტით ზეცისაკენ მოუსვი.

— თქვენი სახელი? — შევეკითხე მაცხოვარს.

— ქრისტე.

— გვარი?

— ნაზარეველი.

— მამის სახელი?

— მამის?.. არ მახსოვს.

—როგორ თუ არ გახსოვს, შე რეგვენო! — წამოიძახა მამა-ღმერთმა, რომელსაც მოხუცებულობისაგან სახე ისე დამანჭოდა, რომ შემოქმედათ კი არა, შტეინახის ცდების ობიექტადაც აღარ ვარგოდა.



იოსებმა მოუქნია მიქელ-გაბრიელს ნაჯახი და ფრთა მოსჭრა

— მამის სახელი და ვინაობა ვერ გამოარკვიე? მაშ მე ვინა ვარ! — გაბრაზდა ღმერთი.

—იეგოვა!

— მერე ვისი მამა ვარ მე?

— რა ვიცი!

— მამა ღმერთს რომ მეძახიან, რათ მეძახიან არ იცი? შენი მამა ვარ, შე მუტრუკო შენა! — დაიღრიალა იეგოვამ და თან მომმართა: ჩასწერე: იესო იეგოვიჩ ნაზარეველი.

— იეგოვა კი არა, საბაოს-ძე. თქვენი ნამდვილი სახელი საბაოა.—გაუსწორა მოსე წინასწარმეტყველმა და თან მე მომმართა:

— ჩასწერეთ — **იესო საბაოვიჩ ნაზარეველი.**

— რა საბაო! რის ნაზარეველი? — წამოიძახა სულიწმინდამ, — ქრისტე რომ გაჩნდა, მაგ ისეთივე ბებრუხუნა და გამოყრუებული იყო, როგორც ახლაა. ბავშის გაჩენა კი არა, ფეხზე ვერ დგებოდა. იეგოვა კი არა, მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ქრისტე ჩემი და მარიამ ქალწულის შვილია. ჩასწერეთ თქვენს წიგნაკში: **იისუს სულისწმინდოვიჩ ნაზარეველი.**

— მარიამ ქალწულიო!? გცოდნია რაღა! — წამოიძახა მიქელ-გაბრიელმა. — ქალწული კი არა, იერუსალიმისა და ბეთლემის მთელ ელით-მელეთში მაკო როსკიპად იყო ცნობილი.

— ნე ასკარბლიაიტე, პაჟალუსტა, თორემ ჯენატდელში გიჩივლებ.—გადმოსძახა რეგისტრატორის მაგიდიდან ღვთის-მშობელმა.

— წადი შენი... ჯენატდელში კი არა, ხახვი არ გადამაჭრა. მიტომ იფრონცქები, რომ იქ იუდა ისკარიოტელის და ქრისტეს კოლექტიური „ნაშა“ გეგულება — მარიამ მაგდალინელი. ვიცი, რომ ისიც შენისთანა „ქალწული“ ბრძანდება. როგორ ტრაბახობს სული წმინდა ქრისტეს მამობას, როცა უსხეულოა და მარტო სულს როგორ შეეძლო ბავშის გაჩენა? მე შევიპარე ერთ ღამეს მარიამთან და... ერთი სიტყვით ქრისტეს ერთად-ერთი კანონიერი მამა მე გახლავარ. ამას საღმრთო წერილიც ამტკიცებს. მაშ ჩასწერეთ: **იისუს გაბრიელოვიჩ ნაზარეველი.**

— რას მიედ-მოედებით!—დაიყვირა დურგალმა იოსკამ (იოსებმა) და ზეზე წამოხტა. — ჩემს შვილს ითვისებთ? გონს მოდით, არამზადებო! ჩემი შვილი ჩემია და არა იეგოვასი, სული წმინდის, ან გაბრიელის... სადა გგონიათ თქვენი თავი, ოფლით გამოზრდილი შვილის კონფისკაციას რო მიშვებით?

—**იისუხ ოსიპოვიჩ ნაზარეველი.** — ჩაწერე, — მითხრა იოსებმა, — ჩასწერე, თორემ „თვითმშრომელთა კავშირში“ ვიჩივლებ.—ვიმეორებ, ქრისტე ჩემი შვილია.—გაიმეორა გაბრიელმა.

— ჩემია! — წამოიყვირა იოსებმა.

— შენი კი არა, ჩემია!

— მე მეკუთვნის!

— ჩემი შვილია....

— გაჩვენებთ ვისიც არის. — დაიყვირა ისევ იოსებმა და მიქელ-გაბრიელს ისე მაგრათ მოუქნია ნაჯახი, რომ მარცხენა ფრთა სახრესავით გადასჭრა. სული წმინდა კი ამ დროს მამა-ღმერთს თმაში ჩაფრენოდა და ქოჩრისაგან მოტაცებულ წიწილივით პუტავდა.

ყველაფერი აირია.

ზეციურ ქაოსით შეშინებული, მარიამისაკენ გავეშურე.

— თქვენ მაინც გამოარკვიეთ, ვისი შვილია მაცხოვარი.

— აბა რა ვიცი,—მიპასუხა მან, — მე ახლაც არ ვაწარმოებ ჩემი „პაკლონიკების“ რეგისტრატურას და მაშინ— მით უმეტეს.

— მაინც არ გახსოვთ, ვისი შვილია?

— არ მახსოვს. მაგის გარდა სხვა ქმარშვილებიც მყავდა. ისევ ჩასწერეთ ჩემს სახელზე: — **იესო მარიამოვიჩ ნაზარეველი.**

—ტარტაროზის ანკეტა მამის სახელის გარკვევას მოითხოვს.



სული წმინდა მამაღმერთს თმაში ჩაფრენოდა და წიწილასავით „პუტავდა“

— როგორც გინდათ, — მითხრა და საქმეთა მმართველის — პეტრე მოციქულის კაბინეტში შევიდა.

სახტად დავრჩი.

— რა პასუხი გავცე ტარტაროზს? როგორი გამოკვლევა მოვათავსო ქრისტეს შესახებ „ტარტაროზის“ საშობაო ნომერში?..

ჰმ..

მადონას სახით მაინც არ ხატავდენ.

აბა როგორი „ქალწული“ და „დედა-ღვთისა“ უნდა იყოს ისეთი ქალბატონი, რომელსაც „პაკლონიკების“ ქარბი „ნაგრუზკიდაგან“ ისე არევია ანგარიში, რომ თავის პირმშო ვაჟის მამის ვინაობის გამორკვევას ველარ ახერხებს?!.

**მედუზა.**

„ტარტაროზი"-ს მორიგი ნომერი გამოვა [illegible] იანვარს


მიიღება 1930 წლისათვის ხელისმოწერა

ყოველდღიურ მასიურ მუშურ გაზეთ

„მუშა"-ზე

ყოველკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ტარტაროზი"-ს დამატებით.

| ხელისმოწ. პირობები ჟურნ. ტარტაროზის დამატებით: | | ხელისმოწ. პირობები უდამატებოთ: | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | 70 კ. | 1 თვით | 50 კ. |
| 3 თვით | 2 მ. | 3 თვით | 1 მ. 50 კ. |
| 6 თვით | 4 მ. | 6 თვით | 3 მ. |
| 1 წლით | 8 მ. | 1 წლით | 6 მ. |

ყველა ხელისმომწერს შეუძლია შეღავათიან ფასებში მიიღოს ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი

ტარტაროზი

რომელიც 1930 წლიდან გამოვა ფერადი სალებავებით და კარგ ქაღალდზე.

ხელისმოწერა მიიღება: გაზ. „მ უ შ ა"-ს მთავარ კანტორაში (ჯორჯიაშვილის . № 6),
ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის საგაზეთო ბიურო-ში (რუსთაველის პრ. № 10),
ა.-კ. ფ.-ტ. ყველა კანტორაში,
საკავშირო ბეჭდვითი სიტყვის საკონტრაგენტოს რკ. გზ. ყველა კიოსკებში და იმ რწმუნებულებთან, რომლებიც აღჭურვილები არიან სათანადო მოწმობებით.

ხელისმოწერა მიიღება 31 დეკემბრამდე.

გაზ. „მუშა"-ს გამომცემლობა.


მიიღება ხელისმოწერა 1930 წლისათვის
„ყუმბარა"-ს მორიგი ნომერი გამოვა [illegible] იანვარს

# შრომის ბირჟაში
## (ბათომი)

მეგრელიშვილს მივადექი:
„გამეგზავნე სადმე!"
მიპასუხა გაკვირვებით:
„სად გაგზავნა, სად მე?
შენ აკაკის მიაშურე,
ვაჩეიშვილს გვარად,
შეიძლება მან გაგზავნოს,
თუ არ არის მწყრალად".

—:—

აკაკიმ კი ასე მითხრა:
„რომელ არის ვარი:
სამუშაო თუ კი გინდა,
ნახე შენ მხატვარი,
და თან ენას მოუმოკლე,
მოუქირე გაზი".
და აკაკი მივატოვე
კითხვით განაბრაზი.

—:—

„სამუშაო თუ კი გინდა
ნახე ავთანდილი,
იქნებ, ძმაო, მან გაგხადოს
ბედით კმაყოფილი".
ამ პასუხით მე მხატვარმა
მითხრა მტკიცე ვარი.
და თან მაგრად „ფორტოჩკისა"
მიიხურა კარი.

ავთანდილსა მივადექი
შრომის მაძებარი,
მან კაკოზე მიმითითა:
— იმის საქმე არი.
ორ წელს საქმე „თვერ" იშოვე,
არ გქონია ბედი"...
და მეც ენა არ დამიძრავს,
(არის ცოტა ყბედი).
ავთომ კაკოს და კაკომ კი
მხატვარს მიმასწავლა.
და მას შემდეგ ბირჟის კარზე
მე შემძაგდა გავლა.

ცერტი.

# ცნობათა მიღება

**ვ—ლ-ს** (ს. ყვარელი). — „სოფლის მასწავლებლის სიმღერა“-ში, სადაც თავისთავზე ლაპარაკობთ, მხოლოდ ეს ადგილია სიმართლე:

**ფეხები მუდამ სველი მაქვს,**
**თავი გაყინულია.**
**ვერაფერს ვერ ვაზროვნობ,**
**თავში მხოლოდ „ნულია“.** (თუ ნოლი?!).

გარდა ამისა, ისიც სიმართლეა, რომ ეს ლექსი ცუდი მიბაძვაა ამავე თემაზე დაწერილ ლექსისა, რომელიც მოთავსებული იყო „ტარტაროზში“ თითქმის ასეთივე სათაურით: **„სოფლის მასწავლებლის ლოცვა“.** (იხ. ტარტაროზი № 105 1927 წ. 19 ივნისი, მე-2-ე გვერდი).

და, რომ თქვენ ამაში ეჭვი არ შეგვიტანოთ, ჩვენ მოვიყვანთ ამონაწერს ორივე ლექსიდან:

**ხიცივემ მგონი მამაძრო ცხვირი,**
**მივდი-მოვდივარ ალმა და დალმა.**
**ჩემს პალტოს ათჯერ ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲔ პირი**
**ხან უკუღმა და ხან ისევ წაღმა.**

ასე სწერია „ტარტაროზი“-ს დასახელებულ ნომერში; თქვენ კი თქვენს ლექსში ასე იმეორებთ:

**ქარიც მაგრად უბერავს,**
**პალტოც გადავაბრუნეთ....**

ჩვენც ბევრი ვაბრუნეთ ეს ლექსი და ბოლოს გოდორისაკენ გადავაბრუნეთ.

**შმაშს** (აქვე). — ჩვენ შევასრულეთ თქვენი თხოვნის ერთი ნაწილი, რომ მასალა შეგვემოკლებინა, გაგვეშალაშინებინა და, (მეორე თხოვნა) — ისე გაგვეშვა. მაგრამ პირველი თხოვნის შესრულების შემდეგ, დასაბეჭდი აღარაფერი დარჩა და რა დაგვებეჭდა!

**კანჯარს** (თხინვალი) და **ქურციკს** (ბორჯომი).— ორივეს პასუხს ერთად იმიტომ გაძლევთ, რომ პასუხი ორივესთვის ერთნაირი გვაქვს. (არც შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო).

ჩვენ სავსებით გეთანხმებით, რომ **„ფსევდონიმი უნდა ახასიათებდეს ავტორს“**-ო (ალბად თქვენც გახასიათებს თქვენი ფსევდონიმი).

მაგრამ, რატომღაც, ჩვენ გვგონია, რომ თქვენ არ გესმით ამ სიტყვების (თქვენი ფსევდონიმების) შინაარსი. აგიხსნით. გადაშალეთ „ვეფხვის ტყაოსანი“ და იქ ნახავთ:

**მოვიდა ჯოგი ნადირთა**
**ანგარიშ მიუწდომელი.**
**ირემი, თხა და ᲙᲐᲜᲯᲐᲠᲘ,**
**ᲥᲣᲠᲪᲘᲙᲘ მაღლა მხტომელი.**

ამის შემდეგ გადაშალეთ „ვეფხვის ტყაოსნის“ უკანასკნელი ფურცლები, სადაც სიტყვარია მოთავსებული, და გაიგებთ, რომ: კანჯარი ნიშნავს — ველურ **ვირს** (იხ. საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონიც), ხოლო **ქურციკი — გარეულ თხას.**

**ჯიმითელ გლეხს** (ბადიაური, კახ. ოლქი). — შე კაი კაცო, შარშანდელი გადაწყვეტილება — ეპოსათვის შენობის აგების შესახებ, წელს რომ შეესრულებინათ, — მაშინ ხუთწლიან გეგმაში რა უნდა გაეკეთებინათ? დაიცადეთ. ალბად ხუთწლიან გეგმაში აქვთ შეტანილი. გარდა ამისა, რას უპირებთ კერძო პირს, რომლის შენობაშიაც დღეს „ეპო“ არის? კაცს ხომ ვერ დაუშრობთ შემოსავლის წყაროს.

**ლხტ. — პირველს.** რატომ არ იწერებით, თუ სად ხდება ეს ამბავი:

მაღაზიაა **მეექვსე,**
**ნოქარი — ასათიანი.**
**თავის თავს გმირს ეძახის**
**ვირ-ძალით ას-ათიანი.**
**ნაცნობებს ბლომად ხთავაზობს**
**ჟველი არის თუ კარაქი.**
**ტარტაროზ, მოინახულე,**
**ეს არ გეგონოს არაკი.**

მოვინახულებდით, მაგრამ მისამართს არ გვაწვდით.

**„იქ დავესწარს“** (ხაშური). — ყველა ყურის ასაწევს რომ ყური ავუწიოთ, დაგვერწმუნეთ, თქვენც მათ რიცხვში აღმოჩნდებოდით. საჭიროა ნაკლები წყალი და მეტი მარილი.

**„კოზია“-ს** (ქუთაისი). — ნუ თუ ისეთი გულადია ჯანმრთელობის ქ. განყ. მოლარე ივანე, რომ ამ გახურებულ წმენდის დროს:

**საქმე გააჭიანუროს —**
**მას ამაში არ ჰყავს ტოლი.**
**(კიდევ კარგი — მოლარეა,**
**და არა აქვს დიდი როლი,**
**თორემ მისგან მოჭერილი**
**გვექნებოდა ყელში რგოლი).**

**აჯანჯალის** (ვანი, ქუთ. ოლქი). — თუმცაღა თქვენი კოოპერატივის გამგეზე დღევანდელ „ჯოჯოხეთის კუთხე“-ში მოთავსებულია წერილი, მაგრამ ამასაც დავბეჭდავთ:

**კოოპერატივს განაგებს**
**ჩვენი მოსე ჭყონია**
**და ეს კოოპერატივი**
**მას თავისი ჰგონია.**
**სოფლის ქალებს უყვირის:**
**— შეაყოლე, ქალო შინ!..**
**ყიფიანის ცოლს ეტყვის:**
**— ჰა, პური და კალთაში!**

**დ. ხონელს** (ხონი, ძაფ-საღები ქარხ.) — ლექსს საჭკითხველოზე ასე ათავებთ:

**შიგ გაზეთებს ველარ ნახავთ,**
**არის მარტო ორი ნარდი.**
**გაზეთების წაკითხვაზე**
**მგონი არვის არ აქვს დარდი.**

თუ გაზეთები არ არის, მაშ რა ჰქნან! აღარც ნარდი ითამაშონ?

**ტარტაროზისძეს** (სამტრედია). — თქვენი პირველი ტყუილი ის არის, რომ თქვენ არა ხართ ტარტაროზის ძე, რადგან ტარტაროზს შვილი არა ჰყავს. ნუ თუ ასეთივე სიმართლეა, რასაც იწერებით კოოპერატივის მოლარეზე:

**აზნაურობას არ იშლის,**
**უყვარს ფეხების ბაკუნი.**
**კოლია მიქელაძეა,**
**თავში უქენი კაკუნი.**
**(კაკუნით რასა გავხდებით,**
**სჯობს ზურგზე უქნათ ბრაგუნი!).**

**წიფნარელს** (ქუთაისი, აბრეშ. ძაფ-საღები ქარხანა). — შე კაი კაცო, ყოველთვის **სიზმარში ხომ არა ხარ,** რომ სიზმრის ახსნებს გვიგზავნი?

**„მაზიბს“** (მესტია, სვანეთი). — მოიწერეთ უფრო საყურადღებო ამბები. ეს წვრილმანია:

**ალმასკომში მემანქანეთ**
**არის ვინმე ნატო ქალი.**
**ასე ფიქრობს თავის თავზე—**
**თითქოს არის ქვეყნის თვალი.**

თუ ასეთი შეხედულება მხოლოდ მას აქვს თავის თავზე და არა სხვებს (მათ შორის — თქვენც) მასზე, — ეს არაფერია; იფიქროს რამდენიც უნდა; ამას უფლებას ვერ წავართმევთ.

**„ნამხ“** (სამტრედია). — იმ აბაზთან ერთად (ყუთში რომ ჩაგიგდიათ) ორი შაურიც გეზარალათ (ამ წერილზე დაკრული მარკის ფასი). მაგრამ გული რომ მთლად არ დაგაკლდეთ, ვბეჭდავთ შემდეგს:

**ჩამოვიდა ბარგი-ბარხანით ისიდორე ქანქაძე. ყველას გამარჯობა გვითხრა და თავი დაბლა დაგვიკრა... თურმე, ნუ იტყვით, გაუწმენდიათ სამსახურიდან და ეხლა ყველასთან კადრულობს დალაპარაკებას.**

დიახ, ასე იცის წმენდამ.




ქრისტე: — წინედ ჩემი დღესასწაულების დროს „ტარტაროზი" მაინც მიხსენიებდა და პირველ გვერდზე მხატავდა.... ეხლა კი მასაც დავავიწყდი — პირველს გვერდზე ჩემს მაგიერ ტრესტი გამოუხატავს.

რედაქტ. სარ. კოლეგიი. გაზ. „მუშა"-ს გამოცემა. საქ. პ.-ტრესტის მე-5 სტამბა. მთავლ. № 1319.